გიულდენშტედტის

მოგზაურობა

საქართველოში

А К А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

ПУТЕШЕСТВИЕ ГЮЛЬДЕНШТЕДТА ПО ГРУЗИИ

ТОМ 1

Немецкий текст с грузинским переводом издал и исследовал
Г. Гелашвили

JOHANNES GUELDENSTAEDTIUS PEREGRINATIO GEORGICA

Tumus prior

Textum germanicum cum conversiune georgica edidit
commentariisque instruxit
G. Gelašvili

Издательство АН Грузинской ССР Sumptibus Academiae scientiarum Georgiae

ТБИЛИСИ – 1962 Thbilissiis MCMLXII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

გიულდენშტედტის

მოგზაურობა საქართველოში

ტომი პირველი

გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა
და გამოკვლევა დაურთო

გ. გელაშვილმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი – 1962

მთავარი რედაქცია: **ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი.**
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), **ს. ჯიქია.**

დასავლეთ-ევროპული წყაროების
სერიის რედაქტორი

სიმ. ყაუხჩიშვილი

შინაარსი

წინასიტყვაობა 07

შესავალი (ნარკვევი) . . . . . 09 – 087

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში: ტექსტი და თარგმანი . . . . . 1 – 333

მოგზაურობა და ჩანაწერები საქართველოში 3
მოგზაურობა თბილისიდან კახეთისაკენ და კახეთში 15
[მოგზაუროგა ქართლში] . . . . . 47 – 105
[თბილისის აღწერილობა] . . . . . 87 – 93
[მოგზაურობა რაჭაში] . . . . . 105 – 131
[მოგზაურობა იმერეთში] . . . . . 133 – 175
[ქუთაისის აღწერილობა] . . . . . 139 – 143
[ისევ ქართლში] . . . . . 177 – 181

საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული შესწავლისათვის . . . 183 – 213

საქართველოს ისტორიისათვის 187
ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო (როგორც კახეთის ისე ქართლის შტოს გენეალოგია) 195
იმერეთის ისტორიისათვის 203

1. ზემო ქართლი . . . . . 215 – 237
ჯავახეთი (215). სამცხე (217). სათარხნო (219). საციციანო (219). ქართლის სამეფო (225 – 237): ქართლის მეფის მოხელეები (229). კანონები და სამართლის წარმოება (231). ქართლის მეფის შემოსავალი (233). ქართლის სამეფოს ფულები (233).

2. პროვინცია ქვემო ქართლი . . . . . 239 – 247

3. პროვინცია სომხითი 239

4. ქართული პროვინცია კახეთი . . . . . 249 – 265
ქიზიყი (257). თუშეთი (263)

5. შუა ანუ შიდა ქართლი . . . . . 267 – 309
ხადა (267). ხევსურეთი, გუდამაყარი (269). ფშავი, საერისთაო (271).

6. ქართული პროვინცია იმერეთი და იმერეთის სამეფო . . . . . 281 – 309
იმერეთის მხარე რაჭა (291). ოკრიბა (297). თვალდა, ლომსიათხევი, ზემო-ქვეყანა (299). ხეფინიხევი (303). არგვეთი (303). სალორთქიფანიძო (305). ვაკე (307). მხარე ხრამი (309).

7. პროვინცია გურია . . . . . 311 – 317

8. მოკლედ სამეგრელოს შესახებ . . . . . 319 – 327
მხარე ოდიში (325).

9. ქართული პროვინცია სვანეთი . . . . . 329 – 331

საძიებლები . . . . . 334 – 362
გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები (334). პირთა სახელები (357).

Addenda et corrigenda 363

წინასიტყვაობა

„გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ დამზადებულია ჩვენ მიერ ორ ტომად. ამჟამად ქვეყნდება პირველი ტომი; იგი შედგენილია ძირითადად გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურებისა და ზოგიერთი რაპორტის მიხედვით, რომელთაც ის უგზავნიდა პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას.

რაც შეეხება მეორე ტომს, რომელიც უკვე გადაცემულია გამოსაცემად, მასში შედის ყველა ის მასალა, რაც არაა გამოქვეყნებული (იმ რაპორტების ჩათვლითაც, რომლებიდანაც პალასს ცნობები ამოუკრეფია). ამ მასალის შესახებ იხ. ქვემოთ შესავალი, გვ. 015. მეორე ტომსვე ექნება დართული საგანთა და ტერმინთა საძიებელი ორივე ნაწილისა.

*

ამჟამად გამოქვეყნებული მასალის შესახებ შეიძლება ვთქვათ შემდეგი.

მოგზაური ყოველთვის ზუსტად არ ასახავს არსებულ სინამდვილეს. მოგზაური, რომელიც მოდის ეკონომიურად შედარებით განვითარებული ქვეყნიდან, ადგილობრივ მდგომარეობას ადარებს თავისი ქვეყნისას. ეს კი იწვევს უზუსტობას: ის რაც ადგილობრივი ცხოვრებისთვის იმ დროს არის პროგრესული, წინგადადგმული ნაბიჯი, მოგზაური მას ან საერთოდ არ თვლის მოხსენების ღირსად, ანდა, ხშირ შემთხვევაში, ზომავს თავისი ქვეყნის დონის მიხედვით.

ამიტომაც, ჩვენ, ცნობის მოტანასთან ერთად, მას მეტნაკლებად ვავსებთ საქართველოს ნამდვილი მდგომარეობის ამსახველი სურათითაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ცნობა მრეწველობის ძალზე ჩამორჩენილობის შესახებ: პატარა „ქარხნების“ გაჩენა და მათში დაცული წესი სამუშაოს შესრულებისა დიდი მოვლენა იყო საქართველოსთვის, გიულდენშტედტისთვის კი – ადარებდა რა ევროპულს – ბევრი არაფერი. ამისთანა მაგალითები ძალზე ბევრია და მათ აღარ მოვიხსენიებთ.

გიულდენშტედტის ცნობების ანალიზი ჩვენ ზოგადად მოვახდინეთ. მართალია, ეს მასალა მეტის თქმის საშუალებას იძლევა, მაგრამ, გამოცემის ისედაც გაზრდის გამო, ვამჯობინეთ მეორე ტომში გადაგვეტანა ზოგიერთი საკითხის განხილვა.

შევეხეთ რა დასავლეთ საქართველოს, ჩვენ მოვერიდეთ ეკონომიური მდგომარეობისა და სოციალური ვითარების იმ სურათის გამეორებას, რაც ქართლ-კახეთის სამეფოზე იყო ნათქვამი; ჩვენ ვენდეთ გიულდენშტედტს, როგორც პირადად მომსწრეს და ზუსტი ცნობებით აღჭურვილს და, ამდენად, დავკმაყოფილდით მისი ცნობების ციტაციით.

განსაკუთრებულ სიძნელეებს წავაწყდით გეოგრაფიული სახელების დადგენისას.

ა) ზოგიერთი სახელი იმდენად დამახინჯებულად არის ტექსტში მოტანილი, რომ ყოველთვის არ ხერხდება ზუსტი შესატყვისის მოძებნა. მაგ., თუ

ორ სოფლად მოხსენებული Batoro Seoli (გვ. 261) ადვილი დასადგენია, რომ ეს არის „პატარძეული“, სამაგიეროდ Kuasch Zibis შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც „კვახჭირი“, ისე „კვაშხიეთი“, ან „გვიშტიბი“ (გვ. 309). ზოგიერთი სახელწოდების აღდგენა ტექსტში ვერ მოვახერხეთ; ამასთან საჭიროდ ვთვლით ვაუწყოთ მკითხველს, რომ ზოგი მათგანი შესწორებულია საძიებელში.

ბ) გეოგრაფიული სახელების დადგენისას ვიყენებდით რუსულსა და ქართულ რუკებს, ვახუშტის გეოგრაფიულ ცნობებს, აგრეთვე სტატისტიკური აღწერილობის ძველ და ახალ მასალებს. სახელდობრ:

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907 წ.

ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა: თსუ შრომები, ტ. 45, 1951 .

გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, კახეთის აღწერა 1801 – 1802 წლისა: საქართველოს არქივი, წიგნი III, თბ., 1927 წ.

გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. ტ. V, VII, VIII.

ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, I – II, თბ., 1935; III – IV, თბ., 1938.

ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II – III, თბ., 1941 – 1958.

დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწ. II, დემოგრაფია.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1961 წ.

*

წინამდებარე შრომის დამზადების დროს დიდი დახმარება გაგვიწია ცნობილმა გერმანისტმა ა. ი. პ შ ე რ ა ც კ ა ი ა მ, რომლის კონსულტაციებითაც ვსარგებლობდით გიულდენშტედტის გერმანულ ტექსტზე მუშაობისას. აგრეთვე დიდად დაგვავალეს პროფ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ მ ა და პროფ. შ. მ ე ს ხ ი ა მ, რომლებმაც მოგვცეს მნიშვნელოვანი მითითებანი.

ამდენად თავს მოვალედ ვთვლით ხსენებულ პირთ უღრმესი მადლობა მოვახსენოთ.

მადლობას ვუძღვნით საქართველოს მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ „უცხო წყაროების შემსწავლელ კომისიას“, რომელმაც ორჯერ მიგვავლინა ლენინგრადში გიულდენშტედტის საარქივო მასალებზე სამუშაოდ.

*

ასეთი სახის სამუშაოს ჩვენ პირველად ვასრულებთ და, რასაკვირველია, ნაშრომი არ იქნება დაზღვეული ნაკლისაგან. ჩვენ დიდი მადლობით მივიღებთ ყოველივე სასარგებლო შენიშვნასა და შესწორებას.

თბილისი

1962 წლის 19 მაისი

გ. გელაშვილი

შესავალი

ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად უცხო მოგზაურთა მიერ დატოვებულ ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამ ცნობებში მოიპოვება უხვი მასალა ქვეყნის სოციალური ვითარების, პოლიტიკური წყობის, ეკონომიური მდგომარეობის, გეოგრაფიული პირობების, ბუნებრივი სიმდიდრისა და სხვათა შესახებ.

მართალია, ცალკეული ეპოქებისათვის მოიპოვება ადგილობრივი საისტორიო თუ სხვა სახის თხზულებები და წყაროები, მაგრამ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას აგრეთვე მოგზაურთა ნაწერებსაც, რომელთა ცნობების შედარება-შეჯერებას საისტორიო თხზულებებთან მივყავართ ჭეშმარიტების დადგენამდე.

მოგზაური გადმოსცემს არა მარტო იმას, რაც თვით ნახა, არამედ ხშირად მოჰყავს სხვისი ნათქვამი, ნაამბობი, ან კიდევ ეყრდნობა სხვა უფრო ადრინდელ წყაროებს (მოგზაურთა ცნობებს). შეიძლება, რომ მოგზაურის ცნობები მის მიერ არ იყოს შედგენილი, არამედ მისი მონაყოლის მიხედვით, სხვა ადგენდეს მას – ან თვით მოგზაურობის დროს, ან კიდევ მოგზაურობის შემდეგ. მოსალოდნელია, რომ ცნობები დამახინჯდეს შემდეგდროინდელ გამომცემელთა თვითნებობის, დაუდევრობის გამო.

უცხო მოგზაურში, რომელიც მოხვდა მისთვის ახალ ბუნებრივსა და კულტურულ გარემოში, იზრდება სურვილი მეტ-ნაკლებად ასახოს თავისი დაკვირვებები და შთაბეჭდილებანი. სწორედ ამიტომაც არის საჭირო მისდამი ფრთხილად მიდგომა. უცხოელი ხშირად იჩენს ნაციონალურ და განსაკუთრებით კლასობრივ მიკერძოებულებას. ის ყოველთვის უყურებს მის წინ გაშლილ სინამდვილეს იმ კლასის, საზოგადოებრივი ფენის თვალით, რომელსაც იგი ეკუთვნის. თავის მიმართებაში ადგილობრივ ფენებთან მოგზაური ყოველთვის იმ ქვეყნის პოლიტიკის გამტარებელია, რომელმაც იგი სამოგზაუროდ (უფრო უკეთ დასაზვერად) გამოგზავნა. უცხო მოგზაური ადგილობრივი საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ფენებთან იჭერს კავშირს და არა მთელ მოსახლეობასთან.

ამრიგად, უცხო მოგზაურის ცნობა წარმოადგენს მნიშვნელოვან და შინაარსიან წყაროს მხოლოდ მისი სრული გამოყენებისა და მისდამი მკაცრი – კრიტიკული მიდგომის შემდეგ[1].

XVIII საუკუნის უცხო მოგზაურთა ჯგუფს, რომლებიც საქართველოში

---

[1] М. А. П о л и е в к т о н, Европейские путешественники XIII – XVIII вв. по Кавказу, 1935 г., стр. 3.

იყვნენ და დაგვიტოვეს ცნობები მის შესახებ, ეკუთვნის ი ო ჰ ა ნ ა ნ ტ ო ნ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი (1745 – 1781 წწ.).

გიულდენშტედტი იყო ნატურალისტი, მედიცინის დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი დაიბადა 1745 წლის 26 აპრილს რიგაში[1]. მამა ანტონ გიულდენშტედტი იყო მდივანი საიმპერატორო მთავარი კონსისტორიისა, შემდგომში კარის სასამართლოს ასესორი; დედა დოროთეა ფონ ვირგინი იყო ერთადერთი ქალიშვილი პერნაუს ბურგომისტრის იაკობ ვირგინისა და ქვრივი კარის სასამართლოს ადვოკატის და მოხელის ფრიდრიხ ქრისტლიბ მიულერისა. პაპა – მაგისტრი ანტონ გიულდენშტედტი, იყო მოძღვარი რიგაში; დიდედა – დოროთეა დეპკინი.

ბავშვობაში მამამისი იყო მისი მასწავლებელი; შემდეგ ის შეიყვანეს რიგის საიმპერატორო ლიცეუმის მაღალ კლასებში, სადაც მან მაშინდელი რექტორისა და პასტორის – ლოდერის ხელმძღვანელობით განაგრძო სწავლა ისეთივე შესანიშნავი წარმატებით.

1758 წლის 8 იანვარს, როცა ის ჯერ კიდევ 13 წლის არც კი იყო, მოუკვდა მამა, ხოლო 1761 წლის 4 დეკემბერს კი დედაც დაჰკარგა. ჯერ კიდევ ადრე, 16 წლისა, აღიარეს სრულწლოვნად და 1763 წლის ივლისში გაემგზავრა ბერლინში, სადაც ის 8 ნოემბერს ჩაირიცხა სამედიცინო-ქირურგიულ სასწავლებელში (Collegio). გიულდენშტედტმა იქ მიიღო ფართო და საფუძვლიანი ცოდნა სამედიცინო ხელოვნებაში, ბოტანიკასა და ბუნებათმცოდნეობაში, ისე რომ არ ყოფილა გერმანიის არც ერთ ცნობილ უნივერსიტეტში. მისი საუკეთესო მასწავლებლები იყვნენ მეკელი, გლედიჩი და სხვები. ის გაემართა მხოლოდ ოდერის ფრანკფურტში, რათა მიეღო დოქტორის ხარისხი, რაც მას 1767 წლის დეკემბერში 22 წლისას მიანიჭეს. იქაურმა ბუნების მკვლევართა საზოგადოებამ ის ჯერ კიდევ 5 დეკემბერს მიიღო თავის წევრად.

მალე მას. გაეხსნა სარბიელი, რომელზეც ის ასე სახელოვნად მოღვაწეობდა.

1768 წელს გიულდენშტედტი მიიწვიეს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში, რათა მიეღო მონაწილეობა აკადემიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში (ეს ექსპედიცია ითვალისწინებდა ევროპული რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქების, ციმბირისა და კავკასიის შესწავლას). გიულდენშტედტს თავდაპირველი გეგმით უნდა ემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში – ასტრახანის გუბერნიაში, მაგრამ გმელინის დაჟინებითი თხოვნით, პროგრამა გაუფართოეს. ამის შემდეგ გიულდენშტედტს წილად ხვდა ჩრდილოეთი კავკასია და საქართველო.

მისი ყოფნის დროს ექსპედიციაში, 1770 წლის 3 მარტს, ის აირჩიეს პეტერბურგის „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების“ წევრად, ხოლო 1774 წლის 11 ოქტომბერს ბერლინის „ბუნებისმკვლევართა ამხანაგობის“ საზოგადოების წევრად.

---

[1] ბიოგრაფიული ცნობები მოგვყავს პ ა ლ ა ს ი ს გამოცემის შესავალის მიხედვით.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, რაც გაგრძელდა 1768 – 1775 წწ., ის ცხოველ მონაწილეობას იღებდა მეცნიერებათა აკადემიის სხვა მეცნიერულ ღონისძიებებში.

1779 წელს მან კარგად მოაწყო სამკითხველო ბიბლიოთეკა; ეს მუშაობა მან განაგრძო აგრეთვე მისი მეგობრის, კარის მოსამართლის იოჰან ალბრეხტ ოიელერის დირექტორობის დროს. ასევე ცდილობდა გიულდენშტედტი ფეხზე დაეყენებინა „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება“, რომლის პრეზიდენტადაც ის აირჩიეს 1780 წლის მაისში.

ხალხისადმი დახმარების აღმოჩენის სიყვარული გახდა მიზეზი მისი უდროო სიკვდილისა. 1781 წელს გიულდენშტედტი სხვადასხვა პირებს მკურნალობდა პეტერბურგში მოდებული „დამპალი ციებისგან“ მოსარჩენად. მისმა, ავადმყოფობისაგან ისედაც დასუსტებულმა, სხეულმა ვერ გაუძლო ამ ციების მძლავრ შემოტევას და გარდაიცვალა 23 მარტს, 36 წლის ასაკში; დაასაფლავეს 26 მარტს.

მას დარჩა სამი ნახევარ-დაძმა – იაკობ ბერნჰარდ მიულერი, დ-რი ფრიდრიხ გუსტავ მიულერი და დოროთეა ელისაბედ მიულერი. ისინი ჯერ არ იყვნენ დაოჯახებულნი; თავის სიცოცხლეში ის ამ და-ძმებს უვლიდა და ზრუნავდა მათზე ძმურზე უფრო მეტი სიყვარულით.

გიულდენშტედტი ყოფილა ლამაზი კაცი, შესამჩნევად მაღალი, მაგრამ არ იყო მაგარი აგებულების. ბავშვობიდან იყო სუსტი და სუნთქვის შეკვრა ჰქონდა. ხასიათის სირბილე მას სახეზე ეწერა. მას არასოდეს არავისთვის უწყენინებია და არც ვინმესადმი ყოფილა მტრულად განწყობილი. ურთიერთობაში სხვებთან იყო ალერსიანი, ზრდილობიანი. არ ლაპარაკობდა ბევრს, თავისუფლად და საბუთიანად გამოსთქვამდა ხოლმე აზრს. მისი სიბეჯითე არ ჩამოუვარდებოდა მის საფუძვლიან ცოდნას და ამით აიხსნება, რომ მან თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ეგზომ ბევრი გააკეთა.

*

* *

1768 – 1774 წლების მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია ემსახურებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თავადაზნაურულ-ბატონყმური რუსეთის სამეურნეო ინტერესებსა და დაპყრობით მისწრაფებებს. გიულდენშტედტს წილად ხვდა კავკასიის იმ ოლქების შესწავლა, რომლებშიც ჯერ კიდევ XVI – XVII საუკუნეებში აწყობდა მოსკოვის სახელმწიფო არა ერთგზის საფუძვლიან დაზვერვებს (ზვენიგოროდსკი, ტატიშჩევი, ვოლკონსკი, მიშეცკი, იევლევი, ტოლოჩანოვი, ნაწილობრივ ელჩინი და სუხანოვი). XVIII საუკუნის რუსულ მეცნიერულ კავკასიისმცოდნეობაში გიულდენშტედტი ხსნის ახალ განყოფილებას, რომლის ობიექტი არის მთელი კავკასია, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე[1].

გიულენშტედტის მოგზაურობა დაიწყო პეტერბურგიდან 1768 წლის 19 ივნისს. ექსპედიციის ეს ჯგუფი შედგებოდა, გიულდენშტედტს გარდა, კიდევ ექვსი კაცისაგან (ოთხი სტუდენტი – ბელიაევი, ცრიაკოვსკი, სოკოლოვი,

---

[1] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

კრაშენინიკოვი, ერთი მხატვარიო – გრ. ბელოი და ერთი ნეფიტულე – ტორბეევი). ექსპედიციამ გაიარა ნოვგოროდი, რჟევი, მოჟაისკი, მოსკოვი, ტულა, ვორონეჟი, ცარიცინი და 1769 წლის 4 დეკემბერს მივიდა ასტრახანში. 1770 წლის 13 იანვარს ის გაემართა ყიზლარისაკენ (მივიდა 23 იანვარს); შემოიარა ახლომდებარე რაიონები კავკასიისა, ნახა ნავთის საბადოები და მინერალური წყაროები. 1771 წლის მარტში გაემგზავრა ოსეთში. 1771 წლის 18 მაისს საბოლოოდ დასტოვა ყიზლარი, შემოიარა მცირე ყაბარდო, გავიდა კვლავ ოსეთში და აქედან საქართველოსაკენ წამოვიდა. 25 სექტემბერს უკვე დუშეთში იყო, სადაც 9 ოქტომბრამდე დარჩა. 15 ოქტომბერს ის ჩამოვიდა მცხეთაში, სადაც მიღებულ იქნა ერეკლე მეორის მიერ, რომელთან ერთადაც 14 ნოემბერს მოვიდა თბილისში. აქ გიულდენშტედტი დარჩა 1772 წლის 15 თებერვლამდე[1].

თბილისიდან მან მეფე ერეკლესთან ერთად იმოგზაურა კახეთში (თებერვალ-მარტში), ხოლო მაისში თავადმა დავით [ქსნის] ერისთავმა წაიყვანა თბილისის სამხრეთით[2]. ერეკლე მეორე ცდილობდა დაეტოვებინა იგი თავის სამსახურში, რადგან სჭირდებოდა სპეციალისტი საბადოთა დამუშავებისა, რასაც ერეკლე დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ გიულდენშტედტმა ამას თავი აარიდა.

ივნისში გიულდენშტედტი წავიდა იმერეთში; 14 ივლისს იყო წესში, 18 ივლისს იგი სხარტალში მიიღო იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა; შემდეგ გაეცნო რაჭას და 10 აგვისტოს უკვე იყო ქუთაისში. აგვისტო-სექტემბერში მან მოიარა სამეგრელოს საზღვრები, იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაბრუნდა ოსეთში. აქ, საქართველოს საზღვარზე, ის დარჩა ერთ თვემდე, რადგან ოსთაგან ტყვედ ჩავარდნის საშიშროება მოელოდა. 1772 წლის 12 ნოემბერს, რუსთა შეიარაღებული რაზმის საფარ ქვეშ, ის ყიზლარში დაბრუნდა. იქ ის დარჩა 1773 წლის აპრილამდე. მაის-ივლისში იმოგზაურა დიდ ყაბარდოში, შემდეგ გადავიდა დონზე და 1775 წლის 2 მარტს პოლტავა-კიევი-ნეჟინი-ორიოლი-ტულა-მოსკოვის გზით დაბრუნდა პეტერბურგში.

გიულდენშტედტის სამოგზაურო ჩანაწერებისაგან შედგა მისი „Reisen durch Russlandn und im Cancasischen Gebürge," რომელიც გამოიცა გაცილებით გვიან, 1787 – 1791 წლებში, მისი სიკვდილის შემდეგ, პ ა ლ ა ს ი ს მიერ ორ ტომად.

გიულდენშტედტის ეს ორტომიანი ნაშრომი შეიცავს მთელი მისი მოგზაურობის თანმიმდევრულ, კეთილსინდისიერ აღწერას. ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს შესწავლისათვის გიულდენშტედტის „Reisen" არის კაპიტალური ნაშრომი, რომლის მსგავსიც მანამდე არც რუსულ და არც დასავლეთ-ევროპულ კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში არ იყო[3].

---

[1] I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, I, hrsgb. von P.-S. Pallas (SPb, 1787), Vorrede, IX.

[2] იქვე.

[3] მ. ა. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, დასახ ნაშრომი, გვ. 125.

ეს შრომა მოიცავს ბუნებისმეტყველების ყველა მხარეს (განსაკუთრებით ბოტანიკასა და ზოოლოგიას), მოცემულია უხვი ცნობები სოფლის მეურნეობის, მეაბრეშუმეობის, სამთო საქმის, ხელოსნობის, დამმუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე ვაჭრობის შესახებ; მხარის ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. მოცემულია აგრეთვე ქართული, მეგრული, სვანური, ჩერქეზული, ჩეჩნური და კავკასიის სხვა ენებისა და დიალექტების ლექსიკონი.

ამ შრომის ნაწილი, რომელიც შეეხება კავკასიას, ხელახლად შემოწმებული გიულდენშტედტის ხელნაწერთან, გამოცემული აქვს კლაპროტს (I. KIaproth) თავისი შენიშვნებით:

1. Reisen nach Gedorgien und Imerethi (Berlin, 1815) და 2. Beschreibung der Kaukasischen Länder (იქვე, 1834)[1].

რუსულად არის: Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, из путешествия акад. И. А. Гильденштедта (СПБ 1809; სისტემატური ამონაწერები „Reisen“-იდან კი გერმანის მიერ).

გიულდენშტედტმა 1776 – 80 წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი კავკასიის შესახებ, ან მასთან შინაარსით ახლოს მდგომი. ეს ნაშრომებია:

1. „Abhandlung von den Häfen am asowischen, schwarzen und weissen Meer“ (St.-Pet. Journal, I) „ნარკვევი აზოვისა, შავ და თეთრ ზღვებზე მდებარე ნავთსადგურების შესახებ“, Месяцеслов, 1776).

2. „Von den Häfen am Caspischen Meer“ (St.-Pet. Journal, III.) (კასპიის ზღვის ნავთსადგურთა შესახებ, Месяцеслов, 1777, IV).

3. Gejgraphische, chymische und medicinische Beschreibung der im astrachanischen Gouvernement am Terekflub gelegnen warmen Bäder (St.-Pet. Journ. VII, 1782), (ასტრახანის გუბერნიაში, მდინარე თერგთან მდებარე თბილი წყაროების გეოგრაფიული, ქიმიური და სამედიცინო აღწერა, Месяц., 1778).

4. Geographische, historische und statistische Nachrichten von der neuen Gränzlinie des rußischen Reichs, zwischen dem Terekfluß und dem asowischen Meer (St.-Pet. Jonrn. VII).

(„გეოგრაფიული, ისტორიული და სტატისტიკური ცნობები მდ. თერგსა და აზოვის ზღვას შორის მდებარე რუსეთის იმპერიის ახალი სასაზღვრო ხაზის შესახებ“ (Месяц., 1779).

5. Gedanken über eine zwischen Rußland und Deutschland auf der Donau und dem schwarzen Meer zu eröfnende Handlung (St.-Pet. Journ. X).

(„მსჯელობა რუსეთსა და გერმანიას შორის დუნაისა და შავ ზღვაზე მომავალი ვაჭრობის შესახებ“. Акад. Изв. V, 1780).

დასახელებულ ნაშრომთა გარდა, გიულდენშტედტს ეკუთვნის მთელი რიგი ზოოლოგიურ-ბოტანიკურ-სამედიცინო გამოკვლევები (პალასი ასახელებს თერთმეტს. იხ. „Reisen“ – I ტომი, გვ. XI – XII), მათ შორის მისი დისერტაცია – „Theoria virium Corporis humani primititavarum, Francof. ad Viadr. 1767“.

---

[1] მ. ა. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

*

* *

გიულდენშტედტის მიერ დატოვებული მასალები (დღიურები, რაპორტები და ა. შ.) თავისი მოგზაურობისა (1768 – 1775 წწ. ექსპედიციის დროს) ამჟამად ინახება ქ. ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში.[1]

საქართველოს შესახებ ცნობები მოიპოვება არქივის შემდეგ ფონდებში:

Разряд I, опись 100, №№ 1 – 37 Материалы экспедиции 1768 – 1774 гг. აქედან საქართველოზე – №№ 2, 5, 7, 12, 19, 20, 21, 23, 29, 31/VIII, 31/XVII, 31/XVIII, 32.

Фонд 3, опись 33, №№ 1 – 9. Физическая экспедиция Гильденштедта 1768 – 1775 гг. აქედან საქართველოზე – №№ 1, 4, 5, 6.

Фонд 3, опись I, № 308, лл. 49 – 50.

ეს მასალა სხვადასხვა სახისაა. ესაა დღიურები, მოხსენებები (რაპორტები) პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიისადმი, წერილები (პირადი, მეცნიერების, მეფეების, ადგილობრივი მთავრების), ლექსიკონები (მის მიერვე შედგენილი), მცენარეთა და ცხოველთა ჩამოთვლა, ხარჯთაღრიცხვის რვეულები, ჩანახატები (მოქალაქეთა, ქალაქების, ეკლესიების, წარწერების), რუკები, რეცეპტები და სხვა მრავალი.

ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს დღიურებს (მათში მოცემულია მოგზაურის ყოველი ნაბიჯი დღეების მიხედვით), რომლებიც ამ ფონდებში უსისტემოდაა გაბნეული. ამასთან ამ დღიურებში ვხვდებით გადახვევებსაც[2]. ეს კი აძნელებს მისი ცნობების დალაგებას.

ჩვენ მიერ ნახულ ფონდებში გიულდენშტედტის დღიურებიდან მოიპოვება ისინი[3], რომლებშიც გადმოცემულია მისი მოგზაურობა კახეთში (არა მთლიანად), იმერეთში და ნაწილობრივ ქართლში, და არის ზოგადი ცნობები სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, რაჭის, აფხაზეთის, ბასიანიის, აჭარის, იმერეთის შესახებ, მოცემულია მეფეთა გენეალოგია მე-17 – 18 სს-ში; არის ამონაწერი „ქართლის ცხოვრებიდან“.

გიულდენშტედტის მასალათა სისტემაში მოყვანა და გამოცემა პირველად აკად. პალასმა სცადა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მძიმე სამუშაო მან შესანიშნავად შეასრულა.

პალასი უმთავრესად მიჰყვება გიულდენშტედტის დღიურებს, როცა აღწერს მის მოგზაურობას ამა თუ იმ რაიონში. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას სტოვებს წინადადებებს, სცვლის სიტყვებს. ხშირად ამოკლებს თხრობას, თუმცა აზრს არ ამახინჯებს. არის ადგილები, სადაც პალასი ვერ გარკვეულა (იქნება ეს გეოგრაფიული სახელი, თუ სხვა მცირე რამ) რაც შეეხება ცნობებს, მაგ., სამეგრელოს, გურიის, რაჭის, აფხაზეთის, სვანეთის და ა. შ. შესახებ, იგი ცალკე გამოჰყოფს ამ ცნობებს დღიურიდან და წიგნშიც განსაკუთრებული სათაურით ბეჭდავს.

---

[1] ჩვენ მივლინებული ვიყავით ქ. ლენინგრადში საქ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ეცხო წყაროთა შემსწავლელი კომისიის მიერ ამ საარქივო მასალის შესასწავლად.

[2] მაგ.: იმერეთში ყოფნისას გიულდენშტედტს მოახსენეს ცნობები სამეგრელოს შესახებ და ისიც აქვე გადადის სამეგრელოს აღწერაზე. ასევე აკეთებს სხვა მხარეების შესახებაც.

[3] ვგულისხმობთ საქართველოს შესახებ ცნობებს.

პალასმა უაღრესად დიდი მუშაობა ჩაატარა ამ წიგნის გამოსაცემად. ჩვენი აზრით, ამაზე უკეთ დალაგება იმ ზღვა და უსისტემოდ გაბნეული მასალისა შეუძლებელიც კი იყო. ამიტომ ჩვენს გამოცემაში ჩვენ ვსარგებლობთ პალასის მიერ გამოცემული ტექსტით – იმავე მიმდევრობით, როგორც ის დაბეჭდილ ტექსტშია, ოღონდ ვასწორებთ გიულდენშტედტის ხელნაწერი დედნიდან, რაც მითითებულია თავთავის ადგილას სქოლიოებში.

გიულდენშტედტის საარქივო მასალებში არის ბევრი ისეთი რამ საქართველოს შესახები, რაც პალასს არ აქვს გამოქვეყნებული და მოხსენებულიც კი, ხოლო მათ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე დღიურებს. ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მათი გამოცემა დამატების სახით დღიურებთან ერთად (იხ. წინასიტყვაობა). ეს მასალებია:

1. მოხსენებები (რაპორტები) პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი (№№ XXII – XXIX, № XXX-ის ნაწილი და № XXXII-ის ნაწილი).

2. მე-4 და მე-5 წლის ხარჯთაღრიცხვის რვეულები.

3. წერილები (სოლომონის 2 წერილი გიულდენშტედტისადმი გაგზავნილი, ხელმოწერით; მონაწერი ყიზლარის კომენდანტისა ერეკლესადმი და სხვა მთავრებისადმი).

4. რუსეთის საიმპ. აკადემიასთან დადებული ხელშეკრულება.

5. წარწერები (ეკლესიებიდან, საფლავების).

6. სურათები და ჩანახატები (ქართველ მცხოვრებთა თელავის, ალავერდის).

7. ავადმყოფთა სიები, რომლებიც მასთან მკურნალობდნენ (ხნოვანების, თანამდებობის და დაავადების აღნიშვნით).

8. საქართველოში საშოვარ მედიკამენტთა სია.

9. ერეკლე-სოლომონის ბრძოლა თურქებთან და რუსთა დახმარება.

10. მოხსენება, სადაც აღნიშნულია გიულდენშტედტის მიერ მე-17 – მე-18 საუკუნეების საქართველოს ისტორიის შემცველი ხელნაწერის შეძენა.

11. თან წამოღებულ ნივთთა და საქონლის სია.

12. ქართული ანბანი, მისი შესატყვისი რუსულ-ლათინური ასოებით, ზოგ არსებით სახელთა ბრუნება. ქართული ასოები და მათი რიცხვითი მნიშვნელობა.

13. ანბანზე (პირველ ასოზე) დალაგებული პატარა საძიებელი საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა.

14. ლექსიკონი (ლათინურ-რუსულ-გერმანულ-ქართულ-მეგრულ-სვანური).

ყველა ეს ჩამოთვლილი მასალა შეიცავს საყურადღებო და საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ; ამიტომ ჩვენ ყველა ისინი გადმოვიწერეთ (თუ ფოტოები გავაკეთეთ), სათარგმნი ვთარგმნეთ და გამოცემული იქნება მეორე ტომში.

ამრიგად, ჩვენს მიზანს შეადგენს გადმოვცეთ გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერები პალასის გამოცემაზე დაყრდნობით, ხოლო მოგზაურის ხელნაწერის მიხედვით გასწორებული და იმ დამატებითი მასალით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, სათანადო საძიებლების დართვით.

*

* *

მოკლედ განვიხილოთ, თუ პალასის მიერ გამოცემული ტექსტი როგორაა შესწორებული ჩვენ მიერ გიულდენშტედტის ხელნაწერი დედნის მიხედვით; ვნახოთ, თუ როგორია ძირითადი სხვაობა პალასის გამოცემულ ტექსტსა და ხელნაწერს შორის.

ტექსტების ეს სხვაობა შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

1. პალასს გამოუტოვებია ისეთი სიტყვები და წინადადებებიც კი, რაც ჩვენთვის საჭიროა და ტექსტს სრულს გახდის. (ამასთან ნიშნით„<“ აღვნიშნავთ ნაკლებობას).

2. პალასი სტოვებს სიტყვებსა და წინადადებებს, ან სცვლის ერთს მეორით, რითაც აზრი არ მახინჯდება და შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ.

3. პალასი სცვლის ერთ სიტყვას მისი შესაბამი მეორე სიტყვით.

4. პალასი ერთი სიტყვის მაგიერ ხმარობს მეორეს, რაც შეიძლება ზოგჯერ შეცდომაც იყოს.

5. პალასი ვერ გებულობს დედნის ტექსტს და ამ ნიადაგზე შეცდომას უშვებს, ამახინჯებს ფაქტს.

6. პალასი ცვლის ასოებს საკუთარ სახელებში (რაც ხანდახან შეიძლება კორექტურული შწცდომაც იყოს).

აქვე შევნიშნავთ, რომ რამდენიმე სიტყვა ჩვენთვისაც გაურკვეველი იყო დედანში და ჩვენს გამოცემაში მათ ადგილას ვიხმარეთ მრავალწერტილი ან კითხვის ნიშანი.

ახლა მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშებს, ზემოთდასახელებული ჯგუფების მიხედვით (ესენიც და სხვა შემთხვევებიც ყველგან მითითებულია ტექსტის სქოლიოებში).

1. ა. An dessen Mündung in W. auf einen niedrigen Kalksteinfelsen, *G.*] daselbst, *P.* (w 33)[1].

ბ. Von Laliskur ritten wir 1 St. nach SW, *G.*) wir ritten, *P.* (გვ. 34).

გ. Von Ruispiri ritten wir 3/4 St. bis zu eine[m] kieine[n] Bache und von da noch 1/4 St. bis zur cachetische[n] Hauptstadt Telawi, *G.*] Von Ruispiro erreichten wir nach einer Stunde die kachetische Hauptstadt Telawi auch Telau. *P.* (გვ. 36).

დ. თურქმანი თათრების 250 ოჯახი ერეკლემ – von etwan 20 Jahren von der Muganschen Steppe, auf der sie zwischen den Aras und Kur lebten, aber von Schach Nadir ser bedrengt wurden, hieher als Koloniste versetzt hat, die ihre Religion, Kleidung und Sitte noch völlig beibehalten haben<*P.* (გვ. 40).

ე. jetzt wuste<P. (ეხება ქალაქ ჭერემს – გვ. 40).

ვ. über Achmeta und Tianeti<*P.* (ამათზე გავლით გაემართა ანანურში – გვ. 42).

---

[1] გვერდებს ვუთითებთ ჩვენ მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით.

ზ. სოფლები კახეთში, deren überhaupt izt 75 bewonte Oerter sind<*P.* (გვ. 46).

თ. Die Länge des Weges kann man an 7 W. rechnen, in der Direktion nach S. mit einer ser gering ostl. Abweichung<*P.* (ქსოვრისიდან მუხ- (რანამდე – 52. გვ.).

ი. (მუხრანბატონის ვაჟი) Joane<*P.*

კ. (ყულფის მოსახლეობა) es sind an 100 Familien< *P.* (გვ. 72).

ლ. ბამბაკის მხარე არის ერეკლე მეფის ქვეშევრდომი. მან ის მისცა ბატონიშვილ გიორგის <P. (გვ. 75).

მ. Achtala ist einigen Erzgänge wegen merkwürdig<P. (w 76).

ნ. (სარკინეთიდან) წისქვილის ქვები გააქვთ თბილისსა და მთელ ქართში <*P.* (79 – 81 გვ.).

ო. თბილისში შესვლა – durch Gandschiskari, d. i. durchs Gandschische Tor <*P.* (84 გვ.).

პ. weil die Badebrücke zerbrochen war, dies ist jetzt der eigentliche Weg, den die Carawan machte, weil die Brücke über den Bade-Flnß eigentl. nur zur leichte Communication ist <*P.* (84 გვ.).

ჟ. Aschatur, Ardisi, Bersentkari, Tba <*P.* (96 გვ.).

რ. (სხლების ეკლესიაში) რომელშიც ჯერაც დგას ვრცხლით მოჭედილი ჯვარი. ის არის 2 ფუტი სიმაღლისა და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს. თავადს აქ (სხლებში – გ. გ.) ჰქონდა საზაფხულო სახლი <პ ა ლ. (101 გვ.).

ს. (ჯავის ხეობა) აქ ითვლიან 1000 ოჯახს. ეს მხარე ძველთაგან ექვემდებარებოდა თავად მაჩაბელს. სულ რამდენიმე კვირის წინ მეფემ ეს მხარე ჩამოართვა, რადგან აქაური ოსები ყველგან ჩიოდნენ – ძალიან შევიწროებული ვართო, და გადასცა ბატონიშვილ გიორგის <პ ა ლ. (გვ. 103).

ტ. გიულდენშტედტის მოლაპარაკება სოლომონთან იმერეთში მოგზაურობის შესახებ <პ ა ლ. (117 გვ.).

უ. (ლორთქიფანიძე) მეფის ბიძაშვილი; მისი მამა და მეფის და და-ძმები არიან <პ ა ლ. (129 გვ.).

ფ. Von den Russen aber Petrowskoi Lager genant wird, weil hier einige Zeit die Pferde des Corps geweidet worden <*P.* (164 გვ.)

ქ. Ausser der Stadt in NW. auf dem Felsen Ischiturdukhi steht die verfallene Kirche Mtha-tzminda, nach der gewallfahrtet wird <*P.* (გვ. 90).

ღ. შესასვლელის თავზე ქვაზე ჯვარია არის გამოკვეთილი რომლის ორივე მხარეს არის შემდეგი ასოები (წარწერის ჩათვლით) <პ ა ლ. (119 გვ.).

ყ. Beguna ist nur ein Titel ans der tatarischen Sprache, der so viel als Fürstin oder Prinzessin bedeutet, von Beg, ein Prinz oder Fürst <*P.* (196 გვ.).

*

* *

2. ა. საგაზაფხულო ქერი აქ უკვე დუიმზე იყო ამოსული მიწიდან <პ ა ლ. (33 გვ.).

ბ. მდ. ჩელთის კალაპოტის აღწერა <პ ა ლ. (33 გვ.).

გ. Daselbst Halte <*P.* (32 გვ.).

დ. Von Alawerdi sagte man, in SSW, sei am südl. Fusse des Vorgebürges Sagaredğo gelegen <*P.* (36 გვ.).

ე. steinigte, *P.*] und viele klcine lialksteine fiirende, *G.* (36 გვ.).

ვ. einige 100 Schritte davon, *G.*] demselben nahe, *P.* (38 გვ.).

ზ. wo ihre Nachkommen noch georgisch reden, aber inuhaniedaner sind, *P.*] daselbst sie noch izt wonen und georgisch reden, aber niahonietaner geworden sind, *G.* (მაზანდარანში) (40 გვ.).

თ. Mir ward der Auffenthalt durch Nachrichten von Kabatsch und dem Distrikt Dido, auch Chunsag. nüzlich, P.] In Telawi sannnlete ich Nachrichten von Dido und Kabul,soll, auch von Chunsag, *G.* (43 გვ.).

ი. Hierselbst machten wir an den Ufer des Kur Halte um die Pferde zu füttern <*P.* (60 გვ.).

კ. Wir hatten in Knlpi übernachtet <*P.* (70 გვ.).

ლ. D. 29 Jun. Gestern ist Mnchran von Lesgiern überfallen und geplündert, *G.*] Wll‘ hörten hier daß Muehran den 28-sten von den Les giern überfallen und geplündert worden, *P.* (94 გვ.).

მ. aus dein kartuelischen Fürstengeschlecht Bagrationi. *P.*] aus der griechischen Zarischen Familie der Bagrationi, *G.* (204 გვ.) და კიდევ ბევრი სხვა.

*

* *

3. ა. hatte Gebüsch aus, *P.*] es war bedeckt mit Gesträuch von, *G.* (32 გვ.).

ბ. verwüstet, *P.*] verheert, *G.* (40 გვ.).

გ. Bei diesem Ort, *G.*] hier, *P.* (44 გვ.).

დ. vorigen, *P.*] ehemaligen, *G.* (54 გვ.).

ე. Ruinen, *P.*] Ueberbleibsel, *G.* (60 გვ.).

ვ. der Zaar, *P.*] Ihr[e] zaarische Hoheit, *G.* (64 გვ.).

ზ. ამჟაად, გ ი უ ლ.] 1772, პ ა ლ. და სხვა.

*

* *

4. ა. Am linken Ufer des Zubani, *P.*] an der Ostseite des Zubani, *G.* (32 გვ.).

ბ. rechten Ufer, *P.*] Westseite. *G.* (32 გვ.).

გ. linken Ufer. *P.*] Ostseite, *G.* (32 გვ.).

დ. (höher, *P.*] westl., *G.* (54 გვ.).

ე. geboren 1760, *P.*] 12 Jahre alt, *G.* (204 გვ.).

ვ. sind fast so viel als der Bauer, *G.*] ist sehr zahlreich. *P.* (282 გვ.).

ზ. gerade südlich, *G.*] fast recht in Südlich, *P.*

თ. südlich, *G.*] rechten, *P.* (78 გვ.).

ი. an der Nordseite, *G.*,] an der linken, *P.* (64 გვ.).

5. ა. UNO, *G.*] *N*, *P.* (28 გვ.).

ბ. შილდა მდებარეობს, *G.*] რომელიც [ჩელტი] მიედინება, *P.* (32 გვ.).

გ. Thainas Mes-chi, *G.*] Thomas, *P.* (112 გვ.).

დ. ამონაწერის დამახინჯება ქ˜ც˜დან. (188 – 194 გვ.).

ე. Die Prinzeßin 'l'amar Wachtangs Tochter war die Gemahlin des Teimuras und Mutter des jezigen Zaren Erekle, *G.*] und Heraklii Gemahlin ist schon zweymahl gedacht, *P.* (თანაც შცდომაა დაშვებული). (200 გვ.)

ვ. Bakar, Wachtangs Son.... ist in Rusland als General en Chef gestorben und hat 2 Son: Lewan und Alexander hinterlassen... der zweite ist izt in Persien bei dem K e r i m C h a n in Schiras. Er ist mit den verstekten Vorsazze hingegangen, um sich gegen den Zaren Erekle eine. Partie zu machen und die ihm nicht uneigentlich zuständige Regierung in Kartweli zu erhalten. Er scheint aber nicht glücklich zu seinen, *G.*] Bakar... ist... gestorben und hat 2 Söhne. Lewan und Alexander hinterlassen... der andere gieng nach Krim, um von da aus auf seines Großvaters Thron zu lauschen, *P.* (200 გვ.).

*

* *

6. ა. Daedaziche, *G.*] Daldoziche, *P.*
Adsgwita, *G.*] Adgewita, *P.*
Gabuaschwilli, *G.*] Gubilta oder Gubnaschwilli, *P.*
Mamaziminda, *G.*] Maneziminda, *P.*
Choronischi, *G.*] Thoromischi, *P.*
Tgnorisa, *G.*] Tignotisa, *P.*
Dschrutschi, *G.*] Dschuntschi, *P.*
Mordsgweti, *G.*] Monschweti, *P.*
Weliziche, *G.*] Gireliziche, *P.*
Baioko, *G.*] Bajakoro, *P.*
Kondolh *G.*] Kurdeli, *P.*
Mgime, *G.*] Migine, *P.*
Tschiora, *G.*] Tsora, *P.*
Barula, *G.*] Balma, *P.*

ბ. Dğukrath *G.*] Dschukrati, *P.*
Adğara. *G.*] Adschara, *P.*
Bğinewi. *G.*] Bschinewi, *P.* და ბევრი სხვა.

*

* *

ამასთან ერთად, თითქმის ყველა სახის სხვაობა-შესწორებას ვხედავთ ქ. თელავის, ქუთაისის, გატეხილი ხიდის და სხვათა აღწერაში.(იხ. გვ. გვ. 38, 70, 138 – 143 და ა. შ.)/

არის ადგილი, სადაც პალასი ცდილობს დააზუსტოს ფაქტი, მაგ.: გიულ-

დენშტედტი წერს – „D. 8. Mai“, პალასი კი ასწორებს – „Von Zeit zu Zeit“ (ეს ეხება თბილისში ტივების მოსვლას მტკვრით). პალასი შეცდომას არ უშვებს ამ შესწორებისას, რადგან მან იცის, რომ ხორბლის მოტანა ტივებით მართლაც ხშირად („დრო და დრო“) ხდება და არა მარტო ამ დღეს (გვ. 60).

ასეთივე ხასიათისაა დაახლოებით ზემოთ მოყვანილი მაგალითიც: geboren 1760, *P.*] 12 Jahre alt, *G.* (204 გვ.).

*

* *

რაც შეხება სიტყვების მართლწერას, ჩვენ თითქმის ყველგან ვტოვებთ გიულდენშტედტისას (მეტწილად) და პალასისეულს. ჩვენ შეგვიძლია ეს სიტყვები შემდეგ ჯგუფებად დავყოთ[1]:

1. გამოტოვებულია ასო h. მაგალითად: wonen (= wohnen), one (= ohne), ser (= sehr, გვ. 40)[2], fürende (= führende, გვ. 36), bewonte (= bewohnte), Hüner (= Hühner, გვ. 28), Mülen (= Mühlen, გვ. 31), fürt (= führt.), wärend (= Während გვ. 40, 196), nemen (= nehmen, 42 გვ.), erwente (= erwähnte, გვ. 56), nämlich (= nähmlich), ausgehölte (= ausgehöhlte, გვ. 136), Viezucht (Viehzucht) და ა. შ.

2. **ck**-ს მაგივრად ნახმარია **k** ან **kk**. მაგ.: ekkig, Brükke, Brüke (332 გვ.), geschikt, dikkes (30 გვ.), dik (332 გვ.), diken (148 გვ.), zurük (42 გვ.), Bedekung (330 გვ.). verdekt (38 გვ.), troken (42 გვ.), Akerland (52 გვ.), erstrikt (54 გვ.), Röke (330 გვ.), Poken (66 გვ.), Streke (122 გვ.), wakern (128 გვ.), Glokenthurm (140 გვ.), Zwek (332 გვ.), Sewrngenrüken (154 გვ.), Strike (154 გვ.), Akker (298 გვ.), erstrekkt (316 გვ.), schikkete (52 გვ.) და სხვა.

3. „ß“-ის მაგიერ არის მარტო ერთი s ნახმარი. მაგ.: Rusland, Schlos, Flus (გვ. 16, 44), muste (ძალიან ხშირად). gröstenteils (34 გვ.), mus (298 გვ.), stöst (38 გვ.), wuste (58 გვ.), lies (114 გვ.), Schiesturm (104 გვ.), Weisbuche (108 გვ.) gros (292 გვ.), Schiespulver (330 გვ.), Weiskohl (294 გვ.) და სხვა.

4. tz-ს მაგივრად სიტყვებში ხმარებულია **z** ან **zz**. Plaze (30 გვ.), Siz (30 გვ.), sezen (106 გვ.), Grüze (120 გვ.), Vorsazze, Vorsaz (122 გვ.), Kräze (158 გვ.), Schuzze (194 გვ.), Schuz (318 გვ.), lezte (34 და ხშირად), jezt (ძალიან ხშირად), jezige (308 გვ.), nüzlich, entsezte (292 გვ.) და ბევრი სხვა.

5. **ei** დიფთონგის **ey**-ო გადმოცემა: მაგალითად: bey, zwey, freylich, Streifereyen, seyn, beyde და სხვა. (მაგრამ Waizen ნაცვლად Weizen-ისა).

6. **ff**-ს ერთი **f**-თი გადმოცემა: hofte (14 გვ.), bewafnete, uneröfnete (46 გვ.), vortreflich (56 გვ.), rafte (88 გვ.).

7. **mm**-ის ნაცვლად ხმარებულია **m**: samlet (298 გვ.), nimt (302 გვ.), Wörtersamlung (328 გვ.) და სხვა.

8. **nn**-ის მაგიერ ერთი **n**-ია ნახმარი: genant (38 გვ.) და ს. შ.

9. ორი **tt**-ს ნაცვლად ერთი **t**-ა. მაგ.: Schrite (8 გვ.) და სხვ.

---

[1] გამოტოვებულ ასოებს ჩვენ ხან კვადრატული ფრჩხილებით აღვადგენთ ხოლმე, ხან უფრჩხილებოდაა ჩასწორებული, უმეტესად კი გაუსწორებლად ვტოვებთ.

[2] გვერდების აღნიშვნისას ვკმაყოფილდებით ერთი გვერდის ნომრით, რადგან მსგავსი სიტყვები ძალიან ხშირად გვხვდება. ხან კი გვერდებს არც მივუთითებთ.

10. **l**-ს ცვლის **ll**-თი: Wallnussholz (14 გვ.) და სხვ.

11. **ä** შეცვლილია **e**-თი. მაგ.: vorerwehnte (= vorerwähnte, 16 გვ.), nemlich (34 გვ.), bedrengt(= bedrängt, 40 გვ.), bestendig (= beständig), abwerts (54 გვ.), Schrege (= schräge, 86 გვ.) და სხვა.

12. ხან კი **e** შეცვლილია **ä**-თი, მაგ.: häftig (= heftig).

13. **s** შეცვლილია „ß“-თი, მაგ.: Reiß (92, 240 გვ.), bereißte (82, 172 გვ.) და ა. შ.

14. ან კიდევ **f**-ს მაგივრად ხმარებულია **ff** – Offt (46 გვ.).

15. **ö**-ს ნაცვლად სწერია o – ostlich (30, 38 გვ.) და ა. შ.

16. **eu** შეცვლილია **ev**-თი: Rhevmatismen (10 გვ.).

17. სიტყვაში Festung **F**-ს ნაცვლად **V** იყო, რაც ყველგან შევასწორეთ.

18. ხშირად ხმარობენ სიტყვების ძველ ფორმებს: kömmt ან kömt (= kommt, 30 გვ.), Stünde (= Stunde 50 გვ.), etwa – etwan (= etwas), Brod ან Brodt (= Brot), eilften (= elften, 144 გვ.), sungen (= sangen, 150 გვ.), mögte (= möchte, 178 გვ.), Persohn (= Person, 180 გვ.) würkliche (= wirkliche), Küssen (= Kissen, 250 გვ.), ohngefähr (= ungefähr, 320 გვ.), Gebürge (= Gebirge), zwo (= zwei), jezo, izt (= jetzt) gieng (= ging).

ან კიდევ: denn (= dann, თითქმის ყველგან), wächset, gebauet, türksche, nuzat, genennet, verbrennet, verheeret, sein, gesinnet, sammlete, befreiet, erhellet, schikkete და სხვა.

ასევე „vor“-ის მაგიერ ნახმარია „fort“ (რაც ჩვენ მიერ ჩასწორებულია), მაგ.: fortrückte (= vorrückte, გვ. 220), kommen fort (= kommen vor, გვ. 120.).

19. არის ადგილები, სადაც გამოყენებულია ზეპირმეტყველების ფორმები, მაგ.: ein kläglich Geheul (= ein klägliches Gehenl. 150 გვ.), ein schön Pferd (= ein schönes Pferd, 152 გვ.), ein ganz Jahre (= ein ganzes Jahr, 152 გვ.), klar Wasser (= klares Wasser, 164 გვ.), türkisch Gebiet (= türkisches Gebiet, 238 გვ.), ein gut Theil (= ein guter Theil, 292 გვ.), in einzeln Familien (= in einzelnen Familien, 298 გვ.); Ihre georgischen Einwohnern (= ihre georgische Einwohner, გვ. 40), და სხვა.

20. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ფორმების პარალელურად ახალსაც ხშირად იყენებენ. მაგ.: jezıo, jetzo, izt და jetzt; gieng და ging; dies და dieses; zwo და zwei; etvw, etwan და etwas; o[h]nweit და unweit; ამასთანავე ხმარობენ ხან Zar-ს და ხან Zaar-ს. ხან Vetter-ს და ხან Veter-ს, რომ აღარაფერი ვთქვათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებზე (მათთვის ჩვენ ხელი არ გვიხლია).

21. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, დაშვებულია აგრეთვე გრამატიკული შეცდომები, არ იყო დაცული შესაფერი ბრუნვები, რომლებიც ხან კვადრატულ ფრჩხილებითაა ჩვენ მიერ აღდგენილი, ხან პირდაპირაა ჩასწორებული[1]. მაგ.:hohen = hohem; dicken = dickem; festen = festem; auf unsern

---

[1] ეს უმთავრესად ეხება ზედსართავებსა და არტიკლებს, იშვიათად აგრეთვე თანდებულებსაც

Wege = auf unserem Wege (გვ. 132); feinen = feinem; persischen = persischem; in = im; in einen = in einem; den = dem; die = den; der = dem; des = = de;r die Fenstern (= Fenster); aus gelblichen (= gelblichem): durch derselben (= dnrch denselben); და ა. შ.

22. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე სიტყვასთან, ერთსა და იმავე ბრუნვაში, ნახმარია ხან ერთი, ხან მეორე სქესის არტიკლი. მაგ.: der Kwirila – die Kwirila; des Rion – der Rion; die Werst – der Werst და სხვა.

23. იშვიათად გვხვდება სიტყვები არიული მართლწერით: Dißenterie (= Dysenterie, 210 გვ.), Dyonisius (= Dionysius, გვ. 122) და სხვა.

*

* *

რადგან ჩვენი გამოცემის გეგმა ემთხვევა პალასისეულს, ამდენად „Reisen“-ის მიხედვით განვიხილოთ, თუ რა ნაწილებს შეიცავს ის და რა ნიშნების მიხედვითაა დაყოფილი.

ძირითადი ცნობები საქართველოს შესახებ მოცემულია ნაშრომის პირველ ტომში, გვ. გვ. 217 – 418 (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 1 – 333), საერთო სათაურით „Reise und Bemerkungen in Georgien 1771“ (მოგზაურობა და ჩანაწერები საქართველოში 1771 წ.). იგი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან.

პირველი მათგანი, გვ. 217 – 325 (ჩვენს გამოცემაში გვ. გვ. 1 – 181), მოიცავს გიულდენშტედტის მოგზაურობას საქართველოში (კახეთი, თბილისის სამხრეთით მდებარე მხარეები, საერისთაოები, იმერეთი, რაჭა და ა. შ.). ეს არის მოგზაურობის დღიური, წარმოებული დღეების მიხედვით. აქ მოცემულია უმთავრესად გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო აღწერილობანი; თუმცა ცალკეულ შემთხვევებში გიულდენშტედტი მოგვითხრობს ზოგი ქალაქის ან ციხე-სიმაგრის ძალიან მოკლე ისტორიას, აგვიწერს ზოგიერთ საწარმოს, აბანოებს, მეურნეობის დარგებს და ა. შ.

მეორე ნაწილი არის „Zur poIitischen und geographischen Kenntaiss Georgiens“) [მასალები] საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული შესწავლისათვის) 325 – 418 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 182 – 333). ეს კი, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეთავებად. ეს ქვედანაყოფებია:

1. საქართველოს პროვინციები: 326 – 328 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის 182 – 186 გვ. გვ.).

2. საქართველოს ისტორიისათვის: 328 – 342 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის 186 – 209. გვ. გვ.).

3. პატარა გერმანულ-ქართული ლექსიკონი: 343 – 344 გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 210 – 213).

4. ზემო ქართლი (ჯავახეთი, სამცხე, სათარხნო, საციციანო): 345 – 350 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 214 – 224).

5. ქართლის სამეფო: 350 – 360 გვ. გვ. (ჩვენს გამოცემაში 224 – 237 გვ-ზე).

6. ქვემო ქართლი (თრიალეთი, საჯავახო, საბარათო): 360 გვ. (ჩვენთან 238 გვ-ზე).

7. სომხითი: 361 – 366 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 238 – 247).

8. კახეთი (აქვეა ცალკე ქვესათაურით გამოყოფილი ქიზიყი) 366 – 376 გვ. გვ. (ჩვენს გამოცემაში გვ. გვ. 248 – 261).

9. თუშის ანუ თუშეთის მხარე და ხალხი: 376 – 378 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის 262 – 265 გვ. გვ-ზე).

10. შუა ანუ შიდა ქართლი: 378 – 388 გვ. გვ. (ჩვენთან 266 – 279 გვ. გვ.).

11. ქართული პროვინცია იმერეთი და იმერეთის სამეფო (აქვე შედის რაჭა): 389 – 408 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 280 – 309).

12. პროვინცია გურია: 408 – 411 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 310 – 317).

13. მოკლედ სამეგრელოს შესახებ (აქვეა ოდიში): 411 – 416 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 388 – 327).

14. ქართული პროვინცია სვანეთი: 416 – 418 გვ. გვ. (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 328 – 331).

მეორე ნაწილში გიულდენშტედტი ცდილობს მოგვცეს საქართველოს პოლიტიკური ისტორია. ის შეიცავს ბევრ მასალას ქვეყნის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის შესახებაც და დამყარებულია როგორც ავტორის საკუთარ დაკვირვებებზე, ისე სხვათა ნათქვამზე და გაგონილზე.

ამას გარდა, ცნობებს საქართველოს შესახებ შეიცავს შემდეგი თავები[1]: მაგ.:

„კავკასიის ფლორისა და ფაუნის შესახებ“ 418 – 430 გვ. გვ.

„კავკასიის ფიზიკური ცოდნისათვის“: 433 – 456 გვ. გვ.

„კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური გეოგრაფიისათვის“: 458 – 502 გვ. გვ.

ყველგან აქ არ არის თანმიმდევრული ცნობები საქართველოზე, ისინი გვხვდება გაბნეულად, ამა თუ იმ კავკასიის ხალხთან კავშირში.

რაც შეეხება „Reisen“-ის მეორე ტომს, აქ მას დართული აქვს ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვების ლექსიკონი (496 – 504 გვ.).

ცნობები საქართველოს შესახებ შეიძლება ორ ძირითად ნაწილად გაიყოს. პირველი არის წმინდა მოგზაურობის აღწერა: თუ როდის რა სოფელი, მდინარე, დაბლობი, ხევი, მთა გაიარა; რა მანძილია მათ შორის, რა ხანს მოუნდა მათ გავლას და ა. შ. მეორე ნაწილს მიეკუთვნება მოგზაურის დაკვირვებების, გაგონილის და ნახულის შეჯამება მის მიერვე და მათ საფუძველზე ცდა ქვეყნის მდგომარეობის სურათის მოცემისა. მართალია, პირველი ნაწილი შედარებით მოსაწყენად აქვს დაწერილი, მაგრამ მასშიც ბევრი საგულისხმო ცნობაა მოტანილი.

*

* *

სანამ გიულდენშტედტის ტექსტს და მის თარგმანს მოვიყვანდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია, ამ ტექსტზევე დაყრდნობით, გადმოვცეთ საქართველოს, კერძოდ – ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის, გურია-სამეგრელოს სვანეთის

---

[1] ყველა ეს მასალა და კიდევ დამატებით სხვაც, რაც აქამდე გამოქვეყნებული არ იყო, მოთავსებული იქნება „გიულდენშტედტის მოგზაურობის“ ჩვენი გამოცემის II ტომში (იხ. წინასიტყვაობა).

ზოგადი სურათი, განვიხილოთ, რა სახის ცნობებს გვაწვდის გიულდენშტედტი და მოვახდინოთ მათი მოკლე ანალიზი[1].

პირველ რიგში ვნახოთ, თუ რა წყაროებს ემყარება გიულდენშტედტი, ვინ იყვნენ მისთვის ცნობების მიმწოდებელნი და რამდენად სანდოა მისი მონაცემები.

გიულდენშტედტის მიერ შეკრებილი ცნობები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენენ საკუთარი თვალით ნახული და შესწავლილ-გამოკვლეული ფაქტები. ამათ მიეკუთვნება მთელი მისი გეოგრაფიული აღწერილობა, ქვეყნის მინერალოგიური გამოკვლევა, ზოოლოგიურ-ბოტანიკური შესწავლა. აქ შედის ქალაქებისა და სოფლების გარეგანი სახის აღწერა, სოფლის მეურნეობის დარგების, ხელოსნობის, სარეწების, მოსახლეობის ყოფის დამახასიათებელი ნიშნების გადმოცემა და სხვათა აღწერა.

გარდა თვალით ნახულისა, მას უამრავ ცნობებს აწვდიდნენ სხვადასხვა პირები.

ქვეყნის მდგომარეობის, მისი მოხელეთა ინსტიტუტის, მმართველთა ურთიერთ ნათესაობა-კავშირის, ქიშპისა და საერთოდ, პოლიტიკური ვითარების შესახებ გიულდენშტედტი ცნობებს კრებს მეფეთა კარზე. „15 ნოემბერს მეფე (ერეკლე – გ. გ.)... მელაპარაკა თავისი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ...“ (გვ. 7). „2 – 3 აგვისტოს სამეფო ბანაკში (სოლომონის – გ. გ.) შევაგროვე ცნობები ამ ქვეყნის შესასწავლად“ (გვ. 127). „ცხრაწყაროში მეფესთან და მიტროპოლიტთან საუბარში გავიგე ზოგიერთი ცნობა სამეგრელოსა და აფხაზეთის შესახებ...“ (გვ. 171).

მეფეებს გარდა გიულდენშტედტი ეცნობა ბატონიშვილებს, თავადებს, სამეფო კარის მოხელეებს, რომლებიც ასევე დახმარებას უწევენ მას. ესენი არიან – ქსნის ერისთავი დავითი, პატრიარქი ანტონი, მიტროპოლიტი მაქსიმე და მისი ძმა, სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, თამაზ და დავით მესხები, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ წერეთელი, დავით კვინიხიძე, გურიის ეპისკოპოსი და სხვები, რომლებიც ხშირად დაჰყვებიან მას და ათვალიერებინებენ ამა თუ იმ მხარეს.

გიულდენშტედტს, რომელმაც ქართული არ იცოდა, ჰყავდა თარჯიმნები. ზოგი მათგანი ჩვენთვის ცნობილია. სხვადასხვა დროს ესენი იყვნენ: სოლომონ მეფის თარჯიმანი ნიკოლოზ წერეთელი, ერეკლეს სახლთუხუცესი – მდივანბეგი დავით ყაფლანიშვილი, თავადი ოტია (იხ. ქვემოთ, გვ. 85), ყიზლარელი კაზაკი – აზნაური ივანე ანტონოვი (მცოდნე თათრულ-ჩერქეზული ენებისა) (იხ. მე-5 წლის ხარჯთაღრიცხვის რვეული, 1772 წ. 1 ივლისი), ორი გრებენსკელი კაზაკი, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია საქართველოში ცხოვრობდნენ და იცოდნენ ქართული და ოსური ენები (იხ. მე-5 წლის ხარჯთაღრიცხვის რვეული, 30 ივლისი, 1772 წ.), კაზბეკის (თუ ყაზბეგის? – გ. გ.) წობიკაიას (იქნებ – ჩოფიკაშვილია? – გ. გ.) ვაჟი გაბრიელი, რომელიც 3 თვე იყო ექსპედიციასთან, როგორც ნასწავლი ქართველი თარჯიმანი (მე-5 წლის ხარჯთაღრიცხვის

---

[1] ამასთან მოვიშველიებთ გიულდენშტედტის იმ ცნობებსაც, რაც ჩვენი გამოცემის პირველ ტომში არ არის (იხ. წინასიტყვაობა).

რვეული 1772 წ. 24 ივნისი). ალბათ სხვებიც ჰყავდა გიულდენშტედტს თარჯიმნებად, მაგრამ მათი გვარები არ ჩანან.

რა თქმა უნდა, თარჯიმნების ცოდნა-განათლებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და გამორიცხული არ არის, რომ, თუკი გიულდენშტედტს რაიმე შეცდომა აქვს დაშვებული, ამაში ბრალი მათაც მიუძღოდეთ.

უნდა ვიფიქროთ, რომ გიულდენშტედტს ბევრ ცნობებს მიაწვდიდა ერეკლე-სოლომონის კარზე მყოფი რუსეთის საქმეთა რწმუნებული ლვოვიც. „რადგან რუსეთის საქმეთა რწმუნებული ლვოვი... მისდევდა მეფეს,... მე უმთავრესად ვიყავი მის სიახლოვეს“. (გვ. 15).

ამასთან, გიულდენშტედტი ყოველ შემხვედრ პირსაც იყენებდა ცნობების შესავსებად. ასე მაგ.: ბაზრობაზე ხონში მყოფ მეგრელებისგან მიიღო ცნობები დადიანის მხარეთა, ოდიშისა და ლეჩხუმის შესახებ (გვ. 155).

უბრალო ლეკებისაგან შეაგროვა ცნობები ჭარის, დიდოს, ყაბუჩის, ხუნძახის, ავარიის შესახებ. ასევე თათრისგან – ბორჩალოსა და ყაზახის მხარის ენასა და სოფლებზე (იხ. IV წლის ხარჯთაღრიცხვის რვეული, 1772 წ. 5 აპრილი). თუშისგან და ოსისგან მიიღო ცნობები მათი ენისა და სოფლების შესახებ (იხ. იქვე, 1772 წ. 28 მარტი და 15 აპრილი), ხოლო სვანეთის ერთერთმა „სტარშინამ“ – ქვეყნის ენასა და გეოგრაფიაზე. (იქვე, 1772 წ. 31 აგვისტო).

გიულდენშტედტი იყენებს ქართული მატიანეებისა და ძეგლების წარწერებში დაცულ ცნობებსაც. ამის ნიმუშს წარმოადგენენ მთელი ამონაწერის მოყვანა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომლის ერთ-ერთი ნუსხაც მას უჩვენეს (გვ. 187), ანანურის ეკლესიის (და სხვებისაც) წარწერები, რაც მან გადმოაწერინა (გვ. 270 – 271) და გელათის ეკლესიის შიგნითა კედლის წარწერა (145 გვ.).

გიულდენშტედტი შეკრებილ ცნობებს ავსებს აგრეთვე გადმოცემებით, ლეგენდებით და ისტორიული ფაქტებით (მაგ.: მეფე მირიანის, წმ. ნინოს და ჯაჭვის საყდრის შესახებ, შაჰ-აბასის შემოსევათა, მუხრანბატონების რეზიდენციის და სხვა მრავალთა შესახებ).

უნდა აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტს, როგორც მეცნიერს, შესწევს მშვენიერი უნარი შეაჯეროს თავისი თვალით ნახული და სხვისგან ნაამბობ-გაგონილი. ამასთან ის არ ივიწყებს საისტორიო თხზულებათა მონაცემებსაც: „რათა ცნობები საქართველოს შესახებ, რაც მოცემულია ჩემს საგზაო ჩანაწერებში, უფრო გასაგები (სრულყოფილი) გავხადო, საჭიროა ამ ხელნაწერის[1] თარგმნა... როცა მე საჭირო ადგილებს გამოვიყენებ,.. ამ ხელნაწერსაც და მის რუსულ თარგმანსაც გადავცემ საიმპ. მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკას“.

როგორც ჩანს, გიულდენშტედტს სანდო წყაროები ჰქონდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის დაზღვეული არ არის ცნობათა მცდარი გაგებისგანაც ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან საქართველო მისთვის შეიძლება ძალზე უცხო ქვეყნად ჩაითვალოს და ქართული სინამდვილე ყოველთვის ზუსტად ვერ გაიგოს.

---

[1] მან საქართველოში 30 მანეთად შეიძინა ქართულ ენაზე დაწერილი ქრონიკა, რომელიც შეიცავს ისტორიას მე-17 ს-ის'შუა წლებიდან მოყოლებული მე-18 ს-ის შუა წლებამდე (მოხსენება საიმპ. აკადემიისადმი, 1772 წ. 29 მარტი. Р. I, оп. 100, № 19, л. 26).

* *
*

გიულდენშტედტს საქართველოში მოგზაურობისთვის სპეციალური ინსტრუქცია ჰქონდა მიცემული საიმპერატორო აკადემიისაგან, რომ მოგზაურობის ნამდვილი მიზანი ყოველთვის დაემალა (ამას ის ხშირად ამბობს რაპორტებში). რაში მდგომარეობდა ეს მიზანი? მივმართოთ თვით გიულდენშტედტისვე სიტყვებს (იხ. XXVI მოხსენება): „უზენაესი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ საქართველოში სამოგზაუროდ ჩემთვის მოცემული ინსტრუქციის მიხედვით, მინერალებს თავდაპირველად მხოლოდ მალვით ვაქცევდი ყურადღებას და მცენარეებისა და ცხოველთა შესწავლას ყოველთვის ვაცხადებდი ჩემი მოგზაურობის მთავარ მიზნად“. მაგრამ ერეკლე II-ს, როგორც ჭკვიან პიროვნებას, არ გამოეპარებოდა მოგზაურის განზრახვა, გრაფ პანინისაგანაც (შდრ. А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, СПБ.1891, გვ. 89 – 90) რომ არ მიეღო 1770 წლის იანვრის თარიღით გამოგზავნილი წერილი – „ხოლო როცა მე ერეკლე მეფესთან მოვილაპარაკე, მან ნათლად გამაგებინა, რომ მას საქართველოში ჩემი ყოფნის მთავარ მიზნად საბადოების გამოკვლევა მიაჩნია „...მე აღარ გამკვირვებია ეს მას შემდეგ, რაც მათი იმპერატორობის უმაღლესობის საქმეთა რწმუნებულმა ბ-მა გვარდიის კაპიტანმა ლვოვმა გამაცნო წერილი... გრაფ პანინისგან ერეკლე მეფისადმი 1770 წლის იანვრის თარიღით, რომელშიც... გრაფი ერეკლე მეფეს წარუდგენს ჩემს თავს და აცნობს მას, რომ მე მათი იმპერატორობის უმაღლესობის ბრძანებით ვარ გამოგზავნილი საქართველოში, რათა... მეძებნა და დამემუშავებინა მინერალები. პირველისადმი მე აქამდე ყოველთვის მზადყოფნას ვამჟღავნებდი, მეორეს კი, აკადემიის ინსტრუქციის საფუძველზე, მუდამ თავს ვარიდებდი. (პირიქით) მე ყოველთვის ვარწმუნებდი მის მეფურ უმაღლესობას, რომ მე პირველ რიგში იმისთვის ვარ გამოგზავნილი, რათა ვნახო, თუ რომელი მინერალები და მეტალები მოიპოვება... და ღირს თუ არა მათი დამუშავება... არის თუ არა სამთო საქმისთვის საჭირო მასალა ახლოს და როგორია ადგილის მდებარეობა... მეზობელ უცხო ხალხთან ურთიერთობის გათვალისწინებით; და თუ მე ყოველივე ამის შემდეგ ამაზე მოხსენებას ვაგზავნიდი, შესაძლებელი იქნებოდა რუსი მაღაროელები მოსულიყვნენ საქართველოში, თუ ამას მისი მეფური უმაღლესობა მოისურვებდა და თუ მათი იმპერატორობის უმაღლესობა ამას სასურველად და მისაღებად მიიჩნევდა“ (იქვე, მოხს. XXVI).

როგორც ზემომოყვანილი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რუსეთის იმპერიის მიზანს ამ შემთხვევაში საქართველოს მინერალოგიური დაზვერვა შეადგენდა, რათა შემდგომ გაეთვალისწინებინა მისი ეკონომიური სარგებლიანობა თავისთვის და არა საქართველოს ინტერესებისთვის, რის გამოც ამ საბადოთა დამუშავებას სასტიკად უკრძალავდა და ყიზლარში უსაქმოდ მყოფ რუსულ მემაღაროელთა რაზმს არ გზავნიდა ერეკლეს სამეფოში (იხ. მოხს. XXVI).

როგორც ტექსტიდან ჩანს გიულდენშტედტი საქართველომ კარგად მიიღო. იქნებოდა ეს მეფე, თუ თავადი – ყველა მზრუნველობით ეკიდებოდა მას. ჯერ კიდევ საქართველოში პირველად შემოსვლისთანავე აღნიშნავს, რომ

დუშეთის მმართველმა იგი კარგად მიიღო[1]. განსაკუთრებით ეხმარებოდა მას ქსნის ერისთავი დავითი, რომელიც მან მეფის თხოვნით განკურნა, თუმც თვითონაც კარგად ესმოდა, რომ ერისთავი მას შეიძლებოდა მოჰქცეოდა როგორც კარგად, ისევე ავად. ერისთავი აძლევს მას მცველ რაზმებს სხვადასხვა ექსკურსიების მოწყობის დროს; ხშირად თვითაც დაჰყვება; ერისთავმა იგი ქორწილზეც კი მიიპატიჟა[2]. ასევე ყურადღებას იჩენენ მისდამი ბატონიშვილები; ეწვია მას პატრიარქი ანტონიც[3]. ორჯერ ინახულა აგრეთვე განჯის ხანმა, რომელმაც ის სუფრაზეც კი მიიწვია[4].

ჩამოსვლის პირველი დღიდანვე, მასზე დიდად ზრუნავდა და მას მფარველობდა თვით მეფე ერეკლე. გიულდენშტედტს ქალაქში მისცეს მშვენიერი ბინა, მისი ხალხი და ცხენები გააჩერეს ქალაქის ახლოს სოფლებში, სადაც უფასოდ ინახავდნენ[5]. მეფე ხშირად იწვევდა მას თავისთან სასაუბროდ. გიულდენშტედტი ბევრგან აღნიშნავს, რომ მეფე მას ელაპარაკებოდა თავაზიანად, ყოველთვის გამოთქვამდა მზადყოფნას – ყველაფერში დახმარებოდა. როგორც ცნობილია, ერეკლე დაინტერესებული იყო, ჰყოლოდა კარზე სპეციალისტი სამთო საქმისა და სხვათა, ამიტომაც ხშირად მოჰქონდა მასთან მინერალები, ეკითხებოდა მათი დამუშავების შესახებ და სხვა. თუკი მეფე წავიდოდა სადმე დიდი ხნით, მასაც თან წაიყვანდა, რათა გიულდენშტედტს უფრო თამამად ეთვალიერებინა და შეესწავლა გარემო.

ასევე გულისხმიერად მოეკიდა მის ჩამოსვლას სოლომონ მეფეც. „ის (სოლომონი – გ. გ.) მე... გულწრფელობითა და ნამდვილი სიხარულით გადამეხვია. საუბარში... უდიდეს მზადყოფნას ამჟღავნებდა ხელი შეეწყო ჩემი... გეგმების განხორციელებისთვის“ (იხ. დღიური, 19 ივლისი). სოლომონი თავადებსაც აახლებდა და იასაულებს ბრძანება ჰქონდათ მიცემული ეზრუნათ მასზე.

ერთი სიტყვით, გიულდენშტედტს ყოველი პირობა ჰქონდა შექმნილი, რათა განეხორციელებინა თავისი გეგმები – შეესწავლა დაკვირვებებით, კვლევა-ძიებით ეს მხარე.

*

* *

ქვეყნის დათვალიერება-შესწავლის შედეგად მან, როგორც დაკვირვებულმა მოგზაურმა, შეამჩნია საქართველოს მაშინდელი სისუსტე. ის სწორად აღნიშნავს, რომ ქვეყანა ისეა გაუდაბურებული და დაჩაგრული უცხო შემომსევთაგან, რომ იგი თავისი დანაწილებული მმართველობით[6] ეკუთვნის ნაკლებ გაშენებულ, სუსტ სახელმწიფოთა რიცხვს. იგი ამბობს, რომ საქართველოს არ ძალუძს დაიცვას თავი უცხო თავდასხმათაგან, ვერ ხედავს განავითაროს, როგორც საჭიროა, სამთო საქმე, ვერ უწყობს ხელს მრეწველობის, სკოლების,

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 267; იხ. ქვემით, გვ. 85.

[3] იქვე, გვ. 221; იხ. ქვემოთ. გვ. 7 და 15.

[4] იქვე, გვ. 226; იხ. ქვემოთ, გვ. 15.

[5] იქვე, გვ. 221; იხ. ქვემოთ, გვ. 7.

[6] დანაწილებულ მმართველობაში ის გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა სამეფოებს, ახალციხის საფაშოს და აგრეთვე სათავადოებს, როგორც ამას ქვევით დავინახავთ.

ხელოვნების საერთო განვითარებას. გიულდენშტედტი აქ უკვე სვამს საკითხს, რომ საქართველოსთვის საჭიროა ძლიერი მფარველი. და როგორც რუსეთის იმპერიის აკადემიის წევრი და რუსეთის ინტერესთა დამცველ-გამტარებელი, ამ უცხო მფარველად თვლის რუსეთს[1]. ამაში ხელს უწყობს აგრეთვე ერეკლე-სოლომონის ორიენტაციაც; ერეკლე ხომ მოკავშირედ რუსეთს მიიჩნევს და ჰყავს თავის კარზე რუსეთის საქმეთა რწმუნებულები[2]; ამავე დროს საქართველოში მოდის გენერალი სუხოტინიც[3]. არ არის გამორიცხული, რომ ერეკლე თავის აზრს რუსეთთან კავშირის შესახებ გაუზიარებდა გიულდენშტედტს ხანგრძლივი საუბრების დროს, მით უმეტეს მაშინ, როცა ეკითხება მას რუსეთ-პრუსიის ომის შესახებ[4] და სხვა. ამაზედ ცალკე შევჩერდებით.

გიულდენშტედტი სწორად გადმოგვცემს მოსახლეობის ნაციონალურ შედგენილობას და მათ განლაგებას პროვინციათა მიხედვით. მან იცის, რომ ქართველები საქართველოს გარდა ცხოვრობენ აგრეთვე სპარსეთში, რომ ისინი გაასახლა შაჰ-აბასმა, აგრეთვე ცხოვრობენ ოსეთში, ლეკეთში, ასევე რუსეთშიც. ქართველებთან ერთად საქართველოში ცხოვრობენ თათრები (უმთავრესად სომხითში და ზემო ქართლში), სომხები (სომხითში და სხვაგანაც საქართველოში), ებრაელები (ქართულ, სომხურ და თათრულ სოფლებში, ოსებთან კი არა), ოსები (მთიანეთში, ქსანზე, ლიახვზე), ქურთები. ეს ხალხები ერთად აღებული ცოტათი აღემატებიან ქართულ მოსახლეობას. გიულდენშტედტს არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ეს ხალხები უფლებებით ქართველებს უსწორდებიან, რომ ისინი არ განიცდიან ეროვნულ ჩაგვრას, არ არიან უფრო მეტად დაბეგრილი[5], რომ ისინიც ეკუთვნიან მეფეს, თავადებს, დედოფალს და სხვა.

გიულენშტედტი აღნიშნავს, რომ ქართველები ლაპარაკობენ სრულიად განსხვავებულ ე ნ ა ზ ე, რომ სამეგრელოსა და სვანეთში იხმარება ასევე განსხვავებული კილოები, მაგრამ მათში არ შეიძლება არ გამოიცნოს კაცმა, რომ ძირი არის ერთი – ქართული[6]. ამასთან, იქ მცხოვრები სხვადასხვა ხალხები ლაპარაკობენ თავიანთ ენაზე: სომხები – სომხურად (ხოლო ქართველებთან ქართულად), თათრები – სხვადასხვა თათრულ დიალექტებზე, ოსები – მთიელთა ენაზე, ხოლო ებრაელები კი – ყველანი ქართულად.

ეხება რა რ ე ლ ი გ ი ა ს, გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ გაბატონებული რელიგია საქართველოში არის ქრისტიანული-ბერძნული, ე. ი. მართლმადიდებლური, და რომ მმართველობა და სამღვდელოება ამჟღავნებენ სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანი და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ და არ სდევნიან მათ[7]. ყველას აქვს თავისი

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 350; იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 225.

[2] იქვე, გვ. 226 და გვ. 227; იხ. ქვემოთ, გვ. 15 და სხვა.

[3] იქვე. გვ. 272: იხ. ქვემოთ, გვ. 93.

[4] იქვე, გვ. 221; იხ. გვ. 7.

[5] იქვე გვ. 328; იხ. გვ. 187.

[6] იქვე, გვ. 342; ჩვენი გამოცემის გვ. 209.

[7] იქვე გვ. 345; ჩვენი გამოცემის გვ. 209.

ეკლესიები, მონასტრები, მეჩეთები. გიულდენშტედტი ჩამოთვლის სასულიერო წოდებებს და მოხელეებს, ასახელებს ეპისკოპოსთა საჯდომ ადგილებს[1]. სწორად აღნიშნავს ქართველთა მიერ ღვთისმსახურების წესების შესრულებას და დაყუდებულთა (მეუდაბნოეთა) ცხოვრებას.

*
* *

გიულდენშტედტი იძლევა მოსახლეობის ძირითად და სოციალურ ფენებად დაყოფას. იგი ამბობს, რომ ქვეყნის გაბატონებული ფენები არიან თავადები და აზნაურები (რომელთაგანაც უმთავრესად შედგება სამოხელეო აპარატი), ამასთან ჩამოთვლის თავადთა გვარებს; მთელი ხალხი კი, სარწმუნოების, ეროვნების მიუხედავად, წარმოადგენს ყმა-გლეხობას. ის სწორად მიუთითებს, რომ ქალაქის წოდება, ან ახლანდელი გაგებით ბურჟუაზია, არ არის. ამასთან გიულდენშტედტი ასახელებს ტყავის მწარმოებლებს, მღებავებს, მქსოველებს, მჭედლებს და ქალაქის სხვა ხელოსნებსა და ვაჭრებს – უმთავრესად სომხებს. ყველა ესენი იმყოფებიან მეფის (ერეკლეს) მორჩილებაში. გიულდენშტედტი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მოსახლეობის ამ სოციალური ფენების უფლებამოვალეობის შესახებ, სამოხელეო აპარატის შესახებ, ამიტომ ამ საკითხზე ცოტა მეტხანს უნდა შევჩერდეთ.

*
* *

XVIII საუკუნის საქართველოს დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ იგი დაყოფილია სათავადოებად, რომელთა სისტემასაც ემყარება მეფის პოლიტიკური ხელისუფლება. ამ მხრივ გიულდენშტედტი აწარმოებს მშვენიერ დაკვირვებას და იძლევა სწორ ცნობებს XVIII ს-ის სათავადოების ცხოვრების, მათი დამოკიდებულების შესახებ მეფესთან. ვნახოთ, როგორ წარმოგვიდგება ქართლ-კახეთის სამეფოს სურათი ამ ცნობათა მიხედვით.

„... ქართლს, კახეთს და სომხითს ერეკლე მეფის სახით ჰყავთ საერთო, დამოუკიდებელი მბრძანებელი ან სუვერენი;.. ქართლის მეფე... არის მცირედ შეზღუდული, ანდა სრულიად შეუზღუდველი ბატონი კანონებზე, თავისი ხელქვეითების სიცოცხლეზე, სიკვდილსა და ქონებაზე, მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, მას სჭირდება თავისი ძლიერი თავადების მეგობრობა, ურომლისოდაც მისი ტახტი ადვილად ირყევა, განსაკუთრებით, თუ ესენი (თავადები – გ. გ.) დაიჭერენ პორტის (თურქეთის – გ. გ.) მხარს. მაგრამ არა მარტო თავისი თავადები, არამედ მისი რიგითი ქვეშევრდომებიც კი თავიანთ მოქმედებაში არ გამოხატავენ იმ შიშს, რომელიც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მეფის ძალაუფლებით. მაგრამ მეფე ბოროტად არ იყენებს თავის ძალაუფლებას, თუ გამოვრიცხავთ მძიმე გადასახადებს და უამრავ ლაშქრობებს... ეს უკანასკნელი აჩვევს ხალხს თავისი მბრძანებლისადმი შედარებით თავისუფალ ურთიერთობას“[2].

„თავადები კანონითა და სამხედრო ლაშქრობის წესით თუმცა ემორჩი-

---

1 გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 340 (ჩვენი გამოცემის გვ. 207).

2 იქვე, გვ. 351; იხ. ქვემოთ, გვ 225.

ლებიან მეფეს, მის წინაშე (?) აწარმოებენ სასამართლო პროცესებს და ა. შ., მაგრამ გადასახადს მას არ უხდიან. ზოგიერთები ატარებენ „ერისთავის“ ტიტულსო,... და გარკვეულ მხარეებს მემკვიდრეობით ფლობენ (მაგ.: „ქსნის ერისთავი“, „არაგვის ერისთავი“)[1].

„თავადებსაც მოჰყავთ აგრეთვე, ან აგზავნიან დამხმარე რაზმების გარკვეულ რაოდენობას, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, მეთაურობენ მათი ვაჟები“[2].

„... ხან თავადები არ ემორჩილებიან არც ძველ კანონებს, არც უფრო ახალ დადგენილებებს“...[3]

ამ მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან ცნობებში მშვენივრადაა დახატული თავადისა და მეფის დამოკიდებულება, თავადთა წონა ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალური საქართველოს დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სათავადოების, როგორც გარკვეული პოლიტიკურ ტერიტორიული ერთეულების, შექმნა და ამასთან დაკავშირებით თავადის პოლიტიკური წონის ზრდა სახელმწიფოში. თავადის დამოკიდებულება მეფესთან თუ მეზობელ თავადთან ისაზღვრება „იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები... მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშში, პირველს“.[4]

იურიდიულად თავადი მეფის ყმა იყო და მეფისადმი ერთგული სამსახური მართებდა, მაგრამ თავადები თავის ბატონს როდი უყურებდნენ როგორც „ღმრთის სწორს“, მათ თვალში მეფე მხოლოდ პირველი იყო თანასწორთა შორის. თავადები მეფის ერთგულნი მხოლოდ იმდენად არიან, რამდენადაც ეს მეფე მათი ერთგულია. თავადები საკუთარი პოლიტიკით ზომავენ მეფის პოლიტიკას და, როცა მეფის პოლიტიკა აღარ შეესაბამება მათსას, მაშინ ისინი არღვევენ მეფისადმი მიცემულ „ერთგულების“ ფიცს და ემხრობიან მეფის საწინააღმდეგო ძალას[5]. აკი გიულდენშტედტიც აღნიშნავს, რომ თავადთა მეგობრობის გარეშე ტახტი ადვილად ირყევა, განსაკუთრებით, თუ თავადები დაიჭერენ თურქეთის მხარეს.

როგორც ვახტანგის სამართალში სწერია, თავადთა „ჟინიანობის“ შედეგად, საქართველოს მეფეები „ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცუალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ“[6]. როგორც ვიცით, მსხვილი ფეოდალები მუდმივ მეტოქეობას უწევდნენ მეფის ხელისუფლებას; მათზე ცენტრალური ხელისუფლება შეზღუ-

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 351 (ჩვენი გამოცემის გვ. 225).

[2] იქვე, გვ. 354 (იხ. ქვემოთ, გვ. 229).

[3] იქვე, გვ. 355 (იხ. ქვემოთ, გვ. 231).

[4] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. 1955, გვ. 283; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში; მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის I, 1937, გვ. 28 – 29.

[5] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

[6] იქვე, გვ. 283.

დელად ახორციელებდა თავის უფლებებს[1]. მეფე ფორმალურად შეუზღუდველი იყო მაგრამ ფაქტიურად სუსტი. ყურადსაღებია მეფის მიმართვის ფორმა: მსხვილ ფეოდალებს ის მოახსენებს, ხოლო დანარჩენებს უბრძანებს[2].

როგორც გიულდენშტედტის ცნობიდანაც ჩანს, ერეკლე II-ის დროსაც მეფის ხელისუფლება არ იყო მტკიცე. ფორიალურად შეუზღუდველი მეფის განკარგულებებს თავადები ფაქტიურად არ ასრულებდნენ. ეურჩებოდნენ მეფეს როგორც თავადები, ისე ბატონიშვილებიც; რომ ურთიერთობა არ გაეფუჭებინა მეფეს თავადებთან, ან რომ ისინი მისი ერთგული ყოფილიყვნენ, მეფე ცდილობდა ყოველნაირად ეამებინა მათთვის, აძლევდა მათ სახელოებს და სხვა. ამის საბუთს წარმოადგენს თვით გიულდენშტედტის ცნობაც იმის შესახებ, რომ მას მეფე ერეკლემ წერილობით სთხოვა, რათა დახმარება აღმოეჩინა ძლიერი ქსნის ერისთავისთვის[3], ხოლო შემდეგ ქსნის ერისთავის გულისთვისვე იგი რვა დღე დასტოვა თბილისში[4].

თავადური საქართველოს ერთ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მეფის ჰოლიტიკური ხელისუფლება სათავადო სისტემას ემყარება და ამავე დროს მეფე ამ სათავადოს ებრძვის. მეფის ბრძოლის შინაარსი აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს სათავადო სამოხელეოდ აქციოს, ხოლო თავადი მოხელედ[5].

ამასთან, როგორც გიულდენშტედტის ცნობაც ასაბუთებს, თავადი მონაწილეობას იღებდა ქვეყნის დაცვაში. „Сатавадо вместе с этим и военная единица; оно выводит на войну совершенно определённое количество воинов, непосредственным начальником над которым на поле брани является тот же тавадн“[6].

წინადადებაში, რომ „თავადები თუმცა მეფის მორჩილნი არიან კანონით და სამხედრო ლაშქრობის წესით, მაგრამ აწარმოებენ სასამართლო პროცესებს მის წინაშე, არ უხდიან მას გადასახადს“. ჩანს ის, რომ თავადი სათავადოში სრული ბატონ-პატრონია, მასში განუკითხავად მბრძანებლობს, რომ მას აქვს ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი. გიულდენშტედტი აქ ალბათ იმას გულისხმობს, რომ მთელი გადასახადები, რაც სათავადოში აიკრიფებოდა გლეხთა მეურნეობიდან, მთლიანად თავადის კუთვნილება იყო, მაგრამ ერთი კია, რომ თავადი იხდიდა სახელმწიფო გადასახადებს. „ხშირად ფეოდალი საგადასახადო იმუნიტეტითაც სარგებლობდა, ოღონდ სახელმწიფო გადასახადებს გლეხებისაგან მაინც მოითხოვდა“.[7]

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ. 1952, გვ. 156.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI – XVII საუკუნეებში თბ. 1958, გვ. 367.

[3] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246 (იხ. ქვემოთ, გვ. 47).

[4] იქვე, გვ. 267 (იხ. ქვემოთ, გვ. 85).

[5] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 459.

[6] Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII – XVI вв), თბ. 1938.

[7] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI – XVII საუკუნეებ'ში, თბ. 1958 წ., გვ. 368.

გიულდენშტედტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ გარკვეული დანაშაულის შემთხვევაში (შეიძლება უამისოდაც), ან თუ მეფეს მოუვიდოდა საჩივარი, მეფე ჩამოართმევს ამა თუ იმ მამულს თავადს და უბოძებს სხვას (მაგ.: თავად მაჩაბლისათვის ჩამორთმეული სოფელი გადასცა გიორგი ბატონიშვილს (იხ. ქვემოთ, გვ. 103). თავადისთვის კი მამულის დაკარგვა მეტად საძნელოა, რადგან ის არის მისი ძლიერების მთავარი წყარო.

თავადთა მდგომარეობისა და უფლება-მოვალეობის აღნიშვნის გარდა, გიულდენშტედტი შეძლებისდა გვარად გვაძლევს ქართლ-კახეთის თავადთა სიას და მათ სამფლობელოთა მდებარეობასა და რეზიდენციებს[1]. იგი აგრეთვე მოკლედ ეხება მუხრან-ბატონთა ოჯახის უკანასკნელ თაობას და მათ ნათესაობას მეფესთან და ქსნის ერისთავთან[2].

*

* *

გიულდენშტედტი, ქვეყნის გაბატონებული ფენების დასახელებისას, მეორე ადგილზე აყენებს აზნაურებს. მათ შესახებ ის ამბობს: „აზნაურები არა მარტო მეფეს, არამედ თავადთა სამფლობელოებში თავადებსაც ემორჩილებიან და დიდ არაფერს წარმოადგენენ, თუმცა ზოგიერთ მათგანს, თავისი სიმდიდრის გამო, დიდი წონა აქვს“[3].

აქაც პატარა, მაგრამ სწორი ცნობაა დაცული.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალურ საქართველოში აზნაურები, კუთვნილების მიხედვით, იყოფოდნენ სამ მთავარ ჯგუფად: სამეფო აზნაურებად, საეკლესიო და თავადთა აზნაურებად. აზნაური წვრილი მფლობელი იყო; მას „საკუთარი“ ყმა-მამული აქვს რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება საკუთრების ხასიათის მიხედვით: 1) სამკვიდრო 2) ბატონისაგან ნაწყალობევი და 3) ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი ყმა-მამული (ნასყიდი, ნასისხლი, ნამზითვი...)[4]; მაგრამ ეს მფლობელობა შეზღუდულია; „იგი პატრონის დაუკითხავად ყმა-მამულს ვერ გაყიდდა. მისი ყმები თავადს ბეგარას უხდიდნენ;... აზნაური საპატიო სამსახურს ეწეოდა თავადის კარზე: ის სათავადოში მოხელე იყო, ლაშქრობის დროს თან ახლდა პატრონს.. აზნაური თავადს არ უხდიდა ნატურით გადასახადს“[5]. აზნაურები ერისთავების სახლში იყვნენ ერისთავთა მოურავები, სახლთუხუცესები და სხვა[6]. ესაა დაახლოებით ის პრივილიგიები, რასაც გიულდენშტედტი უნდა გულისხმობდეს.

ამასთან, თავადს შეეძლო გაეყიდა როგორც აზნაური, ისე მისი ყმა-მამულიც, შეეძლო აზნაურის გამზითვება და, საერთოდ, ექცეოდა როგორც ყმებს, თუმცა აზნაურს პირადი თავისუფლება შენარჩუნებული ჰქონდა და

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 351 (იხ. ქვემოთ, გვ. 227) (აგრეთვე გვ. გვ. 263, 265, 273, 278, 379.

[2] იქვე, გვ. 251 (იხ. ქვემოთ, გვ. 57).

[3] იქვე, გვ. 351 (იხ. ქვემოთ, გვ. 227).

[3] იქვე გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV – XVIII ს. ს. საქართველოში. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 89 – 92.

[4] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 250.

[5] იქვე, გვ. 240.

შეეძლო სურვილისამებრ წასვლა. აგრეთვე, თუ გაყიდული აზნაური თავს დაიხსნიდა, მაშინ ის თავისუფლდებოდა პირვანდელი ბატონისაგან. სწორედ ეს თავდახსნილი აზნაურები, მეფის სამსახურში მყოფი და მეფის კარის მოხელე აზნაურები, ანდა ვახტანგის კანონების „გადიდებული აზნაური“ ჰყავს მხედველობაში გიულდენშტედტს, როცა ამბობს, რომ სიმდიდრის გამო ზოგს დიდი წონა აქვსო. ამ სიმდიდრეს კი ისინი აგროვებდნენ მეფის სამოხელეოში, ან კარზე ერთგული სამსახურით. ეს უმთავრესად არიან ეკონომიურად გაძლიერებული მეფის აზნაურები, რომლებიც ზოგჯერ თავადთა მიწების და გლეხების ყიდვასაც ახერხებენ და სოციალურადაც წინაურდებიან.

*

* *

ცალკე ჩერდება გიულდენშტედტი აგრეთვე გლეხობაზე – ყმა მოსახლეობაზე. მოვიყვანოთ ტექსტიდან ის ადგილები, სადაც გიულდენშტედტი გვიხატავს ყმა გლეხთა მდგომარეობასა და უფლებებს:

„მეფე ბოროტად არ იყენებს თავის ძალაუფლებას, თუ გამოვრიცხავთ მძიმე გადასახადებს და უამრავ ლაშქრობებს... ეს აჩვევს ხალხს თავისი მბრძანებლისადმი შედარებით თავისუფალ დამოკიდებულებას...“ „...რიგითი ქვეშევრდომებიც კი თავიანთ მოქმედებაში არ გამოხატავენ იმ შიშს, რომელიც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მეფის ძალაუფლებით“[1].

„... მთელი ხალხი, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, წარმოადგენს ყმა-გლეხობას... ხალხს ჩვეულებრივ ქონება არ აქვს, მან უნდა მისცეს და აკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ ბატონები. შეიძლება გლეხის დაგირავება (versetzen), გაყიდვა, გაჩუქება და მას შეიძლება მოექცე სურვილის მიხედვით, მაგრამ ეს მოპყრობა არ არის სასტიკი“. „... მეურნეობის... დარგებს ეწევიან... მხოლოდ იმდენად, რამდენიც საჭიროა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და გადასახადთა დასაფარავად“[2].

„... უმთავრეს შემოსავალს (გამოსაღებს – Hebung) შეადგენენ გადასახადები, რომელთაც იხდიან მეფის საკუთარ მიწაზე მსხდომი ხელქვეითნი, რომლებიც იხდიან... მთელი თავისი მეურნეობის... წლიური შემოსავლის ერთ მეხუთედს. ამ გადასახადთა გარდა, ყოველგვარი შეღავათების გარეშე (შეუწყალებლად), იხდიან ჩვეულებრივ გადასახადებს, რომლებიც, ერთად აღებული, ბევრად არ ჩამოუვარდებიან დიდ [გადასახადს], ხოლო გარკვეულ პირობებში კიდეც აღემატებიან მას. გადასახადებს საზღვრავენ და ჰკრეფენ მოურავები და მისი ხელქვეითი კაზბეკები... და გზირები“[3].

„... ყოველი ხელქვეითი მამაკაცი... არის ჯარისკაცი... და პირველ დაძახებისთანავე... უნდა გამოცხადდეს იქ, სადაც საჭიროა, ჩაცმული, შეიარაღებული და ცხენზე“... „მაგრამ... მეფე განსაზღვრავს იმათ რიცხვს, ვინც უნდა გამოცხადდეს, რათა სოფლები დაცულ იქნან... და რათა უზრუნველყოფილ იქნას გადასახადთა გადახდა“[4].

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 351 (ჩვენი გამოცემის, გვ. 225).

[2] იქვე, გვ. 353 (იხ. ქვემოთ, გვ. 229).

[3] იქვე, გვ. 356 (იხ. ქვემოთ, გვ. 233).

[4] იქვე, გვ. 354. (იხ. ქვემოთ, გვ. 229).

გლეხები კუთვნილების მიხედვით იყოფოდნენ – სამეფო. საეკლესიო და საბატონო გლეხებად.

გვიანფეოდალურ ხანაში გლეხი, როგორც ასეთი, ზოგადი ცნებაა. ამ ხანის საბუთები ყმა-გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებს ასახელებენ: „მსახურს“, „ნაწყალობევს“, „ნებიერს“ ანუ „ნებითმოსულს“, „ნასყიდს“, „თარხანს“, ანუ „აზატს“, „ბოგანოს“, „ხიზანს“, „მკვიდრს“ და სხვა. „ეს კატეგორიები მეტ-ნაკლებად ყველა სათავადოებშია. ისინი სხვადასხვა წარმოშობისანი არიან და ამიტომ ბატონყმურ ურთიერთობაშიც განსხვავებული ადგილი უკავიათ“[1]. ეს კატეგორიები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ კუთვნილების, ბატონთან დამოკიდებულების, უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ გიულდენშტედტი არ განიხილავს ცალ-ცალკე გლეხთა ამ კატეგორიებს, იგი ეხება საზოგადოების ამ ფენას საერთოდ და ყველას აქცევს ყმა-გლეხთა რიცხვში, რადგან სხვადასხვა კატეგორიის გლეხებს „საბოლოო ანგარიშში, აერთიანებდა საბატონო სამსახური, ბეგარა-გადასახადები“.

ფეოდალური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე, ყმაზე, რომლის მოკვლა ფეოდალს უკვე არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია. ფეოდალური საკუთრების გვერდზე არსებობს გლეხის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე, რაც მის პირად შრომაზეა დამყარებული.

„მიწა გაყოფილი იყო მსხვილ მიწათმფლობელებს, მემამულეებს შორის, – მემამულეები ამ მიწას აძლევდნენ გლეხებს მათი ექსპლოატაციისათვის, ასე რომ მიწა თითქოს ნატურალური ხელფასი იყო: იგი გლეხს აძლევდა აუცილებელ პროდუქტებს, რათა მას შესძლებოდა ზედმეტი პროდუქტების შექმნა მემამულისათვის; იგი წარმოადგენდა ფონდს, რათა გლეხებს ბეგარა ეკისრათ მემამულის სასარგებლოდ“[4]. იმ მიწას, რომელზეც გლეხი სახლობდა და ამუშავებდა, „საგლეხო მამული“ ან „საკომლო“ ეწოდებოდა; მასზე ერთი ან რამდენიმე საგლეხო მეურნეობა იყო მოწყობილი. გლეხის საბატონო სამსახურს განსაზღვრავდა ბატონთან მისი დამოკიდებულების შინაარსი: მიწა ბატონისა იყო და გლეხი პირად დამოკიდებულებაში იყო ბატონთან[5]. ლენინი წერდა: – „მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა“[6]. გლეხი ამუშავებდა ბატონის მიწას საკუთარი გამწევი ძალითა და იარაღით, თავისი შემოსავლის გარკვეული ნაწილი კი უნდა მიეცა მისთვის, ეძლია ძღვენი და სხვა.

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[2] იქვე, გვ. 216.

[3] იქვე გვ. 209.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზულებანი, ტ. I გვ. 214.

[5] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 208.

გლეხის სამუშაო დრო ორად იყოფოდა – აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ. პირველის დახარჯვით გლეხს შეეძლო თავისი და თავისი ოჯახის საარსებო საშუალებათა მოპოვება, ზედმეტ დროს ის ფეოდალის სასარგებლოდ ხარჯავდა[1], ე. ი. გიულდენშტედტის თქმით ეს იყო: „საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება“ და „გადასახადების დაფარვა“.

ამ დროს გადასახადთაგან ჩანს როგორც ნატურალური და ფულადი რენტა, ისე შრომითი რენტაც. სწორედ ამათ გულისხმობს გლეხის „შრომის რიგზე სამსახური“.

გიულენშტედტს თავის ცნობაში სწორად აქვს შენიშნული, რომ ხალხს ქონება არ აქვს, რომ შეიძლება მისი გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება და შეიძლება მოექცე სურვილის მიხედვით. მებატონეები ახორციელებდნენ თავიანთ უფლებას არა მარტო გლეხის პიროვნებაზე, არამედ მის საკუთრებაზეც. მემამულეები თავიანთ სრულ საკუთრებად მიიჩნევდნენ როგორც გლეხებს, ისე მათ უძრავ მოძრავ ქონებას. ბატონის ხელში იყო ყმათა ქონება, სიცოცხლე და ნამუსი. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ხომ „ყმისა ყველაფერი“ ბატონს ეკუთვნის. „რაც შეეხება ყმათა ყიდვას, გახეიბრებას, აკლებას... და სხვა, ეს მოვლენები დამახასიათებელი იყო ყველა ქვეყნის ფეოდალური წყობილებისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც“[2].

XVIII სში გახშირდა გლეხთა ოჯახების დაშლა და მათი ოჯახის წევრების ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდვაც. ამდენად გლეხები, გარდა გარეშე შემოსევებისა, ჩანაგდებოდნენ თვით მებატონეთაგანაც. რათა დაეცვა ფეოდალური წყობა და გადაერჩინა ის დაღუპვისაგან, ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა მიექცია ყურადღება გლეხთა საკითხისთვისაც. სამეფო ხელისუფლება აქტიურად ჩაერია ბატონისა და ყმის ურთიერთობაში და მოითხოვდა გლეხისა და ბატონისაგან „ბატონყმური რიგის“ ან „ბატონის სამსახურის“ დაცვას. ერეკლემ გლეხთა აყრაზე პასუხისმგებლობა თვით თავადებს დააკისრა. ერეკლემ აკრძალა აგრეთვე გლეხის ოჯახის დაშლა და მისი წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა; ასევე ტყვეობიდან თავისი უნარით დაბრუნებული გლეხი თავისუფლდებოდა ძველი მებატონის ყმობისაგან. ეს და კიდევ სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ფეოდალთა ინტერესების დასაცავად, ჩანს გიულდენშტედტის სიტყვებიდან, როცა ამბობს, რომ მეფე ბოროტად არ იყენებდა თავის უფლებებს და რიგითი ქვეშევრდომები თავიანთ მოქმედებაში არ ამჟღავნებდნენ შიშს მისდამი და ხალხი შედარებით თავისუფლად გრძნობს თავს მეფესთან დამოკიდებულებაშიო. ე. ი. გლეხობა ხედავდა თავისი უფლებების დამცველს და ქომაგს ერეკლეს სახით, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ .ერეკლე „გლეხთა მეფე“ იყო.

მოკლედ შევეხოთ ს ა გ ლ ე ხ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ს (გიულდენშტედტის ცნობის მიხედვით), რომლებიც შეადგენდნენ როგორც მეფის, ისე თავადების ძირითად შემოსავალს.

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

[2] იქვე, გვ. 234.

გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ძირითად შემოსავალს შეადგენდა გადასახადები, რომელთაც იხდიან მიწაზე მსხდომი ხელქვეითნი. ეს გადასახადი იყო მთელი მეურნეობის წლიური შემოსავლის ერთი მეხუთედი (ეს გადასახადები უმთავრესად იყო რენტა ნატურით და შრომითი რენტა) ამათ გარდა, ყოველგვარი შეღავათების გარეშე იხდიდნენ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ გადასახადებს, რომლებიც, ერთად აღებული, დ ი დ გადასახადს ბევრად არ ჩამოუვარდებიან. ამ გადასახადებს საზღვრავდნენ და ჰკრეფდნენ მოურავები და მათი ხელქვეითი მოხელეები (აქ ჩანს აგრეთვე გადასახადის ამკრეფ მოხელეთა თვითნებობაც).

როგორც ცნობილია, გადასახადები კუთვნილების მიხედვით შემდეგ, ჯგუფებად იყოფოდა: სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო, სამოხელეო და უცხოელ დამპყრობთათვის განკუთვნილი გადასახადები.

როგორც აღვნიშნეთ, საბატონო გადასახადს იხდიდნენ ნატურით თუ ფულით და მეორე მხრივ შრომით. ნატურით უხდიდნენ პურს, ქერს, ღვინოს (კულუხი), საკლავს, ერბოს, ქათამს, კვერცხს, სანთელს, თაფლს, მატყლს და სხვა. ფულადი გადასახადით: საკომლოს, მახტას, ყალანს, ძროხისას, ტომრისას, ტიკისას და სხვა. საერთოდ საბატონო გადასახადი და ვალდებულება შემდეგი იყო: ღალა, კულუხი, ულაყი, შესაწევარი, სამასპინძლო, ძღვენი და სხვ. ნატურალურ ვალდებულებებში შედიოდა აგრეთვე „ქალაქისა და ციხის მუშაობა“, გზების გაყვანა, ყარაულობა („ქეშიკი“), ულაყი, ჯერგა, კონის ჩადგმა, ლაშქარ-ნადირობაში მონაწილეობა და სხვა[1]. შრომითი გადასასახადი ანუ ბეგარა იყო: ზვარში ბარვა („ვენახის მუშაობა“), „ყანის მუშაობა“, სარის მოჭრა, შეშის ზიდვა, ქვევრების რეცხვა, და ა. შ.

გლეხის საბატონო მოვალეობას ზოგადად „გლეხის სამსახური“, „ყმობის რიგზე სამსახური“, „ბატონყმური სამსახური“ ეწოდებოდა[2].

გლეხის სახელმწიფო გადასახადს შეადგენდა: კოდის პური, მალი, საურე, ულუფა, ულაყი, სეფობა, საბალახე, ნახირისთავი, პირისთავი, საბაზიერო, საშევარდნო, სეფობა, ლაშქარ-ნადირობა, ქეშიკი, საჯინიბო, სასტუმრო და სხვა. აგრეთვე გზების, ხიდების, ციხე-სიმაგრეების შეკეთება და სხვა. ამ რიცხვს ეკუთვნოდა მოსახლეობის აღწერით გამოწვეული ხარჯებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია-მონასტრებს თავისი ყმები ჰყავდათ, საბატონო გლეხებიც იხდიდნენ საეკლესიო გადასახადებს (დრამას საკანონოს, სახუცოს და სხვ.).

გლეხი ვალდებული იყო ეხადა აგრეთვე სამოხელეო გადასახადი (სამოურავო, სანაცვლო, სამამასახლისო): სამასპინძლო, საქვრივო, შესამყრელო, გასამყრელო, თავის გასამტეხლო, საჩექმო და სხვ. მოურავის სასარგებლოდ გლეხი ხნავდა, ფარცხავდა, რწყავდა, მკიდა, ლეწდა, ბარავდა და ა. შ.

რაც შეეხება უცხო დამპყრობთა გადასახადს, ის ერეკლეს დროს მოისპო (აქ ჩვენ ვგულისხმობთ გიულდენშტედტის საქართველოში ყოფნის პერიოდს).

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თა. 1958, გვ. 198.

[2] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

გადასახადები საერთოდ კომლზე იყო გაწერილი, „თუმცა ზოგიერთი გადასახადი – ზოგჯერ სოფელზეც“[1].

ჩვენის აზრით გიულდენშტედტის მიერ დასახელებული „დიდი გადასახადი“ არის ე. წ. „თავი ბეგარა“, ანდა მუდმივი გადასახადები, ხოლო „ჩვეულებრივი“ გადასახადები, რომლებიც, ერთად აღებული, არ ჩამოუვარდებიან, თუ ხანდახან არ აღემატებიან კიდეც დიდ გადასახადს, არის „სხუაი ბეგარა“, ან კიდევ ერთდროული გადასახადები. გიულდენშტედტი სწორად აღნიშნავს, რომ გლეხთათვის საერთოდ ეს იყო „მძიმე გადასახადები“. ამ გადასახადთა გათვალისწინების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია გლეხთა მდგომარეობა.

როგორც გიულდენშტედტის ცნობიდანაც ჩანს, გლეხს, საბატონო სამუშაოსთან ერთად, ევალებოდა ლაშქრად გასვლა... მაგრამ ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ არ შეფერხებულიყო გადასახადთა გადახდა (სხვადასხვა გლეხური ოჯახები ჩამოთვლილთაგან გარკვეულ გადასახადებს იხდიდნენ, თორემ წარმოუდგენელია, რომ ყველა ეს გადასახადი თითოეულ კომლს ჰქონოდა შეწერილი).

*

* *

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი იყო ქართლ-კახეთის ეკონომიური ვითარება XVIII ს-ის მეორე ნახევარში, თუ რა ცნობები აქვს მოცემული გიულდენშტედტს ქართლ-კახეთის სამეფოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ.

ეხება რა ს ო ფ ლ ი ს მე უ რ ნე ო ბ ა ს, გიულდენშტედტი წერს: „ყველაზე გავრცელებული მეურნეობის დარგები ქართლში და მთელს საქართველოში არის – მევენახეობა, მებაღეობა, მემინდვრეობა, მებამბეობა, უმნიშვნელოდ მეცხოველეობა და ბევრ ადგილებში მეაბრეშუმეობა. მეურნეობის ამ დარგებს ეწევიან მცირე რაოდენობით, მხოლოდ იმდენად, რამდენიც საჭიროა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და გადასახადთა დასაფარავად“[2].

სოფლის მეურნეობის ამ ზოგადი დახასიათების მოცემასთან ერთად გიულდენშტედტი ბევრ ადგილას გვაწვდის სოფლის მეურნეობის დარგთა წარმოების სურათს.

გიულდენშტედტის ცნობებიდან ვგებულობთ თუ რომელ მხარეებში მეურნეობის რა დარგები იყო გავრცელებული უმთავრესად. მოვიყვანოთ ნიმუშები[3]:

„საგარეჯოსთანთ გაშენებულია ვენახები, დარგულია დიდი რაოდენობით ვაშლები, მსხლები, კაკალი, ალუბალი, კომში, ნუში, ზღმარტლი, .ქლიავი, გარგარი“[4].

„გზა გადიოდა ქიზიყის სოფლების – მაშნაარის, საქობოს, ანანურისა და ჯუგაანის პურის ყანებზე. ეს სოფლები... თავისი სახლებით, ვენახებითა და

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[2] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 353. (იხ. ქვემოთ, გვ. 229).

[3] ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს მხოლოდ ქართლ-კახეთიდან. იმერეთზე ცალკე იქნება ქვემოთ.

[4] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 19.

ხეხილის ბაღებითთ...“[1] „... [შილდაში] ხშირად გვხვდება ვენახები და თუთის ხეები. ბაღები ირწყვება ჩელთის წყლიდან გამოყვანილი რუებით...“[2]

„[გრემიდან – ლალისყურამდე] ყველგან ბაღებში იყო ყურძენი, ბროწეული, ლეღვი და ყველა სახის ნაყოფი...“[3]

„[ყულფთან] ადგილი... მაღალია..., მაგრამ მაინც არის თუთის ხეები, ხილის გარკვეული სახეები,.. ხშირად ყურძენიც, კაკლის ხეები..., კომში, ქლიავი, მსხალი, ვაშლი და ალუბალით“[4]

„[ახტალასთან] გვხვდება... კაკალი, ბროწეული, ატამი, გარგარი და სხვა ხეხილი, აგრეთვე ხშირია ვაზი“[5].

„მეურნეობის ყველაზე საპატიო დარგი კახეთში და ქართლში არის მევენახეობა, განსაკუთრებით, როცა მასთან ერთად ჩავთვლით მეხილეობასაც...“ „ვენახები და ხილის ბაღები საერთოდ ერთადაა და შემოღობილია დაწნული ღობით, ან ერთმანეთზე დალაგებული ეკლებით...“[6]

„ლეღვი, ბროწეული, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი და ბალი, კომში, ნუში, ატამი, გარგარი და კაკალი კახეთისა და ქართლის ბაღებში. უამრავია...“[7]

ხეხილისა და ვენახების გავრცელების არეთა გარდა გიულდენშტედტი დაწვრილებით აღწერს ვაზის მოვლას – მის დარგვას, ვაზის სხვლას[8], ყურძნის დაწურვას, შენახვას, არყის გამოხდას, მარანს, საწნახელს და ა. შ. (იხ. გვ. 253 – 255). ამასთან ის აქებს ატენურ, ახმეტურ ღვინოებს.

არანაკლებადაა ქართლ-კახეთში განვითარებული მარცვლეულის მოყვანა (ამასთან არ ავიწყდება აღნიშნოს საირიგაციო სისტემაც):

„გზა გადიოდა ქიზიყის სოფლების... პურის ყანებზე...“[9]

„[ქსოვრისიდან – მუხრანამდე] გზა მიდიოდა გაშლილ დაბლოგ ველზე, რომელიც გამოყენებულია სახნავად, ხოლო მორწყვა ხდებოდა ქსნიდან გამოყვანილი არხების მეშვეობით“[10].

„მუხრანის ყანებში უკვე თავთავი ჰქონდა ჭვავს. მარცვლეულის ამ სახეობას არც თუ იშვიათად თესავენ ხევში, ფშავში, თუშეთში და ასევე ოსეთში“[11].

„გორიდან და მეტეხიდან თბილისში ტივებმა მოიტანეს ხორბალი და ქერი[12].

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 25.

[2] იქვე გვ. 33.

[3] იქვე, გვ. 35.

[4] იქვე, გვ. 75.

[5] იქვე, გვ. 77.

[6] იქვე, გვ. 253.

[7] იქვე, გვ. 255.

[8] გიულდენშტედტის მიერ აღწერილ ვაზის მოვლისა და სხვლის წესს ეხება ივ. ჯავახიშვილი თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ (ტ. II, გვ. 336, 344, 346, 347, 365).

[9] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 25.

[10] იქვე, გვ. 53.

[11] იქვე, გვ. 57.

[12] იქვე, გვ. 63.

„[ალგეთიდან] 6 ვერსის მანძილზე რუებით ირწყვება მის ორივე ნაპირზე გადაჭიმული თათრების ბრინჯის ყანები“[1]...

„ქციის დაბლობი იყო... დაფარული... ქერით,.. ხორბლით,.. ბრინჯით“[2].

„[ყულფის მიდამოების) მარცვლეული იყო ხორბალი და ქერი... პურში აქ ბევრია აღმოსავლური ჭვავი“[3]...

„[სადახლესთან]... დებედიდან გაყვანილ არხებზე. აქ იყო მშვენიერი ყანები ხორბლისა ქერისა, ბრინჯისა და ბამბისა“...[4]

„კახეთში ადამიანის საკვებად ხშირად მოჰყავთ ხორბალი, ხოლო ფეტვი ცოტა, ცხენებისათვის კი უმეტესად ქერი და შვრია“[5].

ამასთან, „ბრინჯს კახეთში სულ არ სთესენ, ის ჭარელ ლეკებს შემოაქვთ...“[6]

გიულდენშტეღტს არ ავიწყდება აგრეთვე პურის ცხობის აღწერაც[7].

მოსახლეობას მარცვლეულის საფქვავად უამრავი პატარა თუ დიდი წისქვილები ჰქონდა მდინარეებზე აგებულთ „[ანაგისხევში] 43 პატარა წისქვილი ჰორიზონტალური ბორბლებით, რომელთაგან თითოეული 24 საათის განმავლობაში ფქვავს 200 – 250 გირვანქა ფქვილს“[8]. „მდ. ლაკაბელზე იდგნენ პატარა წისქვილები ჰორიზონტალური ბორბლებით (რუსულად „მუტოვკა“)“[9]. „მდ. დურუჯზე არის პატარა წისქვილები“[10].

„[ახალგორში] დავათვალიერე პატარა წისქვილები, უმეტესობა 24 საათში ფქვავს 20-დან 24 კოდამდე ხორბალს. აქედან მეწისქვილე იღებს მხოლოდ ორმოცდამეათედ ნაწილს. თბილისში და საერისთავოში იღებენ მეათედ ნაწილს. დოლაბებს... ღებულობენ სარკინეთის ქვასატეხიდან... რუსულ ფულზე წყვილი ღირს 40 მანეთამდე,.. მათი გამოყენება შეიძლება 20 წლამდე“.[11]

რაც შეეხება მეცხოველეობას, გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ის „მხოლოდ უმნიშვნელოა (ეს ნამდვილად ბარს ეხება და არა მთას); ამასთან ყველას ჰყავს საუკეთესო ცხენი,.. რამდენიმე ძროხა, ხარები გუთნისთვის და დუმიანი ცხვრები“...[12] ფრინველიდან კი „ჰყავთ ბევრი ბატები, ქათმები, იშვიათად ინდოურები“...[13] მესაქონლეობის განვითარებას მოწმობს ისიც, რომ „[მისხანაში] გაგვიმასპინძლდნენ რძით, ყველით, კარაქით, კვერცხებით...“[14],

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 67.
[2] იქვე, გვ. 69.
[3] იქვე, გვ. 75.
[4] იქვე, გვ. 79.
[5] იქვე, გვ. 255.
[6] იქვე, გვ. 255.
[7] იქვე, გვ. 253.
[8] იქვე, გვ. 27.
[9] იქვე, გვ. 21.
[10] იქვე, გვ. 31.
[11] იქვე, გვ. 51.
[12] იქვე გვ. 255.
[13] იქვე, გვ. 35.
[14] იქვე, გვ. 73.

და კარაქის დღეების აღწერა კახეთში[1], ანდა „[შილდაში] ჰყავთ ბევრი თხები და ცხვრები“[1].

ყოველივე ამასთან ერთად გიულდენშტედტი უყურადღებოდ არ ტოვებს ტექნიკურ კულტურებს – მეაბრეშუმეობას, ბამბის მოყვანას და მეფუტკრეობას. მაგ.:

„მეაბრეშუმეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია: ყოველი ოჯახი წლიურად იღებს 2 – 4 ფუთ აბრეშუმის პარკს, ხოლო გირვანქას ყიდიან 60 – 90 კაპიკად“[2].

„მეფუტკრეობა კახეთში საკმაოდ მნიშვნელოვანია“. აქვეა აღწერილი სკებიც[4].

„ქციის დაბლობი... უმეტეს წილად ბამბით [იყო დაფარული]“[5]. „[კახეთში] მოჰყავთ აგრეთვე ბევრი ბამბა“[6].

ასეთია ზოგად ხაზებში გიულდენშტედტის მიერ აღწერილი სოფლის მეურნეობის დარგები.

როგორც სამეფო ხელისუფლება, ისე მსხვილი თავადები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიზანს ემსახურებოდა ერეკლეს ღონისძიებები ახალი სოფლების შექმნისა გაუდაბურებულ ადგილებზე (რაზეც ასე ხშირად მიუთითებს გიულდენშტედტი). ყოველივე ამის შედეგად მატულობდა ხელოვნურად განოყიერებული მიწების ფართობი: „... უკვე ჩაყარეს ვაზი, ჩარგეს გარგარი, ატამი... და ხეხილის... სხვა სახეები“ (ვეფხისციხესთან)[7]. მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა ვენახებსა და ბაღებს. მემამულეები ცდილობდნენ მეტი ტექნიკური მცენარეები მოეყვანათ, განსაკუთრებით ბამბის და თუთის ხის გაშენებას მისდევდნენ. სოფლის მეურნეობის ნაწარმი გაჰქონდათ ბაზარზე. გიულდენშტედტი ასახელებს ბაზარზე გატანილ ზოგი ნაწარმის ფასს; მაგ.: „1 ბათმანი, პური რუსულ ფასზე – 8 კაპიკად; საქონლის ხორცი 25 კ.; ცხვრის ხორცი 30 კ.; ყველი 20 კ., მარილი 20 კ., ბრინჯი 20 კ., კარაქი 80 კაპიკად, 1 ციტრა... ღვინო – 20 კ.[8].

ყველა სათავადოში წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა. ამავე დროს ეს მეურნეობა მრავალფეროვანია: მისი ცალკეული დარგები განვითარებულია კონკრეტული ბუნებრივი პირობების შესაბამისად. მაგ., როგორც გიულდენშტედტიც მიუთითებს, ჰავის სიმშრალის გამო აღმოსავლეთ საქართველოში აუცილებელი იყო მიწის მორწყვა და ამიტომ რუებსა და არხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა (იხ. ზემოთმოყვანილი მაგალითები).

საყურადღებოა, რომ გიულდენშტედტი ზუსტად შენიშნავს ბატონყმური

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 253.

[2] იქვე, გვ. 33.

[3] იქვე, გვ. 35.

[4] იქვე, გვ. 255.

[5] იქვე გვ. 69.

[6] იქვე გვ. 255.

[7] იქვე გვ. 31.

[8] იქვე, გვ. 93.

მეურნეობისათვის დამახასიათებელ მომენტს – რომ მეურნეობის დარგებს ეწევიან იმდენად, რაც საჭიროა გადასახადთა გადახდისა და თავის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ის გარემოება, რომ მეურნეობის ამ დარგებს ეწევიან „უმნიშვნელო რაოდენობით“ (ე. ი. არაა ძლიერ განვითარებული), არის იმის შედეგი, რომ, ჯერ ერთი, ქვეყანა მოშლილია საგარეო შემოსევებით და რიგ საუკუნეების მანძილზე დამპყრობთა მიერ წარმოებული ეკონომიური ომით და, მეორეც, ბატონყმური მეურნეობის სისტემით, რომლის შედეგიცაა „ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბეცით დაბეჩავებული იყვნენ“[1].

*

* *

თუ ქართულ თავადურ მეურნეობაში წამყვანი მდგომარეობა სოფლის მეურნეობას უჭირავს, ხელოსნობას დამხმარე ხასიათი აქვს. ეს ხელოსნობა, ლენინის თქმით, „ხასიათდება ისეთივე რუტინით, დაქუცმაცებულობითა და შეზღუდულობით, როგორც წვრილი პატრიარქალური მიწათმოქმედება“[2]. სოფლების სახელოსნოებიც ძირითადად წარმოადგენენ შინამრეწველობის თავისებურ სახეობას. „შინამრეწველობას, – წერს ლენინი, – ჩვენ ვუწოდებთ ნედლი მასალის გადამუშავებას იმავე მეურნეობაში (გლეხის ოჯახში), სადაც ეს მასალა მოპოვებულია. შინასარეწები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას“[3].

რაც შეეხება ამ მხრივ ქალაქებს, ისინი XVIII-სის მეორე ნახევარში წვრილი სასაქონლო წარმოების, ხელოსნობის ცენტრები იყვნენ. აი რას წერს გიულდენშტედტი ხელოსნების შესახებ: „არიან სხვადასხვა [ხელოსნები]: მეტყავეები, მღებავები, მქსოველები, მჭედლები. ყოველგვარ საქალაქო ხელოსნობას ეწევიან მცირე რაოდენობით და ისიც მოხალისენი და არა ოსტატები“[4]. „... ასევე წვრილი ხელოსნობა სუსტია და არასაკმარისი“...[5] გიულდენშტედტი აღწერს ტყავის გამოყვანის (თრიმლვის) წესსაც.[6]

გიულდენშტედტი იძლევა ხელოსნური წარმოების ზოგად სურათს. რა თქმა უნდა, ზემოთჩამოთვლილით არ ამოიწურებოდა ხელოსნობის დარგები, რადგან, როგორც ცნობილია, თბილისში, როგორც ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრში, განვითარებული იყო ხელოსნობის თითქმის ყველა სახე (რაც იმ ხანებში იყო ცნობილი). საერთოდ, საქართველოს ქალაქებში გავრცელებული ხელოსნობის სხვადასხვა დარგი 60-მდე ითვლებოდა. ქალაქებში ხელოსნები რიგებად, უბნებად იყვნენ დაყოფილნი; თითოეული უბანი ერთ

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 209.

[2] იქვე, გვ. 385.

[3] იქვე, გვ. 382.

[4] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 93).

[5] იქვე, გვ. 353 (იხ. ქვემოთ, გვ. 229).

[6] იქვე, გვ. 225 (იხ. ქვემოთ გვ. 13).

რაიმე საქმიანობას ეწეოდა. ხელოსნებს ეკავათ უმთავრესად თბილისის ბაზრები და ასევე ქალაქის დუქნების უმეტესობა. ცალკეული ხელოსნური წარმოება თავის მხრივ წვრილ-წვრილ სპეციალობებად ნაწილდებოდა.

ხელოსანთა უდიდესი უმრავლესობა ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. მათი მფლობელები იყვნენ: მეფე, მეფის ოჯახის წევრები, ეკლესია, თავადაზნაურები. თავისუფალი მწარმოებლები ძალზე ცოტანი იყვნენ. ხელოსანთა ნაწილი მომხმარებელთა დაკვეთით მუშაობდა, ზოგიც დღიურ სამუშაოზე დადიოდა[1].

როგორც ყმა, ისე თავისუფალი ხელოსნებიც ბაზრისთვის მუშაობდნენ. სხვადასხვა ქალაქების ხელოსნები უმთავრესად ადგილობრივი ბაზრისათვის მუშაობდნენ, თუმცა თავისი ნაწარმის ნაწილი სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც გაჰქონდათ[2], გიულდენშტედტიც ხომ აღნიშნავს, მაგალითად, რომ ხონის ბაზრობაზე იყიდებოდა თბილისური საქონელი[3].

ამრიგად, ხელოსნები აწარმოებდნენ არა მხოლოდ თავისი და საკუთარი ბატონის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ საშინაო და საგარეო ბაზრისთვისაც.

ქალაქებში ხელოსნობა წარმოების ერთადერთი დარგი არ ყოფილა. XVIII ს-ის შუა წლებიდან ჩნდება შედარებით დიდი სარეწაოებიც. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი სამთამადნო წარმოება იყო. ერეკლე მეორე დიდ ყურადღებას აქცევდა სამთამადნო წარმოების განვითარებას. ამიტომაც იყო, რომ იგი გიულდენშტედტს ავალებდა შეესწავლა მადნები, გამოეკვლია ისინი, აღმოეჩინა ახალი საბადოები. „[ერეკლე] ხშირად მიხმობდა კარზე, მაჩვენებდა ხოლმე მინერალებს, ეცნობოდა მათი დამუშავების ხერხებს“ (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 7). გიულდენშტედტი კიდეც ასახელებს ვერცხლის საბადოთა დამუშავებას ახტალაში, ალავერდის სპილენძის საბადოებს, რკინის და სპილენძის საბადოებს ბოლნისთან, ყულფთან, სომხითის სხვადასხვა ადგილებში და სხვა. ერეკლე მზად იყო მთელი სოფლები დაესახლებინა იმ ადგილებში, სადაც რუსი მაღაროელები დაიწყებდნენ მუშაობას (თუ ეს უკანასკნელნი ჩამოვიდოდნენ) დაცინვების აშენებითაც კი აპირებდა მათს უზრუნველყოფას (იხ. მოხსენება XXVI).

XVIII სის 70-იანი წლებიდან საქართველოს ქალაქებში (განსაკუთრებით თბილისში) არსდება მსხვილი სარეწაოები, რომელნიც იმდროინდელ წერილობით წყაროებში „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდებიან[4]. მივმართოთ აქაც გიულდენშტედტის ცნობებს:

„აქ მეფეს აქვს მარილის-სახდელი ქარხანა და ზარაფხანა“[5].

„I დეკემბერს დავათვალიერე აქაური მარილსახდელი ქარხანა. 3 დეკემ-

---

[1] მ ე ს ხ ი ა, გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დ უ მ ბ ა ძ ე, ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ. 1958, გვ. 232.

[2] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии XVII – XVIII вв. Тб. 1959, გვ. 131.

[3] იხ. ქვემოთ, გვ. 153.

[4] თბილისის ისტორია, თბ. 1958 წ., გვ. 233.

[5] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 271 (იხ. ქვემოთ, გვ. 93).

ბერს მაჩვენეს ზარაფხანის მოწყობილობა. ასევე გამოდნობის პროცესი მეფის „ქარხნებში“[1].

„18 თებერვალს დავათვალიერე თოფისწამლის ფაბრიკა“[2]. (აქვეა აღწერილი თოფისწამლის დამზადებაც).

„დოლაბებს ახალგორში ღებულობენ სარკინეთის ქვასატეხიდან“[3].

„თბილისსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში არის მცირე რაოდენობა პატარა, ცუდი, ყოველმხრივ უმნიშვნელო ფაბრიკებისა... მეფეს აქვს რამდენიმე საბადო და რკინის, სპილენძის, ტყვიისა და ვერცხლის სადნობი ქარხნები; მაგრამ ეს წარმოება იმდენად სუსტია და დამუშავების წესი ისე არადამაკმაყოფილებელი, რომ ყველაფერი ეს მოხსენების ღირსიც არ არის, თუმცა შესაფერისი ღონისძიებების ჩატარებისას ამ დარგში შეიძლებოდა ბევრის გაკეთება და მიღება“[4].

„საბადოებსა და მეტალურგიულ ქარხნებსაც, როგორადაც ცუდები ისინი არ უნდა იყვნენ, მოაქვთ აგრეთვე გარკვეული შემოსავალი, რადგან მათზე არაფერი იხარჯება და სამუშაოს მეტი წილი სრულდება აუნაზღაურებლად“[5].

„მეფე აჭრევინებს სპილენძის და ვერცხლის სახელმწიფო ფულებს, რისთვისაც მას საკუთარი საბადოები უგზავნიან მეტალს“...[6]

ერეკლე მეორე, როგორც თავისი დროის პროგრესული მოღვაწე, კარგად ხედავდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ძლიერების წყარო ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება იყო. ამიტომ იგი ყოველნაირად მეცადინეობდა, რათა მოემრავლებინა ქვეყანაში „კაცნი მეცნიერნი და ხელოვანნი“. ამ მიზნით ის ცდილობდა მოეზიდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტი-ოსტატები და ხელი შეეწყო საქართველოს მრეწველობის გაფართოებისათვის. ამასთან ის აგზავნიდა ახალგაზრდებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლების მისაღებად.

გიულდენშტედტის მიერ დასახელებული სარეწაოები და, გარდა ამისა, სტამბა, მინის სარეწაო, სამღებროები, საპნის ქარხანა და სხვა, ძირითადად, ეკუთვნოდა მეფესა და მისი სახლის წევრებს, რომლებიც ამა თუ იმ კერძო პირებს (მსხვილ ვაჭარ-მოქალაქეებს, ოსტატებს) იჯარით აძლევდნენ სარეწაოებს.

ცალკეული სარეწაოები ეკუთვნოდა თავადაზნაურებს და მსხვილ ვაჭრებს. მაგალითად, თოფისწამლის ქარხანა ეკუთვნოდა ისაია თაყუაშვილს[7]. რადგან მოიჯარადრეებად იყვნენ არა ფეოდალები, არამედ უმეტესად მოქალაქეები და მსხვილი ვაჭრები, რომელთაც თავიანთი ყმები არ გააჩნდათ, ამიტომ მათ უხდებოდათ სათანადო სამუშაო ძალის დაქირავება (ოსტატებისა, ხელოსნებისა და შავი მუშებისა). ისინი ქირაობდნენ შესაფერის ოსტატებს.

---

[1] გ ი ო ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222 (ქვემოთ, გვ. 9).

[2] იქვე, გვ. 226 (ქვემოთ, გვ. 15).

[3] იქვე, გვ. 248 (ქვემოთ, გვ. 51).

[4] იქვე, გვ. 353 (ქვემოთ, გვ. 229).

[5] იქვე, გვ. 356; (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 233).

[6] იქვე; (იხ. ქვემოთ, გვ. 233).

[7] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии XVII – XVIII вв. Тб. 1959, გვ. 128.

როდესაც მოიჯარადრე ვაჭარია, ან ოსტატი, ის დაქირავებულ მუშას ფულს უხდის სარეწაოს შემოსავლიდან. მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავისუფალი შრომა ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო და სამუშაოს მეტ ნაწილს ყმები ასრულებდნენ გიულდენშტედტის გამოთქმა: „სამუშაოს მეტი წილი სრულდება აუნაზღაურებლად“ და „მათზე არაფერი იხარჯება“, ნიშნავს იმას, რომ ქარხნებში უმთავრესად მუშაობენ ყმები და არა დაქირავებული მუშები.

ამრიგად, XVIII ს-ის 70-იანი წლების მსხვილ სარეწაოთა უმეტესობა უბრალო სახელოსნოები კი არ იყო, არამედ მანუფაქტურული ტიპის საწარმოები[1]. შრომის მანუფაქტურული დანაწილება კი უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების გზაზე[2]. მაგრამ, როგორც გიულდენშტედტის ცნობებიდანაც შეიძლება დავინახოთ, მანუფაქტურული წარმოება ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული და ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ნაკლებ როლს თამაშობდა, ვიდრე წვრილი ხელოსნური წარმოება[3], თუმცა გიულდენშტედტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გარკვეულ ღონისძიებათა ჩატარებისას ბევრი რამის გაკეთება და მიღება შეიძლებოდა აქედან.

*

* *

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ხელოსნობის განვითარებამ და მსხვილი სარეწაოების გაჩენამ ხელი შეუწყო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. მართალია არასრული, მაგრამ მაინც საყურადღებო ცნობა მოეპოვება გიულდენშტედტს ვაჭრობის შესახებაც: „თბილისისა და ზოგიერთი სხვა ქალაქების დუქნებში შეიძლებოდა მეყიდა... მედიკამენტები“[4] „ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს უმთავრესად თავისი ვენახებით და ნარგავებით, განსაკუთრებით ბამბის კულტურით. ბევრნი არიან ვაჭრები ანუ, უფრო უკეთ, წვრილი მედახლეები (Krämer), რომლებთანაც შეიძლება შეიძინოს კაცმა გასავლიანი საქონელი, წვრილმანი საქონელი, სურსათი, სანელებელი და სხვა“... „... ხორბალი და ქერი მოდის გორიდან და სურამიდან ტივებით, რომლებიც შეკრულია ფიჭვის მორებისაგან... ეს ტივები შემდეგ იყიდება როგორც საშენი ხე-ტყის მასალა“[5] „... ვაჭრობა, რომელსაც უმთავრესად სომხები მისდევენ, უმნიშვნელოა შემოტანა-გატანის მხრივ“[6]. „ბაჟები თბილისში და ყველგან შეადგენენ 10 პროცენტს. მარილი შემოაქვთ ერევნიდან“[7]... (ამას უნდა დავურთოთ ბაზრობა ხონში, რომელსაც გიულდენშტედტი დაესწრო და აღწერს იმ საქონელს, რაც აქ ნახა, და მიმოქცევაში მყოფი სხვადასხვა ფულები).

ამ და კიდევ ბევრი სხვა ცნობების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა, როგორც ქვეყნის შიგნით – ცალკეულ

---

[1] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии XVII – XVIII вв. Тб. 1959, გვ. 129.

[2] თ ბ ი ლ ი ს ი ს ი ს ტ ო რ ი ა, თბ. 1958 წ., გვ. 234.

[3] Ш. М е с х и а, დასახ. ნაშრომი. გვ. 129.

[4] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218 (იხ. ქვემოთ გვ. 3).

[5] იქვე, გვ. 271 (იხ. ქვემოთ გვ. 93).

[6] იქვე, გვ. 353 (იხ. ქვემოთ. გვ. 229).

[7] იქვე, გვ.356 (იხ. ქვემოთ. გვ. 233).

კუთხეებსა და ქალაქებს შორის, – ისე მეზობელ ქვეყნებთანაც. ხელოსნები მუშაობდნენ ადგილობრივი ბაზრისთვის, აგრეთვე გაჰქონდათ სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც; ასევე საქართველოს გარეთაც[1]. ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ ქალაქები (განსაკუთრებით თბილისი). თბილისის მაშინდელ ბაზარზე ტრიალებდა ფარჩა, მაუდი, შალეული, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, ბეწვეული, ტყავეული, აგრეთვე წვრილმანები და სურსათ-სანოვაგე – შაბი, რკინა, ნალი, სპილენძი, თამბაქო, თევზი, ბრინჯი, თაფლი, ქონი, მარილი, ხორბალი, ფქვილი და სხვა. დიდი გასავალი ჰქონდა უცხოურს, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ საქონელს. ასევე ბევრი გაჰქონდათ საქართველოდანაც (აბრეშუმი, მატყლი, ტყავეულობა, ღვინო, ენდრო, ერბო, თაფლი და სხვა). ვაჭრობის მაჩვენებელია ცნობა შემოტანილ საქონელზე დადებული ბაჟების შესახებ, აგრეთვე საქართველოში მიმოქცევაში მყოფ ოსმალური და რუსული ფულის შესახებაც.

მიუხედავად გიულდენშტედტის არასრული ცნობისა, რომ ვაჭრობა უმთავრესად მეწვრილმანეთა ხელში იყო, არ შეიძლება გამოვრიცხოთ დიდვაჭრების არსებობა.

ქალაქის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (ყმა ხელოსნებთან ერთად) შეადგენდნენ ყმა ვაჭრები[2]. ისინიც, როგორც ხელოსნები, ეკუთვნოდნენ ნეფეს, მისი ოჯახის წევრებს, ეკლესიას, თავადებს; თბილისში აგრეთვე „მოქალაქეებს“, სხვა ქალაქებში კი შეძლებულ ვაჭრებსაც.

ვაჭრებს ეკავათ დუქნები, სადაც ისინი ყიდდნენ სხვადასხვა. საქონელს. 80-იანი წლებისთვის სავაჭრო დუქნების რიცხვმა თბილისში 500-ს მიაღწია[3]. ვაჭართა ეკონომიური მდგომარეობა ხელოსნებისაზე უკეთესი იყო გარდასახადი. მათზე გაწერილი იყო მათი შემოსავლის მიხედვით.

ვაჭარი, რომელსაც არ შეეძლო ჰქონოდა საკუთარი დუქანი, ქირაობდა დუქანს მსხვილი ვაჭრისაგან[4]. შედარებით დიდი კაპიტალის მქონე ვაჭართა რიცხვი თბილისში 189-ს შეადგენდა[5]. მსხვილი ვაჭრები იყვნენ მოიჯარადრენიც (მაგ.: ზარაფხანა იჯარით ჰქონდა აღებული მსხვილ ვაჭარს ხოჯა ბეხბუდას[6]). მსხვილ ვაჭრებს ეკუთვნოდათ აგრეთვე ცალკეული სარეწები (ისაია. თაყუაშვილს – თოფისწამლის ქარხანა[7]).

ამ მსხვილი ვაჭრების ხელში გროვდებოდა დიდძალი კაპიტალი. ასეთი ეკონომიური სიძლიერე კი საფუძველი იყო მათი დიდი უფლებრივი მდგომარეობისა. სავაჭრო კაპიტალი ხელს უწყობდა ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის შლას, საქონლის მიმოქცევის გაფართოებას, სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან დაკავშირებას და ამით ერთიანი ბაზრის შექმნას. ამასთან ის საქართველოს ეკონომიურად აახლოვებდა სხვა ქვეყნებთანაც. სავაჭრო კაპი-

---

[1] Ш. М е с х и а, დასახ. ნაშრომი. გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 147.

[3] იქვე, გვ. 136.

[4] იქვე, გვ. 190.

[5] იქვე, გვ. 138.

[6] იქვე, გვ. 128.

[7] იქვე გვ. 128.

ტალი იწვევდა გლეხების და ქალაქის მოსახლეობის დიფერენციაციას, მოსახლეობის ერთი ნაწილის გაჩანაგებას და მდიდარი მოვაჭრე ზედაფენის გამოყოფას[1], რაც საბოლოოდ ძირს უთხრიდა ფეოდალურ წყობას და ამზადებდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობას.

აღსანიშნავია გიულდენშტედტის სიტყვები, რომ „ქალაქის წოდება (Bürgerstand) სრულებით არ არის“[2]. თუ ამ სიტყვებში ის გულისხმობს ბურჟუაზიას (თანამედროვე გაგებით), „რომელ ბურჟუაზიაზე შეგვიძლია ჩვენ აქ ვისაუბროთ? ცხადია, არავითარი ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლო ტონი მიეცა პოლიტიკური ცხოვრებისათვის იმ დროს საქართველოში არ იყო[3], თუმცა არსებობდა „მოქალაქეთა“ წოდება, რომლის შიგნითაც უკვე დაწყებული იყო ფენებად დაყოფა[4].

აქვე მოვიყვანოთ გიულდენშტედტის ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოში გავრცელებული ფულებისა და ზომა-წონის ერთეულების შესახებ. იგი ამბობს, რომ მეფეს საკუთარი საბადოები აძლევენ მეტალს ფულის მოსაჭრელად და რომ ქართულ ფულთან ერთად მიმოქცევაში იმყოფებიან თურქული, სპარსული და რუსული ფულებიც[5]. ამასთან ის დასძენს, რომ ქართველებმა სპარსელებივით არ იციან, „თუ როგორ უნდა გადაადნონ კეთილშობილი მეტალები; ამიტომაც ისინი თხლად ჭრიან... ისინი სწონიან ყოველ ნაჭერს და იმდენს აჭრიან, სანამ არ დაიყვანენ საჭირო წონამდე“[6]. გიულდენშტედტი იძლევა ფულების წონას და მათზე არსებულ წარწერებსაც.

ქართლში შემდეგი ფულები ყოფილა ხმარებაში (გიულდენშტედტის მიხედვით): ფული (სპილენძის ხურდა-ფული), შაური, უზალთუნი, აბაზი, სამი აბაზი (ყველა ვერცხლისა). სპარსული ფულებიდან ჩამოთვლის – 2½ აბაზიანს, ½ აბაზიანს, აბაზიანს (ოთხკუთხას და მრგვალს, ყველა ვერცხლისაა). დასძენს, რომ თურქული „ფარა ქართლის სამეფოში ხმარებაში არ არის“, ხოლო „რუსულ იმპერიალს, ქართულად „თუმანი“, ხალისით იღებენ“. [არის აგრეთვე] დუკატები, ქართულად ოქრო“[7].

წონის ერთეულთაგან ჩამოთვლილია კოდი (= 10 ლიტრას), ლიტრა (= 4 ჩარექს = 8¾ ფუნტს), ბათმანი (= 1 ლიტრას, ჩარექი (= 5 სტილს). სტილი (= 36 მისხალს = 5¼ უნციას), მისხალი (= 70 გრანს), პინა (= 2 ლიტრას)[8].

---

[1] Ш. М е с х и а, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[2] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დახას. ნაშრომი, გვ. 353 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 229).

[3] დ. გ ვ რ იტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოც. ურთ. ისტ., გვ. 36.

[4] იხ. Ш. М е с х и а, დასახ. ნაშრომი, გვ. 169 – 192.

[5] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 356 (ქვემოთ, გვ. 233.).

[6] იქვე, გვ. 359 (იხ. ქვემოთ. გვ. 237).

[7] იქვე, გვ. 357 – 359 (იხ. ქვემოთ, გვ. 233 – 237). შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ. 1925, (გვ. 16 „დუკატი“; გვ. 25, 39 „აბაზი“; გვ. 26, 39 „შაური“; გვ. 27 – 28, 34 „ფული“, გვ. 57 „იმპერიალები“ და სხვა).

[8] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 359 (იხ. ქვემოთ, გვ. 237). შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. (გვ. 71 „ლიტრა“; გვ. 79, 108 „კოდი“; გვ. 80, 101 „პინა“; გვ. 81, 110 „ბათმანი“; გვ. 82, 83, 110 „ჩარექი“; გვ. 84, 113 „სტილი“).

ზომის ერთეულთაგან – ადლი (= ფუტს და 4 დუიმს ინგლისურით)[1].

სითხის საზომებიდან – თუნგი (= 1 ლიტრას)[2] (რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურებოდა იმ დროს გავრცელებული ზომა-წონის და სხვა საზომები).

*

* *

გიულდენშტედტს უყურადღებოდ არ დარჩენია ქვეყნის კანონმდებლობა, აქ წარმოებული სამართალი. აქაც იძლევა ის მცირე ცნობებს:

„თითოეულს ოთხ სამეფოთაგანს წინანდელი საერთო და ცალკეული მმართველებისაგან აქვს კანონები, რომლებიც ბევრი დაგროვდნენ. ისინი ნაწილობრივ თავისებურნი, ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან; ხან მმართველი არის დესპოტი და მისი სურვილი კანონია, ხან თავადები არ ემორჩილებიან არც ძველ კანონებს, არც უფრო ახალ დადგენილებებს; ასე რომ ოთხივე სამეფოში კანონდებულება (Rechtsgelehrsamkeit) და სამართლის წარმოება არ შეიძლება იყოს უფრო არასრულყოფილი, უფრო უსამართლო და მიკერძოებითი, ან გულგრილი და ნაწილობრივ აგრეთვე უფრო მკაცრი, ვიდრე მთელს (მთლიან) საქართველოში.

იქაური მემკვიდრეობითი კანონის მიხედვით, ყველაფერი რჩებათ ვაჟიშვილებს, ხოლო როცა ისინი არ არსებობენ, – მემკვიდრეობა გადადის მამრობითი სქესის ნათესავებზე, და თუ არც ესენი არიან, – მაშინ მემკვიდრეობის უფლებას იღებს მეფე, ან მემამულე, ხოლო ქვრივებსა და ქალიშვილებს არაფერი არ ერგებათ.

განაჩენი გამოაქვთ, უმეტეს შემთხვევაში, მაშინვე და ხშირად ყოველგვარი გამოძიების გარეშე. ასევე სწრაფად ხდება განაჩენის სისრულეში მოყვანა, ისე რომ მსჯავრდადებულებს ხშირად არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ“[3].

„ბევრი დანაშაულება ისჯება ქონების კონფისკაციით...“[4]

„[მაჩხაანიდან] უკან გამოგვყვა გუნდი მთხოვნელებისა, ზოგი ფეხით მოდიოდა, ზოგი ცხენზე. ისინი დაჩოქილები ეხვეწებოდნენ მეფეს სამართალი ექნა, უმეტესად სამიჯნავე დავის გამო და ხანდახან უჩვენებდნენ სადავო ადგილებს“...[5] აღარაა საჭირო მოვიყვანოთ მაგალითები მეფის, თავადებისა და გლეხთა უფლება-მოვალეობის შესახებ, რაც ზემოთ განვიხილეთ.

რას ნიშნავს „კანონები ბევრი დაგროვდნენ წინანდელი საერთო და ცალკეული მმართველებისაგან“?. აქ ან ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ყველა მმართველი ადგენდა თავის მბრძანებლობისას დროის და პირობების შესაფერ კანონებს, იქნებოდა ეს სრულიად საქართველოს მეფე, თუ სხვადასხვა სამთავრო-სამეფოთა მბრძანებელი, და ეს ძველი კანონები ახლაც არსებობენ და შესაბამისად გარემოებისა მოქმედებენ; ანდა გულისხმობს იმას, რომ ერთიანი კანონთა კრებული არ იყო. მაგრამ, ნუთუ გიულდენშტედტს არ

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი დასახ. ნაშრომი, გვ. 359 (იხ. ქვემოთ, გვ. 237). შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ, ნაშრ., გვ. 134 – 135 („ადლი“).

[2] იქვე, გვ. 359 (იხ. ქვემოთ გვ. 237). შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ გვ. 89, 121 („თუნგი“).

[3] იქვე, გვ. 355 – 356 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 231 – 233).

[4] იქვე, გვ. 356 (იხ. ქვემოთ გვ. 233).

[5] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 25.

უნახავს, ან არ უთხრეს „დასტურლამალი“-ს, ან ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შესახებ. განა ის ამ დროს ერთ მთლიან კრებულად არ იყო შედგენილი და მოქმედებაში არ იმყოფებოდა? თუ დროთა სიავის გამო დაკარგული იყო და ჯერ არ შეეკრიბათ მისი ცალკე ნაწილები და ამდენად ემყარებოდნენ ძველ სხვადასხვა კანონებს?! ჩვენის აზრით, ამას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. აქ ცოტად თუ ბევრად ნაგულისხმევი უნდა იყოს ვახტანგის სამართლის წიგნი.

გამოთქმა, რომ კანონები არიან ერთმანეთის საწინააღმდეგო, აქვეა განმარტებული, რომ ხან მმართველია დესპოტი და მისი სურვილი კანონია, ხოლო თავადთა თავაშვებულობისა და ქვეყნის სისუსტის პერიოდში კი მეფე იძულებულია გაუწიოს ანგარიში თავადებს, რომლებიც მათ შემზღუდველ ძველ კანონებს აღარ ემორჩილებიან და აგრეთვე მათთვის მიუღებელ ზოგ ახალ დადგენილებებსაც ეურჩებიან.

მიკერძოებითი, უსამართლო, გულგრილი და მკაცრი იმდენად არიან კანონები, რამდენადაც ისინი იცავენ გაბატონებული კლასის ინტერესებს (რა თქმა უნდა, გიულდენშტედტი სულაც არ ილაშქრებს ამის წინააღმდეგ), რამდენადაც თავადი სარგებლობდა სასამართლო იმუნიტეტითაც და მომჩივანთა (ქვეშევრდომთა, ხელქვეითთა) გასამართლება წარმოებდა თავადთა ნების მიხედვით; ხოლო თუ მომჩივანი გაიტანდა საჩივარს მეფის სასამართლოში, აქაც, ცხადია, შედეგი უმეტესად თავადის დასჯა არ იქნებოდა.

ყოველივე აქედან კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს თავადთა თვითნებობა, მეფის დამოკიდებულება თავადთა „ჟინიანობაზე“.

ამასთან, გიულდენშტედტი ეხება მხოლოდ მემკვიდრეობით კანონს[1], ბოროტმოქმედთა დასჯის ერთ საშუალებას (ქონების კონფისკაციას) და განაჩენის გამოტანას.

აქ უნდა აღინიშნოს გიულდენშტედტის სწორი შემჩნევა, რომ განაჩენი ხშირად უმალ გამოჰქონდათ. ცნობილია, რომ ერეკლე მეორე ხშირად განცხადების შეტანის დღეს იხილავდა საქმეს და ადებდა რეზოლუციას[2]. რას ნიშნავს გიულდენშტედტის სიტყვები – „ხანდახან უჩვენებდნენ სადაო ადგილებს“? ე. ი. მეფე იქვე არჩევდა სადაო საქმეს, თორემ რად გაჰყვებოდა სადაო ადგილის სანახავად. ყოველ შემთხვევაში, ერეკლე მაშინვე იღებდა ცხოველ მონაწილეობას დავაში, რათა თვით დარწმუნებულიყო მომჩივანთა ჩვენებაში და ამის მიხედვით, თუ მაშინვე არა, მალე გამოეტანა განაჩენი.

*

* *

ცნობილია, რომ მეფე თავის ხელისუფლებას ახორციელებდა უშუალოდ თვითონ, ან თავისი სამოხელეო აპარატის საშუალებით. ეს პირები, რომლებიც

---

[1] შდრ. ი. დ ო ლ ი ძ ე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ, 57 – 60 („გარდაცვლილთა კაცთათვის“).

[2] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. I, თბ. 1952, გვ. 137.

მეფის სახელით ასრულებდნენ მმართველობის სხვადასხვა ფუნქციას, იყვნენ მოხელეები. გიულდენშტედტს უყურადღებოდ არც მოხელეები დარჩენია, იგი ჩამოგვითვლის მეფის მოხელეებს და მოკლედ აღნიშნავს მათ მოვალეობასაც.

მოხელეთა ინსტიტუტის საკითხი დიდი თემაა და რადგან ამჟამად ის ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, ამიტომ დავკმაყოფილდებით გიულდენშტედტის მიერ მოყვანილი მოხელეთა სიით და მისი ზოგადი შესწორება-განმარტებით[1]. აი გიულდენშტედტის მიერ ჩამოთვლილ მოხელეთა სია:

ქ ა რ თ ლ ი ს ს ა ხ ლ თ უ ხუ ც ე ს ი – ქართლის პროვინციის გენერალი.

კ ა ხ ე თ ი ს ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი – კახეთის პროვინციის გენერალი. თითო ამათგანი გლეხთა, და საერთოდ ხელქვეითების, გადასახადთაგან იღებს მეათედ ნაწილს.

ნ ა ზ ი რ ი – ბეჭდის შემნახველი. ესენი არიან ორნი. თითო მათგანი იღებს შემოსავლის მეოცედს.

ე შ ი კ ა ღ ა ბ ა შ ი (Eskagobasch) – კამერჰერი, მეფესა და დედოფალს ერთი ჰყავს. (ე. ი. მეფესაც და დედოფალსაც ჰყავთ თითო ეშიკაღაბაში – გ. გ.).

მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი – უმაღლესი მოსამართლე, ქართლის სამეფოში ოთხი მდივანბეგი არის.

ექვსი მ დ ი ვ ა ნ ი.

ე რ ი ს თ ა ვ ი – ეს არის ხალხის მეთაური, აგრეთვე დამოუკიდებელი. ის არის გუბერნატორი რომელიმე მნიშვნელოვანი, ან რამდენიმე მცირე მხარისა; ასე მაგ.: ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი, ყველა [მხარეებს] არ ჰყავთ ერისთავები, უმეტესობას მხოლოდ მოურავი [ჰყავს].

მ ოუ რ ა ვ ი – გუბერნატორი, ანდა მოხელე მხარისა. მისი მთავარი საზრუნავია გადასახადთა აკრეფა; მაგ.: გადასახადთა გამგე ქიზიყში, არაგვის მოურავი და ა. შ. მოურავი იღებს მის მიერ აკრეფილ მუდმივ გადასახადთა ერთ მეათედს.

გ ზ ი რ ი – ეკზეკუტორი, რომელიც მოურავს გადასახადებს უკრეფს.

კ ა ზ ბ ე კ ი (ყაზბეგი – გ. გ.) – სოფლის მოსამართლე, ანდა დიდი ან პატარა სოფლის ან ადგილის მეთაური.

მ ე ი თ ა რ ი – მეფის კამერდინერი (სასახლის მსახური – გ. გ.).

ყ ა ფ ი ჩ ბ ა შ ი – დედოფლის მსახურთა ზედამხედველი.

ყ ო რ ი ა ს ა უ ლ ბ ა შ ი – კამერჰერთა (ეშიკაბაღაშთა) ზედამხედველი და მბრძანებელი.

ფ ა რ ე შ ე ბ ი – ხალიჩებისა და სუფრის მოწყობილობის ზედამხედველი.

მ ზ ა რ ე უ ლ ი – სამზარეულოს უფროსი.

ყ უ ლ უ ხ ჩ ი – მეღვინეთუხუცესი ((der Mundschenk).

მ ე შ ა რ ბ ა თ ე – ჩაისა და ყავის მიმწოდებელი.

ყ ა ლ ი ო ნ ყ ო რ ჩ ი – თამბაქოს მცველი (შემნახველი).

ბ ა შ მ ა ყ ო რ ჩ ი – ფეხსაცმლის შემნახველი (დამცველი).

---

[1] ცხადია, მოხელეთა სია ქვემოთ ჩამოთვლილით არ ამოიწურება.

[ა]მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი – საჯინიბოს უფროსი.

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – (Stall und Reitknechte).

მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი – განძის, სალაროს უფროსი.

ბ ა ზ ი ე რ ი – მონადირეთა უფროსი.

მ ე რ ი ქ ი ფ ე – მაგიდის უფროსი (Tafelmarschall – მეტაბლე, – გ. გ.)[1].

ამათ გარდა მოხსენებული არიან მეფეებისა და თავადთა ი ა ს ა უ ლ ე ბ ი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ეზრუნათ გიულდენშტედტის ექსპედიციაზე, რომ მას თავის დროზე ყველაფერი რიგზე და დროულად ჰქონოდა.

ამრიგად, მმართველობის სათავეში იდგა მეფე, რომელსაც ჰყავდა მრავალი მოხელე სხვადასხვა ფუნქციით. თითოეული მათგანისათვის არსებობდა განაწესი, რომელიც განსაზღვრავდა მოხელის უფლება-მოვალეობას. ვახტანგის კანონების მიხედვით, მოხელე შეიძლებოდა ყოფილიყო კარისა და საქვეყნოდ გამრიგე (ვახტანგის სამართლის წიგნი, გვ. 39). საქვეყნოდ გამრიგე – მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში მუშაობს; კარის მოხელე – თავის მოვალეობას ასრულებდა ცენტრში, მეფის კარზე, ე. ი. მმართველობის ცენტრალურ აპარატში[2].

სახელო მემკვიდრეობით გადადიოდა და საკუთრების ერთგვარ ობიექტს წარმოადგენდა. აკი გიულდენშტედტიც ამბობს – „არის თავადთა [შემდეგი] მ უ დ მ ი ვ ი თანამდებობანი“-ო[3]. მოხელე თავის სახელოს უყურებდა როგორც შემოსავლის წყაროს. ამიტომ ფეოდალი ცდილობდა ხელში ეგდო რამდენიმე სახელო.

მოხელე ღებულობდა სარგოს, ჯამაგირსა და ულუფას[4]. მთავარი შემოსავალი მოხელისათვის მისი სარგო იყო: ეს შემოსავალი პირდაპირ კავშირში იყო იმ საქმიანობასთან, რომელსაც ის ეწეოდა. „ქართლ-კახეთის სამეფოში მოხელეთა გასტუმრების შემდეგი წესი იყო: დარბაზის რიგის მაღალი რანგის ზოგ მოხელესა და საქვეყნოდ გამრიგე ყველა მოხელეს თანამდებობის მიხედვით სარგო ჰქონდა გარიგებული; დარბაზის რიგის სხვა მოხელეთ კი, სარგოს გარდა, ულუფა და ჯამაგირი ენიშნებოდა; ზოგი ხელისუფალი კიდევ მხოლოდ ჯამაგირითა და ულუფით იყო დაკმაყოფილებული“[5]. ჯამაგირს მოხელეები მეფის სალაროდან იღებდნენ, ხოლო ულუფას – სურსათ-სანოვაგის სახით – მეფის ქარხნიდან. მოხელის სარგო სამეფო შემოსავლის გარკვეული ნაწილის აღებაში გამოიხატებოდა; ეს კი უმთავრესად სხვადასხვა სახის გადასახადებისაგან შესდგებოდა, რაც მოსახლეობისაგან აიკრიფებოდა[6].

სამეფო მოხელე განსაკუთრებით იყო დაცული კანონით.

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 354 – 355 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 229 – 231).

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, გვ. 112.

[3] იხ. ქემოთ, გვ. 229.

[4] შ. მ ეს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 26, თბ. 1948, გვ. 022.

[5] იქვე, გვ. 019 – 024.

[6] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ 1952, გვ. 165.

მოხელე ფართო ცნება იყო, ის ყველას ეწოდებოდა, ვინც კი რაიმეს აკეთებდა[1]. ფეოდალებს ისეთივე სამოხელეო შტატი ჰყავდათ, როგორც მეფეს, ასევე დედოფალსაც ჰყავდა თავისი მოხელეები.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მმართველობის ცენტრალური აპარატი დარგებად იყო დაყოფილი: მმართველობის ერთი რომელიმე დარგის სათავეში ვეზირი იდგა. გვიანფეოდალურ საქართველოში კი ეს ასე არ იყო. მხოლოდ ერეკლე მეორემ დაიწყო მმართველობის დარგებად დაყოფა, მაგრამ ერეკლეს ეს რეფორმა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მმართველობაში არეულობა სუფევდა, თითქოს სხვადასხვა მოხელის ფუნქციები ერთმანეთში იყო არეული. მეფის სამოხელეო აპარატი, პირველ ყოვლისა, სამეფო მეურნეობის მომსახურების შესაბამისად იყო აგებული[2].

გიულდენშტედტის ზემოთ მოყვანილ ცნობაში არიან დასახელებული როგორც საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი (მოურავი, გზირი, კაზბეკი), ისე დარბაზის რიგისანი. ჩვენ მივყვეთ იმ რიგს, როგორც თვით ცნობაშია დაცული...

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ყველაზე რთული სახელო იყო. მას აქვს სამეურნეო, საფინანსო, საკონტროლო, ადმინისტრაციული და სამდივნო ფუნქციები; ამის შესაბამისად მას სხვადასხვა ხასიათის მოხელეები ექვემდებარებიან[3]. როგორც ვახუშტი ამბობს, „ამისი ხელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი. ამან უწყოდა წესი და რიგნი სახლისა მეფისა და თათბირობა სამეფოსი და სახასონი მეფისანი“-ო[4]. მეფის უშუალო მმართველობის აპარატში ის პირველი მოხელეა. ის ფრიად შემოსავლიანი სახელო იყო. ამ მხრივ მას არც ერთი სახელო არ შეედრება. ის ყოველთვის მსხვილ ფეოდალთა ხელში იყო. შემცდარია გიულდენშტედტი, როცა ის სახლთუხუცესს მხოლოდ გენერლად თვლის, ე. ი. წმინდა სამხედრო პირად. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მისი საქართველოში ყოფნის დროს მეფის კარის სახლთუხუცესობა ხელთ ჰქონდა დავით რევაზის-ძეს, ერეკლეს სიძეს, რომელიც იყო სომხით-საბარათიანოს სარდალი, ე. ი. იყო ქართლის სამეფოს სარდალ-სახლთუხუცესი. ის კი სწორია, რომ სახლთუხუცესი იღებს სარგოდ $^1/_{10}$-ს. ასევე შემცდარნი არიან აკად. მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და მ. ჯანაშვილი, როცა სახლთუხუცესს თარგმნიან ჰოფმარშალად. მისი გაიგივება რუსეთის ან საფრანგეთის სასახლის მოხელესთან შეუძლებელია.

სახლთუხუცესი ჰყავდა ასევე დედოფალს, კათალიკოსს და თავადებსაც.

ნ ა ზ ი რ ი, ვახუშტის ცნობით, ეზოსმოძღვრის მაგიერი თანამდებობაა, როსტომის დროს შემოღებული[5]. საბას განმარტებით, ნაზირი უცხო სიტყვაა, ქართულად – სალაროს ნაზირი – აბრამადია, ხოლო საწყობის ნაზირი – ეზოსმოძღვარი. იგი ემორჩილება სახლთუხუცესს. ერეკლე მეორის მორიგეობის

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ. I952, გვ. 162.

[2] იქვე, გვ. 168.

[3] იქვე, გვ. 171.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა 1941 წ., გვ. 16.

[5] იქვე, გვ. 23.

დებულებაში ნაზირი მოხსენიებულია მმართველობის ცენტრალური აპარატის დიდ მოხელეებთან ერთად. ძეგლები ახსენებენ სამგვარ ნაზირს: სალაროს ნაზირი, ქარხნის ნაზირი და ჩარფა ნაზირი[1]. ამათგან ძირითადია პირველი ორი; პირველი – სალაროს განაგებს, მას თვით ჰყავს მოხელეები. ის იყო პასუხისმგებელი სალაროში არსებულ ყველა ნივთსა და იარაღზე, მას ემძლეოდა ჯამაგირი. ქარხნის ნაზირი კი ქარხანას (= საწყობს) განაგებდა. ქარხანა იყო ის ცენტრი, სადაც თავს იყრიდა სამეფოს ყოველი შემოსავალი, ქარხნის ნაზირი სასახლის მეურნეობის დაწესებულებებისა და საწყობების მმართველი და სახლთუხუცესის ქვეშეთი მოხელე იყო“[2]. ჩარფა ნაზირი – ოთხფეხთა ზედამხედველი არის[3]. რადგან ჩარფა ნაზირს, პირველ ორთან შედარებით, ნაკლებ საპატიო ადგილი უჭირავს, ამიტომ თუ არის, რომ გიულდენშტედტი მხოლოდ ორ ნაზირს ასახელებს.

ე შ ი კ ა ღ ა ბ ა შ ი საპოლიციო აპარატის სათავეში იდგა[4]. ვახუშტის ცნობით, როსტომმა მანდატურთუხუცესს ეშიკაღასი უწოდა[5]. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მას ევალებოდა აგრეთვე ყმების აყრა, ან ჩამორთმევა, ან ჩაბარება ვინმესთვის[6]; მასვე აგზავნიან ზოგჯერ სხვა სამეფოში რაიმე დავალებით; მას ევალება დაპატიმრება, იძულებით მოყვანა. ეშიკაღაბაში აგრეთვე სასახლის მთავარი გამრიგეა, მეფის მეჯლისთან დაკავშირებული ცერემონიალის ხელმძღვანელი[7]. ხელმძღვანელობდა სტუმრების მიღებას, იცავდა წესრიგს[8]. ამ თანამდებობაზე მსხვილი ფეოდალები ინიშნებოდნენ. ეშიკაღაბაში დედოფალსაც ჰყავდა. მაგრამ მეფეს XVIII ს-ის მეორე ნახევარში უკვე ერთზე მეტი უნდა ჰყოლოდა.

მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ეწოდებოდა უფროს მოსამართლეს, სასამართლოს თავმჯდომარეს[9]. ვახუშტის ცნობით, როსტომ მეფემ მსაჯულთუხუცესს უწოდა მდივანბეგი[10]. მდივანბეგი მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე იყო. ის მხოლოდ მეფის, ე. ი. კარის მოხელე იყო. ის არ ჰყავდა არცერთ ფეოდალს. მეფის ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს გააფართოოს მდივანბეგის კომპეტენცია, წაართვას ფეოდალებს სასამართლო ფუნქცია[11]. მდივანბეგს ექვემდებარებოდა ყველა საქმე, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლისა[12]. გიულდენშტედტი ასახელებს ქართლის სამეფოში ოთხ მდივან-

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის I, თბ. 1952, გვ. 181.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით: ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 171.

[3] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

[4] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 23.

[6] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

[7] იქვე, გვ. 254.

[8] იქვე: აგრეთვე დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, გვ. 78. № 163.

[9] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 313.

[10] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 23.

[11] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 319.

[12] იქვე, გვ. 320.

ბეგს. პროფ. შ. მესხიას გამოკვლევის მიხედვით, თეიმურაზ-ერეკლეს დროს იყო შვიდი, ხოლო ერეკლეს დროს 13-ზე მეტი მდივანბეგი[1].

მდივანბეგები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ხოლო განაჩენსა და გადაწყვეტილებას მეფე ამტკიცებდა. მხოლოდ სახლთუხუცესი აღემატებოდა მდივანბეგს მნიშვნელობის მიხედვით.

მდივანბეგის სახელო მემკვიდრეობითი იყო (ზოგჯერ გამონაკლისსაც ჰქონდა ადგილი). XVIII ს-ში მდივნის სახელოს მქონე ხშირად აღწევს მდივანბეგობას (იესე ოსესშვილი სოლომონ ლიონიძე...)[2].

მდივანბეგს თავისი კაცები ჰყავდა, რომლებიც მის ამალას შეადგენდნენ და მის ბრძანებას ასრულებდნენ.

„სამოხელეო სახელი მ დ ი ვ ა ნ ი დივანისაგან არის ნაწარმოები. დივანი არაბულად სახელმწიფო საბჭოს, სასამართლო დაწესებულებასა და სამეფო კანცელარიას ნიშნავს. აქედან წარმოდგებოდა სასამართლოს ოქმებისა და განაჩენის ჩამწერი მოხელის – მდივნის სახელწოდება“[2]; საბას განმარტებით, მდივანი „უსტართა მწერალი“ არის; ვახუშტი უფრო ფართოდ აგვიწერს მდივნის საქმიანობას: მდივნები „სწერენ: უსტარს, იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა“[4]. „დასტურლამალის“ სულხან მდივნისეული ხელნაწერის მიხედვით საბუთების დაბეჭდვაში სახლთუხუცესი და მდივანი იღებდა მონაწილეობას[5]. ერეკლე მეორე ერთ სიგელში წერს: „თუ მდივნის ხელი და ჩვენი ბეჭედი არ იყოს“, ისე საბუთს ძალა არ აქვსო[6]. მდივნები მმართველობის თითქმის ყველა დარგს ემსახურებოდნენ. მდივანი ნაზირთან ერთად გადასახადს აწერდა მოსახლეობას. მდივნობა მემკვიდრეობით გადადიოდა. იყო სასამართლოს მდივანი, აგრეთვე დედოფლის მდივანიც. მდივანი სულ 6 იყო გიულდენშტედტის მიხედვით (ეს არ არის სრული ციფრი). მდივნობა შემოსავლიანი და საპატიო სახელო იყო.

მ ო უ რ ა ვ ი სამეურნეო ხასიათის ფუნქციებს ასრულებდა. მას ჰქონდა აგრეთვე სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციაც[7]. იგი, როგორც ადგილობრივი მოხელე, სამხედრო ხაზით ემორჩილებოდა მხოლოდ სადროშოს სარდალს. დანარჩენი ფუნქციებით იგი ცენტრალურ ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (სახლთუხუცესის სახით)[8]; მოურავი ჰყავდა მეფესა და ფეოდალებსაც. თვითონ სამოურაო მმართველობის ადმინისტრაციული ერთეულია. ადგილზე ის ასრულებდა მეფის ან თავადის განკარგულებას, აწერდა და კრეფდა

---

[1] შ. მ ე ს ხი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 26; თბ. 1948 წ., გვ. 55 – 56; გვ. 29: გვ. 030.

[2] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი. გვ. 331.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 174.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 17.

[5] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[6] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

[7] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 394: დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გ. 277. [8] იქვე, გვ. 396.

გადასახადებს, უძღვებოდა მეურნეობას; მართავდა მოსახლეობას და ა. შ.[1] ის არის უფროსი ნაცვლისა და მამასახლისისა ებარა მამული და გლეხები[2]. ადგილობრივად მოურავი იყო მოსამართლეც: „რომელიც სოფლის კაცი ერთი მეორეს უჩიოდეს, იმისი სამართალი მოურავმა ჰქმნას“[3]. ისინი ზედამხედველობას უწევდნენ ვაჭრობასაც, საზოგადოებრივ სამუშაოთა შესრულებას, მოსავლის აღებას, ლაშქრის შეყრას[4]. ამრიგად, მოურავს ებარა ადმინისტრაციული, საგამომძიებლო, სამხედრო, სასამართლო ფუნქციები და წარმოადგენდა მმართველობის ადგილობრივი აპარატის მთავარ მოხელეს[5]. გიულდენშტედტიც ხომ ამბობს, რომ მოურავი მხარის მმართველი მოხელეაო (იხ. ჩვ. გამოცემა, გვ. 257). მისი შემოსავლის მთავარი წყარო გლეხთა გადასახადები იყო, როგორც გიულდენშტედტი ამბობს, გლეხთაგან აკრეფილი გადასახადების $^{1}/_{10}$[6]. (გიულდენშტედტი ასახელებს ქალაქის მოურავსაც, თუმც მის ფუნქციებს არ ჩამოთვლის; იხ. ტექსტი, გვ. 203).

იესე ოსესშვილი გ ზ ი რ ს იხსენიებს, როგორც პოლიციელს, აღმასრულებელი ფუნქციის მოხელეს[7]. გზირი არის საქვეყნოდ გამრიგე, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ბრძანების წაღება ადგილზე, ვისიმე გამოძახება და სხვა. იოანე ბატონიშვილის სახელმწიფოებრივი წყობილების პროექტის მიხედვით, გზირი მოურავს უნდა ემორჩილებოდეს[8]. გიულდენშტედტის მიხედვითაც გზირი მოურავს გადასახადებს უკრეფს.

კ ა ზ ბ ე კ ი – ეს სახელო გიულდენშტედტს აქვს ნახსენები. იგი ამბობს, რომ კაზბეკი არის პატარა სოფლის ან ადგილის უფროსი და ასევე მოსამარლე. იგი ერთ ადგილას კიდეც წერს, რომ კაზბეკის ტიტული აზნაურს მეფისგან აქვს მიღებული; ზის სტეფანწმინდაში და ადევნებს თვალყურს სასაზღვრო სოფლებს[9]. ე. ი. ესეც საქვეყნოდ გამრიგე მოხელეა და მოურავს უნდა ემორჩილებოდეს. გიულდენშტედტის ცნობით კაზბეკობა (= ყაზბეგი) ეკავათ წობიკოიას (= ჩოფიკაშვილს?) გვარის წარმომადგენლებს[10].

ვახუშტის ცნობით, მ ე ი თ ა რ მ ა შეცვალა ეჯიბი[11]. უიმისოდ მეფესთან ვერავინ შევიდოდა[12]. მეითარი მეფეს ადგას თავს, პირსახოცს მიართმევს, მერიქიფეს ამსახურებს; მეფის ტანისამოსი მის ხელთაა[13]. „შიგნით და გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყმობა დიდი აქუს“[14]. შესაძლოა მეითარი, როგორც მეფის პირადი მომსახურე, სახლთუხუცესის საგამგეოში არ შედიოდა.

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 399

[2] იქვე, გვ. 400; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

[3] იქვე, გვ. 401, აგრეთვე დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, გვ. 12, № 24.

[4] იქვე, გვ. 403 – 404. [5] იქვე, გვ. 404.

[6] შდრ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 277; „გარდა „საგლეხო შემოსავლისა“, მოურავის სარგოს შეადგენდა ა თ ი ს თ ა ვ ი.

[7] თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 75.

[8] ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება, ივ. სურგულაძის გამოცემა, თბ. 1957 წ., გვ. 13 – 14. [9] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 324 (იხ. ჩვ. გამოცემის გვ. 179).

[10] იხ. ჩვ. გამოცემის გვ. 16.

[11] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 23.

[12] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 203. [13] იქვე, გვ. 204.

[14] იქვე, აგრეთვე დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, გვ. 60, № 106.

ყ ა ფ ი ჩ ი „დასტურლამალის“ მიხედვით ხელჯოხიან მოხელეთა უწყებას ეკუთვნის[1]. ის ექვემდებარება ეშიკაღასბაშსა და ბოქაულთუხუცესს, რადგან საპოლიციო აპარატის მოხელეა[2]. ყაფიჩებს ჰყავთ ყ ა ფ ი ჩ ბ ა შ ე ბ ი. ყაფიჩების ფუნქციას სასახლეს დაცვა შეადგენდა. დედოფლის „დასტურლამალით“ ორი ყაფიჩია გათვალისწინებული[3]. გიულდენშტედტსაც მათი უფროსი ჰყავს ნახსენები.

ყ ო რ ი ა ს ა უ ლ ი ხელჯოხიანი მოხელეა და შედის ეშიკაღასბაშის სახელოში[4]. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ძეგლებში გვხვდება მხოლოდ ყ ო რ ი ა ს ა უ ლ ბ ა შ ი. პროფ. შ. მესხიას აზრით, ერეკლე მეორის დროს ყორიასაულები დაუქვემდებარდნენ ყორიასაულბაშს[5]. ის იასაულების უფროსად ჩანს. ყორიასაულბაში ეშიკაღასბაშის „ნაიბად“, ე. ი. მოადგილედ იწოდება[6]. გარდა აღმასრულებელი ხასიათის ფუნქციისა, მას საგარეო ფუნქციაც მიეცა, ხელჯოხიანთა უწყებაში კი მან თანდათან დაიჭირა ბოქაულთუხუცესის ადგილი[7].

მაგრამ ახლა გაუგებარია, როგორღა იყო ის ეშიკაღასბაშთა მბრძანებელი. ზედამხედველობა, ე. ი. მეთვალყურეობა, კიდევ შეეძლო გაეწია. ალბათ, გიულდენშტედტს აქ შეცდომა მოუვიდა.

ფ ა რ ე შ ნ ი იყვნენ სასახლის ხელშინაურ მოსამსახურეთა ძირითადი კადრი[7]. ისინი ჰყავდა მეფესაც და დედოფალსაც. დიდი მეჯლისის დროს ფარეშთუხუცესები (ორი იყო) ეხმარებოდნენ სუფრაჩს სუფრის გაშლაში[9].

ყ ა ლ ი ო ნ ყ ო რ ჩ ი ს დანიშნულება იყო ყალიონის მირთმევა. სულ ოთხი იყო. დიდი მეჯლისის დროს ორი მეფეს ემსახურებოდა, ორი სტუმრებს[10].

ა მ ი ლ ა ხ ო რ ი – მეჯინიბეთუხუცესია. ვახუშტის მიხედვით მეჯინიბეთუხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი[11]. „ამისი ჯელისა იყო: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიჭნი, ჯინიბნი, ჰუნენი, ჯოგნი, რეშანი მეფისანი“[12].

მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ვახუშტის მიხედვით არის ძველი მეჭურჭლეთუხუცესი, ოღონდ შინაარს-გამოცვლილი[13]. სალაროს გამგედ სალაროს ნაზირია, ხოლო მოლარეთუხუცესი მთავარი და უფროსი არის იმ გაგებით

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 279.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 2მ1; აგრეთვე, დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, გვ. 110, № 5.

[4] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით: ენიმკის მოამბე, XIII, 1943 წ., გვ. 190.

[5] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 26, 1948 წ., გვ. 031.

[6] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომოი, გვ. 274.

[7] იქვე, გვ. 275.

[8] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის I, თბ., 1952 წ., გვ. 200.

[9] იქვე. გვ. 199; აგრეთვე დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, გვ. 78, № 163.

[10] იქვე, გვ. 202; აგრეთვე დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, გვ. 79, № 163.

[11] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. I6.

[12] იქვე, გვ. 16. (ამილიხვრები ამ დროს მოხელეებს აღარ წარმოადგენენ).

[13] იქვე, გვ. 23.

რომ მას ებარა სალაროს მთავარი განყოფილება. მას უნდა მიეღო სალაროს შემოსავალი, მიეცა მეფის ბრძანებით ხელფასი, საჩუქარი და სხვა[1]. მას მოლარეები ექვემდებარებიან, ხოლო თვით სალაროს ნაზირის ქვევით და შემდეგ მოიხსენება ყოველთვის. გიულდენშტედტის მოლარეთუხუცესი არის მეჭურჭლეთუხუცესი თავისი ძველი შინაარსით, როგორც ვახუშტი ამბობს: „ამისი ჴელისა იყო ყოველნი საჭურჭლე და საუნჯენი მეფისა, და მას შინა დაწესებულნი“[2].

რაც შეეხება მოხელეებს: მზარეულს, ყულუხჩის, მეშარბათეს ბაშმაყორჩის, მეჯინიბეს, ბაზიერს, მერიქიფეს, – ამათ არ ესაჭიროებათ განმარტება, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტთან მერიქიფე დასახელებულია მაგიდის უფროსად, ხოლო ყულუხჩის აკისრია მეღვინეთუხუცესობა. აქ დაშვებულია შეცდომა. და ცნობები არეული უნდა იყოს.

ი ა ს ა უ ლ ი ადმინისტრაციულ-პოლიციური აპარატის ყველაზე დაბალი და გავრცელებული მოხელე იყო[3]. ისინი ყოველ უწყებას ესაჭიროებოდნენ და ამდენად სახელმწიფოს მმართველობის ყველა დარგში იყვნენ. მეფის მმართველობის ყოველ დარგს, მმართველობის ყოველ უწყებას თავისი იასაულები ჰყავდა. სამეფო „დასტურლამალით“ გათვალისწინებული იყო 23 იასაული, სადედოფლო „დასტურლამალით“ – 17 იასაული[4].

იასაულები ჰყავდათ აგრეთვე ერისთავებსაც (რასაც გიულდენშტედტიც გვიმოწმებს). იასაულს ეძლეოდა საიასაულო, რის გარდაც სხვა სარგებლობასაც იღებდა ამა თუ იმ საქმის შესრულებისას. იასაულებს აგზავნიდნენ აგრეთვე წერილისა თუ ბრძანების ადგილზე მისატანად, ე. ი. გამოდიოდნენ შიკრიკთა როლშიც. გიულდენშტედტის ცნობებით, იასაულებსვე ჰქონდათ დავალებული ექსპედიციის ყოველმხრივი უზრუნველყოფა ადგილებზე.

ცალკე გვსურს აღვნიშნოთ გიულდენშტედტის მიერ ერთხელ მოხსენიებული „კ ა მ ხ ა“. ეს დანამდვილებით არის დამახინჯებულად გადმოცემული ერთ-ერთი სამოხელეო ტერმინი – „ქემხა“ (იგივე ქევხუდი, ქეთხუდი, ან ქევხა).

დ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ქევხას განმარტავს როგორც სპარსულ სიტყვას „ქევხუდას – მამასახლისს“, ხოლო ქეთხუდას კი უწოდებს „სოფლის პირველ მოქალაქესა და მამასახლისს“. როსტომ მეფის 1641 წლის სიგელის მიხედვით ქეთხუდა შეესატყვისება ქართულ მამასახლისს[5].

როგორც ივ. სურგულაძე მიუთითებს[6], ქევხები ადგილობრივი მოხელეები არიან (ე. ი. საქვეყნოდ გამრიგენი – გ. გ.); ერეკლე II-ის მიერ შედგენილ ქიზიყის გარიგების წიგნში ის დაბალ მოხელედ ჩანს. ქევხა, ქემხა, ქეთხუდა – ერთი შინაარსის მატარებელი სიტყვებია, ის ადგილობრივი მოხელეა, მაგრამ არაქართული სოფლებისათვის. აქ ივ. სურგულაძე ეყრდნობა დავით ბატონიშვილის სიტყვებს, რომ კახეთისა და ქართლის მამასახლისები ქევხად და

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

[2] ვ ა ხუ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 16.

[3] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

[4] იქვე, გვ. 284; აგრეთვე „დასტურლამალი“, გვ. 42, № 72 და გვ. 111, № 6.

[5] Ш. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, თბ. 1959, გვ. 300; აგრეთვე ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 155 – 157.

[6] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი; გვ. 414.

მამასახლისად იწოდებოდნენ; თათრებით დასახლებულ სოფლებში კი სოფლის მამასახლისი იწოდებოდა ქევხად[1]. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული სოფლის მამასახლისს თათრულ სოფლებში ქევხა (თუ ქემხა) ჰქვია, მაგრამ აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ ქართული სოფლების მამასახლისს ქემხა არ შეიძლება რქმეოდა.

სოფლის ქემხა გზირზე მაღალი თანამდებობა იყო და მას სოფლის მამასახლისის მსგავსი ფუნქციები უნდა ჰქონოდა: სოფლებში წესრიგისათვის თვალყურის დევნება, მცირე მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევა, გადასახადების განაწილებაში მონაწილეობის მიღება.[2]

ქეთხუდები სოფლის გარდა ქალაქის მოხელეებიც არიან. მათ ირჩევდა ქალაქის მოსახლეობა „для участия в общественных и городских делах Следовательно, городские кетхуды являлись представителями горожан в городском управлении и их можно назвать выборными... старостами,.. выборными мамасахцисами города“[3]. ამასთანავე ქალაქის მამასახლისს მეფე ნიშნავდა[4].

აი რას ამბობს გიულდენშტედტი კახეთის აღწერისას: „... მმართველი ადგილისა ან რამდენიმე პატარა სოფლისა, თვით არჩეული მოსახლეობის მიერ და დამტკიცებული მეფის მიერ – „კამხა“ არის, ხოლო მხარის მმართველი მოხელეა მოურავი, რომელიც მხარის მიხედვით ატარებს სახელს... და საერთოდ ის არის თავადთა გვარიდან“[5].

როგორც ჩანს, გიულდენშტედტიც ადასტურებს ქემხის საქვეყნოდ გამრიგეობას, თუმცა არ მიუთითებს, რომ „ის არაქართული მოსახლეობისთვის იყოს გათვალისწინებული“[6]. ამასთან, ცნობიდან არ ჩანს, რომ ქემხა „დაბალი“ მოხელე იყოს, თუმცა ის მთელი მხარის მმართველის (მოურავის) დაქვემდებარებული უნდა იყოს. აგრეთვე ცნობაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ქევხას ირჩევენ სოფლის ან ადგილის მცხოვრებნი, ხოლო შემდეგ მას მეფე ამტკიცებს.

ე. ი. ქემხა (იგივე ქეთხუდი) არის საქვეყნოდ გამრიგე მოხელე; ის არის მცირე ადგილის, ან რამდენიმე პატარა სოფლის მმართველი, ან, უფრო უკეთ, მამასახლისი. მას ირჩევს ამავე სოფლების მოსახლეობა (ალბათ უმეტესად აზნაურთაგან), ხოლო უფლებებში ამტკიცებს მეფე.

ასეთია ზოგადად ქართლ-კახეთის სამეფოს მოხელეთა ინსტიტუტის არასრული შემადგენლობა გიულდენშტედტის ცნობათა მიხედვით.

*

* *

ეხება რა განათლებას, გიულდენშტედტი აღნიშნავს: „საერთოდ ქვეყანაში არსადაა სკოლები, არამედ ყველას მინდობილი აქვს, რომ თავის ბავშვებს

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 414. აგრეთვე Ц а р е в и ч Д а в и д, Обозрение Грузии, 1813, № 171, № 930.

[2] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 414 – 415.

[3] Ш. М е с х и а, დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

[4] იქვე.

[5] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 257.

[6] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

თვითონ ასწავლონ, ამიტომ, ხნიერთა საკუთარი უცოდინარობისა და შემთხვევისა და შესაძლებლობის ნაკლებობის გამო, ეს საქმე სავალალო მდგომარეობაშია და იგივე (სწავლა – გ. გ.) უბრალო ხალხთან (გლეხობასთან – გ. გ.) სრულიად გამორიცხულია; ასე რომ, ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ცოდნა მხოლოდ მშობლებისაგან“[1]. ქვეყანა იმდენადაა დასუსტებული უცხოთა თავდასხმების გამო, რომ „ეს სახელმწიფო... ვერ უწყობს ხელს სკოლების, კულტურის, ხელოვნების... საერთო განვითარებას“[2].

გიულდენშტედტის ეს შენიშვნები არაა მთლად სწორი.

ცნობილია, რომ XV – XVIII სს. ქართული სკოლები მოქმედებდნენ კერძო პირთა თაოსნობით. თუ XVIII ს-მდე სწავლის საქმეს კერძო ხასიათი ჰქონდა და დამოკიდებული იყო ამა თუ იმ განათლებული პირის სურვილებზე, ახლა სასწავლებლები სახელმწიფოს ზრუნვის საგანია.

1775 იანვარში ანჩისხატის ტაძრის ეზოში დაარსდა ფილოსოფიური სემინარია, რომელმაც 1795 წლამდე იარსება. მის რექტორს ხელფასი სამეფო სალაროდან ეძლეოდა. სემინარიაში ისწავლებოდა როგორც საეკლესიო, ისე „თავისუფალი საგნებიც“: გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, კატეგორიები (არისტოტელესი), მეტაფიზიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, საღვთო სჯული, საეკლესიო ისტორია, მშობლიური ენა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია და სხვა. აქვე სწარმოებდა აგრეთვე პაექრობა-დისპუტები სხვადასხვა მეცნიერული ხასიათის პრობლემებზე[3], რაზედაც დასწრება თავისუფალი იყო. სახელმძღვანელოთა ნაწილი უცხო ენიდან იყო თარგმნილი, ნაწილიც ქართულად იყო შედგენილი. სემინარიის წარჩინებულ მოწაფეებს თვით ერეკლე აჯილდოვებდა ხოლმე. ამ სემინარიაში ბევრი ქართველი მეცნიერი, მდივან-მწიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი და სხვა დარგის მოღვაწენი გამოიზარდნენ.

გარდა ფილოსოფიური სემინარიისა, თბილისში არსებობდნენ დაწყებითი სკოლების მსგავსი კერძო სასწავლებლები: სიონის, კალაუბნის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩისხატის და სხვა სკოლები. ამათში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, არითმეტიკა, გრამატიკა და სხვა საგნები[4]. მაჰმადიანთა და სომეხთათვისაც არსებობდნენ სათანადო კერძო სკოლები.

ერთი კია, რომ სკოლების კარები ყველასთვის მისაწვდომი არ იყო. მაგალითად, თბილისის სემინარიაში იღებდნენ კეთილშობილთა და სასულიერო პირთა შვილებს. ქალაქის ფართო მოსახლეობას მხოლოდ პირველდაწყებითი სწავლის მიღების უფლება ჰქონდა.

ყოველივე ამასთან ერთად, 1749 წელს აღდგენილ იქნა თბილისის სტამბა, რომელიც 60-იან წლებში ერეკლემ განაახლა, შეაკეთებინა გაცვეთილი იარაღები და 1764 წელს გადაატანინა „ეზოსა სამეფოსა“[5], სადაც 1772 წლამდე დაიბეჭდა რიგი წიგნებისა.

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 342 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 209).

[2] იქვე, გვ. 350 (იხ. ქვემოთ, გვ. 225).

[3] თ ბ ი ლ ი ს ი ს ი ს ტ ო რ ი ა, თბ. 1958 წ., გვ. 301.

[4] იქვე, გვ, 302.

[5] იქვე, გვ. 328.

მართალია, ქვეყანა ძალზე დასუსტებული იყო, მაგრამ იმის თქმა გამორიცხულია, თითქოს არ შეეძლო ხელი შეეწყო სკოლების, კულტურისა და ხელოვნების საერთო აღმავლობისათვის, რადგან ისეთ სახელმწიფო მოღვაწეს, როგორიც ერეკლე მეორე იყო. წარმოუდგენელია, ყურადღება არ მიექცია ცხოვრების ამ სფეროსადმი, მაშინ როცა ცნობილია, რომ ერეკლეს სახელთანაა დაკავშირებული მთელი რიგი კულტურული წამოწყებებისა.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ დავით რექტორი, ანტონ პირველი, იესე ოსეს-ძე ბარათაშვილი, სოლომონ ლიონიძე, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ვახუშტი ბაგრატიონი, ომან ხერხეულიძე, პაპუნა ორბელიანი და სხვები, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართული კულტურისა და განათლების გიულდენშტედტისეულ დახასიათებაზე ხელი ავიღოთ.

გიულდენშტედტი, ეტყობა, უფრო გატაცებული იყო მინერალთა, მცენარეთა და ცხოველთა შესახებ ცნობების შეგროვებითა და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლით და განათლება-კულტურის საკითხებისათვის თავი არ შეუწუხებია.

*

* *

XVIII ს-ში ძალიან გახშირდა დაღისტნელ ფეოდალთა ყაჩაღური თავდასხმები საქართველოზე, რასაც დიდი ზიანი მოჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრებისათვის. „ლეკიანობა“ უმთავრესად წარმოადგენდა წვრილ-წვრილ გუნდებად დანაწილებულ დაღისტნელი აბრაგების მიერ წარმოებულ ძარცვასა და ყაჩაღობას საქართველოში. ეს აბრაგები იტაცებდნენ ხალხს, პირუტყვს, ქონებას; განსაკუთრებით ხვნა-თესვის მკის, რთველის დროს. მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც შეეძლოთ. მოსახლეობა დიდ ზარალს ნახულობდა მათგან. იშლებოდა მეურნეობა. გიულდენშტედტს არ გამოჰპარვია სამეფოს ცხოვრების ეს მხარე – „ლეკიანობა“. იგი ბევრგან აღნიშნავს, რომ ეს თავდასხმები საქართველოში თითქმის ყოველდღე ხდებოდა და ამიტომ მათ გამო საქართველოში მოგზაურობა არ იყო უხიფათო[1]. ამიტომაც იგი საკმაო დაცვის გარეშე ვერ ბედავდა ექსკურსიების მოწყობას. იგი ხაზს უსვამს იმ დეტალსაც, რომ, დასასვენებლად დაბინავებულნი, ცხენებს ვერ უშვებდნენ საბალახოდ და იძულებულნი იყვნენ შინ გამოეკვებათ[2]. აგრეთვე აღნიშნავს, რომ მოსახლეობა იყრებოდა ადგილიდან და სხვაგან სახლდებოდა, მაგ. ახტალის მოსახლეობა[3]. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ლეკები ესხმოდნენ თავს არა მარტო მოსახლეობას, არამედ რუსთა შეიარაღებულ მცირე რაზმებსაც, რომ თბილისიდან 7 ვერსზე რუსეთის საქმეთა რწმუნებულმა გვარდიის კაპიტანმა ლვოვმა და პოლკოვნიკმა ვოლკოვმა თავის რაზმთან ერთად განიცადეს თავდასხმა, დაკარგეს ხალხი და ცხენები[4]. გიულდენშტედტმა თვით ნახა ლეკთა გზა ქსანსა და

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226 (იხ. ქვემოთ, გვ. 13).

[2] იქვე, გვ. 276 (იხ. ქვემოთ, გვ. 101).

[3] იქვე, გვ. 262 (იხ. ქვემოთ, გვ. 77).

[4] იქვე გვ. 226 (იხ. ქვემოთ, გვ. 13).

ნარეკვავს შორის, რომლითაც ლეკები მიდიან არაგვიდან მჭადისჯვარზე გავლით ლამისყანამდე და ქრცხინვალამდე[1]; ის აგრეთვე შეესწრო ლეკთაგან მუხრანის გაძარცვას[2]. ყოველივე ამაზე დაკვირვებით, ის სწორად შენიშნავს, რომ საქართველო ძლიერაა დასუსტებული მეზობლების, განსაკუთრებით, სუსტი მეზობლების და უმთავრესად კავკასიელების თავდასხმების გამოო[3].

ლეკთა და სხვა თავდასხმათა მოსაგერიებლად საჭირო იყო ჯარი. გიულდენშტედტი წერს: ყოველი ხელქვეითი მამაკაცი, ებრაელთა გამოკლებით, არის ჯარისკაცი და პირველ დაძახებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს იქ, სადაც საჭიროა (წინასწარ დანიშნულ ადგილს – გ. გ.), ჩაცმული, შეიარაღებული და ცხენზე; ამასთან მხარეთა უფროსები და აზნაურები არიან წინამძღოლები“. ამავე დროს გარკვეული რიცხვი უნდა დარჩენილიყო სოფლებში, რათა დაეცვათ ისინი თავდასხმისაგან და უზრუნველყოფილიყო გადასახადთა გადახდა[4]. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ „თავადებსაც მოჰყავთ აგრეთვე, ან აგზავნიან დამხმარე რაზმების გარკვეულ რაოდენობას, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, მეთაუროობენ მათი ვაჟები. ყველა რაზმი და მათი მეთაური ემორჩილება ერთს, ან რამდენიმე მხედართმთავარს, რომლებიც გენერალს უტოლდებიან და „სახლთუხუცესად“ იწოდებიან[5] (აქაც კვლავ დავითის სარდალ-სახლთუხუცესობის გამოისობით გამოწვეული შეცდომაა დაშვებული – გ. გ.).

როგორც ცნობილია, ერეკლე გვევლინება „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ენერგიულ მებრძოლად, რისთვისაც ის სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო XVIII ს-ის მეორე ნახევარში მდევარი ლაშქრის ახალი, კუთხობრივი ორგანიზაცია, ციხე-სიმაგრეთა სახიზარ-თავშესაფართა შენება. აქაც მოვიშველიოთ გიულდენშტედტის ზოგიერთი ცნობა: „ქ ჩანდა მრგვალი და ოთხკუთხი მოედნები და მიწაყრილები, სადაც მცხოვრებნი აფარებენ თავს და პირუტყვს, როცა დ რ ო ზ ე შეამჩნევენ მძარცველებს, და მამაცად იცავდნენ თავს. მ კ ა ც რ ა დ დ ა დ გ ე ნ ი ლ ი წ ე ს ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ, ყ ო ვ ე ლ ი ქიზიყელი მ ი ი ჩ ქ ა რ ი ს თავისი თოფით იქით, საიდანაც ესმის სროლის ხმა და, ამ ღონისძიების წყალობით, ლეკები მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში...“[6] „...უმეტესად ყოველ სოფელს აქვს ერთი ან რამდენიმე... მრგვალი კოშკები. თავდასხმის დროს ქვედა სართულზე თავს აფარებენ ქალები და ბავშვები, ზედა სართულზე კი იკრიბებიან შეიარაღებული კაცები და ესვრიან ყაჩაღებს. ბევრ სოფელს აქვს... კედლით გარშემორტყმული... ოთხკუთხა მოედანი კარებებითა და სასროლი კოშკებით. ასეთ ადგილებში, რომლებსაც ციხეები ჰქვიათ, ან არ ცხოვრობენ, ან ცხოვრობენ ცოტანი; თავდასხმების დროს ყველანი ცდილობენ ამ ციხეებში გადა-

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 249 (იხ. ქვემოთ, გვ. 53).

[2] იქვე, გვ. 273 (იხ. ქვემოთ, გვ. 95).

[3] იქვე, გვ. 326; გვ. 350 (იხ. ქვემოთ, გვ. 183, 225).

[4] იქვე, გვ. 354 (იხ. ქვემოთ, გვ. 229).

[5] იქვე, გვ. 354 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 229).

[6] იხ. ქვემოთ, გვ. 27 (ხაზგასმა ჩვენია).

ირჩინონ თავი საქონლითა და ქონებით“...[1] „მეფემ ბრძანა გალავანი შემოევლოთ გუმბათის წყაროსთვის, რათა ლეკების თავდასხმების დროს ამ გალავანში შეეფარებინათ ამ სოფლების პირუტყვი, რომელიც ამ მინდვრებზე სძოვდა“...[2]

ერეკლეს მიერ 1772 წლის 28 აგვისტოს ზემო ქართლის სადროშოსადმი გაგზავნილ ინსტრუქციის მსგავსი მიწერილობით ირკვევა, რომ მან სამეფო დაყო გარკვეულ გეოგრაფიულ ზოლებად, სამხედრო ოლქებად, ამასთან თითო ზოლი – ცალკე სამოქმედო უბნად, სამდევროებად დაანაწილა, იმის მიხედვით, თუ საიდან იყო მოსალოდნელი ლეკთა თავდასხმა. ამ მიწერილობაში გათვალისწინებული იყო ბრძოლის ხერხები და უბნების ორგანიზაცია, დეზერტირთა სასჯელი – დამყარებული სოციალური კუთვნილების პრინციპზე, ხელმძღვანელობის საკითხი, რაც მინდობილი ჰქონდათ ერისთავებს და ამილახორებს[3] (შდრ. გიულდენშტედტი, ჩვ. გამოცემის გვ. 229). ეს იყო ერთ-ერთი ფორმა ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლისა. გიულდენშტედტს მოცემული აქვს ცნობა ქართველთა მიერ წარმოებული ბრძოლის კიდევ ერთი ხერხის შესახებ:
„... არც ისე იშვიათად ცდილობენ ქიზიყელები აინაზღაურონ დანაკლისი ხალხისა და პირუტყვისა; ამიტომ ისინიც ესხმიან თავს მათ მეზობლად მდებარე ლეკურ რაიონს ჭარს და მოაქვთ ყველაფერი, რასაც მოახელთებენ. ასე მაგ., 1772 წ. ზამთარში მათ ლეკებისაგან გადმორეკეს 30.000 ცხვარი“[4].
„... თავს ესხმიან ჭარელ ლეკებს ისევე ხშირად, როგორც ეს უკანასკნელნი მათვე, და სტაცებენ ერთმანეთს ხალხსა და პირუტყვს“[5].

მთავარი ღონისძიება გატარებულ იქნა 1774 წ. 4 იანვრის განჩინებით – მორიგი ჯარის სისტემის დაწესებისას. აზრი მუდმივად მოქმედი ჯარის შექმნისა ერეკლეს განუმტკიცა რუსთა რეგულარული ჯარის გაცნობამ 1769 – 71 წლებში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ბატონყმურ ქართლ-კახეთში რადგან არც მეფეს გააჩნდა იარაღ-სანოვაგე და ტანისამოსი ჯარის მოსამარაგებლად და არც თავადები მისცემდნენ მას ყმებს ლაშქრისათვის[6]. ამიტომ 1773 წ. მეფის დარბაზში დაისვა საკითხი ისეთი ჯარის შექმნაზე, რომელიც აღკვეთდა ლეკთა თარეშს. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგი ლაშქრის განაჩენი“[7]. გიულდენშტედტი, მართალია, მორიგ ჯარს არ მოსწრებია, მაგრამ მის ცნობებში ვხედავთ ერეკლე მეორის მიერ ამ და ზემოთ დასახელებულ ღონისძიებათა პრაქტიკულად ჩატარების ცდებს. ამასთან გვსურს აღვნიშნოთ, რომ სამხედრო ვალდებულება ჩვენს სინამდვილეში (1774 წლამდე) ნიშნავდა

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 249 – 251.

[2] იხ. ქვემოთ, გვ. 25. (მოტანილ ცნობებში მოცემულია არა მარტო ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები, არამედ საერთოდ ლაშქრად გასვლაც – გ. გ.).

[3] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1955 წ., გვ. 296 – 301.

[4] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 27.

[5] იხ. ქვემოთ, გვ. 31.

[6] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1956 წ., გვ. 351.

[7] იქვე, გვ. 351. (თუ რას წარმოადგენდა მორიგი ჯარი, ცნობილია და, რადგან ის ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, მასზე არ შევჩერდებით).

ლაშქრად გაწვევას და არა საერთოდ მშვიდობიანობის დროსაც სამხედრო სამსახურში ყოფნას. აქვე დავსძენთ, რომ სწორია გიულდენშტედტის ცნობა: ყველა ხელქვეითი მამაკაცი იყო „სამხედრო ვალდებული“ (ჯარისკაცი), გარდა ებრაელებისაო[1].

*

* *

ყველაზე მეტი ადგილი გიულდენშტედტის ნაშრომში დათმობილი აქვს ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერას, მისი პროვინციების, მხარეების, სოფლების, ქალაქების, მდინარეებისა და ტბების, ცხოველების, მცენარეებისა და ნიადაგების აღწერა-ჩამოთვლას. აგრეთვე მინერალების და მადნების მოპოვებისა და მდებარეობის ადგილებს.

ქართლ-კახეთის მხარეების აღწერისას გიულდენშტედტი ცდილობს მოგვცეს ცნობები მათი საზღვრების, მოსახლეობის შედგენილობის, სასარგებლო წიაღისეულის, მდინარეების და დასახლებული თუ დანგრეული პუნქტების შესახებ; აგრეთვე ამბობს იმის შესახებ, თუ ეს მხარეები ვის ეკუთვნის: მეფეს, თავადსა თუ დედოფალს; თუ როგორი ქვეშევრდომნი არიან ისინი და რა მეურნეობას ეწევიან. გიულდენშტედტი ასახელებს ზემო ქართლს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლს, სომხითს, ბორჩალოს მხარეს, ბამბეკს, ტაშირსა ბაიდარს და სხვა. ცალკე ასახელებს ერევნის, ყარსის და განჯის სახანოებს, ასევე – ზემო, ქვემო და შიდა ქართლის რაიონებს – ხადას, ხევსურეთს, გუდამაყარს, ფშავს, საერისთაოს, ოსურ მხარეებს, ჯავახეთს, სამცხეს, სათარხნოს, საციციანოს, საბარათიანოს, თრიალეთს და კახეთს, მის მხარეს ქიზიყს და სხვა. ჩამოთვლის მათ სოფლებსა და სიმაგრე-მონასტრებს. იმ რაიონებს, რომელთაც თვით არ ნახულობს, იკვლევს სხვისი ნათქვამის მიხედვით და ხანდახან უშვებს შეცდომებს: ურევს გეოგრაფიულ სახელებს, ერთი რაიონისას მიაწერს მეორეს, ან ვერაფერს ვერ ამბობს, გარდა რაიონის დასახელებისა. ის, რაც, მისი მართებული თქმით, საერთოა ყველა რაიონისა თუ მხარისათვის, არის ის, რომ ძალიან განადგურებული არიან გამუდმებული თავდასხმებით, მეურნეობა მოშლილია.

გიულდენშტედტი დაწვრილებით აღწერს გზას, რომელზედაც კი მას უხდება გავლა; აღნიშნავს, თუ რომელი პუნქტიდან საით მიემართება, სად უხვევს, სად ადის მთაში, სად გადადის მდინარეზე, რომელი სოფლები, მონასტრები, ციხეები ხვდება გზაზე, ან ჩანს გზიდან, რა მანძილია მათ შორის, რამდენი დრო უნდა მათ გავლას. ამასთან იგი ზოგჯერ ჩერდება რომელიმე პუნქტის დასახელებისას და გვაძლევს მის მოკლე აღწერილობას, ან ისტორიას; ამბობს, თუ როგორაა მონასტერი ნაგები, რომ იქ არის წარწერები, ერისთავთა სამარხები, ანდა რომ ციხის კედელი არის ამა და ამ ზომის, აქვს კოშკები, ზარბაზნები, რომ ხიდი ნაშენია ქვისაგან, აქვს ორივე მხარეს ქარვასლები და სხვა.

---

[1] იხ. ქვემოთ, გვ. 229.

გიულდენშტედტი ჩამოთვლის ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებიც მას ხვდება ან აგროვებს; ჩამოთვლის ხის ჯიშებს და სხვა. ცალკე აქვს გამოყოფილი მტკვრისა და მისი აუზის მდინარეებს დახასიათება. ჰამასთან ის იძლევა ამ მდინარეებში ან ტბებში გავრცელებულ თევზთა სახელებსაც.

ნიადაგებს აღწერისას, რასაც ის თითქმის ყოველ ნაბიჯზე აკეთებს, ასახელებს, არის მიწა ნოყიერი თუ უნაყოფო, თიხიანი, მლაშე თუ კირქვიანი. ამასთან ის დაუზარებლად აღნიშნავს, თუ სად რა მადნეული მოიპოვება, მუშავდება, ანდა მიტოვებულია.

*

* *

ქართლ-კახეთის სამეფოს ამ ზოგადი გეოგრაფიული აღწერიდან იგი ცოტა მეტხანს ჩერდება თბილისის, თელავის, სიღნაღის, ანანურის აღწერაზე.

ცალკე აქვს გამოყოფილი გიულდენშტედტს ქ. თბილისის აღწერა[1].

მეფის რეზიდენცია – თბილისი წარმოადგენს როგორც სპარსული (აზიური – გ. გ.), ისე ევროპული ტიპის ქალაქს. სახელი მას ჰქვია თბილი წყაროების და მათზე მდებარე აბანოების გამო. თბილისის ტერიტორიისა და მდებარეობის შესახებ გიულდენშტედტი ამბობს, რომ ის არის მოზდოკთან ერთ მერიდიანზე და ორი გრადუსით სამხრეთით: „ქალაქი შეადგენს თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და, გარდა ერთი ადგილისა მტკვართან, შემორტყმულია აგურის კედლით“. აქვე აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის კუთხეში არის პატარა ციხე ნარიყალა, ხოლო დასავლეთისაში – სიმაგრე შარდახტი“. მათ შორის ქალაქის კედლის სიგრძე არის 600 საჟენი, ხოლო წრეწირი მთელი ქალაქის გარშემო შეადგენს დაახლოებით 3 რუსულ ვერსს ან 1500 საჟენს. „ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილთან არის ხიდი მტკვარზე, ამ ხიდით შევდივართ მეტეხის პატარა ციხეში, მტკვრის მარცხენა ნაპირას“. „აბანოების ქვემოთ არის წინაქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ ძველი თბილისი“[2]. ამასთან ამ გარეუბანს გიულდენშტედტი ეძახის ქვედა გარეუბანს. ქალაქის ტერიტორიის ეს აღწერა, მართალია, სრული არ არის, მაგრამ, რაც არის – სწორია და სანდო.

როგორც ვიცით, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, XVIII ს-ის შუა წლებში თბილისი 3 ნაწილისაგან (ქალაქისაგან) შედგებოდა: პირველი – ძველი ქალაქის ტერიტორია, რომელსაც ისევ თბილისი ერქვა[3]. გიულდენშტედტის ცნობით კი ვხედავთ, რომ მას უკვე ძველი თბილისი ჰქვია, ანდა უკვე ქალაქის ქვემო გარეუბანია. ამ ნაწილს, ვახუშტის სიტყვით, სეიდაბადი ერქვა[4].

მეორე – ყველაზე დიდი ნაწილი – კალა იყო. ახლად წარმოშობილ ქალაქის ამ უბანს XVIII ს-ში ისევ თბილისის ძველი ციხის სახელი შერჩა. კალას

---

[1] იხ. ქვემოთ, გვ. 87 – 93.

[2] გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 268 (იხ. ქვემოთ გვ. 87 – 89).

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ. გვ. 52.

[4] იქვე.

სამხრეთის გალავანი იწყებოდა ქალაქის ციტადელთან (დღევანდელი ნარიყალა), მისდევდა სოლოლაკის ქედს და მთავრდებოდა ციხე-სიმაგრით, რომელსაც ვახუშტი „შაიტახტს“ უწოდებს[1]. ამ კედლის სიგრძე კი გიულდენშტედტის მიხედვით, როგორც ვნახეთ, 600 რუსული საჟენია (= 1200 მ.). როგორც გიულდენშტედტის ცნობიდან ჩანს, კალას ირგვლივ შემორტყმული ჰქონდა კედელი, რომლის წრეწირი უდრიდა დაახლოებით 3 ვერსს.

ქალაქის მესამე ნაწილი იყო მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მას ვახუშტი უწოდებს ისანს[2]. გიულდენშტედტის მოწმობითაც ქალაქის ეს ნაწილი უკავშირდება კალას ერთი ხიდით მტკვარზე; ამ ხიდს შევყავართ პატარა ციხე მეტეხში.

მაგრამ ქალაქის ტერიტორია მარტო ამით არ შეიძლება შემოვფარგლოთ. ის ძლიერ იზრდება, უმთავრესად მტკვრის აღმა მიმართულებით. გიულდენშტედტის თქმა „ქვედა გარეუბანი“ მოწმობს „ზედა გარეუბნის“ არსებობასაც, რომელსაც კიდეც ასახელებს დიღომის მხრიდან თბილისში შემოსვლისას[3]. ეს გარეუბანი იწყება დაახლოებით თანამედროვე ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყარიდან. აღსანიშნავია ის ცნობაც, რომ სომეხთა 20 ჩამოთვლილი ეკლესიიდან, გარეუბნებში არის 8 ეკლესია[4], აგრეთვე ქალაქის და ქვედა გარეუბნის გარშემო 5 ვერსზე ბაღ-ვენახები და ყანებია. თბილისის ზრდას ისიც მოწმობს, რომ, გიულდენშტედტის ნიხედვით, ქართულ-სომხურ ეკლესიათა და თათრულ მეჩეთთა რიცხვი აღწევს 40-ს. სხვა თუ არაფერი, ამ რიცხვს ეკლესიებისას, თავისი ეზოებით, საკმაოდ დიდი ფართობი დასჭირდებოდა. ქალაქის სიდიდეს მოწმობს მისი მოსახლეობის რაოდენობაც, რომელსაც გიულდენშტედტი განსაზღვრავს 20000-ით. ქალაქში შემავალ კართაგან გიულდენშტედტი ასახელებს განჯისკარს და აბანოს კარსა და ხიდს[6].

მაგრამ ქალაქის ზრდა უგეგმოდ მიმდინარეობდა. როგორც ვახუშტი აღნიშნავს: „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი“[6]. ამას გიულდენშტედტიც ადასტურებს, როცა ამბობს, რომ 3 ვერსის სიგრძის მქონე კედლის რკალში, ამ მცირე, არც ისე დიდ ფართობზე, ცხოვრობს დაახლოებით 20 000 მოსახლე, „ამიტომ ქუჩები არის დაახლოებით ერთი საჟენი სიგანისა, შესახვევები კიდევ უფრო ვიწრო“[7].

გიულდენშტედტი ხაზს უსვამს თბილისის კეთილმოუწყობლობას. ქუჩების სივიწროვესთან ერთად აღნიშნავს წყლის საწრეტების უქონლობას, რის გამოც წვიმების დროს საშინელი ტალახი იყო; აღნიშნავს აგრეთვე მოსახლეობის ძლიერ სივიწროეს, სასაფლაოების სიხშირეს და ცუდ პოლიციას, რომელიც თვალყურს არ ადევნებს, რომ ქუჩები არ დანაგვიანდეს; ეს ყველაფერი კი სწამლავს ჰაერს და არის მიზეზი დიზენტერიისა, ავ-თვისებიანი

---

[1] თ ბ ი ლ ი ს ი ს ი ს ტ ო რ ი ა, თბ. 1958 წ., გვ. 357.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 52.

[3] იხ. ქვემოთ, გვ. 61.

[4] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 271 (იხ. ჩვენი გამოცემის, გვ. 93).

[5] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 85; გვ. 65.

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 54.

[7] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 268 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 87).

ციებ-ცხელებისა, ეპიდემიებისა. ის ასახელებს, რომ 1770 წელს ჭირმა გაწყვიტა 4000 კაცი[1]. გიულდენშტედტი დასძენს, რომ სიკვდილიანობა გაიზრდებოდა, სახლები რომ არ იყოს ფარღალალა, რაც ხელს უწყობს მათში ჰაერის ვენტილაციას. თვით სახლები არის ერთსართულიანი, ნაგებია აგურისა და ფილაქნებისაგან, თიხანარევი კირით, სახურავები სწორი (ბანი – გ. გ.), თიხით დაფუნილი; ოთახებს აქვთ ბუხარი და ფანჯრებზე, შუშის მაგიერ, გაქონილი ქაღალდები. ყველაფერი არის მსუბუქი, ცუდი, ტლანქი და შეუხედავი[2]. ასეთია თბილისის მდაბიოთა სახლების მდგომარეობა. მაღალი წრის სასახლე-დარბაზთა აღწერას გიულდენშტედტი არ იძლევა.

გიულდენშტედტის აღნიშვნით, ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ სომხები; მეორე ნახევარს – უმთავრესად ქართველები, არიან აგრეთვე თათრები. მათ ყველას აქვთ თავიანთი ეკლესიები და სალოცავები[1]. ის ჩამოთვლის ქართველთა 15 ეკლესიას, სომეხთა 20-ს, აგრეთვე კათოლიკე სომეხთა ერთ ეკლესიას და ერთ სომხურ მონასტერს, ასევე 3 თათრულ მეჩეთს[4].

XVIII ს-ის 70-იანი წლების თბილისის აღებ-მიცემისა და ხელოსნური წარმოების შესახებ[5] გიულდენშტედტი გვაწვდის შემდეგ ცნობას: „ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს უმთავრესად თავისი ვენახებითა და ნარგავებით, განსაკუთრებით ბამბის კულტურით. ბევრი არიან ვაჭრები ანუ, უფრო უკეთ, წვრილი მედახლეები (Krämer), რომლებთანაც შეიძლება შეიძინოს კაცმა გასავლიანი საქონელი, წვრილმანი საქონელი, სურსათი, სანელებელი და სხვა რამეები. არიან სხვადასხვა [ხელოსნები]: მეტყავეები, მღებავები, მქსოველები, მჭედლები... ხორბალი და ქერი მოდის გორიდან და სურამიდან ტივებით, რომლებიც შეკრულია ფიჭვის მორებისაგან, ქვევით მტკვრით. ეს ტივები შემდეგ იყიდება როგორც საშენი ხე-ტყის მასალა“[6]. გიულენშტედტი აღნიშნავს, რომ ყოველგვარ საქალაქო ხელოსნობას ეწევიან მხოლოდ მცირე რაოდენობით და ისიც მოხალისენი და არა ოსტატები[7]. XVIII ს-ში, როგორც ამას ზევითაც ვამბობდით, კერძო წვრილ სახელოსნოებს გარდა იყო მსხვილი სამეფო სარეწაოები, ე. ი. ქარხნები. გიულდენშტედტის ცნობით, ერეკლე მეორეს თბილისში ჰქონდა მარილის საწმენდი ქარხანა, თოფისწამლის ფაბრიკა, ზარაფხანა და სხვა. ვაჭრობა-ხელოსნობის ზრდა იყო ნიშანი ქალაქის ეკონომიური ცხოვრების დაწინაურებისა.

გიულდენშტედტი ცალკე ეხება თბილ აბანოებს და ამბობს, რომ

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 269 (იხ. ქვემოთ, გვ. 89).

[2] იქვე, გვ. 268 (იხ. ქვემოთ, გვ. 87).

[3] იქვე, გვ. 269 (იხ. ქვემოთ, გვ. 89).

[4] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 89 – 93.

[5] რადგან ვაჭრობა-ხელოსნობა ზემოთ იყო განხილული, აქ დავკმაყოფილდებით მხოლოდ თბილისის შესახები ცნობების მოტანით.

[6] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 271 – 272 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 93).

[7] იქვე, გვ. 271 (იხ. ქვემოთ, გვ. 93).

მას მოსახლეობა იყენებდა სარეცხის გასარეცხად და ტანის დასაბანად, ხოლო მან პირველად შემოიტანა ამ წყლის სამკურნალო ხმარება[1].

ასეთია ზოგადად გიულდენშტედტის ცნობები თბილისის შესახებ.

თბილისს გარდა, გიულდენშტედტი ქართლ-კახეთის ზოგიერთ პუნქტებს მოიხსენიებს ქალაქებად. ესენია: ყარაღაჯი, გრემი, ჭერემი, ალვანი (ძველად განთქმული, ამჟამად დანგრეული ქალაქები და დედაქალაქები)[2]; ბახტრიონი, რუისპირი (რომელთაც თვლიან ქალაქებად)[3]; გორი, ცხინვალი, დუშეთი[4]; თურქების ხელში მყოფი სამხარეო ქალაქები – ახალქალაქი, კოლა, არდაჰანი, ჩილდირი, ხერთვისი, საგუბერნიო ქალაქი ახალციხე[5]; ქალაქებს – თელავს, სიღნაღს, საგარეჯოსა და ანანურს გიულდენშტედტი მეტ ყურადღებას აქცევს. თ ე ლ ა ვ ი ს აღწერისას გადმოცემულია მისი ციხეების მდებარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა, სავაჭრო დუქნები და სხვან[6]. ს ი ღ ნ ა ღ ი ს გალავნის, მოსახლეობის გარდა, გიულდენშტედტი ამბობს, რომ თბილისისა და გორის შემდეგ, ის არის უდიდესი და უძლიერესი სიმაგრე მთელ საქართველოშიო[7]. ა ნ ა ნ უ რ ი ს ხსენებისას გიულდენშტედტი გვიხატავს მის ეკლესიას და წარწერებს[8]. რაც შეეხება ს ა გ ა რ ე ჯ ო ს, ნათქვამია, რომ მასაც ქალაქი ჰქვია, გარშემორტყმულია გალავნით და მისი მოსახლეობა 500 ოჯახს შეადგენს[9]. გიულდენშტედტი არც სურამს და არც ახალგორს არსად არ უწოდებს ქალაქს, ან დიდ პუნქტებს. ახალგორს მხოლოდ ერისთავის რეზიდენციად იხსენიებს[10]. ასეთია გიულდენშტედტის მიერ ჩამოთვლილი ქართლ-კახეთის სამეფოს ქალაქების სია.

*

* *

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, გიულდენშტედტი ქვეყნის სურათის მოსაცემად არ კმაყოფილდება მარტო თავისი თვალით ნახულით, არამედ ის იშველიებდა აგრეთვე სხვათა ნაამბობს, გადმოცემებს, ლეგენდებს და აგრეთვე ქართულ ქრონიკებსაც.

ვნახოთ, თუ როგორ იყენებს ის ქრონიკებს და რა გადმოცემები მოჰყავს.

გიულდენშტედტი ამბობს, რომ მას უჩვენეს 650 გვერდიანი დაწერილი ქართული ქრონიკა, რომელიც ცოტა ხნის წინათ რუსეთში გარდაცვლილმა ვახტანგ მეფემ, ლეონის მე-5 ვაჟმა და გიორგის ძმისშვილმა, შეადგენინა

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 9 – 11).

[2] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. გვ, 25, 33, 41, 47 (მიმდევრობა დაცულია ქალაქთა ჩამოთვლის მიხედვით).

[3] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 261.

[4] იხ. იქვე. გვ. გვ. 279, 273.

[5] იხ. იქვე, გვ. გვ. 215 – 217.

[6] იხ. იქვე, გვ. გვ. 37 – 39.

[7] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 259.

[8] იხ. იქვე, გვ. გვ. 271, 47.

[9] იხ. იქვე, გვ. გვ. 261, 19.

[10] იხ. იქვე, გვ. 47.

სახელმწიფოს ორივე მთავარი მონასტრის (გელათისა და მცხეთის) არქივებიდან[1]. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგ VI-ის თაოსნობით შემოწმებულ-შევსებული. რომ ეს ასეა, ვრწმუნდებით „ქართლის ცხოვრების“ შესავალში მოხსენებული ცნობიდან: „ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისმან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა რაცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი. და შეამოწმეს, და რომელი განრყუნილ იყო, განხართეს“[2]. (გიულდენშტედტი მიუთითებს, რომ მის დროს არქივები აღარ იყვნენ გელათისა და მცხეთის მონასტრებთან; იხ. ქვემოთ, გვ. 147).

ამ ქრონიკიდან გიულდენშტედტს მოჰყავს შესავალი ნაწილი, რაც ეხება ქართველთა წარმომავლობის საკითხს, მათ ცხოვრებას ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდე; მაკედონელის ლაშქრობას[3] და შემდეგ მოცემული აქვს ქართველ მეფეთა სია, ფარნავაზიდან დაწყებული მეფე ალექსანდრე დიმიტრის ძით გათავებული[4]. გიულდენშტედტს ეს სია პირდაპირ გადმოწერილი აქვს „ქართლის ცხოვრებიდან“ და რომ მან ენა არ იცოდა, ან რომ თარჯიმნებიც ვერ გაერკვნენ, ეს ჩანს ტექსტის თუნდაც ერთი ადგილიდან, ამავე მეფეთა სიიდან. მაგ., ახალი სტრიქონით უწერია: „Mere Iknes Schülly Matny Armas“. გიულდენშტედტს ჩაუთვლია მეფედ „იკნეს“, რადგან ეს სიტყვა მოსდევს უშუალოდ სიტყვა „მეფეს“ და დაუწერია როგორც სახელი – დიდი ასოთი; ხოლო ეს „იკნეს“ გამოჰყავს „მატნუ არმასის“ შვილად. სინამდვილეში ეს არის გერმანული ასოებით, დამახინჯებულად დაწერილი (რაც მთელს ამ მეფეთა სიას ეტყობა) ქართული წინადადება: „მეფენი ბარტომ და ქართამ, ძენი ადერკი მეფისა არშაკუნიანი... და შემდგომად მათსა მ ე ფ ე ი ქ მ ნ ე ს შ ვ ი ლ ნ ი მ ა თ ნ ი: ა რ მ ა ზ ს – ფ ა რ ს მ ა ნ და შ ი დ ა ქ ა ლ ა ქ ს ა – კ ა ო ს“[6].

აქვე აღვნიშნავთ, რომ გიულდენშტედტს მოჰყავს ქართლ-კახეთის მეფეთა მთელი სიები მე-17 ს-დან 1773 წლამდე. ეს მოტანილი უნდა ჰქონდეს ალბათ იმ ქრონიკიდან, რომელიც მან საქართველოში შეიძინა და ათარგმნინა, რომელსაც ის ასახელებს თავის მოხსენებაში (იხ. ზევით, გვ. 015).

გიულდენშტედტი ეხება ქართლის გაქრისტიანების ვერსიას. ის ამბობს, რომ ძველი ეკლესია ციხისძირში, რომელსაც ეწოდება ნინოწმინდა, ააშენა მეფე მირიანმა წმ. ნინოს პატივსაცემად. „ქართული ქრონიკის მიხედვით, მირიან მეფე იარაღით ხელში (ძალით) ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანობის გავრცელებას. მაგრამ მისი ჯარი დაბრმავდა. მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი ხალხი კვლავ თვალხილული გახდებოდა, დაპირდა ის მიეღო ქრისტია-

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 328; (ამასთან უნდა იყოს „... ვახტანგ მე-5-ემ, ლეონის ვაჟმა“... – გ. გ.).

[2] „ქართლის ცხოვრება“, I, თბ. 1955 წ., გვ. 3, შენიშვნა.

[3] გ ი ულ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 328 – 329 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 187 – 189).

[4] იქვე, გვ. 329 –332 (იხ. ქვემოთ, გვ. 189 – 195).

[5] იქვე, გვ. 330 (იხ. ქვემოთ, გვ. 190).

[6] „ქართლის ცხოვრება“, I, თბ. 1955 წ., გვ. 44.

ნობა. ყველაფერი ეს მოხდა და წმ. ნინომ მიიღო ეს ეკლესია“[1]. აქ ნამდვილად არეული უნდა იყოს მირიანის მიერ ქრისტიანობის მიღების სხვა პირობა: როცა მზე დაბნელდა, მისი ნადირობის დროს, და შეშინებულმა პირობა დასდო მიეღო ქრისტიანობა. ეს ადგილი „ქართლის ცხოვრებაში ასეა: „და განვიდა მეფე ნადირობად მუხნარით-კერძო, და მოუჴდა უჩინო იგი მტერი, ეშმაკი და შთაუგდო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა; და იგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა და მახჳლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა... ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა... რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ... შუასამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი... და განიბნივნეს ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა... და... მეფე... იარებოდა... შეძრწუნებული... ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და... აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანის-ვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა... ესე ყოველი რა წართქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე... გარდაჴდა მეფე ცხენისაგან... და თქუა... ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი და იჴსენებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე... იხილეს ნათელი და მოერთო ერი განბნეული“[2]... ასეთია ეს ვერსია მირიანის გაქრისტიანებისა. ალბად გიულდენშტედტს აუხსნეს, რომ ჯარმა (ერმა) ვერაფერი დაინახა და სიტყვა „დაბნელება“ მან „დაბრმავებად“ გაიგო.

*

* *

გიულდენშტედტი ფართოდ იყენებს გადმოცემებსა და ნათქვამს. ამის დამადასტურებელია, მაგალითად, გადმოცემა ჯაჭვის საყდრის შესახებ: „არსებობს ლეგენდა, რომ მისი კოშკიდან გაჭიმული იყო რკინის ჯაჭვი მცხეთის კოშკამდე, რის მეშვეობითაც წმინდანები ერთმანეთს ესტუმრებოდნენ ხოლმე; აქედან [არის] მისი სახელწოდებაც“[3]. ანდა, მაგალითად: „ამბობენ, რომ მტკვარზე... დაახლოებით 12 ვერსით ქვევით ნათლუღიდან, იყო მეფე ვახტანგ I-ლის წინანდელი საზამთრო რეზიდენცია, რომელსაც ქართველები ეძახიან ნაგები-ს ხოლო თათრები კიშაკალა-ს“[4]. საერთოდ, გიულდენშტედტი ხშირად ხმარობს გამოთქმას – „ამბობენ, რომ“ და გადმოსცემს სხვათა სიტყვებს. გადმოცემებია და ნაამბობი, სადაც ის აღნიშნავს შაჰ-აბასის ან ნადირშაჰის მიერ მცხოვრებთა აყრა-გადასახლებას და სხვა.

გიულდენშტედტს, როცა იგი ეხება მდ. ქსნის აუზის პუნქტების ჩამოთვლა-დასახელებას მოყვანილი აქვს პატარა ცნობა ქსნის საერისთაოს წარმოშობის, მისი პირველი ერისთავის შესახებ. მოვიყვანოთ ეს ცნობა: „ბერძენმა კეისარმა იუსტინიანემ ეს მხარე გადასცა როსტომს, ოსს, გამოაცხადა ის თავა-

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250 – 251 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 57).

[2] „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955 წ., გვ. 108 – 110.

[3] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 252 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 59).

[4] იქვე, გვ. 257 (იხ. ქვემოთ, გვ. 67).

დად და ერისთავად, მისცა მას ბეჭედი და აჩუქა ძვირფასი სამოსელი. ნაჩუქარი სოფლების რიცხვი იყო 38..., რომელთაგან შემდგომ ზოგი განადგურდა, ზოგი გადატანილ იქნა, ზოგსაც სახელი შეეცვალა. ახლანდელი ქსნის ერისთავი დავითი, როსტომიდან მოყოლებული, ამ ხნის განმავლობაში, არის 275-ტე“[1].

აქ ნათლად ჩანს, რომ გიულდენშტედტს, რომელიც ასე დაახლოებული იყო ქსნის ერისთავთან, დავითთან, გააცნეს ძეგლი ერისთავთა, როგორც საბუთი ქსნის საერისთაოს წარმოშობისა და ისტორიის შესახებ. ეს რომ ასეა, ამას ასაბუთებს ადგილი თვით „ძეგლი ერისთავთა“-დან: „მაშინ მოუწოდა (იუსტინიანემ – გ. გ.) როსტომს წინაშე მისსა. და ვითარცა იხილა, ბრძანა, ვითარმედ კაცი ესე ღირს არს ყოვლისა პატივსა.

„მაშინ მიუბოძნა შჳდნი ესე ჴევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკჳდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრაზმისჴევისა. და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყური და სარტყელი თჳსი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაჲ და შუბი.

„ესე ყოველი მიუბოძა მეფემან ისტჳნიანე როსტომს და წარმოგზავნა სიხარულით“[2].

როსტომის ოსურ წარმომავლობაზეც მითითებულია „ძეგლი ერისთავთა“-ში.

რაც შეეხება იმას, რომ დავითი 275-ე ერისთავი იყო, ალბათ ქსნის ერისთავის კარზე არსებობდა კიდევ „ძეგლი ერისთავთა“-ს გაგრძელების მსგავსი XVIII ს-მდე, სადაც დავითი მოხსენებული იქნებოდა 275-ე ერისთავად, ანდა ზეპირგადმოცემის მიხედვით უჭირავს დავითს ეს ადგილი.

აქ ჩვენ ნიმუშად მოვიყვანეთ მხოლოდ ზოგიერთი ადგილები და ვერსიები, რომლებიც ეხება ქართლს. გიულდენშტედტს თავის ნაშრომში კიდევ რამდენიმე ადგილას აქვს ამდაგვარივე მონაცემები კახეთზე და სხვა კუთხეებზე, მაგრამ ჩვენ ყველა მათგანზე ვერ შევჩერდებით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გიულდენშტედტი, რამდენადაც შეუძლია, კეთილსინდისიერად იყენებს ადგილობრივ წყაროებსა და გადმოცემებს.

*

* *

გიულღენშტედტს თავის შრომაში მოცემული აქვს აგრეთვე ერეკლე მეორის ოჯახის შემადგენლობის ზუსტი ჩამოთვლა, მის წევრთა წლოვანებისა და მძლავრ თავადთა გვარებთან მათი მოყვრობის აღნიშვნით. ამის მოყვანა აქ საჭირო არ არის, რადგან ტექსტშიც გარკვევითაა აღნიშნული[3].

აქვე მოკლედ აღვნიშნოთ, რომ გიულდენშტედტი ერეკლე II-ს სთვლის ენერგიულ და შედარებით ძლიერ მეფედ, რომელმაც „სხვადასხვა უბედური

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 384. (იხ. ქვემოთ. გვ. 275).

[2] „ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ე თ ა“, შ. მესხიას რედაქციით მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 346.

[3] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ, ნაშრომი, გვ. 336 – 338 (იხ. ქვემოთ, გვ. 197; გვ. 203).

შემთხვევებისა და გაჭირვების მიუხედავად, თავის მმართველობის... დროს არათუ არც სამფლობელო და არც ერთი პროვინცია არ დაკარგა, არამედ ხელიდან გაუშვებლად, თუმცა ხანდახან საკმაო გაჭირვებით, შეინარჩუნა ტახტი[1]... იგი აღნიშნავს, რომ ერეკლე ბევრს მეცადინეობდა საქართველოს გაპარტახებული ადგილების აღსადგენად, ქვეყნის დასაცავად; რომ ერეკლე ქმნიდა მთელ რიგ სოფლებს გავერანებულ ადგილებში სომეხ და თათარ მოსახლეობისაგან (ასახელებს ამ სოფლებსაც და მთელ მხარეებსაც კი); მეფე თვით დადიოდა სხვადასხვა პროვინციათა დასათვალიერებლად, იქ საქმეთა მოსაწესრიგებლად. კარგი ურთიერთობა აქვს ერეკლესთან განჯის ხანსაც[2]. ეხება გიულდენშტედტი მეფის შემოსავალსაც (თუმცა მას არასრულად განიხილავს)[3]. გიულდენშტედტი აღნიშნავს იმასაც, რომ ადრე მეფეებს ჰქონდათ საზაფხულო და საზამთრო რეზიდენციები, ერეკლე კი ქალაქს არ სტოვებს[4]. ასახელებს აგრეთვე მეფის კუთვნილ რაიონებს და სოფლებს, თუმცა ზოგიერთ მათგანზე დასძენს, რომ არ არიან მყარი ქვეშევრდომები (მაგ., საეჭვოა, რატომ აცხადებს გიულდენშტედტი ხევსურეთს მეფის არასაიმედო ქვეშევრდომად?)[5].

*

ხალხის ყოფა-ცხოვრების და ჩვეულებათა გადმოსაცემად გიულდენშტედტი არ სტოვებს უყურადღებოდ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ახალწლის დღესასწაული მიცვალებულის დამარხვა, ქორწილი, ღვთისმსახურება, სახლების აგება, ჩხუბი, პურის ცხობა, კარაქის დღვება, ღვინის დაყენება, ვაზის სხვლა, ცხენების მოვლა, ზოგიერთი კუთხის ხალხის ჩაცმულობა, აკვანი და სხვა.

ის აღნიშნავს, რომ პირველ იანვარს საქართველოში დიდი სადღესასწაულო განწყობაა; ყველა საზეიმოდაა მოწყობილი, სტუმრობენ ერთმანეთს, ულოცავენ და უსურვებენ ბედნიერებას[6]. 5 იანვარს სომხურ სახლებში საღამოთი ისმის სიმღერა „ჰალელა“. გიულდენშტედტის თქმა, რომ ბერძენი ქრისტიანები, ე. ი. მართლმადიდებლები, 6 იანვარს არ დღესასწაულობენ წყალკურთხევასო (wasserweihe)[7], არ უნდა იყოს სწორი.

გიულდენშტედტი ამასთან აღნიშნავს, რომ „ქართველი ქრისტიანები არაჩვეულებრივად ზედმიწევნით და მკაცრად იცავენ ზიარების, დღესასწაულების, წირვაზე დასწრების, მარხვის შენახვისა და [ღვთისმსახურების] ყველა წესებს. მათი მარხვის დღეებია ოთხშაბათი და პარასკევი. ვნების კვირის დღეებში ისინი არათუ მარტო ბოსტნეულს ჭამენ, არამედ დღეში ერთი ჯერით კმაყოფილდებიან;” აღნიშნავს ასევე რომ დაყუდებულები (მეუდაბნოენი)

---

[1] გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 335 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 201).

[2] იხ. ქვემოთ გვ. 247.

[3] იხ. ქვემოთ, გვ. 233.

[4] იქვე, გვ. 272 (იხ. ქვემოთ, გვ. 93).

[5] იხ. ქვემოთ, გვ. 269.

[6] იქვე, გვ. 225 (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 13).

[7] იქვე, გვ. 225 (იხ. ქვემოთ, გვ. 13).

ძლიერ მკაცრად და ამაყად ეწევიან ღვთისმსახურებას[1]. შენიშნავს, რომ ქართველების წმინდანთა შორის ყოველთვის ცხენზე არიან წარმოდგენილი – გიორგი, დიმიტრი და ესტატე[2].

გიულდენშტედტი, როგორც სტუმარი ერისთავის ქორწილზე, აღწერს ამ ქორწილს – ნეფის მიერ დედოფლის წაყვანას, ჯვრისწერას, ქეიფს და სხვა[3].

მან მოგვცა აგრეთვე ცნობა თათრის დამარხვის შესახებ სომხითის ერთერთ სოფელში, რასაც თვით დაესწრო[4].

ასევე მომსწრე იყო ის ოსურ სოფელ გვერწერში მომხდარი ჩხუბისა. აქ ის შენიშნავს, რომ ქალებმა, რომელთა გამოჩენისთანავე მყარდება ხოლმე სიწყნარე, ვერათუ მოჩხუბართა დაშოშმინებას ვერ მიაღწიეს, არამედ მათაც იგემეს დარტყმები[5].

გიულდენშტედტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ქართლის სოფელში გავრცელებული სახლის ტიპი (მდაბიოთა ოჯახებისა) არის მიწური (Erdhütten)[6]; დეტალურად აღწერს კახეთის სოფლებში გავრცელებულ სახლების ტიპს. იძლევა აგრეთვე თბილისის სახლების ტიპის მოკლე აღწერასაც, რაც უკვე ზემოთ ვნახეთ.

*

გიულდენშტედტი, როგორც ექიმი, ყურადღებას აქცევდა აგრეთვე იმას, თუ როგორ ხდებოდა სხვადასხვა ავადმყოფობათა მკურნალობა საქართველოში, რა საშუალებებს იყენებდნენ. ბევრ შემთხვევაში კი თვითონაც ეხმარებოდა. ასე მაგ.; როგორც თვით ამბობს, მან მოარჩინა ქსნის ერისთავი დავითი, რის გამოც ეს უკანასკნელი ყოველთვის მზად იყო მის დასახმარებლად. გიულდენშტედტი აძლევდა რჩევას მეფის დედინაცვალს რომელსაც ჰქონდა დიაფრაგმის ანთება; უვლიდა ბატონიშვილ იულონს; ასევე თავისი სახლის პატრონის შვილებს – ყვავილის დროს. მანვე შემოიღო, მისივე თქმით, გოგირდიანი წყლის სამკურნალოდ ხმარებაც – სიყვითლის, რევმატიზმის, უძრავი სახსრების და სხვათა მკურნალობისთვის[7], – და სხვა. იგი თვით იყო მომსწრე თბილისში ყვავილის წინააღმდეგ აცრის ჩატარებისა. აღნიშნავს, რომ ცრიდნენ ბავშვებს ხელზე – ცერსა და მაჩვენებელ თითს შორის, დანით და შემდეგ ზედ უსვამდნენ ყვავილის შრატს და უხვევდნენ. ავადმყოფობის დროს ბავშვებს.აძლევდნენ მხოლოდ რძეს (დედის, ცხენის ან ვირის) და ხორბლის პურს, ამყოფებდნენ სუფთა ჰაერზე[8]. მასთანვე მკურნალობდნენ

---

[1] გ ი უ ლ დ ე მ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 340 (იხ. ქვემოთ, გვ. 207).

[2] იქვე, გვ. 341 (იხ. ქვემოთ, გვ. 207).

[3] იქვე, გვ. 267 (იხ. ქვემოთ, გვ. 85 – 87).

[4] იქვე, გვ. 265 (იხ. ქვემოთ, გვ. 83).

[5] იქვე, გვ, 277 – 278 (იხ. ქვემოთ, გვ. 103).

[6] იქვე, გვ. 378 (იხ. ქვემოთ, გვ. 251).

[7] იქვე, გვ. 223 (იხ. ქვემოთ, გვ. 1I).

[8] იქვე, გვ. 255 (იხ. ქვემოთ, გვ. 63).

ბევრნი, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები, რომელთა სიასაც ის იძლევა (იხ. ზემოთ, გვ. 015).

გიულდენშტედტი შენიშნავს, რომ ქართლში 1770 წ. იყო ჭირი, რომლის დროსაც მოსახლეობამ მიატოვა დიღომი და სხვა ადგილები, ხოლო თბილისში გაწყდა 4000 მცხოვრები. ის აღნიშნავს, რომ ჭირის დროს თბილისში მოსახლეობას უმეტესად აწვენდნენ ქუჩაში და ამათგან შედარებით მეტი რჩებოდა, ვიდრე სახლში მწოლიარეთაგან. აღნიშნავს აგრეთვე, რომ უსუფთაობის გამო ხშირია დიზენტერია, ციებ-ცხელება და ეპიდემიები[1]. გიულდენშტედტი შენიშნავს აგრეთვე, რომ მკურნალობა უმთავრესად იყო ექიმბაშთა ხელში.

*

გიულდენშტედტი არ უშვებს შეუმჩნევლად შემთხვევით მოვლენებსაც. ასეთია მაგალითად მიწისძვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1772 წლის 14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მშვიდ და მოწმენდილ ამინდში, ორი სეკუნდის განმავლობაში[2]. ამავე რიგისაა მახინჯი ახლადდაბადებული ორთავიანი ბავშვის შესწავლა მის მიერ[3].

*

* *

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ გიულდენშტედტის ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს სოციალური ვითარებისა და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. გიულდენშტედტის თქმით, ის, რაც ქართლ-კახეთის შესახებ იყო ნათქვამი, მთელი საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, და ამიტომ დასავლეთ საქართველოს აღწერისას ის ასე ვრცლად აღარ ეხება იმ საკითხებს.

გარდა სოციალური ვითარებისა, დასავლეთ საქართველოს შესახებ ბევრი ისეთი ცნობაა დაცული, რისი ასევე მოკლედ განხილვა ურიგო არ იქნებოდა

საერთოდ, როგორც პროფ. შ. მესხია ამბობს, „Исследование экономического положения Западной Грузии в XVII – XVIII вв. представляет собой трудную задачу, ибо в нашем распоряжении имеются только скудные материалы по этому вопросу. Сведения иностранных авторов лишь в общем касаются отдельных областей Западной Грузии. Грузинская же историческая литература в этом отношении не содержит почти никаких данных, довольствуясь изложением фактов политической истории“[4].

ამ მხრივ გიულდენშტედტი ერთი საინტერესო წყაროთაგანია. რადგან ჩვენს მიზანს არ შეადგენს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობის გამოკვლევა, ამდენად დავჯერდებით ტექსტიდან ზოგიერთი დამახასიათებელი ცნობების მოტანას.

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 269 (იხ. ქვემოთ, გვ. 89).

[2] იქვე, გვ. 226 (იხ. ქვემოთ, გვ 15).

[3] იქვე, გვ. 254 (იხ. ქვემოთ, გვ. 63).

[4] Ш. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 117 – 118.

გიულდენშტედტს ისე ნათლად აქვს მოცემული იმერეთის სურათი, რომ ჩვენც მის სიტყვებს მივენდობით ამ მხარის მოკლე დახასიათებისას. ამასთან, ვიყენებთ ცნობების ისეთ რიგს, როგორიც ქართლ-კახეთის აღწერისას გვქონდა გამოყენებული, ოღონდ ცოტა მეტხანს შევჩერდებით იმისთანებზე, რაც განსხვავებულია, ან არ გვხვდება ქართლ-კახეთში.

*

* *

„საქართველოს ამ ნაწილს ისეთივე ბედი შეხვდა [როგორც ქართლს] იმის გამო, რომ თურქები აოხრებდნენ მას და იმონებდნენ; მეზობლებთანაც შინაური დავა და თვით საკუთარ თავადებსაც ერთმანეთში კინკლაობა ჰქონდათ ხოლმე; აგრეთვე ლეკები და სხვა მთიელები ყაჩაღურად თავს ესხმოდნენ“[1].

„... იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური წყობა არ განირჩევა ქართლის წყობისაგან. იგივე წოდებებია და ხალხები... ისეთივე წოდებრივი ურიერთობაა, ისეთივე სამხედრო [წყობა] და ცუდი მართლმსაჯულება, იგივე კარის და ქვეყნის მოხელეები [ჰყავთ]... ისეთივეა გადასახადები და მათი აკრეფის სახეები... ქვეშევრდომთა კლასი ისევე ყმები არიან და ეწევიან მხოლოდ სამიწათმოქმედო მუშაობას; მევენახეობა და ხორბლის მოყვანა, აგრეთვე მესაქონლეობაც მცირეა და მოსახლეობა საერთოდ უფრო ღარიბია, რისი მიზეზიც არის მთიანი მდებარეობა და ამის შესაფერისი ჰავა“[2]... (რა თქმა უნდა, მთავარ მიზეზად გეოგრაფიული გარემო ვერ ჩაითვლება – გ. გ.).

„... აქაც ვერ აძლევენ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნას“[2].

იმერეთის მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს შეადგენენ უმთავრესად ქართველები, ცხოვრობენ სომხები, ებრაელები, უფრო ნაკლებ ოსები და თათრები.

გაბატონებული რ ე ლ ი გ ი ა არის მართლმადიდებლური. „იმერეთს ჰყავს თავისი საკუთარი პატრიარქი (კათალიკოსი); ამჟამად, იოსები, სოლომონ მეფის ძმა; მიტროპოლიტი ქუთაისისა... მთავარეპისკოპოსი ხონისა.., ეპისკოპოსი ნიკორწმინდისა“[4]...

გურიის ორი ეპისკოპოსი იმერეთის პატრიარქს ემორჩილება. „წინათ იმერეთის პატრიარქს, რომელსაც სამეგრელოში დომენები ჰქონდა, ექვემდებარებოდა სამი მეგრელი ეპისკოპოსი: სამეგრელოსი, ლეჩხუმისა და ოდიშისა“[5]...

იმერეთში ლაპარაკობენ ქართულად, ოდნავ განსხვავებულ დიალექტზე[6].

იმერეთის ზოგადი დახასიათების მოცემის გარდა, გიულდენშტედტი

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 203.

[2] იხ. ქვემოთ, გვ. 283.

[3] იქვე.

[4] იხ. ქვემოთ, გვ. 207 – 209.

[5] იხ. ქვემოთ, გვ, 209.

[6] იხ. ქვემოთ, გვ. 209.

ეხება მისი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ცალკე დარგებს და მათი წარმოების ხასიათს. აღწერს აქ გავრცელებულ მარცვლეულის ჯიშებს[1] (ღიკა, ხულუგო, კეჟერა ქერი, ბრტყელი ქერი, ზანდური, შვრია, ფეტვი, სიმინდი, ჯიქურა, ქვრიმა, ღომი), ხვნა-თესვის ხასიათს[2] (ნიადაგის დამზადება სახნავად, გუთან-კავის სახეები), მკას[3], მოსავლის აღებას (თვით პურის ცხობასაც[4]). ჩამოთვლის იმერეთში გავრცელებულ ხილ-ბოსტნეულის სახეებს[5]; ცალკე ახასიათებს მევენახეობას, მეაბრეშუმეობას (აბრეშუმის ჭიის მოვლას[6]), მეფუტკრეობას[7], მესაქონლეობას[8] (ცხენის, ცხვრის ჯიშებს, მათი მოვლის აღწერით), მეფრინველეობას[9].

ამასთან გიულდენშტედტი ხშირად დასძენს, რომ „ამზადებენ ბევრ ცუდ ყველს; სულ არ აკეთებენ კარაქს“[10]... ის ამბობს, რომ „შვრიის ფაფა... ქერის პურთან ერთად, რძე, ყველი და... ლობიო არის მუდმივი საკვები აქაური ღარიბი ხალხისა[11]... აქვე გიულდენშტედტი არ ივიწყებს საზიდი საშუალების აღწერასაც[12]...

მეურნეობის დარგების აღწერასთან ერთად გიულდენშტედტი გვაძლევს ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ზუსტ სურათს – ეს ეხება ხონში გამართულ ვაჭრობას[13]... აქ ის ჩამოთვლის სხვადასხვა მხრიდან შემოტანილ გასაყიდ საქონელს და მათ ფასებს და სხვა. ხონს გარდა ბაზრობა პარასკეობით იმართებოდა აგრეთვე სხვა სოფლებშიც (მაგ. ანტორიაში)[14], აღწერს ვაჭრობას ონში[15]. ვაჭრობაზე მიუთითებს აგრეთვე გიულდენშტედტის მიერ ჩამოთვლილი, იმერეთში მიმოქცევაში მყოფი ფ უ ლ ე ბ ი. ესენია: „თურქული მონეტები – ფარი (= 1½ კაპიკს), ხუთფარიანი (= 10 კაპიკს), ათფარიანი (= 20 კაპიკს), ოცფარიანი, კუმში (= 39 ფარს), მარჩილი (= 52 ფარი = 1 მანეთს), სარმამიდი (ოქროსი = 104 ფარს); იშვიათადაა აბაზი (ვერცხლის), თურქული დუკატი (ოქროსი = 120 ფარს). ყირიმული ფარი, თბილისური აბაზი (= 16 ფარს), შაური (= 4 ფარს). იმპერიალები, რომლებიც რუსულმა ნაწილებმა შემოიტანეს 1770 – 72 წლებში, ახლა იშვიათადაა, ის სამკაულებად გადაუმუშავებიათ[16]“... გიულდენშტედტი

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 157, 295.
[2] იხ. ქვემოთ, გვ. გვ. 157; 297 – 299.
[3] იხ. იქვე, გვ. 125.
[4] იქვე.
[5] იხ. იქვე, გვ. გვ. 157, 295 და სხვა.
[6] იხ. იქვე, გვ. 157.
[7] იხ. იქვე, გვ. 135.
[8] იხ. იქვე, გვ. გვ. 157, 295.
[9] იხ. იქვე, გვ. 295.
[10] იხ. ქვემოთ, გვ. გვ. 157, 295.
[11] იხ, იქვე, გვ. 121.
[12] იხ. იქვე, გვ. 295 – 297.
[13] იხ. იქვე, გვ. 153 – 155.
[14] იქვე, გვ. 135.
[15] იქვე, გვ. 107.
[16] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 283 – 287. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ. 1925.

წ ო ნ ი ს ე რ თ ე უ ლ თ ა გ ა ნ ასახელებს ქსანს (= ½ რუსულ ფუნტს), ჩარექას (= 2 ფუნტს), ლიტრას (= 8 ფუნტს), ბათმანს (= 18 ფუნტს) ს ი თ ხ ი ს ს ა წ ყ ა ო თ ა გ ა ნ – დოქს (= ½ რუსულ ვედროს) და კოკას (= 3 ვედროს); ს ი გ რ ძ ი ს ს ა ზ ო მ თ ა გ ა ნ – ადლს (= 3 ფუტს 4 დუიმს ინგლისურით)[1].

საინტერესოა, რომ იმერეთის ვაჭრობაში ვხვდებით არა მარტო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების საქონელს, არამედ ქვეყნის გარედანაც შემოტანილს.

*

როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს დახასიათებისას იყო აღნიშნული, გიულდენშტედტი ყველაზე მეტ ადგილს უთმობს ქვეყნის გეოგრაფიულ პირობებს. ის იმერეთის უხვ გეოგრაფიულ აღწერილობას იძლევა. ასახელებს მხარეთა საზღვრებს, მათს მდებარეობას, მთა-გორიანობას, მდინარეებს, გზებს, მინერალებს, მთის ქანებს, მცენარეულ საფარს და იქ გავრცელებულ ცხოველებს. გზადაგზა იძლევა ზოგიერთი პუნქტის ვრცელ აღწერას (მაგ., ქუთაისი, ხონი, გელათი, ნიკორწმინდა და სხვ.) და სოფლებისა და სახლების ზოგად სახეს. მაგ.: „სოფლები მთაში უფრო მჭიდროდაა დასახლებული (ე. ი. სახლები ახლოსაა ერთმანეთთან, გ. გ.), დაბლობში კი სახლები უფრო დაშორებულია ერთმანეთისაგან და ხშირად ყანებით არის გამოყოფილი. უმეტესად ყოველ სოფელს, ისე როგორც ქართლში, აქვს ერთი, აგრეთვე ხშირად რამდენიმე გალავნიანი კოშკი“[2]... „საცხოვრებელი სახლები არის დიდი; მთაში – დაწნული და შელესილი წნელის კედლებით, ხოლო ბარში მაგარი ფიცრებით. სახლი შედგება ერთი ოთახისაგან. ცეცხლის კერა მოთავსებულია სწორი იატაკის შუა ადგილას. ოთახის ერთი ნაწილი, ხანდახან მხოლოდ ძელებით გამოყოფილი, თითქმის ყოველთვის საქონლისთვისაა განკუთვნილი. მარცვლეულის მარაგს ინახავენ დაწნულ კალათებში, რომლებიც თიხითაა შელესილი და ოთახშია მოთავსებული; ასე რომ, ოთახი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს საცხოვრებელს, სამზარეულოს, ბოსელსა და საწყობს“[3]... (შდრ. კახეთში აღწერილი სახლი[4]).

გიულდენშტედტი რამდენიმე დღის განმავლობაში ცხოვრობდა ქუთაისში, ის შედარებით დაწვრილებით აგვიწერს ამ ქალაქის გარეგნულ სახეს. რადგან ქუთაისი იყო ერთადერთი შედარებით დიდი ქალაქი იმერეთისა (თუ მთელი დასავლეთ საქართველოსი) და მისი დედაქალაქიც ურიგო არ იქნებოდა, თუ მოვიტანდით მის გიულდენშტედტისეულ სურათს.

„რიონში ჩრდილო-დასავლეთის ნაპირიდან ჩაედინება... რუა და იმ მუხლში, რომელსაც ეს მდინარე ჰქმნის რიონთან, მდებარეობს ქუთაისი.

ქალაქი გარშემორტყმული იყო გალავან-ზღუდით, რომელიც შესდგება 3

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 287. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი („ქსანი“ გვ. 84, 111; „ჩარექი“ გვ. გვ. 82 – 83, 110; „ლიტრა“, გვ. 71, 99 – 104; „ბათმანი“ გვ. 81, 110; „დოქი“, გვ. 86, 121; „კოკა“, გვ. 117 – 121; „ადლი“, გვ. 134 – 135).

[2] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 293.

[3] იხ. იქვე, გვ. 295.

[4] იხ. ტექსტი, გვ. 251.

მხარისგან (მეოთხე მხარეს რიონი შეადგენს – გ. გ.)... თითოეული [კედელი] არის 500 ნაბიჯი სიგრძისა, ასევე მათში მოქცეული რიონის ნაპირიც. დასავლეთით, მაღლობზე არის დიდი კარი და უფრო დაბლა, რიონის ნაპირისკენ – მეორე, უფრო პატარა კარი. ამ კედლის შიგნით არის ქვიტკირის საცხოვრებელ სახლთა ნანგრევები, ხოლო მის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში იყო ციხე-კოშკი (ციტადელი) მაღალი და სქელი სწორკუთხა კედლით გარშემორტყმული, 100 ნაბიჯის განივკვეთისა. ციხის შუაში ძველად იდგა ქართული ქრისტიანული ეკლესია; მის მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი, რომლის კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ჰქმნიან...

ქალაქის კედლის შიგნით, კოშკის დასავლეთის კედლის ზემოთ, დგას დანგრეული ქართული ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სიდიდით მცხეთის ეკლესიის ტოლია... ეკლესიის მახლობლად დგას პატარა სამრეკლო. თურქებმა, ჩანს, ეს ეკლესია დაანგრიეს, როცა ეს ქალაქი დაიპყრეს[1]. როცა გრაფმა ტოტლებენმა 1770 წლის 6 აგვისტოს იერიშით გამოგლიჯა ქუთაისი თურქებს და სოლომონ მეფეს დაუბრუნა, მეფემ ყველა კედელი განსაკუთრებით კი ციხე მთლიანად დააქცევინა. თურქები ქუთაისში ისხდნენ 120 წელი... კედლის ჩრდილო და აგრეთვე დასავლეთ მხარეზე ჩანს წინაქალაქის ნანგრევები ორი ეკლესიის ნაშთებით...

დასავლეთის კედლიდან 100 ნაბიჯის მოშორებით, ნაპირზე, არის 20 ნაბიჯის განივკვეთის აბანო. ამის ქვემოთ რიონზე არის 80 ნაბიჯი სიგრძისა და 8 ნაბიჯი სიგანის ხიდი[2]. ორივე ნაპირზე არის 2 თაღი, რომლებიც მდინარეში აღწევენ 25 ნაბიჯამდე და შეერთებული არიან 30 ნაბიჯის სიგრძის ხის ხიდით. დაბლობში, მდინარის მარცხენა ნაპირზედაც ყოფილა წინაქალაქი[3], რომლის 6 პატარა ქვიტკირის ეკლესია დგას რიონის სამხრეთ მხარეზე. ქუთაისის ციხის პირდაპირ. პირველი, აღმოსავლეთის ეკლესია დგას ზედ რიონის ნაპირას, მთავარი ეკლესია კი ციხის პირდაპირ; ოთხი შემდგომი ეკლესია... რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე ერთმანეთს ქვემოთ და რიონის ნაპირიდან მოშორებით. მე-6, უკანასკნელი და ყველაზე დასავლეთით მდებარე, კვლავ ზედ რიონის პირას დგას, პირველისგან ოთხასი ნაბიჯით ქვემოთ, და გარშემორტყმულია 300 ნაბიჯის სიგრძის მრგვალი კედლით... ამ კედლის შიგნით დგას ქვიტკირის 2 დიდი საცხოვრებელი შენობა, რომელთაგან ერთი

---

[1] შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი აღწერა..., თბ. 1944, გვ. 157: „აქ აღაშენა ნვ მეფემან ბაგრატ ყოვლადწმიდისა ეკლესია შვენიერი, გუნბათიანი... შემუსრეს ოსმალთა...“

ზემოთ აღწერილი ნაწილი არის იევლევ-ტოლოჩანოვის „დიდი ქალაქი ქუთაისი“, რომელშიც საგანგებოდ იყო გამოყოფილი „კრემლი – ქალაქი" (Посольство... Толочанова и Иевлева в Имеретию, 1650 – 1652, изд. М. П о л и е в к т о в а, Тб., 1936, стр. 156 – 157).

[2] შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 157: „არს ციხე, და ციხიდამ ხიდი რიონსა ზედა“... აგრეთვე Ш. М е с х и а, Города.., გვ. 413: „посредством моста соединялись город Кутаиси и его крепость...“

[3] შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა.., გვ. 157: „არის ქალაქი ქუთაისი რიონის გაღმა-გამოღმა“... აგრეთვე: იევლევ-ტოლოჩანოვის „Малый нижний город Кутаис (Посольство... Толочанова и Иевлева в Имеретию, 1650 – 1652, изд. М. П о л и е в к т о в а, Тб. 1936, стр. 157; ასევე, Ш. М е с х и а, Города... გვ. 121).

დგას რიონში ამოყვანილ სამ თაღზე[1]. გალავნის კარებზე არის პატარა სამრეკლო კოშკი. შემოღობილი მოედნის შუაში დგას... მაგიდა... კიდეზე ქართული წარწერით. ამ ადგილს ეძახიან ოქროს ჩარდახს, ე. ი. ოქროს გალერეას, და მგონია, რომ ის უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი (სადგომი)[2].

ამ ეკლესიებს შორის 1770 წლის ივნისიდან 1772 წლის აპრილამდე იდგა რუსული კორპუსი, რის გამოც ჯერ კიდევ ჩანს ჯარის მიერ გათხრილი სანგრები. აქ ააშენეს ქოხები სომხებმაც, რომლებიც მცირე ვაჭრობას ეწევიან... საერთოდ, ქუთაისს შიგნით და გარეთ, მდინარის ორივე ნაპირას, ცხოვრობს 50-მდე[3], ნაწილობრივ სომხების, ნაწილობრივ ქართული ოჯახი... [ქუთაისთან] აშენებენ ცოტა ბამბას“[4]...

ასეთია ქუთაისი თავისი ციხე-გალავნებით, ეკლესიებით, ხიდით, აბანოთი და სხვა XVIII საუკუნის 70-იან წლებში.

ქუთაისის გარდა, გიულდენშტედტი იძლევა იმერეთის მთავარი სავაჭრო ცენტრის – ხონის მოკლე აღწერასაც. მისი სიტყვებით, „ხონი არის დიდი სოფელი, დაახლოებით 200 ოჯახით; იგი, აქაური ჩვეულების საწინააღმდეგოდ, წრეებად და ქუჩებადაა [დაყოფილი], მაგრამ ხალხი შორიშორს ცხოვრობს, რადგან ყოველ ოჯახს თავისი ბაღები და ნათესები თავის სახლებთან აქვთ. ჩემი სახლის პატრონის ვენახი იყო 400 ნაბიჯი სიგრძისა და 300 ნაბიჯი სიგანის... მეაბრეშუმეობა აქ საკმაოდ მნიშვნელოვანია... ქვიტკირის უგუმბათო ეკლესია [დგას] სოფლის შუაში...[5]“ „... ეკლესიის გვერდით არის დიდი მოედანი... ეს მოედანი 2 ვერსის ფართობს მოიცავს... [აქ] ყოველ პარასკევს [არის] ბაზროба“[6]...

*

გიულდენშტედტი მოგზაურობისას უყურადღებოდ არ სტოვებს ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველ მომენტებს. მაგალითად, იგი დეტალურად აღწერს მიცვალებულის დამარხვას ხონში, რასაც თვით დაესწრო (იხ. 16 აგვისტოს დღიური), რაც ძალზე საინტერესო წვრილმანებსაც კი შეიცავს[7]. ასევე გვაძლევს სუფრის სურათს, როცა ის ვახშმობდა ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად (იხ. 15 ივლისის დღიური)[8].

გიულდენშტედტმა, როგორც ექიმმა და ნატურალისტმა, ყურადღება მიაქცია ზოგიერთი წყლისა და მცენარის სამკურნალო გამოყენებას და ზოგისაც მომწამლავ მოქმედებას. მაგ.: ონის ჩრდილოეთით, ახლოს, ერთ ადგილას

[1–2] შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა.., გვ. 157: „აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდ-შენი შვენიერად, რიონსა ზედა წაკიდებული. ასპარეზი მოზღუდვილი... ჭანდრით“.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი ს თქმითაც „შემცირდა ფრიად ქალაქი [ოსმალთაგან]“. შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ. 1920, გვ. 136: „1772 წ. ქუთაისში ირიცხებოდა 50 კომლი“.

[4] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 139 – 143.

[5] იქვე, გვ. 151. შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 150: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუნბათიანი, შვენიერ-ნაგები. ზის ეპისკოპოზი“...

[6] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 153.

[7] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 151 – 153.

[8] იხ. ქვემოთ, გვ. 113.

იგრძნობა იის სუნი... „მოსახლეობა ამ სურნელს იყენებს სახსრების ტკივილების წინააღმდეგ. ისინი აკეთებენ პატარა ორმოებს, არჭობენ შიგ ლერწმის ღეროებს, საიდანაც ისუნთქავენ ჰაერს...[1]“ მსგავს მოვლენას აქვს ადგილი უწერასთანაც[2]. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ „დაფნის ფოთლის ნახარშს ხმარობენ ქავილის წინააღმდეგ“[3]. გიულდენშტედტი შენიშნავს აგრეთვე, რომ „პურში ღვარძლის შერევა დამათრობლად მოქმედებს და იწვევს კრუნჩხვას... იელი თაფლს ხდის მათრობელას და თხებისთვის მისი ფოთოლი სასიკვდილოა[4]...“ ერთი რამ კია საკვირველი, რომ წყალტუბოს წყლის შესახებ ის ამბობს: „წყალტუბოს წყალი არ ეკუთვნის სამკურნალო წყლებს-ო[5].

*

* *

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, გიულდენშტედტი უხვ მასალას იძლევა იმერეთის პოლიტიკური ისტორიიდან, რაზეც ჩვენ ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით. მივყვეთ კვლავ გიულდენშტედტისეულ თხრობას.

„იმერეთი დამოუკიდებელია სხვა ქართული პროვინციებისაგან. ამ პატარა სამეფოს ჰყავს თავისი საკუთარი მემკვიდრეობითი მეფე“[6].

1772 წელს [იმერეთის] სამეფო სახლიდან ცოცხლები იყვნენ: 1. იმერეთის მეფის ალექსანდრეს ძმა გიორგი, 2. თეიმურაზი, ალექსანდრეს ძმის, მამუკას შვილი; ალექსანდრეს ვაჟები: 3. სოლომონი (იმერეთის მეფე), 4. იოსები, არის პატრიარქი (კათალიკოსი) იმერეთისა... 5. ბაგრატი და 6. არჩილი, ცხოვრობს სოფ. საზანოში, ცოლად ჰყავს ერეკლე მეფის ასული, ელენე. ორივენი (ბაგრატი და არჩილი – გ. გ.) ცხოვრობენ როგორც იმერელი თავადები თავიანთ მამულებში[7].

„ალექსანდრე, სოლომონის ერთადერთი მემკვიდრე ბატონიშვილი, 12 წლისაა (დაბადებულია 1760 წელს), მშვენიერი გულისხმიერი ახალგაზრდაა“[8]... „ის არის... შავგვრემანი, ტანადი, მშვენიერი ყმაწვილი, ძალიან ცოცხალი, სათნო და მოსიყვარულე სახის გამომეტყველებისა. ეს ერთადერთი ვაჟი სოლომონ მეფემ მიაბარა თავად გ ი ო რ გ ი წ უ ლ უ კ ი ძ ე ს, თავის ყველაზე უერთგულეს თავადს, რომელიც მას ყველგან დაჰყვება,

„სოლომონი 37 წლისაა – გონიერი და ჭკვიანი მმართველი. დაიბადა 1735 წელს და ახალგაზრდა გამეფდა“[10].

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 107.
[2] იქვე, გვ. 125.
[3] იქვე, გვ 159.
[4] იქვე, გვ. 109.
[5] იხ. ქვემოთ, გვ. 147.
[6] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 281.
[7] იხ. იქვე, გვ. 205.
[8] იხ. იქვე, გვ. 205.
[9] იხ. ქვემოთ, გვ. 111.
[10] იხ. ქვემოთ, გვ. 205.

*

გიულდენშტედტი დამაჯერებლად აღწერს იმ ბრძოლებს, რაც სოლომონს მოუხდა თურქებთან – თუ მეზობელ თავად-მთავრებთან, რათა თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა.

აქაც მივყვეთ ამონაწერებს გიულდენშტედტის ცნობებიდან: „...თურქებს ის (სოლომონი – გ. გ.) არ მოეწონათ და ქვეყანაც მოსტაცეს და ტახტიდანაც ჩამოაგდეს. მის ნაცვლად იმერეთის მეფედ დაასახელეს თავადი თეიმურაზი. სოლომონ მეფემ კი თავისი ერთგული თავადების დახმარებით. დაამარცხა თეიმურაზიც და თურქებიც და ქვეყანაც და ტახტიც კვლავ დაიბრუნა“[1].

„ჩხართან, 4 წლის წინათ, სოლომონ მეფემ თავისი ერთგული იმერლებით, წერეთლის ხალხით და დაქირავებული ლეკებით დაამარცხა თურქები და მათ მიერ მეფედ დაყენებული თეიმურაზი, სოლომონის ბიძაშვილი, სახელდობრ, მეფე ალექსანდრეს ვაჟისა (უნდა იყოს ძ მ ი ს – გ. გ.) მამუკას ვაჟი, და ძმა ჯერ კიდევ ცოცხალი გიორგისა. მათვე შეუერთეს თავისი რაზმები დადიანმა, გურიელმა და რაჭის ერისთავმა, მაგრამ ასევე დამარცხებულ იქმნენ. დასახელებული გიორგი ზის პატიმრად რაჭაში, კვარას ციხეში...“[2]

როგორც ცნობილია, რაჭის ერისთავი სოლომონმა ბოლოს დასაჯა. აი რას წერს გიულდენშტედტი ამის შესახებ:

„... რაჭას ჰყავდა თავისი საკუთარი მმართველი რაჭის ერისთავის სახით. მაგრამ, როცა ის, თუმცა იმერეთის თავადი იყო, მიემხრო იმერეთის მეფის სოლომონის მოწინააღმდეგე (მტრულ) პარტიას, რომელიც 1769 წ. დამარცხდა, ის გადაყენებულ იქნა მეფის მიერ. ამის შემდეგ მეფე ამ მხარეს უყურებდა როგორც კანონიერად დაპყრობილს, რომელსაც აღარავინ ეცილებოდა...“[3] „... რაჭის ერისთავის ქვიტკირის სასახლე... სოლომონ მეფემ 3 წლის წინ ნანგრევებად აქცია. კერძოდ, მაშინ მეფე შევიწროებული იყო თურქთაგან და რაჭის ერისთავიც განუდგა მას; მეფემ იცოდა, რომ შესძლებდა მას გასწორებოდა და ერთგული თავადების, განსაკუთრებით წერეთლის, დახმარებით თავს დაესხა მას. მართალია, რაჭის ერისთავი მალე დანებდა, მაგრამ მეფემ ის დაატუსაღა, ამოათხრევინა ორივე თვალი და რაჭა გამოაცხადა თავის სამფლობელოდ. ბრმა თავადი და მისი უმცროსი ვაჟები სოლომონ მეფემ თავისთან დაიტოვა; 3 უფროსი ვაჟი კი გაიქცა თურქებთან ახალციხეში...[4]“ (ამასთან შენიშნულია, რომ რაჭას შეუძლია 5600 მეომრის გამოყვანა)[5].

*

რაც შეეხება სოლომონის ურთიერთობას დადიანთან, გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ, მართალია, სოლომონს ცოლად ჰყავს კაცია დადიანის და, მაინც დადიანს „იმერეთის მეფე სოლომონთან სასტიკი მტრობა აქვს...[6]“. მან

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 205.

[2] იქვე, გვ. 169. ამ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა 1765 – 68 წლებში – გ. გ.

[3] იქვე, გვ. 293.

[4] იქვე, გვ. 111.

[5] იხ. ქვემოთ, გვ. 131.

[6] იხ. ქვემოთ, გვ. 319.

(დადიანმა – გ. გ.) სამეგრელოს ეკლესია გამოჰყო იმერეთის დამოკიდებულებისაგან: „სამეგრელოს, ლეჩხუმსა და ოდიშს თითოეულს ჰყავს ეპისკოპოსი, რომელთა ეპარქიას შეადგენენ ეს აროვინციები და მხარეები. ისინი ემორჩილებოდნენ იმერეთის კათალიკოსს ანუ პატრიარქს, რამდენიმე წლის წინათ კი დადიანმა, სოლომონ მეფესთან მტრობის გამო, განათავისუფლა თავისი ეპისკოპოსები ამ დამოკიდებულებისაგან და პატრიარქად დასვა ბესარიონი – რაჭის ერისთავთა თავადური გვარიდან“[1].

დადიანმა მოსტაცა სოლომონს აგრეთვე ლეჩხუმი: „მნიშვნელოვანი მხარე ლეჩხუმი ეკუთვნოდა იმერეთს, მაგრამ უკანასკნელ ომში იმერეთმა დაკარგა და ის დაექვემდებარა სამეგრელოს დადიანს. სამეგრელოს დარჩა ახლანდელი ომის შემდეგაც...[2]“

სოლომონ-დადიანის მტრულ ურთიერთობაზე მიუთითებს ისიც, რომ გიულდენშტედტმა ვერ იმოგზაურა სამეგრელოში[3].

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა გურიელთანაც. „წინათ გურიელი ვასალურ და ლენურ დამოკიდებულებაში იყო იმერეთის მეფესთან, ახლანდელი კი დამოუკიდებელია და უფრო მეტი კავშირი თურქებთან აქვს, ვიდრე ასე, ახლობელ ნათესავ მეფესთან...“[4]

„... მეფეს გურიელთან ურთიერთობა ჰქონდა და მძევლები ჰყავდა მისგან აყვანილი. ამ ურთიერთობას აწარმოებდა ეპისკოპოსი, 70 წლის მოხუცი“[5] (შემოქმედელი ეპისკოპოსი – გ. გ.).

*

სოლომონმა რუსთა რაზმების (ტოტლებენის) დახმარებით დაამარცხა თურქები ქუთაისის, ბაღდადის და სხვა ციხეებში, დაანგრია ისინი და შეუდგა შედარებით მშვიდობიან მმართველობას.

„ამჟამად სოლომონი მეფობს მშვიდობიანად, ქვეყანა კი ძალზე მოოხრებული იყო...[6] (საერთოდ ტოტლებენის მოქმედებას გიულდენშტედტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს). „რუსული იარაღის შემწეობით სოლომონმა აღიდგინა მთელი სამეფო, მხოლოდ ლეჩხუმის ოლქი დაკარგა...“[7].

სოლომონმა, როგორც ცნობილია, წინ წამოსწია თავის ერთგულ თავადთა გვარები. ვნახოთ გიულდენშტედტის მიხედვით, თუ თავადთა რომელი გვარები იყვნენ მის კარზე დაწინაურებულნი და რა მოვალეობებს ასრულებდნენ ისინი, ვინც გიულდენშტედტმა ნახა.

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 321.

[2] იხ. ქვემოთ, გვ. 325. „ახლანდელი ომი“ უნდა იყოს 1771 წლის ამბები, როცა სოლომონმა გურია დაიმორჩილა, ხოლო ოდიშის შემომტკიცება კვლავ გადაიდო (შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920, გვ. 116).

[3] იხ. ქვემოთ, გვ. 173.

[4] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 311.

[5] იხ. ქვემოთ, გვ. 129.

[6] იხ. ქვემოთ, გვ. 205.

[7] იხ. ქვემოთ, გვ. 287.

„იმერეთის თავადთა გვარები 15-ია: რაჭის ერისთავი, ჯაფარიძე, წულუკიძე, იაშვილი, ყიფიანი, წერეთელი, ლორთქიფანიძე, მიქელაძე, აბაშიძე, ჩხეიძე, ნეიძე, აგიაშვილი, გაბ(უ)აშვილი, ფინეზიშვილი, ჯიჯავაძე. ხუთი უკანასკნელი [გვარის თავადები] არ არიან მდიდრები.

იმერეთში აზნაურები თითქმის ისევე ბევრია, როგორც გლეხი, ამასთან მესხები და კვინიხიძეები გამოირჩევიან სიმდიდრით“[1].

თავადი გიორგი წულუკიძე, ბატონიშვილ ალექსანდრეს აღმზრდელი, უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. „მას მეფემ გადასცა ხოტევის ციხე“[2].

„მე მინახულა თამაზ მესხმა. ის არის მეფის საბჭოს წევრი, ჩასუქებული მუსუსი, რომელსაც მოსასხამი ქარის მიმართულებით აქვს მოგდებული (ე. ი. მედროვეა – გ. გ.). მის ახლანდელ საქმეს შეადგენდა ეზრუნა ყველაფერზე, რაც საჭირო იყო უფლისწულის მოგზაურობისა და ჩემი ამალისთვის. ის არის ჯავახეთიდან; თურქებს გამოექცა იმერეთში“[3].

„წკადისში ჩვენთან მოვიდა მეფისგან გამოგზავნილი თავადი დავით კვინიხიძე, რომელიც გასულ წელს იყო სანკტ-პეტერბურგში როგორც მეფის ელჩი“[4]...

„სამეფო ბანაკში ახლა იყვნენ აგრეთვე მიტროპოლიტი მაქსიმე და მისი ძმა სახლთუხუცესი დავითი, – თავად აბაშიძეთა გვარიდან, რომლის ბიძაშვილს, ქაიხოსროს, ცოლად ჰყავს მეფის ასული დარეჯანი. მიტროპოლიტი 3 წლის წინ იყო სანკტ-პეტერბურგში, რათა ეთხოვა დახმარება თურქთა წინააღმდეგ, რაც მეფეს მალე აღმოუჩინეს და მას კეთილი შედეგიც მოჰყვა. მიტროპოლიტის ეპარქია არის ქუთაისის გარშემო, ამიტომ მას ქუთათელს უწოდებენ. ორივე ძმები უნდა იყვნენ 40 წელზე ნაკლები ხნისა, ჭკვიანი და საღად მოაზროვნე ადამიანები.

„აბაშიძეების გვერდით, რომლებიც ყველაზე მაღლა დგანან ამ სამეფოში, დიდი წონა აქვთ წულუკიძეებს... მოხუცი ბიძაშვილი (გიორგი წულუკიძისა – გ. გ.) პაატა კავშირში იყო რაჭის ერისთავთან; მის დაცემისთანავე გაიქცა დადიანთან და გახდა დადიანის სიმამრი. ორივე ძმა, პაატა და გიორგი, სოლომონ მეფეს ძალიან უყვარს; ისინი მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ასაკში არიან, სუსტები და გაუბედავები ჩანან[5].

„აგრეთვე ლორთქიფანიძეთა თავადური გვარიდან, რომელიც მეფის ნათესავია, გავიცანი ერთი, დაახლოებით 30 წლის, ძალიან საქმიანი კაცი, მეფის ბიძაშვილი; მისი მამა და მეფის დედა და-ძმები არიან. გურიელთა თავადური გვარიდან კარზე იყო ეპისკოპოსი გურიისა“[6].

„ოკრიბაში მეფემ გამაყოლა თავადები დავით მესხი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ წერეთელი; უკანასკნელი არის მეფის თარჯიმანი“[7].

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 281 – 283.

[2] იხ. ქვემოთ გვ. 115 (ხაზგასმა ჩვენია – გ. გ.).

[3] იხ. ქვემოთ, გვ. 113.

[4] იხ. ქვემოთ, გვ. 115.

[5] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 129.

[6] იხ. ქვემოთ, გვ. 129.

[7] იქვე.

*

(ყოველივე ზემოთ ნათქვამის გარდა, გიულდენშტედტი იმერეთთან იძლევა ახალციხის მოკლე აღწერასაც, თუმცა თვით ის არ უნახავს – გ. გ.)[1].

ასეთია მოკლე სურათი იმერეთის სამეფოს მდგომარეობისა, რომელიც ქართლ-კახეთის მსგავსად განიცდიდა ლეკთა თარეშებს[2].

*

* *

ცალკეა გამოყოფილი სამეგრელო, გურია და სვანეთი. მათი ურთიერთობის შესახებ სოლომონთან უკვე ზევით იყო ნათქვამი. მათ შესახებ გიულდენშტედტი იძლევა ზოგად დახასიათებას, რადგან მას თვით არ დაუთვალიერებია ეს მხარეები, თუმცა ემყარებოდა სანდო წყაროებს (უმეტესად სამეფო კარის წევრთა ცნობებს).

გარდა ზემოთქმულისა, სამეგრელოს შესახებ გიულდენშტედტი შემდეგს ამბობს: „სამეგრელო... ოდიში და ლეჩხუმი ჰქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს და ჰყავთ თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველი, რომელიც ატარებს დადიანის ტიტულს. ახლანდელი დადიანი კაცია, მართლმადიდებელი ქრისტიანი, არის ჩიქოვანთა გვარიდან და არა სამეფო გვარიდან; მართალია, რუსთა რაზმების გამოჩენისას. 1770 წ. მან ისევე, როგორც ორივე ქართველმა მეფემ, რუსეთის მომხრედ გამოაცხადა თავი, მაგრამ რამდენჯერმე შემჩნეულ იქნა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქებთან, რომლებთანაც ის, თუმცა ოდესღაც იმერეთის მეფის ვასალად და ყმად ითვლებოდა, უფრო ახლო ურთიერთობაში იყო, ვიდრე ქართველ მეფეებთან“[3].

„... აქაც (სამეგრელოში – გ. გ.) ისეთივე მორჩილებაა, ისეთივე თვითნებური გადასახადები და კანონები, ისეთივე შინამრეწველობა და მათი მოდუნებული წარმოება, ისეთივე საყოველთაო სიღარიბე, [როგორც სხვა ქართულ მხარეებში]. დადიანი ფულს არ ჭრის; მის ქვეყანაში, მთლად ისევე, როგორც იმერეთში, მიმოქცევაშია თურქული და სხვა ისეთივე მონეტები“[4].

სამეგრელოს თავადურ გვართაგან გიულდენშტედტის მიერ დასახელებული არიან: „1. ჩიქოვანი, რომლიდანაც დადიანი არის, 2. ჩიჩუა, 3. ფაღავა, 4. ხეიძე, 5. მიქაძე, 6. დგებუაძე, 7. აფაქიძე[5].

„სამეგრელოში, ოდიშთან ერთად, ითვლება 10 000 ოჯახი...[6]“

„ლეჩხუმში [არის]... 4000 ოჯახი“[7].

* *

გურიაც თითქმის ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც სამეგრელო. „თურქთა ხშირი შემოსევების გამო უაღრესად გაჩანაგებულია... თურქები

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 173 – 175.

[2] იხ. ქვემოთ, გვ. 173.

[3] იხ. ქვემოთ, გვ. 319.

[4] იქვე.

[5] იხ. ქემოთ, გვ. 323

[6] იქვე.

[7] იხ. ქვემოთ, გვ. 327.

მიერეკებიან მოსახლეობას და საქონელს... აგრეთვე დიდად მოქმედებს თურქთა „თამაში“ გურიის მმართველ წრეებთან, რაც გამოიხატება თავადთა დანიშვნა-გადაყენებაში თურქების მიერ“[1].

„... გურიის მმართველის ტიტულია გ უ რ ი ე ლ ი. ახლანდელი მმართველი არის გურიის თავადი, არა სამეფო გვარიდან; მას სახელად ჰქვია მ ა მ ი ა და არის მართლმადიდებელი... მისი ძმა გ ი ო რ გ ი – გურული თავადია“[2].

„... ქვეყანას ჰყავს ორი ეპისკოპოსი... შემოქმედელი და ჯუმათელი... ისინი ექვემდებარებიან იმერეთის პატრიარქს ანუ კათალიკოსს, რომელიც ორივე ეპარქიაში ჰკრეფს გადასახადს ზოგი მამულებიდან“[2]...

„... მოსახლეობის ნახევარზე მეტი გამაჰმადიანდა“[4]...

გურიაში, სხვა მხარეებისგან განსხვავებით, „ზღვის ნაპირას მოჰყავთ ბევრი ლიმონი, ფორთოხალი, ზეთისხილი, რაც... დანარჩენ საქართველოში გავრცელებული არ არის“[5]...

გურიის თავადთა გვარებიდან გიულდენშტედტს დაუსახელეს შემდეგი: „1. გურიის ერისთავი, ანუ მემკვიდრეობითი მმართველი, 2. თავდგირიძე, 3. მაჭუტაძე, 4. ნაკაშიძე, რომელთაგან არც ერთი არაა არც მდიდარი და არც ძლიერი“[6]...

„... მთელს გურიაში ითვლება 5000 ოჯახი, რომლებიც ემორჩილებიან გურიელს და თავადებს“[7]...

* *

რაც შეეხება სვანეთს, ის წინათ იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა, „ახლა უმთავრესად სრულიად თავისუფალია... მხოლოდ სამეგრელოს დადიანი ცდილობს ლეჩხუმის ახლოს მდებარე [ადგილებზე] გაავრცელოს თავისი ბატონობა“[8]...

გიულდენშტედტი მოკლედ აღწერს აგრეთვე სვანების გარეგნობას, ჩაცმა-დახურვას, მათს სარწმუნოებას და იმ მცირე ვაჭრობას, რასაც ისინი იმერეთში აწარმოებენ. აქვე დასძენს, რომ ადნობენ ტყვიასა და სპილენძს[9], რომ სვანებს ჰყავთ საკუთარი თავადები[10] და რომ სვანები უნდა იყვნენ არა უმეტეს 5000 ოჯახისა[11]...

*

ასეთია ზოგადად დასავლეთ საქართველოს სურათი, გიულდენშტედტის მიერ მოცემული.

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 311.
[2] იხ. ქვემოთ, გვ. 311.
[3] იხ. ქვემოთ, გვ. 311 – 313.
[4] იხ. ქვემოთ, გვ. 313.
[5] იქვე, გვ. 313.
[6] იქვე.
[7] იხ. ქვემოთ, გვ. 315.
[8] იხ. ქვემოთ, გვ. 329.
[9] იხ. ქვემოთ, გვ. 331.
[10] იქვე, გვ. 331.
[11] იქვე, გვ. 329.

*

* *

მოკლედ, მაგრამ მაინც გვსურს განვიხილოთ გიულდენშტედტის ის ცნობები, რომლებიც ეხება ერეკლე-სოლომონის რუსულ ორიენტაციას და საერთოდ ურთიერთობას რუსეთთან, იქნება ის ელჩების გაგზავნა პეტერბურგში, საქმეთა რწმუნებულების ყოლა სამეფო კარზე, ჯარის ნაწილების შემოსვლა, ხელშეკრულებები, თუ ომი თურქების წინააღმდეგ და სხვა[1].

გიულდენშტედტი ამ მხრივ იძლევა მოკლე, მაგრამ საფუძვლიან და სარწმუნო ცნობებს. ამ ცნობებიდან თვალნათლივ ჩანს ორივე მხარის (რუსეთისა და საქართველოს) მამოძრავებელი ინტერესები. ჩვენ მოვიყვანთ ამ ფაქტებს იმ ისტორიული რიგის მიხედვით, როგორადაც მათ ადგილი ჰქონდათ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

როგორც ცნობილია, სოლომონი და ერეკლე ემებდნენ საიმედო მოკავშირეს თურქეთ-სპარსეთის წინააღმდეგ; მათ ასეთად რუსეთი მიაჩნდათ და კიდეც სთხოვდნენ მას დახმარების აღმოჩენას. ამ მიზნით „1768 წ. სოლომონ მეფემ, პეტერბურგში გაგზავნილ მიტროპოლიტ მაქსიმე აბაშიძის საშუალებით, გამოითხოვა... დახმარება, რის დაპირებაზეც არც უყოყმანიათ, რადგან ამ დროს თურქეთთან ომი მზადდებოდა და ამით იყო გამოწვეული, რომ 1768 წ. დეკემბერში ლეიტენანტი ფაბულოვი[2], როგორც კარის ელჩი, გაგზავნილ იქნა სოლომონ მეფესა და ერეკლე მეფესთან“ (იგი იმერეთში სოლომონთან დარჩა 8 დღე, ხოლო თბილისში, სადაც ის თურქების ელჩობის გამო ფარულად ცხოვრობდა, დაყოვნდა 2 თვეს და 1769 წლის მაისში მოზდოკში დაბრუნდა).

„იგი გაგზავნილ იქნა... რათა თურქების საზიანოდ ამათთან მოლაპარაკება ეწარმოებინა და აგრეთვე დაპირებოდა რუსეთის დახმარებას, რასაც მათი წინაპრები უშედეგოდ ემებდნენ“...

საქართველოდან „მან ჩამოიტანა პეტერბურგში ცნობა სოლომონ მეფის სიხარულის შესახებ, რაც გამოწვეული იყო რუსეთის დახმარების დაპირებით... თურქთა წინაღმდეგ და აგრეთვე ერეკლე მეფის მზადყოფნის შესახებ, ქრისტიანების საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ემოქმედათ, იმ იმედით, რომ დაიბრუნებდა ჯავახეთის მხარეს და ქალაქ ახალციხეს“...

ამის შემდეგ „1769 წ. ივნისში საქართველოში გრაფ ტოტლებენის სარდლობით გაიგზავნა მცირერიცხოვანი ჯარი. კობთან მას შეეგება ერეკლე, ხოლო ქრცხინვალში – სოლომონიც. კორპუსს იმპერატორმა გამოუგზავნა მითითება, რომ ქართველებს თურქებისთვის საკუთარი ძალით შეეტიათ, ხოლო რუსეთის ჯარიდან იმდენი დამატებოდა, რაც საკმარისი იქნებოდა წასახალისებლად[3]. ე. ი. რუსეთის ჯარის მოვალეობა იყო ქართველების წაქეზება და

---

[1] ცნობები ძირითადად ამოღებულია გიულდენშტედტის მიერ დაწერილ ჯერ გამოუქვეყნებელი მოკლე წერილიდან, რაც შეეხება ერეკლე-სოლომონის ბრძოლას თურქებთან და რუსეთის დახმარებას (Р. I, оп. თი, № 19, п 15 – 20), იხ. ზემოთ, გვ. 015. ამასთან, აღარ მოვიშველიებთ ციტატებს გიულდენშტედტის მოგზაურობის ტექსტიდან.

[2] ალბათ ხვაბულოვი (იგივე ქობულაშვილი): იხ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან: ენიმკის მოამბე V – VI, 19440, გვ. 343.

[3] შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან: საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, თბ., 1943, ტ. XV – B, გვ. 54.

ომში ჩაბმა თურქების წინააღმდეგ, რუსებს კი ბრძოლის სიმძიმე ნაწილობრივ უნდა გაეზიარებინათ.

ბრძოლა საქართველოდან რუსეთის მთავრობის აზრით, ეს იყო დამატებითი ფრონტი, რომელიც რუსეთისთვის მაშინ გახდებოდა სასარგებლო, თუ მისი ფიზიკური მონაწილე საქართველო იქნებოდა. რადგან ომის გაჩაღება ადამიანთა დიდ მსხვერპლსა და მატერიალურ ზარალს გამოიწვევდა, ეს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ეროვნულ ინტერესს[1]. ზუსტად ამის დამადასტურებელია გიულდენშტედტის ცნობაც: „მას შემდეგ რაც გრაფმა მ თ ა ვ ა რ მ ი ზ ა ნ ს მ ი ა ღ წ ი ა და ე რ ე კ ლ ე მ ე ფ ე ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ჩ ა ა ბ ა თ უ რ ქ ე ბ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ა შ ი და ციხეს (აწყურისას – გ. გ.) კი... ვერა ავნო, დაიხია უკან ქრცხინვალისკენ იმ საბაბით, რომ სურსათი მაკლიაო...“ „ერეკლე მეფემ ეს კარგად მოფიქრებული უკანდახევა ახსნა როგორც გრაფის ღალატი და აბრალებდა, რომ თურქეთის საჩუქრებმა გააკეთებინეს ეს. ამ ბრალდებას შეურიგდნენ უფროსი ლეიტენანტი შოგლიკოვი და საქმეთა რწმუნებული მურავიოვი... ამათვე მიემხრო უფროსი ლეიტენანტი რატეევიც“...

ამ ციტატიდან ნათლად ჩანს რუსეთის იმპერიის მიზნები. რაც შეეხება სიტყვებს „კარგად მოფიქრებული“, ამას შეიძლება შემდეგი ახსნა მიეცეს: გიულდენშტედტი, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი და მოხელე, მისი ინტერესების დამცველი, უქებს ტოტლებენს საქციელს, რადგან მან კარგად შეასრულა იმპერატორის მითითება; ამასთან მოგზაური ხედავს, რომ ამისთანა ნაბიჯს ერეკლესთვის ღალატის მნიშვნელობა ჰქონდა (მტერთან მარტო შეატოვა). მაგრამ გიულდენშტედტი ამ ღალატს აქარწყლებს, რადგან იმპერიის ძირითადი გეგმა ზუსტად შესრულდა.

აქ ჩვენ არ შევჩერდებით იმ ამბებზე, თუ როგორი ურთიერთობა დამყარდა ამის შემდეგ ერეკლე-ტოტლებენს შორის. მოკლედ ვიტყვით იმას, რომ ტოტლებენი დაეხმარა სოლომონს ქუთაისის, ბაღდადის და შორაპნის ციხეების აღებაში, ფოთი კი აუღებელი დარჩა. რუსეთის მთავრობამ ტოტლებენის უკან გაწვევა საჭიროდ დაინახა და ის შესცვალა გენერალ-მაიორ სუხოტინით. სუხოტინის საქართველოში ყოფნას გიულდენშტედტი თვით მოესწრო. ამ დროს რუსეთს საქართველოს ეკონომიური შესწავლის სურვილიც აღეძრა, რაზედაც ზემოთ იყო ნათქვამი, როცა მოგზაურის საქართველოში მოსვლის მიზანს ვეცნობოდით.

თუ როგორი ვითარება შეიქმნა, მივმართოთ ისევ გიულდენშტედტს.

„1772 წ. ერეკლე მეფემ რუსეთში გაგზავნა თავისი მეორე ვაჟი ლეონი და ბიძაშვილი, პატრიარქი ანტონი, რათა იმპერატორისათვის თავისი ქვეყნები საკუთრებად მიერთმიათ და გამოეთხოვათ რაზმები და, რათა იმჟამად იქ (იმერეთში – გ. გ.) მყოფი რაზმები მუდმივად იმერეთში დარჩენილიყვნენ; რადგან რაზმების გაწვევა უკვე გადაწყვეტილი იყო, ამიტომ ეს ელჩები შემდგომი ბრძანების მიღებამდე ასტრახანში შეყოვნდნენ“...

„ფოთი მერც სუხოტინმა აიღო“.

„რადგან (პეტერბურგის) სამეფო კარმა დაინახა, რომ ამ გარემოებათა (მეფე-მთავართა შეუთანხმებლობა და შუღლი – გ. გ.) გამო საქართველოში პატა-

---

[1] შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

რა კორპუსის ყოლით მტერზე წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, ამიტომ 1772 წ. თებერვალში დაადგინეს კორპუსი უკან გაეწვიათ“... „... მარტში უკან გაწვევის ბრძანება მოუვიდა სუხოტინს...“ „... მეფეებს სოლომონსა და ერეკლეს მოუვიდათ იმპერატორის მიმართვა, რომ მათ განეგრძოთ საერთო მტრის წინააღმდეგ მოქმედება და რომ მათი პროვინციები, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილები, მოხსენებული იქნებოდნენ მომავალ სამშვიდობო ტრაქტატში. დადიანსა და გურიელს კი ასეთი რამ არ მიუღიათ. ყველა ამ ოთხივე თავადმა ხელი მოაწერეს „აქტებს“, რომელთა მიხედვითაც უნდა ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ და ვალდებულებას იღებდნენ რუსეთის ერთგულებისას, მაგრამ არა როგორც მოკავშირეები, არამედ როგორც ვასალები“.

სწორედ ეს უნდა იყოს ის ხელშეკრულება, რომელზეც გიულდენშტედტი 1773 წ. 15 იანვარს წერს, რომ ერეკლე „ახალი ხელშეკრულებით არის რუსეთთან კავშირშიო“. „კორპუსის გასვლის შემდეგ გვარდიის კაპიტან-ლეიტენანტი ლვოვი კვლავ დასტოვეს, როგორც საქმეთა რწმუნებული (მურავიოვის შემდეგ). საერთოდ, საქართველოს ეს ლაშქრობა ხელისუფლებას ძვირი დაუჯდა“...

გიულდენშტედტი კორპუსის გაწვევას სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით ხსნის; ის ყველგან აღნიშნავს, რომ საერთოდ საქართველოსთვის რუსეთის მფარველობა გახდა აუცილებელი თავისი არსებობის შენარჩუნებისათვისო“.

ამ ცნობების მოტანის შემდეგ ზოგადად შეიძლება ასეთ აზრს დავადგეთ:

რუსეთი, რომელსაც ომი ჰქონდა თურქეთთან, სულაც არ აპირებდა ახალი ფრონტის გახსნას (საკუთარი ძალებით) ამიერკავკასიაში, სამაგიეროდ ერეკლეს-სოლომონის სახით ის ხედავდა ისეთ ძალას (მათი ერთმანეთში თანხმობის შემთხვევაში), რომელსაც უნარი შესწევდა, ამ მხარეში დაებანდებინა თურქთა მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილები. ამიტომაც იყო, რომ რუსეთმა აქ მხოლოდ ერთი კორპუსი გამოგზავნა, რათა მას შეესრულებინა ომის წამახალისებლის როლი. რაც შეეხებათ ერეკლესა და სოლომონს, მათ უფრო ფართო გეგმები ჰქონდათ დასახული, რაც რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამებოდა – ეს იყო ქვეყნის აღდგენა და დაკარგული მიწების შემოერთება, რა თქმა უნდა, თურქთა სრული განდევნის შემდეგ. ამრიგად, რუსეთის მთავრობის მიზანი იყო საქართველოს გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ ომის მოგების ინტერესებისთვის და ამიტომ იგი არ სცნობდა ქართველი მეფის მიზანს – საქართველოს გაერთიანებას რუსული ძალის გამოყენების გზით.

რუსეთ-თურქეთის ომმა ის სარგებლობა მოუტანა საქართველოს, რომ საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლით რუსეთის მთავრობა სცნობდა თურქთა უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ოღონდ თურქეთი ხელს იღებდა იმერეთის დახარკვაზე. ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამიერიდან რუსეთი გამოდიოდა საქართველოს ინტერესების დამცველად ამიერკავკასიაში. ამით რუსეთმა ამიერკავკასიაში გასაბატონებლად დიპლომატიური ნიადაგი მოიმზადა[1].

---

[1] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

რაც შეეხება გიულდენშტედტის ცნობებში დაცულ ფაქტს, რომ ყიზლარში 2 წლის განმავლობაში უქმად იდგა რუს მემაღაროეთა რაზმი, რომლის გადმოყვანასაც ერეკლე თხოულობდა, ხოლო საიმპერატორო კარი თავს იკავებდა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მეფის რუსეთს არ სურდა, რათა იმჯერად დამოუკიდებელ საქართველოს საკუთრივ განევითარებინა თავისი სამთო საქმე. რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელი იყო ნედლეულით მდიდარი, მაგრამ ჩამორჩენილი საქართველო, ვიდრე განვითარებული ქვეყანა, რადგან ისეთის დაპყრობას უფრო ადვილად შესძლებდა. ამისთვის კი ჯერჯერობით ხელსაყრელი პირობები არ ჰქონდა და ამდენად ყოველგვარ გადამწყვეტ ნაბიჯს ერიდებოდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ურიერთობის განხილვაში გიულდენშტედტი არ სცილდება რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის პოზიციებს.

*

* *

ასეთია, ზოგად ხაზებში, გიულდენშტედტის მიერ აღწერილი საქართველო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გიულდენშტედტი, რამდენადაც შეუძლია, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, მაინც უშვებს შეცდომებს. ეს შეცდომები არ არის მძიმე, ისინი შედარებით (თუმცა არა ყოველგან) ადვილი მისახვედრია.

განსაკუთრებით ბევრია შეცდომები გეოგრაფიულ სახელებში, უმთავრესად დასახლებული პუნქტების ჩამოთვლისას. ჯერ ერთი, ეს გამოწვეულია იმით, რომ ის ჩაიწერდა სახელს ისე, როგორც ესმოდა, როგორც მას თარჯიმანი ან სხვა პირი ეტყოდა და, მეორეც, გამოცემის დროს არის დაშვებული კორექტურული შეცდომები. ქართული ერთიდაიგივე თანხმოვნების გადმოსაცემად სხვადასხვა ადგილას ის სხვადასხვა გერმანულ ასოებს იყენებს. ესეც იმას უჩვენებს, რომ სიტყვას იმგვარად აღწუსხავდა, როგორადაც ეს სიტყვა ყურს ჰხვდებოდა.

ზოგ ადგილას არეულია გეოგრაფიული პუნქტები: კახეთისა დასახელებულია ქართლში; ერთ ადგილას ამბობს, რომ ხევსურეთში დასახლებული არიან ოსებიო, თუმც იქ თვით არ ყოფილა (ამას ის აღნიშნავს) და ემყარება თავის მოსაზრებას, რადგან ფიქრობს, რომ თუ ქსანზე და ლიახვზე ზემოთ ცხოვრობენ ოსები, ხევსურეთშიც სულ ისინი უნდა იყვნენო.

გიულდენშტედტი მეფის ვაჟებს ეძახის „ცარევიჩს“ (ქართულად ასე ეძახიანო). ცნობილია, რომ ქართულ სამეფო კარზე ასე ბატონიშვილებს არავინ უწოდებდა.

დანარჩენი შეცდომები თვით ტექსტის თარგმნისას და შესავალში არის მითითებული, ასე რომ აქ მათი მოყვანა-გამეორება აღარაა საჭირო.

*

* *

ამრიგად, გიულდენშტედტის ცნობები იძლევიან უმდიდრეს საისტორიო გეოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიულ, გეოლოგიურსა და სხვა მრავალ მასალას ჩვენი ქვეყნის შესასწავლად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. აქვე კიდევ ერთხელ უნდა დავსძინოთ ამ ცნობათა სანდოობის შესახებ, რადგან, მოგზაური, როგორც მეცნიერი, ამ ცნობებს დიდი სიფრთხილით აგროვებდა.

_____

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში

ტექსტი და თარგმანი

Reise und Bemerkungen in Georgien 1771.

Ich habe schon angeführet, daß ich am 11 ten September von dem ossetischen Dorf Tschim oben am Terek ausbrach und mit meiner Begleitung und unter dem Schutze des ossetischen Fürsten Achmet mit 100 bewaffneten Oßetem das hohe Schnee – und Srheidegebürge paßirte und auch glücklich nach Duschet in der Provinz Karduel gelangte, womit also meine alten, von der kayserlichen Akademie der Wissenschaften genehmigten Entwürfe, Georgien und den südlichen Abhang des kaukasischen Gebürges zu bereisen und durch Beobachtungen und Nachforschungen diese zwar von jeher berühmten, aber bis jezo nur obenhin bekannten Gegenden nach ihrer geographischen und physischen Besrhaffenheit und die sie bewohneuden Völker nach ihren Wohnsitzen und Verfassungen so viel möglich kennen zu lernen und in der Folge mitzutheilen, in Erfüllung zu gehen, anfing.

Die gute Aufnahme vom Stathalter in Duschet machte mir gute Hof-Nüng. – Man reiset aber in Georgien wegen der Streifereyen der Lesgier nicht sicherer, als an der nordlichen Gebürgseite, so daß ich mich mit meinen 24 Kosaken nicht weit wagen durfte und wegen stärkerer Bedeckungen wieder sehr unwillkürlich reisen mußte. Ein etwas längerer Auffenthalt wird diese Hindernisse vergüten.

Um besonders ini Gebürge den guten Willen für meine Beschäftigungen zu mehrerer Thätigkeit zu bringen, und theils auch meine Bedürfnisse zu bezahlen, hatte ich mich mit 1100 großen Korallen, tat. Myntschak und 7 Pfund kleinen bunten Glaskorallen, 4000 Nähenideln, 100 Hemden, 600 Arschinen Leinewand, Fingerhüten, Scheeren, Messern, kleinen Spiegeln, unächten Tressen, Silber- und Goldfaden, Scheermessern etwas Laken, Filzhüten und mancherley kurzen Kram versehen, welches mir sehr nüzlich wurde. Ich versagte auch, so viel es die Umstände verstatteten, Kranken meinen Rath nicht, dadurch ich mich vorzüglich bey den Vornehmern und an den beyden zaarischen Höfen selbst empfahl. Man konnte in Tiflis und einigen andern Städten in den Kaufmannsbuden Nitrum, Borax, Tutia, Lithargyrium, Sal Ammoniacum, Succinum, Mercur. sublimatum, Ca-

მოგზაურობა და ჩანაწერები საქართველოში 1771 წ.

მე უკვე აღვნიშნე, რომ 1771 წლის 11 სექტემბერს, ჩემი ამალით და ოსეთის მთავრის ახმეტის დაცვით, რომელსაც ჰყავდა 100 შეიარაღებული ოსი, ოსურ სოფელ ჩიმიდან გავემართე ზემოთ თერგის გასწვრივ, გადავიარე მაღალი, თოვლიანი ქედი და მშვიდობით მივედი დუშეთში, ქართლის პროვინციაში. ამით დავიწყე, საიმპერატორო აკადემიის მიერ მოწონებული, ჩემი ძველი გეგმების განხორციელება – შემომევლო საქართველო და კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთები და, რანდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შემესწავლა დაკვირვებითა და კვლევა-ძიებით ეს მხარეები, რომლებიც თუმცა ძველთაგანვე განთქმული არიან, მაგრამ დღემდე მხოლოდ ზერელედ არიან შესწავლილი; უნდა შემესწავლა მათი გეოგრაფიული და ფიზიკური თვისებები, მათი ხალხები – დასახლებისა და საზოგადოებრივი წყობის მიხედვით, და შესწავლის შედეგები გამომექვეყნებინა.

დუშეთის მმართველის კარგმა მიღებამ დიდი იმედები მომცა. ლეკთა თავდასხმების გამო საქართველოში მოგზაურობა არ არის უფრო უხიფათო, ვიდრე ქედის ჩრდილოეთ მხარეში. ამიტომ მე ვერ გავბედე შორს წასვლა ჩემი 24 კაზაკით და ძალაუნებურად უნდა მემგზავრა მცველთა უფრო ძლიერი რაზმით. ეს დაბრკოლებები ანაზღაურებული იქნება ჩემი უფრო ხანგრძლივი ყოფნით ქვეყანაში.

რომ შემექმნა უკეთესი პირობები ჩემი მუშაობისათვის მთებში და რათა ნაწილობრივ დამეფარა ჩემი დანახარჯები, მოვმარაგდი 1100 ლლლი მარჯნით, თათრულად მინჩაკ, და 7 გირვანქა პატარა, ჭრელი შუშის მარჯნებით, 4000 საკერავი ხემსით, 100 პერანგით, 600 არშინი ტილოთი, სათითეებით, მაკრატლებით, დანებით, პატარა სარკეებით ყალბი სირმებით, ვერცხლის და ოქროს მკედებით, სამართებლებით, ზეწრებით, ნაბდის ქუდებით და სხვადასხვა წვრილმანით, რომლებმაც მე დიდი სარგებლობა მომიტანეს. რამდენადაც პირობები მიწყობდნენ ხელს, მე უარს არ ვამბობდი მიმეცა რჩევა ავადმყოფთათვის და ამით ჩემი თავი კარგი მხრით გავაცანი დიდებულებსა და ორივე სამეფო კარს. თბილისისა და ზოგიერთი სხვა ქალაქების დუქნებში შეიძლებოდა მეყიდა Nitrum, Borax, Tutia, Lithargyrium, Sal Ammoniacum, Succinum, Mercur. Sublimatum, Castoreum, Folia Sennae, Gummi Guttae, Rheum, Opium, Sem. Santonicum, Cort. Peruvianum, Gummi Ammoniacum, Munna, Rad. Chinae, Scamonium, Camphora, Gummi Myrrhae და სხვადასხვა წვრილმანი მედიკამენტები.

storeum, Folia Sennae, Gummi Guttae, Rheum, Opium, Sem. Santonicum, Cort Peruvianum, Gummi Ammoniacum, Manna, Rad. Chinae, Scamonium, Camphora, Gummi Myrrhae und noch verschiedenes zum Arzeneykram gehöriges kaufen.

Den 9 ten Oktober brach der Statthalter des Distrikts Duschet Fürst Koichoro Tscholokaschilli, mit seinem gesammleten, etwan 800 Mann starken Corps von Duschet auf und ging über Muchran nach dem Kloster. Zcheta, 15 Werst über Teflis, am Einfalle des Argi in den Kur, wo sich die Truppen des Zaars Heraclius zusammengezogen hatten. Ich nuzte diese sichere und wegen des langsamen Fortrükens für meine Geschäfte bequeme Gelegeuheit und begleitete den Fürsten. Das Kloster Zcheta ist wegen der zaarischen Begräbnisse berühmt, die ich besahe.

Der Zaar Heraclius traf mit seinem Gefolge den 14 Oct. im Lager ein und ertheilte mir des folgenden Tages eine förmliche Audienz. Er bezeigte große Zufriedeuheit über meine Ankunft und versicherte mich alles Beistan des, dessen meine Expedition bedürftig seyn möchte, den ich auch auf das vollkomenste genossen habe. Er erlaubte mir ihm und den Truppen zu folgen, welches nüzlich war. Der Zug ging am Kur, etwan 120 Werst hinauf bis zur türkischen Stadt Hentiois auch Chartys, die überfallen und geplündert ward. Nachher kehrte der Zaar nach Téflis zurück, wohin ich ihm so lieber folgte, da ich ein halbes Jahr im Felde unter Zelten gelebt hatte und mich für den hier ohnehin kurzen Winter nach einem ruhigern Quartier sehnte. Die Reise ging über die Stadt Krzchinwal, Keltubani, Tschala, Muchran und das Kloster Zcheta.

Den 14 ten Novemb. erreichte ich die zaarische Residenz Teflis. Die Stazionen von Mosdok am Terek bis Teflis am Kur sind also: Von Mosdok dis zum untersten oßetischen Dorfe Nischnoi Tschim am Terek 96 bis 100 Werst.

Vom untern Tschim bis zur obern Tschim oder Achmetowa am Terek	7 W.
Von hier am Terek hinauf durch und über das Gebürge bis Stepan-Zminda, dem nordlichsten kartulischen Orte am Terek 22 bis	25 W.
Von da gehet der gewöhnliche Weg nach Kobi	16 w.
von Kobi nach Guda	9 –
über Ananur	42 –
nach Duschet	11 –
und von da über verschiedene. Oerter nach Teflis	50 –
“Also von Mosdok bis Stepan-Zminda, dem ersten georgischen 0rte, etwa	130 W.
„und von da bis Teflis	128 W.
	258 W.

9 ოქტომბერს დუშეთის რაიონის მმართველი თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, დაახლოებით 800-კაციანი რაზმით, გაემართა დუშეთიდან – მუხრანზე გავლით – მცხეთის მონასტრისკენ, თბილისიდან 15 ვერსით ზევით, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს და სადაც ერეკლე მეფის რაზმები იყო თავმოყრილი. მე გამოვიყენე ეს საიმედო და, ნელი სვლის გამო, ჩემი საქმისთვის ხელსაყრელი შემთხვევა და გავყევი თავადს. მცხეთის მონასტერი ცნობილია მეფეთა სამარხებით, რომლებიც მე დავათვალიერე.

ერეკლე მეფე მოვიდა ბანაკში თავისი ამალით 14 ოქტომბერს და მეორე დღეს დამინიშნა მე ოფიციალური აუდიენცია. მან გამოთქვა დიდი კმაყოფილება ჩემი მოსვლის გამო და დამპირდა ყოველგვარ დახმარებას, რაც კი დასჭირდებოდა ჩემს ექსპედიციას. ეს დაპირება მე ამომწურავად გამოვიყენე. მან ნება დამრთო გავყოლოდი მას და მის რაზმებს, რაც ჩემთვის სასარგებლო იყო. ლაშქარმა გაიარა ზევით მტკვრის გასწვრივ, დაახლოებით 120 ვერსი, თურქულ ქალაქ პენტიოისამდე, იგივე ხარტისახდე[1], რომელსაც ლაშქარი თავს დაესხა და დაარბია. შემდეგ მეფე დაბრუნდა თბილისში; მეც მას გავყევი მით უფრო ხალისით, რომ ნახევარი წელი გავატარე მინდვრად, კარავში, და მსურდა მქონოდა, ამ ისედაც მოკლე ზამთარში, მყუდრო ბინა. ჩვენ გავიარეთ ქრცხინვალი, ხელთუბანი, ჭალა, მუხრანი და მცხეთის მონასტერი.

14 ნოემბერს მოვედი მეფის რეზიდენციაში თბილისში.

სადგურები მოზდოკიდან (თერგზე] – თბილისამდე (მტკვარზე) შემდეგია: მოზდოკიდან ყველაზე ქვემოურ ოსურ სოფლამდე, ქვემო ჩიხამდე (Nischnoi Tschim) თერგზე, 96 - 100 ვერსი. ქვემო ჩიმიდან ზემო ჩიმამდე ანუ ახმეტოვამდე (თერგზე) – 7 ვერსი. აქედან თერგის აყოლებით ზევით, ქედს გადაღმა, სტეფანწმინდამდე – ყველაზე ჩრდილოეთის ქართულ პუნქტამდე თერგზე – 22 – 25 ვერსი. აქედან მიდის ჩვეულებრივი გზა კობში – 16 ვერსი.

კობიდან გუდაში – 9 ვერსი
ანანურზე გავლით – 42 ვერსი
დუშეთში – 11 ვერსი.

აქედან კი სხვადასხვა ადგილებზე გავლით თბილისში – 50 ვერსი.

ასე რომ, მოზდოკიდან სტეფანწმინდამდე, პირველ ქართულ პუნქტამდე დაახლოებით 130 ვერსი.

აქედან თბილისამდე - 128 ვერსი

სულ 258 ვერსი

სტეფანწმინდიდან მიდის ჩვეულებრივი გზა ქუთაისში, ლარგვის მონასტერზე გავლით (ქსანზე), დაახლოებით – 93 ვერსი. ქრცხინვალამდე დიდ ლიახვზე – 50 ვერსი. სურამის სიმაგრემდე მტკვარზე – 40 ვერსი. მერე კი იმერეთში შორაპნამდე - 33 ვერსი და შემდეგ ქუთაისში რიონზე – 38 ვერსი.

ასე რომ, მოზდოკიდან სტეფანწმინდამდე – 130 ვერსი
და საქართველოში ქუთაისამდე – 254 ვერსი
სულ 384 ვერსი

---

[1] ეს არის ხერთვისი – გ. გ.

Von Stepan-Zminda ist der gewöhnliche Weg nach Kutais über das Kloster Largsvi am Ksani, etwan	93 W.
bis Krzchinwal am Didi Liachwi	50 –
bis zur Festung suram am Kur	40 –
und nun in Imerete bis Scharapani	33 –
und dann Kutais am Rion	38 –
„Also von Mosdok nach Stepan-Zminda	130 –
„und in Georgien bis Kutais	254 –
	384 W.

Ein etwas anderer Weg geht von Stepan-Zminda oder Kasbek über das Kloster Ananur	55 W.
nach Duschet	9 –
Kloster Tschala	48 –
Krzchinwal	59 –
Dorf Abys	25 –
nach Kutais	100 –
	296 W.

Von Teflis geht der gewöhnliche und gradeste Weg nach Kutais über Duschet	50 W.
Muchran	20 –
Krzchinwal	43 –
Suram	40 –
Wachani	24 –
Zeheri	18 –
Scharapani	16 –
nach Kutais	38 –
	249 W.

Hier lieBen mir Ihro zaarische Hoheit täglich Schuz, Vorsorge und Beförderung aller meiner Absichten erfahren. Der Hof und die GroBen aber beweisen zu Hiilfleistungen die riihmlichste Willfährigkeit. Die ganze Expedition hatte in der stadt gute Quartiere und die Kosaken mit ihren und den Expeditionspferden standen auf einem nahen Dorfe, we Mann und Pferd frey gehalten werden, welches den Leuten bey der hiesigen Theurung sehr zu statten kömt

Die Fürsten und statthalter in den Provinzen beantworten meine schriftlichen Fragen und Bitten, meistens mit deren Gewährung. Auch von imeretischen Zaar salomon erhielt ich Antworten, die mir in dessen Lande allen Schuz und Beystand versicherten. Die schreiben des Zaars werden statt der Unterschrift mit einem mit RuB geschwärzten vierekigen stempel

რამდენადმე განსხვავებული გზა მიდის სტეფანწმინდიდან, ანუ ყაზბეგიდან ანანურის მონასტერზე გავლით – 55 ვერსი.

დუშეთამდე – 9 ვ.
ჭალის მონასტრამდე – 48 ვ.
ქრცხინვალამდე – 59 ვ.
სოფ. აბისამდე – 25 ვ.
ქუთაისამდე – 100 ვ.
სულ 296 ვერსი.

თბილისიდან მიდის ჩვეულებრივი და სულ პირდაპირი გზა ქუთაისში, დუშეთზე გავლით:

დუშეთი – 50 ვ.
მუხრანი – 20 ვ.
ქრცხინვალი – 43 ვ.
სურამი – 40 ვ.
ვახანი – 24 ვ.
ჩხერი (Zecheri) – 18 ვ.
შორაპანი – 16 ვ.
ქუთაისამდე – 38 ვ.
სულ 249 ვერსი.

მისი მეფური უმაღლესობა მე ყოველდღიურად მიწევდა აქ მფარველობას, ზრუნავდა და ხელს უწყობდა ყველა ჩემი გეგმების განხორციელებას, სამეფო კარი და დიდებულები იჩენდნენ მეტად სანაქებო მზადყოფნას – დამხმარებოდნენ მე. მთელს ექსპედიციას ჰქონდა ქალაქში კარგი ბინები; კაზაკები თავიანთი და ექსპედიციის ცხენებით იდგნენ მახლობელ სოფელში, სადაც ხალხს და ცხენებს ინახავდნენ უფასოდ, რაც ხალხლისთვის, აქაური სიძვირის გამო, ძალიან ხელსაყრელი იყო.

თავადები და პროვინციების მმართველები პასუხს მიგზავნიდნენ ჩემს წერილობით კითხვებსა და თხოვნებზე, უმეტესად მათი ასრულების პირობით. აგრეთვე იმერეთის მეფის სოლომონისაგან მივიღე პასუხები, რომლებიც აღმითქვამდნენ სრულ მფარველობასა და დახმარებას. მეფის სიგელები, ხელმოწერის მაგიერ, აღინიშნებოდნენ ოთხკუთხა ბეჭდით, რომლის დიამეტრი იყო 5/4 დუიმი და რომელსაც სვრიდნენ მურით. შეიძლებოდა მასში ასოების მოხაზულობის დანახვა.

ერეკლე მეფემ ბრძანა ჩემთვის დაეჭირათ ნადირები, მოეტანათ მინერალები და ხშირად დიდხანს და არაჩვეულებრივად თავაზიანად მესაუბრებოდა მე.

15 ნოემბერს მეფემ მიმიწვია და მელაპარაკა ძალიან თავაზიანად ჩემს გეგმებსა და მიზნებზე, თავისი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, პრუსიის ომზე და ა. შ. ამის შეხდეგ ის მე ხშირად მიხმობდა კარზე, მაჩვენებდა ხოლმე მინერალებს, ეცნობოდა მათი დამუშავების ხერხებს; იგი დამპირდა ნება დაერთო მემოგზაურა მის ქვეყანაში, სადაც მოვისურვებდი დამეთვალიერებინა და შემესწავლა ყველაფერი. მეტწილად ვხვდებოდი მე მასთან პატრიარქ ანტონს, მის ბიძაშვილს; იგი ახლდა მეფეს მაშინაც, როდესაც ერთხელ პატივი დამდო მეფემ და მესტუმრა, რათა ენახა ჩემი კოლექციები ((dax GesammeIte).

von etwan 5/4 Zoll im Durchmesser bezeichnet. Man erkennet den Sehatten von Buchstaben darinn.

Der Zaar Heraclius oder Eracly ließ für mich Thiere fangen, Mineralien kommen – und besprach und unterhielt sich oft lange und ungemein gütig mit mir.

Den 15ten November ließ mich der Zaar zu sich entbieten und sprach sehr gnädig von meinen Absichten, der Beschaffenheit seines Landes, von Preußischen Kriege u. s. f. Er ließ mich nachher sehr oft nach Hofe rufen, zeigte Mineralien, erkundigte sich nach deren Behandlung und versprach mich in seinem Lande, wohin ich wolle reisen und alles sehen und untersuchen zu lassen. Meistens traf ich den Patriarchen Anton seiueu Vetter bei ihm an, der auch den Zaar begleitete, als er mich einmahl, um das Gesammelte zu sehen, mit seinem Zuspruche beehrte.

Den 22sten November besuchte ich einen kalten Schwefelbrunnen oder eingefaßte Quelle im rechten Ufer des Kur neben der Stadt. Er gleicht bis auf die mangelnde Wärme dem hiesigen Warmenbade in allen.

Den 24sten November und mehrere Mahle machte ich Excursionen nach den hohen Ufern und den verschiedenen tiefen Klüften, die das Innere des kaukasischen südlichen Vorgebürges zeigen: wovon weiterhin.

Der Zaar schickte mir kleine, mit Thou bedekte Salzklöße aus diesen und andern Klüften, um sie zu prüfen. Sie bestanden aus lauter Glaubersalz.

Im November erhielt ich in Teflis aus dem Thierreich Tetrao rufus und Alchata, Rana Rufo, Hirudo sanguisuga, georg. Zurbela, Graculus, den gemeinen Fuchs, und Haasen; Cancer Cursor, Testudo lutraria. geo. Ku, türk. Tostaga, Salmo Hucho und Cyprinus Fundulus, auch den hier häufigen Schakal. Ich beschrieb die unbekannteren Thierarten. Der Schakal der Perser, der gemeiniglich Iakhals genennet wird, Lupus aureus Kaempf. Canis aureus L. hält das Mittel zwischen dem Wolfe und Fuchse, und wäre nicht auch der Wolf selbst hier, könnte man ihn für einen ausgearteten Wolf halten. Er ist nur von der halben Größe des Wolfs und gleich an seinem braunen, mit gelb schattirten Haar zu erkennen. Ich habe ihn in den Academischen Commentarien genau beschrieben.

Den 1 sten December besahe ich die hiesige Salzsiederey. Den 3ten December ward mir die Einrichtung des Münzhauses gezeigt, auch ward mir der Schmelzprozeß der zaarischen Hütten mitgetheilt.

Der Monat war übrigens sehr regnigt und verstattete wenig Excursi-Onen.

Ganz nahe bey der Stadt, über derselben, etwan 100 Schrite vour rechten des Kur Sprudeln warme Quellen, die eingefaßt sind und nach fünf Badstuben geleitet werden, die ich mehrmahl besucht hatte und nun untersuchte:

22 ნოემბერს ვინახულე გოგირდის ცივი ჭა, ანდა შემოზღუდული წყარო, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ახლოს. ის მთლიანად ჰგავს ადგილობრივ თბილ აბანოებს, გარდა არასაკმაო სითბოსი.

24 ნოემბერს კი რამდენჯერმე ვიყავი ექსკურსიებზე – მაღალ ნაპირებზე და სხვადასხვა ღრმა ხეობებში, რომლებიც გვიჩვენებენ კავკასიის სამხრეთი მთისწინეთის შიგნეთს (das Innere); მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მეფემ გამომიგზავნა მე პატარა, თიხით დაფარული მარილების ბელტები ამ და სხვა ხეობებიდან, რათა გამომეკვლია ისინი. ისინი შედგებოდნენ სუფთა გლაუბერის მარილისაგან.

ნოემბერში თბილისში ცხოველთა სამყაროდან მივიღე Tetrao rufus და Alchaia Rana Rufo, Hirudo sanguisuga, ქართულად წურბელა, Graculus, ჩვეულებრივი მელია და კურდღელი: Cancer Cursor, Testudo lutraria ქართულად კუ, თურქულად ტოსტაგა, Salmo Hucho და Cyprinus Fundulus, აგრეთვე აქ გავრცელებული ტურა. მე ავწერე უცნობი სახეობები ცხოველებისა. სპარსული ტურა, რომელსაც საერთოდ იაკხალს (Iakhals) ეძახიან: Lupus aureus Kaempf. Canis aureus L[1]. არის საშუალო მგელსა და მელას შორის და, აქ რომ მგელი არ ყოფილიყო, შეიძლებოდა ადამიანს ის მიეჩნია გადაგვარებულ მგლად. ზომით ის მგლის ნახევარია და გამოირჩევა თავისი მოყვითალო-ყავისფერი ბეწვით. მე ის დაწვრილებით ავწერე აკადემიის კომენტარიებში“.

1 დეკემბერს დავათვალიერე აქაური მარილსახდელი ქარხანა.

3 დეკემბერს მაჩვენეს ზარაფხანის მოწყობილობა, ასევე გამოდნობის პროცესი მეფის „ქარხნებში“.

სხვათა შორის, თვე იყო წვიმიანი და ხელს გვიშლიდა ექსკურსიები ხშირად გვეწარმოებინა.

სულ ახლოს ქალაქთან, მის ზემოთ, დაახლოებით 100 ნაბიჯზე მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან, გადმოდის თბილი წყაროები, რომლებიც შემოზღუდული არიან და მიემართებიან აბანოს ხუთი შენობისკენ, სადაც მე რამდენჯერმე ვყოფილვარ, ახლა კი გამოვიკვლიე:

1. წყალი არაა ცხელი, მაგრამ ძალიან თბილია; თბილი და ახალი; გაცივებული კი გამჭვირვალეცაა.

2. გემოთი და სუნით ძალიან გოგირდიანია; როცა ცივია, ეს ნიშანი ნაკლებ შეიმჩნევა.

3. მარილმჟავას მიხედვით არ შეიცავს რკინას და

4. მჟავები ასევე არ შეიცავენ ტუტეებს.

5. თუ გავხსნით ღვინის ქვის მარილთან და

---

[1] აქ მოყვანილ ცხოველთაგან რ. ერისთავის „ლექსიკონის“ მიხედვით:
Tetrao rufa – კაკაბი
Hirundo medieinalis – წურბელა
Cancer – კიბორჩხალა
Cyprinus – ჭანარი
Canis aureus – ტურა

l. Das Wasser ist nicht heiß, nur stark warm; warm und frisch, ingleichen kalt ist es klar.
2. Es schmeckt und riecht sehr schwefelleberich und beydes merkt man nach dem Erkalten wenig.
3. Galläpfel zeigen kein Eisen und
4. Säuren kein Alkali auch
5. Aufgelöst Weinsteinsalz und
6. Bleyzuker keine Erde n. s. f.
7. Es sezt auch keinem Tuf ab.
8. Beim Abdunsten bleibt blos ein wenig mineralisch Alkali; aber weder Erde noch Salze nach. Blos hierin unterscheidet es sich von den Bädern im nordlichen Vorgebürge des Kaukasus. Von denselben vorh, denn es ist wie jene ein rein Wasser, mit einer zarten Schwefelleber aus Schwefel und Natran.

Die Einwohner in Teflis nuzen es bloß zur Reinigung des Körpers und der Kleidung; einen medicinischen Gebrauch führte ich zuerst ein. Die Erfahrung bekräftigte die Theorie, daß es nämlich wieder die Gelbsucht, Rhevmatismen, steife Gelenke und ähnliche Uebel innerlich und äusserlich gebraucht, nüzlich sein werde.

Den 30sten December besuchte mich der regierende Gandscha Chan, und der Eristav David.

Ausser dem schon genaunten Pitsch-Chusi, Cyprinus (Fundulus) pinnae dorsalis radio tertio postire serrato; Der 1 Fuß Länge enthält und von Ansehen des Cypr. Nasus. ist, erhielt ich in Kur noch zwey neue Fische nämlich: (Cyprinus Capoeta) cirrhis 4, radiis membrana 9, pinnis dorsi omnibus inermibus, et tertio postice basin versus serrato, dorso acuto, den die Georgianer Tschanari nennen, und der das Ansehen der Barbe hat; und Cyprinus (Mursa) cirrhis 4, radiis pinnae ani 7, pinnis dersi omnibus inermibus et tertio postice basin versus serrato, dorso rotundato. Die Georgianer nenuen ihn Mursa, er hat die Größe des Cypr. Tinca und das Ansehen des Hechtes. Alle beschrieb ich genau und lies sie zeichnen (Cyprinus Capoeta et Mursa in Nov. Comment. Petrop.).

Vom Dschairan der Perser und Türken haben die Zoologen bisher nur unvollständige Keuntniß gehabt. Er ist in Georgien häufig, und scheint mit der Gazelle und den Kewel des Grafen Büffon nahe verwandt zu seyn. Diese Dorcas gehört aber so wenig zum Hirsrh - als Ziegengeschlecht, sondern zu den Antilopen, welche der Hr. Academicus Pallas mit der ihm ganz eigenen Gründlichkeit in seinen Spicilegiis zoologicis determiniret hat.

Salmo Salar, war jetzt auch im Kur; Lacerta Stincus L. ward mir aus der Nähe gebracht, auch erhielt ich ein geschossen wildes Schwein und ein lebendig Reh, beide ohne alles besondere.

Im December blühete um Teflis Teucrium Chamaepythis, Hyssopus, officinalis, Polygonum frutescens, Lamium album, Consolida regalis.

6. ტყვიის შაქართან, არ დარჩება მიწა და ა. შ.

7. არ გვაძლევს ნალექს ტუფზე.

8. აორთქლებისას რჩება მხოლოდ ცოტა მინერალური ტუტე, მაგრამ არც მიწა, არც მარილები. მხოლოდ ამით განირჩევა ის კავკასიის ჩრდილოეთი მთიანეთის წყლებისაგან. ეს რომ გამოვრიცხოთ, მაშინ ის, ისევე როგორც ჩრდილოეთისა, არის სუფთა, გოგირდისა და ნატრანის მსუბუქი შენაერთით.

თბილისის მცხოვრებნი იყენებენ მას მხოლოდ ტანის დასაბანად და საცვლების გასარეცხად. მე პირველად შემოვიღე მისი სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენება. ცდებმა გაამართლეს თეორია, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას შინაგანი და გარეგანი მკურნალობისათვის – სიყვითლის, რევმატიზმის, სახსრების გაშეშების და მისთანა ავადმყოფობების დროს.

30 დეკემბერს მე მინახულეს განჯის მმართველმა ხანმა და დავით ერისთავმა.

გარდა უკვე ნახსენებ ფიჩხულის, Cyprinus (Fundulus) pinnae dorsalis radio Lertio postice serrato, რომლის სიგრძეა 1. ფუტი და ჰგავს Cypr. Nasus, მე დავიჭირე მტკვარში კიდევ ორი ახალი სახეობა თევზისა, სახელდობრ: Cyprinus capoetis cirrhis – 4, radiis membrana 9, pinnis dorsi, omnibus iner mibus, et tertio postice basin versus sérrato, dorso acuto, რომელსაც ქართველები ეძახიან ჭანარს და რომელიც ჰგავს მურწას; და Cyprinus (Mursa-მურწა, გ. გ.) cirrhis – 4, radiis pinnae ani – 7, pinnis dorsi omnibus inermibus et tertio postice basin versus serrato, dorso rotundato. ქართველები ეძახიან მას მურწას, სიდიდით როგორც Cypr. Tinca და ჰგავს ქარიყლაპიას. ყველა დაწვრილებით აღვწერე და ჩავახატვინე (Cyprinus Capoeta et Mursaნ Nov. Comment. Petrop.)

სპარსულ და თურქულ ჯეირანზე ზოოლოგებს აქამდე ჰქონდათ მხოლოდ არასრული წარმოდგენა. ის ხშირად გვხვდება საქართველოში და უნდა იყოს იმავე სახეობისა, როგორც ქურციკი და გრაფ ბიუფონის Kewel. ეს ჯეირანი არც ირმების ოჯახს ეკუთვნის და არც თხებისას, არამედ ანტილოპებისას, რომლებიც ბატონმა აკადემიკოსმა პალასმა მისთვის ჩვეული საფუძვლიანობით განსაზღვრა თავის Specilegia zoologica-ში.

Salmo Salar (ორაგული) იყო ეხლა აგრეთვე მტკვარშიც; Lacerta Stincus L. მომიტანეს არც თუ შორიდან; ასევე მივიღე მე მოკლული ტახი და ცოცხალი ირემი; არც ერთი მათგანი არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს.

დეკემბერში თბილისის ირგვლივ ყვაოდნენ Teucrium Chamaepythis, Hyssopus officinalis (უსუპი), Polygonum frutescens, Lamium album (ჭინჭრისდედა), Consolida regalis.

ჯერ კიდევ ქორფად და ახლად გამოიყურებოდნენ Malva rotundifolia (ბალბა ანუ მოლოქი), Reganum harmala, Zygophyllum Falago, Achiliea

---

[1] 4 – 6. მჟავები – მიწა და ა. შ., შეიძლება ასეც ვთარგმნოთ:

4. და მჟავები არ შეიცავენ ტუტეებს, ხოლო

5. გახსნილ მდგომარეობაში არ შეიცავენ ღვინის ქვის მარილს და

6. ტყვიის შაქარსა და მიწას და ა. შ.

Von frischen Ansehen waren noch Malva rotundifolia, Peganum. Harmala, Zygophyllum Fabago, Achillea Millefolium, Echium vulgare, Eryngium planum, Platanus orientalis, Lepidium vesicarium, Absinthium ponticum und verschiedene Artemisiae.

In den lezten Tagen des Decembers fiel etwas Schnee.

Ihro Zaarische Hoheit schickten mir auch von Zeit zu Zeit verschiedene Mineralien, da ich aber Hoffnung habe, die Oerter, wo sie brechen, selbst besuchen zu können, so verschiebe ich deren Anzeige.

Der erste Januar war auch hier sehr feyerlich. alles erschien in seiner Pracht, besuchte sich, wünschte sich Glück u. s. f. Ich erschien auch beym Zaar, der mich seiner Gemahlin, seiner Mutter, die sich bey einer Pleuresie neuerlich meines Raths bedient hatte, den Zarewitschen und den(en) Prinzeßinnen vorstellen lies, auch besuchte ich den Patriarchen Antoni und die übrigen Vernehmen.

Den 5ten Januar hörte man des Abends in allen armenischen Häusern Gesang und Musik, welches sie Halela nennen. Die griechischen Christen aber feyerten den 6ten Januar keine Wasserweihe.

Bey der hiesigen gelinden Witterung konnte ich manche kleine Excursionen in der Nahe der Stadt machen und verschiedene Einrichtungen in derselben besehen.

Die Fischer bedienten sich im Kur sehr kleiner hölzerner Reuse oder Fischkörbe, die nur 6 Spannen lang und 2 Spannen breit waren.

Die Saamen, welche die Pergamentmacher auf die weichen Häute streuen, um dadurch die Körner ähnlichen Unebenheiten des Schagrins hervorzubringen, ist von einem Chenopodio, die Tatareu nennen diese Saamen Alabüta, die Georgianer Titmanula.

Ausser denen im December genannten Thiere erhielt ich den Canis Hyaena, Cervus Elaphus, Viverra Ichneumon und Rupicapra.

Von Vögeln ward mir Pelecanus Onocrotalus und Carbo, Anas rutila, Gorvus Graculus, Certhia familiaris und Mergus Merganser zu Theile.

An Fischen geriethen ausser den schon genannten 3 neuen Cyprinus (S. 10), Cyprinus Nasus und Wimba und Silurus Glanis für mich in die Netze.

Den 18ten Januar blühete Bulbocodium vernum.

Den 2ten Februar trug mir der Zaar Heraclius an, ihn auf seiner Reise nach Kachet zu begleiten. Ein Vorfall vor etlichen Tagen lehrte mich, daß meine wenigen Kosaken eine sehr unzulängliche Bedeckung wider die Streifereyen der Lesgier waren, denn der rußische Geschäfftsträger der Gardekapitain Lieutenant Lwow und der Oberste Wolkow warden mit ihrer kleinen Bedeckung von rußischen Trupen 7 Werst von Teflis von den Lesgiern überfallen und verlohren Pak[p]ferde und Leute. Aenliche Auftritte kommen in Georgien fast täglich vor. Ich hatte alle sichre Gelegenheiten um so weniger zu versäumen, da der Zaar mir in Geschäften sehr behü-

Millefolium (ყვავისკუდა) Echium vulgare (ლაშქარა), Eryngium planum (ეკალი – ლურჯი). Plat..nus orientalis (ჭანდარი), Lepidium vesicarium, Absinthium ponticum (აბზინდა) და სხვადასხვა Artemisiae.

დეკემბრის ბოლო დღეებში მოვიდა ცოტა თოვლი.

მისი მეფური უმაღლესობა მიგზავნიდა მე დრო და დრო სხვადასხვა მინერალებს. რადგან მე იმედი მაქვს, რომ თვით დავათვალიერებ იმ ადგილებს, სადაც ამ მინერალებს პოულობენ, ამიტომ მათ აღწერას გადავდებ.

პირველ იანვარს აქაც იყო დიდი სადღესასწაულო განწყობა; ყველა წარმოსდგა მთელი თავისი ბრწყინვალებით, სტუმრად მიდიოდნენ ერთმანეთთან, უსურვებდნენ ბედნიერებას და ა. შ. მე გამოვცხადდი მეფესთან, რომელმაც წარუდგინა ჩემი თავი თავის მეუღლეს, თავის დედას, რომელმაც ცოტა ხნის წინ, როდესაც მას პლევრიტი (Pleuresie), დაემართა, ისარგებლა ჩემი რჩევით, უფლისწულებს და მეფის ასულებს; ვესტუმრე აგრეთვე პატრიარქ ანტონის და სხვა დიდებულებს.

5 იანვარს საღამოთი ყველა სომხურ სახლში ისმოდა სიმღერა და მუსიკა, რომელსაც ეძახიან ჰალელას. მაგრამ ბერძენი ქრისტიანები[1] არ დღესასწაულობდნენ 6 იანვარს წყალკურთხევას.

აქაური თბილი ამინდების გამო მე შევძელი მომეწყო რამდენიმე პატარა ექსკურსია ქალაქის ახლოს და დავათვალიერე მისი სხვადასხვა დაწესებულება.

მეთევზეები მტკვარზე ხმარობენ ხის ძალიან პატარა გოდორყურებს, რომელთა სიგრძეა მხოლოდ 6 მტკაველი, სიგანე – 2.

თესლი, რომელსაც მთრიმლავები აყრიან რბილ ტყავს, რათა ამით გამოიწვიონ შაგრენის ხორკლიანობა, არის Chenopodio-სი, ამ თესლს თათრები ეძახიან ალაბიუტა-ს, ქართველები – ტიტმანულას.

დეკემბერში დასახელებულ ცხოველთა გარდა მე მივიღე Canis Hyaena, Cervus Elaphus (ირემი), Viverra Ichneumon და Rupicapra.

ფრინველთაგან მომცეს Pelecanus Onocrotalus და Carbo (ვარხვი და თევზიყლაპია), Anas rutila, Corvus Graculus, Certhia familiaris და Mergus Merganser.

თევზთაგან ჩემთვის ბადეს ამოჰყვა, გარდა უკვე 3 ახალი დასახელებული Cyprinus-ისა, Cyprinus Nasus და Wimba, აგრეთვე Silurus Glanis (ლოქო).

18 იანვარს ჰყვაოდა Bulbocodium vernum.

2 თებერვალს მეფემ შემომთავაზა გავყოლოდი მას კახეთში. რამდენიმე დღის უკან მომხდარმა შემთხვევამ დამანახვა, რომ ჩემი მცირერიცხოვანი კაზაკები არ იყვნენ საკმაო საფარი ლეკთა თავდასხმის წინააღმდეგ, რადგან რუსეთის საქმეების რწმუნებულმა გვარდიის კაპიტან-ლეიტენანტმა ლვოვმა და პოლკოვნიკმა ვოლკოვმა, რუსთა რაზმებისაგან შემდგარ მათ მცირე დაცვასთან ერთად, თბილისიდან 7 ვერსზე, განიცადეს ლეკთა თავდასხმა და დაკარგეს ხალხი და ტვირთმზიდავი ცხენები. ასეთი შემთხვევები საქართველოში ხდება თითქმის ყოველ დღე. მით უკეთესი იყო გამომეყენებინა ეს საიმედო შემთხვევა, რადგან მეფეს შეეძლო და სურდა დამხმარებოდა ჩემს საქმეებში.

---

[1] ე. ი. მართლმადიდებლები.

dflich seyn konnte und wollte. Ich konnte aber auch keine feste Entwürfe zu Reisen machen, Sondern mußte sie von Umständen und Zufall abhängig bleiben lassen.

Der Gandscha Chan Mahomed, der den 16ten Februar abreisete, hatte mich vorher einigemahl besucht, mich zu Tische gehabt und mir alle Hülfleistungen versprochen. Ich machte ihm nach hiesiger Art Geschenke.

Den 14ten Februar ward des Abends um 8 Uhr, bey stiller und heiterer Luft ein Erdbeben von etwan 2 Sekunden verspürt.

Den 15ten Februar besuchten mich drey Zarewitsche.

Den 16ten Februar fuhr der Zaar nach Melikis, unter dem Geleute der Glocken.

Den 18ten Februar besuchte ich die Pulverfabrik: die in derselben gebräuchliche Proportion der Bestandtheile ist l3 Citra oder Theile Salpeter, 2 Theile oder Citra Schwefel und 2 Theile oder Citra Kolen von Weiden oder Haseln. Ein solcher Satz wird in einem Mörsel von Wallnußholz, der inwendig etwas konisch, oben 10 Zull weit und 12 Zoll tief ist, mit einem k: nischen Stempel von Granit einen ganzen Tag gestoßen. Der Stößel wird durch einen Hebel mit einem Fußtritt gehoben. Das Pulver wird denn in einer kupfernen Schüssel von 1 Fuß weit und 2 Zull Höhe, deren Boden durchlöchert ist, gekörnt. Ein Citra Pulver gilt nach rußischen Gelde, 12 bis 15 Kopeken (4 bis 5 Groschen).

Bis zum 20sten Februar erhielt ich: Tetrao Francolinus und Alchata, auch Picus minor.

Eine kleine Skorpionart (Scorpio caucasicus) beschrieb ich nachher*.

Vom 17ten Februar fand ich blühenden Amygdalus communis, Cornus mas, Sisymbrium Sophia, Crocus vernus und Geranium cicutarium.

Den 21sten Februar ward die Abreise des Zaars nach Kachet durch ganz Teflis dreymahl auf einem Horn ausgeblasen. Ich hatte schon früher meine Einrichtungen getroffen. Da ich nach einigen Wochen nach Teflis zurückzukommen hofte, lies ich meine bisherigen Sammlungen, Papiere und alles entbehrliche Reisegerath in Teflis unter der Aufsicht des Studentens Zriakowski und dreyer Kosaken. Ersterer sollte sich mit Pflanzen- und Insektensammlen beschäftigen.

Reise von Teflis nach und in Kachetien

Den 21sten Februar Abends um 5 Uhr brach der Zaar mit seinem Gefolge, zu welchem auch ich gehörte, unter einer Bedeckung von 1000 Mann von Teflis Auf. Da auch der Rußisch-Kayserl. Geschaffsträger Lwow dem Zaar Berufs wegen folgte, so hielt ich mich vorzüglich zu demselben.

Wir gingen unter der Stadt über die Brücke des Kur, und so wie die ganze Reise in OSO gerichtet war, auch erst am linken Kur-Ufer ab-

---

* Es ist eben die von mir bemerkte Gattung der Astrachanischen Steppen. P.

მაგრამ ამასთანავე მე ვერ შევადგინე მტკიცე გეგმა ამ მოგზაურობისა და ამიტომ მხოლოდ გარემოებებზე და შემთხვევებზე უნდა ვყოფილიყავი დამოკიდებული.

განჯის ხანი მაჰომედი, რომელიც გაემგზავრა 16 თებერვალს, მანამდე რამდენჯერმე მესტუმრა მე, მიმიპატიჟა თავისთან სუფრაზე და დამპირდა დასწრებას ყველაფერში. აქაური წესის მიხედვით მე მას ვუძღვენი საჩუქრები.

14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მშვიდ და მოწმენდილ ამინდში, ვიგრძენით მიწისძვრა 2 წამის განმავლობაში.

15 თებერვალს მე მინახულეს უფლისწულებმა.

16 თებერვალს მეფე გაემგზავრა მელიკის-ში[1] ზარების რეკვის ქვეშ.

18 თებერვალს დავათვალიერე თოფისწამლის ფაბრიკა; იქ გამოყენებული (წამლის) შემადგენელი ნაწილების პროპორცია შემდეგია: 13 ციტრა ანუ ნაწილი გვარჯილა, 2 ნაწილი ანუ ციტრა გოგირდი და 2 ნაწილი ანუ ციტრა ნახშირი ტირიფისა ან თხილისა. ასეთ შემადგენლობას ნაყავენ მთელი დღე კაკლის-ხის სანაყში, რომელსაც შიგნიდან აქვს ოდნავ კონუსისებური ფორმა, ზევით არის 10 დუიმი სიგანისა და 12 დუიმი სიღრმისა, აქვს გრანიტის კონუსური ფილთაქვა, რომლითაც მთელი დღე ნაყავენ. ეს ფილთაქვა ზევით იწევა ღერბის მეშვეობით, რომელიც ფეხით მოყავთ მოძრაობაში. შემდეგ წამალი იფხვნება სპილენძის როფში, რომლის სიგანეა ფუტი, სიმაღლე 2 დუიმი და ფსკერი აქვს დაჩვრეტილი. ერთი ციტრა წამალი რუსულ ფულზე ღირს 12 – 15 კაპიკი (4-დან 5 გროშამდე).

20 თებერვლამდე მივიღე მე: Tetrao Francolinns და Alchata, აგრეთვე Picus (კოდალა) minor.

მორიელის ერთ პატარა სახეობას (Scorpio Caucasicus) შემდეგ აღვწერ[2].

17 თებერვლიდან ყვაოდნენ Amygdalus communis (ქაღაზიბადამი, CorIთვ mმS (შინდი), მჭSYmხI1i"m S01)hiმ7 C"I'0cI1S veI1IIuS და მიუთით Cornus mas (შინდი), Sisymbrium Sophia, Crocus vernus და Geranium cicutarium.)

21 თებერვალს მთელ თბილისში სამჯერ ამცნეს საყვირით მეფის გამგზავრება კახეთისაკენ. ჯერ კიდევ ადრე მე ყველაფერი მოვამზადე. რადგან იმედი მქონდა, რომ რამდენიმე კვირაში თბილისში დავბრუნდებოდი, ამიტომ დავტოვე აქ ჩემი კოლექციები, ქაღალდები და მთელი ნივთები, ურომლისოდაც შემეძლო წასვლა, სტუდენტ ზრიაკოვსკისა და სამი კაზაკის მეთვალყურეობის ქვემ. პირველს უნდა შეეგროვებინა მცენარეები და მწერები.

მოგზაურობა თბილისიდან კახეთისაკენ და კახეთში

21 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, გავიდა მეფე თბილისიდან თავისი ამალით, რომელსაც მეც ვეკუთვნოდი, 1000 მხედრის თანხლებით. რადგან რუსეთის საქმეთა რწმუნებული ლვოვი, თანამდებობის გამო, მისდევდა მეფეს, ამიტომ მე უმთავრესად ვიყავი მის სიახლოვეს.

ჩვენ მივდიოდით ქალაქს ქვევით; გადავედით მტკვრის ხიდზე და რად-

---

[1] ალბათ მელიქის საყდარში.

[2] ეს არის ჩემ მიერ შენიშნული სახეობა ასტრახანული სტეპებისა, პ[ალასი].

werts und kamen heute bis zum Dorfe Natlugi 6 Werst. Die Gegend war eine etwas hüglichte Ebene, die sich nordlich gegen das sandsteinfelsige Vorgebürge mehr erhebt. Die Oberflache ist thonigt, voller Streusteine aus Sandstein- und Kalksteinbroken.

Das Dorf Natlugi, am linken Ufer des Kur enthält etwan 50 Häuser, und ausser denselben noch nach hiesiger Weise viele Erdhütten (ruß. Semlianky). Die EinWohner sind Georgianer. Der jezige Zaar hat es, als einen Viereck von 80 Schritten im Durchmesser, mit einer Mauer umgeben und mit einem runden Schiesthurm versehen lassen; wovon es auch Heracleziche, die Heracliusburg genennet wird. Gegenüber steht auf dem rechten Ufer des Kur, das dem Fürsten Kaplanischillo gehörige, auch mit einem Schiesthurm versehene Dorf Soegalegi.

Das Kurufer und sein Bette besteht hier aus grünlich grauen grobkörnigen Sandsteinfelsen mit eingestreueten Feldspath.

Den 22sten Februar. Nach etwan 10 Werst ritten wir durch das seichte Flüßchen Lotschini, welches aus dem ersten oder dem Kur nordlichen Vorgebürge kömmt, und an welchem etwas höher die Dörfer Markopi und Nori stehen. Der Flus liegt voller runden Rollsteine aus Sand- und Kalksteinen.

Vom Lotschini zum Flusse Jör der linken des Kur, ritten wir in fast 3 Stunden etwa 16 Werst und erreichten sein rechtes Ufer 3 Werste unter der ehemaligen, jetzo eingegangenen Festung Chaschmi.

Der Weg von Natlugi bis hieher ging fast gerade nach 0., dadurch wir am Jör den Fuß des ersten südlichen Vorgebürgs erreichten. Der Jör kömmt aus dem Eis- oder Hauptgebürge, durchschneidet dieses Vorgebürge, welches an seiner linken hoch, an der rechten mehr flach ist, wendet sich denn in OSO. und fliest in dieser Richtung in einer Ebene, nach 30 Werst aber tritt er wieder in niedrig Gebürge, welches sich von der linken des Kur erhebt, in welcher er in den Kur 3 Tagereise unter Chaschmi fällt.

Die vorerwehnte Ebene am Jör ward ehemals von terekemenischen Tataren bewohnt, die besonders vielen Reis baueten, weil die Gegend durch Kanäle aus dem Jör überschwemmt werden konnte. Jetzo ist m Gebürge zur Mündung, wegen der Räubereyen der Lesgier, alles wüste. Die Festung Chaschmi ist deswegen verlassen. Bey derselben, ist zur Ueberschwemmung einer großen Fläche, ein ansehnlicher Kanal angefangen, aber auch ins Stecken geratheu.

An den Ufern des Jör wachsen hier Ulmus campestris, und Curylus Avellana, die eben blüheten, Betula Alnus, die schon geblühet hatte, Populus tremula, Hippoplaë Rhamneides. Ulmus pumila und Salix alba.

Das Bette des Jörs war zwar 200, der jezige Fluß aber nur 50 Schritte breit und voller runden Sand- und Kalksteine aus dem Vorgebürge. Sein Wasser ist sehr klar und bey 1½ Fuß tief von reisendem Lauf. Jenseits des Jörs ritten wir zum Dorfe Batara Sevli, 1 Stunde 5 Werst. Es

გან მთელი მოგზაურობა მიმართული იყო აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო პირველად მტკვრის მარცხენა ნაპირს დაყოლებით ქვევით, ამიტომ იმ დღესვე მივედით სოფელ ნათლულში, თბილისიდან 6 ვერსზე. მიდამო წარმოადგენდა ოდნავ ბორცვიან დაბლობს, რომელიც ჩრდილოეთით სულ მაღლდებოდა ქვიშაქვიან მთებისაკენ. ზედაპირი თიხიანია, სავსე ქვიშაქვისა და კირქვის კენჭებით.

სოფელი ნათლული მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შესდგება დაახლოებით 50 სახლისაგან და, გარდა ამისა, აქაური ჩვეულების მიხედვით ბევრი მიწურებისგან (რუსულად „ზემლიანკა“). მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთხკუთხა კედელი ადგილს, დიამეტრით 80 ნაბიჯი, და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს-ციხე. პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დგას სოფელი სონღალუღი, გამაგრებული ასევე კოშკით, რომელიც ეკუთვნის თავად ყაფლანიშვილს.

მტკვრის ნაპირი და კალაპოტი აქ შედგება მომწვანო-ნაცრისფერი მსხვილი ქვიშაქვისაგან, რომელიც არეულია მინდვრის შპატში.

22 თებერვალი. დაახლოებით 10 ვერსის შემდეგ გადავედით პატარა მდინარე ლოჭინზე, რომელიც გამოდის პირველი მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მთისწინეთიდან; ცოტათი მაღლა მდებარეობენ სოფლები მარტყოფი და ნორიო. მდინარე სავსეა ქვიშაქვისა და კირქვის კენჭებით.

ლოჭინიდან მდ. იორამდე, მტკვრის მარცხენა შენაკადამდე, 3 საათში გავიარეთ 16 ვერსი და მივედით მის მარჯვენა ნაპირამდე, 3 ვერსით ქვემოთ იმ ადგილიდან, სადაც დგას ამჟამად უმოქმედო ხაშმის ციხე.

გზა ნათლულიდან აქამდე მიემართებოდა თითქმის პირდაპირ აღმოსავლეთისკენ და, ამრიგად, იორის გავლით მივედით სამხრეთ მთისწინეთის ძირთან. იორი სათავეს იღებს ყინულიან, ანუ მთავარ ქედიდან, კვეთს ამ მთიანეთს, რომელიც მარცხენა მხარეს მაღალია, ხოლო მარჯვენა მხარეს უფრო ვაკე, შემდეგ იორი შემოუხვევს აღმოსავლეთით – სამხრეთ-აღმოსავლეთით და ამ მიმართულებით მიედინება დაბლობზე; 30 ვერსის შემდეგ ის კვლავ შედის დაბალ მთიანეთში, რომელიც აღმართულია მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც ის მტკვარს ერთვის საშვის ქვემოთ 3 დღის სავალზე.

ზემონახსენები დაბლობი იორისა წინათ დასახლებული იყო თურქმანი თათრებით, რომლებსაც აქ მოჰყავდათ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ბრინჯი, რადგან ეს დაბლობი იფარებოდა იორიდან გაყვანილი არხების წყლით.

ახლა მთიანეთიდან შესართავამდე, ლეკების თარეშის გამო, ყველაფერი გაუდაბურებულია. ამიტომაცაა მიტოვებული ხაშმის ციხე. მის ახლოს, დიდი ფართობის მოსარწყავად, დაუწყიათ მოზრდილი არხის გაყვანა, მაგრამ მისი დამთავრება ვეღარ მოხერხებულა.

იორის ნაპირზე იზრდება აქ Ulmus campestris (თელამუში) და Corylus Avellana (ტყის თხილი), რომლებიც ახლა ყვაოდნენ, Betula Alnus, რომელსაც დაემთავრებინა ყვავილობა, Populus tremala (ვერხვი), Hippophae Rhamnoides (ჩხარტლა), Ulmus pumila Salix და alba (ტირიფი).

იორის კალაპოტი თუმცა 200 ნაბიჯის სიგანისაა, მაგრამ ამჟამად მდი-

steht au einem Bache in einer Kluft und ist mit einer Mauer als ein Viereck umgeben. Ausser dein Dorfe, welches etwan 100 Familien enthàlt, sahe man vielen Wein gepflanzt.

Nach etwan 3 Werst hatten wir das Kloster Ninoziminda zur Seite. Die steinerne Kirche ist der heiligen Nino gewidmet, und wird von einigen Mönchen bedient, inner- und ausserhalb der Mauer wohnen verschiedene Familien.

Bis Sagarcdscho eine gute halbe Stunde oder 3 Werst. Dieser Ort steht am Buche Twaitaskaro, dessen Bette 150 Schritte breit, ganz mit gerundeten Sand- und Kalksteinen bedeckt, aber jetzo ohne Wasser war, weil man es einiger Mühlen wegen abgeleitet hatte. Er fällt in diè linke des Jörs. Sagaredscho ist auch mit einer Maner umgeben, die meisten Häuser sind aber ausser derselben. Man kann hier 500 ansäßige Familien rechnen.

Der Weg hieher gieug in 0., dem Fuße des ersten Vorgebürgs para-Lel, in einer hüglichten Gegend. Bey Sagaredscho hatte man sich dieselbe sehr zu Nuze gemacht, viele Weinreben gepflanzt und viele Aepfeln, Birnen, welsche Nüsse, Kirschen. Quitten, Mandela, Mispelu, Pflaumen, Aprikosen und Korneelkirschen umher gesetzt. Die vier letzten Fruchtbäume standen schon in voller Blüte, auch Rosa canina und Rubus fruticosus, beyde an Zäunen häufig, blüheten schon.

Von Teflis bis hier hatte ich blühend gesehen, Tussilago Farfara häufig, Bulbocodium vernum, Crocus vernus, Veronica agrestis, Scilla amoena, Primula acaulis, Viola odorata, Hyacinthus racemosu, Iris pumila, Vinca minor. Leontodon Taraxacum. Diese Pflanzen sind alle auch am nordlichen Vorgebürge, doch blühen sie etwa 14 Tage später. Viscum album blühete auch. Er war bey Sagaredscho vorzüglich auf Birnbáunen und Weispip: ppeln, die selbst schon abgeblühet hatten, hàufig; auf Eichen, die hier nicht selten sind, bemerkte ich ihn nicht.

Den 23sten Februar, morgens, setzten wir die Reise von Sagaredscho fort und ritten nach 5/4 Stunden durch einen nur 5 Faden breiten Bach, fast l Werst über dem Dorfe Manavi, welches größestentheils wüst ist; die wenigen noch übrigen Emwuhner haben sich etwas nordlicher, in eine enge Ringmauer, nach einer steilen Anhöhe gerettet.

Dieses ist der àusserste ostliche Ort des Distrikts Twal Sagaredscho, der sich von Teflis längst dem südlichen Fuße des ersten Vorgebürgs (Jugum promontoriale primumi bis hieher erstrekt.

Von Manavi und schon von Sagaredseho gieng unser Weg immer noch mit wenig Abweichung in O. Nach 1½ Stunden ritten wir durch den Bach Gruwe und 2 Stunden nachher durch den Bach Bedschambagi. Beide laufen aus NNW., entspringen wahrscheinlich nur im Vorgebürge und fallen in die linke des Jör. Sie halten jetzo wenig, und der Grüwe trübes Wasser. Ehemals standen an beyden Dörfer, deren Lage wegen Wassers, na-

ნარის სიგანე იყო მხოლოდ 50 ნაბიჯი და სავსე იყო მთიანეთიდან ჩამოტანილი ქვიშაქვით და კირქვით. მისი წყალი ძალიან გამჭვირვალეა, აქვს 1 ½ ფუტი სიღრმე და სწრაფი დინება. იორის იქითა მხარეს ჩვენ გავიარეთ საათში 5 ვერსი სოფელ პატარძეულამდე. ის მდებარეობს ხეობაში პატარა მდინარეზე და გარშემორტყმულია ოთხკუთხი კედლით. სოფლის გარეთ, რომელიც ითვლის 100 ოჯახს, ჩანან ბევრი ვენახები.

დაახლოებით 3 ვერსის შემდეგ, განზე დავინახეთ ნინოწმინდის მონასტერი. ქვის ეკლესია წმ. ნინოს სახელზეა აგებული და მას ემსახურება რამდენიმე ბერი; გალავნის შიგნით და გარეთ ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი.

საგარეჯომდე არის კარგი 1/2 საათის სავალი, ანუ 3 ვერსი. ეს დაბა მდებარეობს მდინარე თვალთაწყაროზე (?), რომლის კალაპოტიც არის 150 ნაბიჯის სიგანისა და მოფენილია მთლიანად ქვიშაქვის და კირქვის კენჭებით. ახლა ის (კალაპოტი) უწყლოა, რადგანაც წყალი გადაგდებულია ზოგიერთი წისქვილებისათვის. ის არის იორის მარცხენა შენაკადი. საგარეჯო გარშემორტყმულია გალავნით, ხოლო მისი სახლების უმეტესობა გალავანს გარეთაა. აქ არის დაახლოებით 500 მკვიდრი ოჯახი.

გზა აქეთკენ მოდიოდა აღმოსავლეთის მიმართულებით, ბორცვიან მიდამოზე, პირველი მთისწინეთის ძირის პარალელურად. საგარეჯოსთან ეს ადგილი ძალიანაა გამოყენებული: ირგვლივ გაშენებულია ვენახები, დარგულია დიდი რაოდენობით ვაშლები, მსხლები, კაკალი, ალუბალი, კომში, ნუში, ზღმარტლი, ქლიავი, გარგარი და შინდი. ოთხი უკანასკნელი უკვე ყვაოდა; ასევე Rosa canina (ასკილი) და Rubus fruticosus (მაყვალი), რომლებიც ხშირად გვხვდება ღობეების გასწვრივ, უკვე ყვაოდნენ.

თბილისიდან აქამდე ვხედავდი, თუ როგორ ყვავილობაში იმყოფებოდნენ Tussilago Farfara (ვირის ტერფა) ხშირად, Bulbocodium vernum, Crocus vernus, Veronica agrestis, Senlla amoena, Primula acaulis, Viola odcrata (ია), Hyacinthus racemosus, Iris pumila, Vinca minor, Leontodon Taraxacum (თავკომბალა). ყველა ეს მცენარე გვხვდება ასევე ჩრდილოეთ მთისწინეთში, მაგრამ ყვავიან 14 დღით გვიან. აგრეთვე ყვაოდა Viscum album (ფითრი). საგარეჯოში ის უმეტეს წილად იყო მსხალზე და ვერხვზე, რომლებსაც თვით უკვე ეყვავილათ; მუხაზე კი, რომელიც აქ არც თუ იშვიათად გვხვდება, ფითრი არ შემიმჩნევია.

23 თებერვალს დილით გავედით საგარეჯოდან და 5/4 საათში გავიარეთ 5 საჟენის სიგანის მდინარე, რომელიც მიედინება სოფ. მანავის 1 ვერსით ზემოთ. ეს სოფელი თითქმის მთლიანად განადგურებულია; გადარჩენილ მოსახლეთაგან მცირე ნაწილმა შეაფარა თავი ოდნავ ჩრდილოეთით ვიწრო გალავანს ციცაბო მაღლობზე.

ეს არის ყველაზე განაპირა ადგილი თვალ (?) საგარეჯოს მხარისა, რომელიც გადაჭიმულია პირველი მთისწინეთის სამხრეთ კალთების გასწვრივ, თბილისიდან ამ ადგილამდე.

მანავიდან და უკვე საგარეჯოდანაც ჩვენი გზა, ოდნავი გადახრებით, მიემართებოდა ჯერ აღმოსავლეთისკენ. 1 ½ საათში გავიარეთ მდ. გრუვე (?), ამის მერე 2 საათში კი – მდ. ბეჭამბაღი. ორივე მოედინება ჩრდილოეთ-

her, gute und Gebürgwaldung vorzüglich aus Roth-Weißbuchen und Eichen, und wegen der thonigten Verflüchuug des Gebürges mit hinreichender Dammerde für Ackerbau und] Weide, sehr vortheilhaft war; gegenwärtig war aber alles wüste.

Vom Bache Bedschambagi ging unser Zug in N. O., wodurch wir auf die Anhöhen des Vorgebürgs, an dessen Fuß wir vorher reiseten, kamen. Auf denselben paßierten wir zwey tiefe Gebürgsklüfte mit Quellbächen und kamen nach anderthalb Stunden an den Ort Kudalo, wo wir die Nacht zubrachten. Den ganzen Tag war Schnee gefallen.

Kudalo steht auf den flachen, nicht hohen und nicht felsieten, sondern stark mit Thon, voller Sandstein- und Kalksteingeschiebe, und Dammerde bedeckten ersten Vorgebürge und ist mit einer Mauer als ein Viereck, jede Seite etwan 80 Schritte lang, umgeben. Die Einwohner, etwan 50 Familien wohnen in Erdhütten (ruß. Semlianki) und nehmen ihr Wasser aus einer Quelle au der Mauer.

Die hohe Lage von Kndalo zeigte am folgenden heitern Morgen eine herrliche Aussicht. In der Nähe das Dorf Dschimiti westlich, und Pechnelli und Siari jenseits einer großen Kluft nordlich. Beyde erhalten ihr Wasser aus dem Bache Lakabel, der seinen Lauf in der Kluft hat und gehören dem Fürsten Endronika Schillo. Entfernt zeigte sich in N. das von W. in 0. streichende Alpengebürge mit dem gastrogen neuen glänzenden Schnee, in S. dunkel in Nebel das 2te Vorgebürge (Promontorium secundum) und näher mit einem frischen Grün gekleidete Weizen- und Gerstenfelder, von dem dunklen Schatten der Waldung des 2ten Vorgebürges begränzt.

Den 24sten Februar des Morgens um 9 Uhr verließen wir Kudalo und ritten erst eine viertel Stunde in N. über Fehler, die jetzo für die Gerstensaat gepflügt wurden; denn ließen wir uns in die schou‘gedachte große Kluft hinab und folgten dem genannten Bache Lakabel eine gute viertel Stunde in O. hinab. Am Bache standen einige kleine Mühlen mit horizontalen Rädern (ruß. Mutowka). Die sehr steilen Wände der Kluft zeigten Thon mit Geschieben von runden Sandsteinen, auch wenigern Kalksteinen. Nun stiegen wir in N. Ostlicher Richtung aus der Kluft und kamen auf der Fläche des Vorgebürges, nach 3/4 Stunden, nach dem Dorfe Melani wo wir anhielten.

Melani gleicht Kudalo in der Lage auf dem Vorgebürge, hat aber keine Mauern, daher die Häuser weitläufiger stehen. Es gehört, wie Kudalo und Dschimiti, dem Zaar.

Von Melan gieng der Zug auf dem ersten Vorgebürge nach dem Dorfe Magaro, im Distrikt Kischa auf dem jenseitigen Ufer einer Kluft, in welCher, der Viehtränke wegen, mehrere Brunnen, wider die Weise Georgiens. gegraben waren. Dahin ritten wir in N. O. und gebrauchten drittehalb Stunden.

ჩრდილო-დასავლეთიდან, ალბათ სათავეს იღებენ მხოლოდ მთისწინეთიდან და ერთვიან იორს მარცხენა მხრიდან. ახლა ისისი წყალნაკლული არიან, გრუვეს წყალი კი მღვრიეცაა. წინათ ორივე მათგანზე იყო სოფლები, რომელთა მდებარეობაც მთიანეთის საკმაო შავმიწიანი თიხიანი ზედაპირის, წყლის, ახლოსმყოფი კარგი მთის ტყეების – უმთავრესად წითელი და თეთრი წიფლის და მუხის, – გამოისობით ძალიან გამოსაყენებელი იყო მიწათმოქმედებისა და საძოვრებისთვის. ახლა კი ყველაფერი გაოხრებულია.

მდ. ბეჭამბაღიდან ჩვენი გზა მიდიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით რის გამოც ავედით მთისწინეთზე, რომლის ძირის გასწვრივაც ჩვენ მანამდე მივდიოდით ჩვენ გავიარეთ ორი ღრმა მთის ხეობა ნაკადულებით და 1 ½ საათში მივედით ქოდალოში, სადაც გავათიეთ. მთელი დღე თოვდა.

ქოდალო მდებარეობს სწორ, არც-თუ მაღალ, არაკლდოვან, მაგრამ ქვიშაქვითა და კირქვით სავსე თიხითა და შავი მიწით დაფარულ პირველ მთისწინეთზე. ის შემორტყმულია ოთხკუთხი კედლით, რომლის სიგრძე ყოველ მხრიდან თითქმის 80 ნაბიჯია. მოსახლეები – დაახლ. 50 ოჯახი – ცხოვრობენ მიწურებში (რუსულად „ზემლიანკა“) და იღებენ წყალს წყაროდან, რომელიც გადმოდის კედელთან.

ქოდალოს მაღალმა მდებარეობამ მეორე დილას, მოწმენდილ ამინდში, გადაგვიშალა შესანიშნავი სანახაობა. ახლოს, დასავლეთისკენ, სოფელი ჯიმითი; ფეხველი[1] და ზიარი – ჩრდილოეთით, დიდი ხეობის იქითა მხარეს. ორივენი წყალს იღებენ მდ. ლაკაბელიდან, რომელიც მოედინება ხეობაში, (სოფლები) ეკუთვნიან თავად ანდრონიკაშვილს. შორს ჩრდილოეთით ჩანს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული ალპური ქედი, ახალი, გუშინდელი ბრჭყვინავი თოვლით; სამხრეთით ბნელ ბურუსში ჩანს მეორე მთისწინი, ხოლო ახლოს, მეორე მთისწინის ტყეების ჩრდილით გამოყოფილი, ახლად ამწვანებული ხორბლის და ქერის ყანები.

24 თებერვალს, დილის 9 საათზე, დავტოვეთ ქოდალო. პირველი 15 წუთი მივდიოდით ჩრდილოეთისკენ მინდვრებზე, რომლებსაც ახლა ხნავდნენ ქერის დასათესად; შემდეგ დავეშვით ქვევით დიდ ხევში, რომელიც უკვე ვახსენეთ, და ჩავყევით ზემოთ დასახელებულ მდ. ლაკაბელს 15 წუთი აღმოსავლეთისკენ. მდინარეზე იდგნენ პატარა წისქვილები ჰორიზონტალური ბორბლებით (რუსულად „მუტოვკა“). ხეობის ძალიან ციცაბო კედლები გვიჩვენებდნენ თიხას მრგვალი ქვიშაქვის და ცოტა კირქვის კენჭების ნაყარით. ჩვენ ამოვედით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ხევიდან და ავედით მთისწინეთის თხემზე; 3/4 საათის შემდეგ კი მოვედით სოფელ მელაანში, სადაც გავჩერდით.

მელაანი, თავისი მთაგორიანი მდებარეობით, ჰგავს ქოდალოს, მაგრამ არაა შემორტყმული კედლით; ამიტომაც სახლები დგანან ერთმანეთისგან შორიშორს. მელაანი, ისევე როგორც ქოდალო და ჯიმითი, ეკუთვნის მეფეს.

მელაანიდან წავედით პირველი მთისწინეთით სოფ. მაღაროში, კიშას[2] მხარეში, ხეობის მეორე მხარეს, სადაც საქონლისთვის წყლის სასმელად ამოთხრილია ჭები, ქართული ჩვეულების საწინააღმდეგოდ. იქით ჩვენ მივდიოდით

---

[1] ალბათ ფ ხ ო ვ ე ლ ი.

[2] უნდა იყოს ქ ი ზ ი ყ ი – გ. გ.

Den 25sten Februar rückten Ihro Zaarische Hoheit eine Slunde weiter bis zum Kloster Ninoziminda; dem Hrn. Lwow und mir aber riethen sie in Magaro zu bleiben, weil es im Kloster an Futter für die Pferde fehlen würde. Dieses war uns desto lieber, da es gerade heute den ganzen Tag schnie: eine Erscheinung, die sich nach dem Zeugnisse der Einwohner seit vielen Jahren nicht ereignet hatte. Cornus mas, Prunus domestica, und Amygdalus communis standen in voller Blülhe, die gewiß sehr gelitten haben muß. Mich hinderte das Wetter an einer guten Exkursion.

Den 26sten Februar ritten wir von Magaro in N. W. und erreichten nach einer Stunde Ninoziminda d. i. Kloster der heiligen Nino. Ihro Hoheit bewillkommten uns auf dem Wege nach der Kirche. Es ist eins der angesehensten Klöster Georgiens und der Siz eines Erzbischofs, der einige wenige Mönche bey sich hat. Diese erzählten, daß die heilige Nino bey ihnen begraben läge. Sie sey 300 Jahr nach Christi Geburt auf Befehl der Mutter Gottes, die ihr ein von ihren eigenen Haaren geflochtenes Kreuz gegeben, von Jerusalem nach Georgien gekommen, und habe unter dem dermahligen Zaar Mirian Mepe den Grund zur christlichen Religion gelegt. Die Kirche ist fast 7 Faden lang und 5 Faden breit, von Ziegeln erbauet. Inwendig sind die Ziegel der Wesiseite grün, blau und schwarz glasirt; so sollen alle, und die Kirche größer gewesen sein. Neben der Kirche ist ein klein Gebäude für die Mönche und ein größeres für den Erzbischof.

Auf dem Kirchhofe standen sehr dicke Walnußbäume und eines Beines dicke Buxbäume (Buxus sempervirens), die man auch in dieser Gegend wild findet, und die ganz blüheten.

Beim Kloster ist ein kleynes Thal die dasselbe umgebenden Höhen tragen ansehnliche Waldung. An der Nordseite ist eine Kluft und in derselben ein eingefaßter Quell, aus welchem das Kloster Wasser hulet. Von Kloster liegen nach allen Seiten Dörfer in der Entfernung von 1 ½ bis 2 Werst.

Wir waren noch und schon seit dem 22sten November, auf der Höhe des sich nordlich senkenden Vorgebürges, kamen aber nun durch die Richtung unsers Weges in W. N. W. an den nordlichen Fuß des Gebürges, dem Wir I Stunde folgten und dadurch das kisichische Dorf Wagir, 75 bis 80 Werst von Teflis, erreichten.

Vom 27sten und bis 29sten Februar.

Da der Zaar theils im kisichischen Distrikte, theils mit den Lesgieru verschiedene Geschäfte abzumachen hatte, und es täglich regnete und schnie, auch die Frostnächte meine Excursionen sehr hinderten, so bemühete ich mich bey diesem Auffenthalt mit gutem Erfolge um geographische und ökonomische Kenntaisse dieser Gegenden, auch machte ich aus Wagiri einen Rapport an die Keyserliche Akademie der Wissenschaften, den der Zaar mit eigenen Depeschen nach Kislar abgehen ließ.

Vom lsten bis 6ten März waren Wir ebonfalls noch in Wagir, von wo

ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, რასაც მოვანდომეთ 1 ½ საათი.

25 თებერვალს მისი მეფური უმაღლესობა 1 საათის სავალზე წავიდა, ნინოწმინდის მონასტრამდე; ბ-ნ ლვოვს და მე გვირჩიეს დავრჩენილიყავით მაღაროში, რადგან მონასტერში არ იქნებოდა ცხენების საყოფი საკვები. ეს ჩვენთვის მით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ დღეს მთელი დღე თოვდა ასეთი თოვლი, მოსახლეობის თქმით, მრავალი წლების მანძილზე არ ყოფილა. შინდი, შავქლიავა და ნუში ყვაოდნენ და, ალბათ, დაზიანდებოდნენ (ამინდის გამო). ამინდმა შემიშალა ხელი მომეწყო კარგი ექსკურსია.

26 თებერვალს გავემართეთ მაღაროდან ჩრდილო-დასავლეთით და 1 საათში მივედით ნინოწმინდაში, ე. ი. წმინდა ნინოს მონასტერში. მისი უმაღლესობა შემოგვეგება ჩვეს ეკლესიის გზაზე. ეს არის საქართველოს ერთი ყველაზე შესანიშნავ მონასტერთაგანი და მთავარეპისკოპოსის საჯდომი, ჰყავს რამდენიმე ბერი. მათ გვიამბეს, რომ წმ. ნინო დამარხულია აქ. ის (ნინო) ღვთისმშობლის მოთხოვნით, რომელმაც მისცა მას თავისი თმებისაგან დაწნული ჯვარი, 300 წლის შემდეგ ქრისტეს დაბადებისა, მოვიდა იერუსალიმიდან საქართველოში და მაშინდელი მეფის მირიანის დროს ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანულ რელიგიას. ეკლესია არის თითქმის 7 საჟენი სიგრძისა და 5 – სიგანისა; ნაშენია აგურით. შიგნიდან, დასავლეთის მხარეს, აგურები დაფარულია მწვანე, ლურჯი და შავი ჭიქურით; ამბობენ, რომ წინათ ყველა აგური ასეთი იყო, ხოლო ეკლესია უფრო დიდი. ეკლესიის გვერდით დგას პატარა სახლი ბერებისთვის და ერთიც მოზრდილი მთავარეპისკოპოსისათვის.

ეკლესიის ეზოში იდგნენ ძალიან მსხვილი კაკლის ხეები და ფეხის სიმსხო ბზა, რომლებიც ამ მხარეშიც გარეული სახით გვხვდებიან; ისინი უკვე ყვაოდნენ. მონასტრის ახლოს არის პატარა ველი, რომელიც შემოფარგლულია ტყით დაფარული მთებით. ჩრდილოეთის მხრიდან არის ხეობა, იქვეა წყარო, საიდანაც მონასტერი იღებს წყალს. მონასტრიდან 1 ½ – 2 ვერსის დაშორებით, ირგვლივ მდებარეობენ სოფლები.

ჩვენ უკვე 22 ნოემბრიდან ვიყავით ჩრდილოეთისკენ დაშვებულ მთისწინეთზე; ახლა კი ჩვენი გზის მიმართულებით, დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით, მივედით ქედის ჩრდილოეთ ძირთან, რომლის გასწვრივაც მივდიოდით 1 საათი და მივაღწიეთ ქიზიყის სოფელ ვაქირს, რომელიც მდებარეობს თბილისიდან აღმოსავლეთით 75 – 80 ვერსზე.

27-დან 29 თებერვლამდე.

რადგან მეფეს, ერთი მხრით ქიზიყში, მეორე მხრით ლეკებთან, ჰქონდა საქმეები მოსაგვარებელი და ყოველდღე წვიმდა და თოვდა, რაც ყინვიან ღამეებთან ერთად ჩემს ექსკურსიებს უშლიდა ხელს, ამიტომ მე ვეცადე წარმატებით გავცნობოდი ამ მხარის გეოგრაფიულ და ეკონომიურ მდგომარეობას; აგრეთვე ვაქირიდან დავწერე მე რაპორტი საიმპერატორო აკადემიაში, რომელიც მეფემ, თავის საკუთარ დეპეშებთან ერთად, გააგზავნა ყიზლარში.

1-დან 6 მარტამდე ჩვენ კვლავ ვაქირში ვიყავით, საიდანაც მე მოვაწყე რამდენიმე ექსკურსია უკვე ყვავილობაში მყოფ მცენარეთა გამო, რომლებზეც მე შემდეგ მოგახსენებთ. ჭინჭრის-დედა თბილისიდან აქამდე გვხვდება ძალიან ხშირად და ეს მცენარე, ქორფა, წარმოადგენს საერთოდ ხმარებულს კარგ

aus ich mehrere Exkursionen der schon häufig blühenden Pflanzen wegen machte, die ich weiterhin anführen werde. Lamium album war von Teflis bis hier ungemein häufig und das junge Krant ist hier eine allgemein gebräuchliche, nicht üble Fastenspeise. Ornithogalum und einige schöne Irides blüheten jetzt.

Den Schakal (Canis aureus s. vorh.) hörte man hier des Nachts gewaltig kreischen.

Da diese Tage schön waren, so sangen auch die Droßeln aus voller Macht. Durch die Jagd mit Hunden erhielt ich Haasen und durch Falken Fasanen.

Die ganze Natur Kleidete sich fast zusehends in ein schönes Grün.

Den 7ten März brach der Zaar von Wagir auf, um noch im kisichisehen Distrikt zu reisen. Wir ritten durch ein Thal und dann dem nordlieben Fuße des Vorgebürges paralel in OSO, dadurch wir nach mehr als 2 Stunden oder etwan l4 Werst an die Quelle Gumbat kamen. Der Weg ging durch Kornfelder der kisichischen Dörfer Maschnari, Sakobo, Assanuri und Dschugani, die den ganzen nordlichen Fuß dieser Gebürgstreke mit ihren Wohnungen, Wein- und Obstgarten bedecken.

Der Zaar befahl die Quelle Gumbat mit einer Ringmauer zu umgeben, damit sie dem im Thal weidenden Vieh der genannten Dörfer, bey Lesgischen Ueberfällen zur sichern Zuflucht dienen können.

Von der Quelle ritten wir in SSW und kamen nach etwan anderthalb Werst nach dem Stephanskloster, Ziminda Stepani Chirsoeli d. i. des heil. Stephans aus der Gegend Girs. Das Kloster steht am Fuße des nordlichen Vorgebürgs an einer Kluft aus SSO, wüste. Die 10 Faden lange steinerne Kirche und ein ansehnlicher Glockenthurm sind sehr verfallen, und von Wuhnungen und der Ringmauer selbst sind nur noch Trümmer. Ich fand weder Inschriften, noch konnten mir die Geschichte des Klosters betreffende Nachrichten mitgetheilt werden.

Die Spuren von Karagatsch, der ehemaligen Hauptstadt Kachetiens sind von Stephanskloster nur etwan 5 Werst im OSO am Gebürgfuß und Ufer des Alasan.

In OSO. Richtung hatten wir zu beiden Seiten des Weges Dschugäni oder Zjukzeni, Tibani, Prasiani, Arboschiki und Mursani und kamen nach etwan 7 Werst vom Kloster nach dem Dorfe Matschani, dem äußersten sud-östlichen des Distriktes. Es liegt auf der größesten Höhe des Vorgebürges, und giebt Aussicht nach dem nordlichen Thal und Schueegebürge, und in S. nach dem Kur und den Münduugen des Alasan und Jör; Frühlingsdünfte aber trübten den Horizont.

Den 8ten März. Als wir des Morgens von Matschani aufbracheu, folgte uns ein Schwarm Suplikanten zu Fuße und zu Pferde, die dem Zaar fast überall kniend um Rechtshülfe, meist in Gränzstreitigkeiten unter sieh baten und theils die streitigen Plätze zeigten.

სამარხო საჭმელს. ornithogalum და ზოგი მშვენიერი ზამბახი ახლა ყვაოდნენ.

ღამე ტურები გაჰკიოდნენ.

რადგან ეს დღეები მშვენიერი ამინდები იყო, შაშვები მთელი ხმით გალობდნენ. ძაღლებით ნადირობის წყალობით მივიღე მე კურდღლები, ხოლო მიმინოებით ნადირობისას – ხოხბები.

მთელი ბუნება თითქმის ჩვენ თვალწინ ლამაზი მწვანით იმოსებოდა.

7 მარტს მეფე გაემგზავრა ვაქირიდან, რათა კიდევ შემოევლო ქიზიყის მხარე. ჩვენ მივდიოდით დაბლობზე, შემდეგ მთისწინეთის ჩრდილოეთის კალთის პარალელურად აღმოსავლეთით – სამხრეთ-აღმოსავლეთით; ამნაირად 2 საათზე მეტის, ანუ თითქმის 14 ვერსის შემდეგ, მივედით გუმბათის წყაროსთან. გზა გადიოდა ქიზიყის სოფლების – მაშააარის, საქობოს, ასანურისა და ჯუგაანის ყანებზე. ეს სოფლები გაშენებულია ამ მთისწინეთის მთელ ჩრდილოეთ კალთებზე თავისი სახლებით, ვენახებითა და ხეხილის ბაღებით.

მეფემ ბრძანა გალავანი შემოევლოთ გუმბათის წყაროსთვის, რათა ლეკების თავდასხმის დროს ამ გალავანში შეეფარებინათ ამ სოფლების პირუტყვი, რომელიც ამ მინდვრებზე სძოვდა.

წყაროდან ჩვენ გავემართეთ სამხრეთით – სამხრეთ-დასავლეთით და დაახლოებით 1 ½ ვერსის შემდეგ მივედით სტეფანეს მონასტერთან, ე. ი. წმინდა სტეფანე ხირსელის მონასტერთან. გაპარტახებული მონასტერი დგას ჩრდილოეთ მთისწინეთის ძირას ხევში, სამხრეთ-დასავლეთისკენ. 10 საჟენი სიგრძის ქვის ეკლესია და დიდი სამრეკლო ძალიან დანგრეულია და საცხოვრებელი სახლებისა და გალავნისაგანაც მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩენილა. მე ვერც წარწერები ვნახე და ვერც სათანადო ცნობები მოვიპოვე ამ მონასტრის ისტორიის შესახებ.

კახეთის ძველი დედაქალაქის ყარაღაჯის ნაშთები არის მდ. ალაზნის ნაპირას, სტეფანწმინდიდან მხოლოდ 5 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით – სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის ძირას.

აღმოსავლეთის – სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით, გზის ორივე მხარეს, იყო სოფლები ჯუგანი (Dschugäni და Zjukani[1]) ტიბაანი, პრასიანი, არბოშიკი და მირზაანი; მონასტრიდან 7 ვერსზე მივედით მაჩხაანში, რომელიც არის ამ მხარის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფელი. ის მდებარეობს მთისწინეთის ყველაზე მაღალ ადგილას, საიდანაც მოჩანს ჩრდილოეთის დაბლობი და თოვლიანი ქედები, სამხრეთით – მტკვარი და ალაზნისა და იორის შესართავები; გაზაფხულის ორთქლი ბურუსში ხვევდა ჰორიზონტს.

8 მარტი. როცა დილით ჩვენ გავედით მაჩხაანიდან, უკან გამოგვყვა გუნდი მთხოვნელებისა, ზოგი ფეხით მოდიოდა, ზოგი ცხენზე ისინი დაჩოქილები ეხვეწებოდნენ მეფეს სამართალი ექნა, უმეტესად სამიჯნავე დავის გამო და ხანდახან უჩვენებდნენ სადავო ადგილებს.

ჩვენ უმთავრესად მივდიოდით სამხრეთისკენ, მთისწინეთის სანხრეთ მხარეზე და განსაკუთრებით ხშირ წიფლნარსა და მუხნარში. 3/4 საათის ანუ 4 ვერსის შემდეგ მივედით ქედის სამხრეთ კიდეზე და ჭალიდან გაშლილ, თიხიან და ბორცვიან სტეპზე გავლით, გავედით პატარა დაბლობზე, იქ იყო

---

[1] ხომ არ არის ცლუნკაანი?

Wir ritten meist in S. auf die Südseite des Vorgebiirges und zum größesten Theil in dicken Buchen- und Eichengesträuch. Nach 3/4 Stunden oder etwan 4 Werst kamen wir an den südlichen Gebiirgrand und aus dem Gehölze in offene thonigte und überall hügelichte Steppe, bis zu einem kleinen Thal oder Kastel, von einigen 100 Schritten im Umfange, in welchem Kochsalz- und Bergölqnellen sind. Davon weiterhin.

Von den Kochsalzquellen fast in Westen kamen wir nach mehr als einer halben Stunde oder 3 Werst an den Ursprung des kleinen Baches Ole. Auch diesen Ort befahl der Zarr zur Sicherheit der auf der Höhe stehenden kisichischen Dörfer mit einer Ringmauer zu umgeben. Diese haben hier 10 bis 12 Werst von ihren Wuhnungen ihre Aker und Viehtriften und oft führten die Lesgier Menschen und Vieh in die Sklaverey. Man sahe hier mehrere kleine runde und vierekige Plätze und Erdwallen, in welche die Einwohner, wenn sie die Räuber früh genug bemerken, mit ibrem Vieh fliehen und sich männlich vertheidigen. Nach einem fest beobachteten Herkommen eilt jeder Kisiche mit seinem Gewehr dahin, wo er schießen hört, und durch diese. Maasregeln werden sie von den Lesgiern weit seltener, als ihre Nachbaren in Karteli heimgesucht. Nicht selten suchen auch die Kisichen ihren Verlust an Menschen und Vieh mit Gewinn zu ersetzen; sie machen nàmlich Ueberfàlle in dem mit ihnen gränzenden lesgischen Distrikt Dsehari und nehmen was sie finden. So trieben sie den Lesgiern im Winter 1772 an 30 000 Schafe fort.

Vom Ursprunge des Baches Ole ritten wir eine Stunde in NNO und kamen von freien hügelichen Feldern am Fuße des Gebürges, nach andern 3/4 Stunden, nach dem Dorfe Bedbe.

Den 9ten März. Von Bodbe ritten wir in N. W. und kamen nach einer halben Stunde nach Magaro (s. den 25sten Februar.)

Von Magaro ging der Weg fast recht in W. bey den Dörfern Nekivani und Tschotori, beide auf der Höhe des Vorgebürges vorbey, und gelangten nach einer halben Stunde in die große, tiefe Kluft Anasgiskawi. In derselben ritten wir in N. W. und erreichten nach 3/4 Stunden das Dorf Anaga auf dem westlichen. Ufer der Kluft, ain Fuße des Gebürges.

Die Kluft Anagiskawi ist 10 bis 20 Faden breit und ihre steilen Wände zeigen gerundete Sandsteingeschiebe in grauen Thon gepsckt. An den Seiten sprudelt eine Menge kleiner Quellen. Die Einwohner haben alle in kleine Kanäle gesammlet, die durch die lnklination des Grundes der Kluft von Zeit zu Zeit starke Schüße oder auch Falle von l bis 2 Faden hoch machen. Dieser Wasserstrohm von der Dicke eines Beines sezt, auf einer Strecke von 3 Werst, 43 kleine Mühlen mit horizontalen Rädern in Bewegung, die jede in 24 Stunden 200 bis 250 Pfund Mehl, die ebern nähmlich weniger als die untern liefern.

Von 10ten bis 12ten März blieben wir in Anaga. Ich machte eine Excursion nach der Festung Signach, der einzigen des Distrikts Kisichi.

100 ნაბიჯის გარშემოწერილობის გამაგრებული ადგილი, რომელშიც იმყოფებოდა სუფრის მარილის და ნავთის წყაროები, ათზე შემდეგ.

ამ მარილის წყაროებიდან, თითქმის დასავლეთით, 1/2 საათში, ანუ 3 ვერსის შემდეგ, მივედით პატარა მდინარის ოლის სათავესთან. მეფემ ბრძანა შემოევლოთ კედლით ეს ადგილიც მაღლობზე მდებარე ქიზიყის სოფლების უსაფრთხოებისთვის. ამ სოფლებს აქ, თავიანთი საცხოვრებლებიდან 10 - 12 ვერსზე, ჰქონდათ ყანები და საძოვრები და ლეკები ხშირად იტაცებდნენ პირუტყვს და ხალხს ტყვედ მიერეკებოდნენ. აქ ჩანდა პატარა მრგვალი და ოთხკუთხი მოედნები და მიწაყრილები, სადაც მცხოვრებნი აფარებდნენ თავს და პირუტყვს, როცა დროზე შეამჩნევდნენ მძარცველებს, და მამაცად იცავდნენ თავს. მკაცრად დადგენილი წესის თანახმად, ყოველი ქიზიყელი მიიჩქარის თავისი თოფით იქით, საიდანაც ესმის სროლის ხმა და, ამ ღონისძიების წყალობით, ლეკები მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში. არც ისე იშვიათად ცდილობენ ქიზიყელები აინაზღაურონ დანაკლისი ხალხისა და პირუტყვისა; ამიტომ ისინიც ესხმიან თავს მათ მეზობლად მდებარე ლეკურ რაიონს ჭარს და მოაქვთ ყველაფერი, რასაც მოახელთებენ. ასე მაგ., 1772 წლის ზამთარში მათ ლეკებისაგან გადმორეკეს 30 000 ცხვარი.

მდ. ოლის სათავიდან ჩვენ წავედით ჩრდილოეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით და გაშლილი ბორცვიანი მინდვრების გავლით, რომელიც აკრავს ქედის ძირს, 3/4 საათში ვიყავით სოფელ ბოდბეში.

9 მარტი. ბოდბიდან გავემართეთ ჩრდილოეთ-დასავლეთით და 1/2 საათში მივედით მაღაროში (იხილე 25 თებერვალი).

მაღაროდან გზა მიდიოდა თითქმის პირდაპირ დასავლეთისკენ, სოფლების ნეკივანის[1] და ჭოტორის ახლოს (ორივენი მთის თხემზე მდებარეობენ) და 1/2 საათში მივედით დიდ, ღრმა ხეობაში – ანაგისკარში. ამ ხეობით გავემართეთ ჩრდილო-დასავლეთისკენ და 3/4 საათში მივაღწიეთ სოფელ ანაგას, რომელიც მდებარეობს ხეობის დასავლეთ სანაპიროზე, ქედის პირას.

ანაგისხევის ხეობა არის 10 – 20 საჟენის სიგანისა. მის ციცაბო კედლებში ჩანან ნაცრისფერ თიხაში არეული ქვიშაქვის კენჭები. კალთებზე ჩამოედინებიან უამრავი პატარა წყაროები. მცხოვრებლებმა ისინი შეაგროვეს პატარა არხებში, რომლებიც ხეობის ნიადაგის დაქანების გამო ხანდახან მძლავრად ვარდებიან 1 – 2 საჟენის სიმაღლიდან. წყლის ამ ნაკადს – ფეხის სიმსხოსი – 3 ვერსის მანძილზე მოძრაობაში მოჰყავს 43 პატარა წისქვილი ჰორიზონტალური ბორბლებით, რომელთაგან თითოეული 24 საათის განმავლობაში იძლევა 200 – 250 გირვანქა ფქვილს, ამასთან უფრო ზევით მდებარენი ნაკლებს იძლევიან, ვიდრე ქვემოთ მდებარენი.

10-დან 12 მარტამდე დავრჩით ანაგაში. მე მოვაწყე ექსკურსია სიღნაღის ციხისკენ, რომელიც ერთადერთი ციხეა ქიზიყის მხარეში. ის მდებარეობს პირველი სამხრეთი მთისწინეთის ჩრდილოეთ კალთის ძირას, სოფლების საქობოს და მაშნაარის ახლოს. შემდეგში ამ მხარის შესახებ მეტს ვიტყვი.

თიხიან მაღლობებზე გვხვდებოდა პატარა ხვრელები ტარანტულით (Ara-

---

[1] ალბათ ნუკრიანი – გ. გ.

Sie liegt auf dem südlichen Vorgebürge am nordlichen Fuß desselben. bey den Dörfern Sakobo und Maschnari. Davon bey diesem Distrikt ein mehreres.

Auf den thonigten Höhen findet man viele kleine Löcher mit Tarantеln (Aranea Tarantula L.) denen am Terek gleich.

Ich fand hier Gelegenheit von den Lesgiern Nachrichten zu erhalten.

Den 13ten März verließen wir Anaga und mit diesem äussersren Dorfe auch den kisichischen Distrikt, denn das Dorf Baidar gehört, so nahe es auch bey Anaga liegt, schon zu einem andern kachetischen Distrikt, in Welchem wir nun reiseten.

Auf unserem Wege in WNW. kamen wir durch einen fast trocknen Bach, an welchem das Dorf Baidar stand.

Nach einer halben Stunde hatten wir das Dorf Kardanach an einem Bache und nach 2 Stunden den Bach Achtala. Auf dem Wege sahen wir am nordlichen Fuße des Vorgebürges die Dörfer Bakurziche, Kolaki, Wedschin und Gurdschani. Von Achtala kamen wir nach anderthalb Stunden bey den Dörfern Dschumlaki und Achasche vorbey nach dem Dorf Weliziche[1]. Die Häuser sind von karlelischer Bauart. Der Ort hat eine Mauer und eine Kanone.

In Weliziche[2] inuste ich einen Studenten und 3 Kosaken als Kranke und auch einige beschädigte Pferde hinterlassen. Der Zaar, der es erfuhr, befahl gleich, daß den Leuten Wein, Brodt und Hüner und den Pferden Gersten und Heu, unentgeldlich geliefert werden solle[3].

Den 14ten März. Von Weliziche[4] ritten wir eine Stunde in ONO[5] bis zum Flusse Alasan, der hier bis 100 Schritte breit war und durch denselben. Er war elwan 3 Fuß tief, hatte trübes Wasser, und am Grunde sehr kleine Steine. Er war auch nicht reißend. Seine Ufer waren nur einige Fuß hoch. Von denselben breitet sich in N. und S. ein ebenes Thal aus, in welches sich von Norden die Alpen und von Süden das Vorgebürge senket. Es ist von N. nach S. etwan 20 Werst breit, und von O. in W. etwan 100 Werst lang.

Vom Ufer des Alasan ritten Wir noch eine halbe Stunde in ONO[6], und erreichten das Dorf Ganas und das diesem N. O. g: nz nahe Dorf Tzikani. Berdé sind die äussersten Gränzörter in O. des an der Nord-eite des

---

[1–2] Weliziche] Gireliziche *P.*

[3] Den 13ten März – unentgeldlich geliefert werden solle] d. 13 März 1772. von Anaga aufgebrachen, gleich darauf Baidar passirt und l St. nach WNW bis Kardanach; daselbst Mittag gehalten. Von da 2 St. nach WNW bis zurn wachsenden Jugel und tönigte Bersoelbrunne, der Achtala genant wird; um den herum alles unfruchtbar; von l $^1/_2$ Sr. in der Direktion Rakurziche, Kolaki, Wedgin, Gurdschani, Dschumlaki und Achasche vorbei bis Weliziche, daselbst Kranken nachgelassen, *G.*

[4] Weliziche] Gireliziche, *P.*

[5] ONO] N0, *P.*

[6] ONO] N. *P.*

nea Tarantula L. – ტარენტული ობობა), რომელიც ჰგავს თერგზე გავრცელებულს.

აქ მე მომეცა შემთხვევა მიმელო ცნობები ლეკების შესახებ.

13 მარტს ჩვენ დავტოვეთ ანაგა და ამ განაპირა სოფლით აგრეთვე ქიზიყის მხარეც, რადგან სოფელი ბაიდარი, თუმცა ის მდებარეობს ძალიან ახლოს ანაგასთან, ეკუთვნის უკვე კახეთის სხვა მხარეს, სადაც ჩვენ ახლა მივდიოდით.

დასავლეთის – ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ჩვენ მივედით თითქმის მთლად ამომშრალ პატარა მდინარესთან, რომელზედაც მდებარეობს სოფელი ბაიდარი.

1/2 საათში ჩვენ გავიარეთ მდინარეზე მდებარე სოფელი კარდანახი, 2 საათის შემდეგ კი – მდინარე ახტალა. გზაზე დავინახეთ მთისწინეთის ჩრდილოეთ პირას სოფლები: ბაკურციხე, კოლაქი, ვეჯინი და გურჯაანი. ახტალიდან 1 ½ საათში სოფლების ჩუმლაყის და ახაშენის გავლით, მოვედით სოფელ ველისციხეში. სახლები აქ ქართლური ტიპისაა. ამ ადგილს აქვს გალავანი და ქვემეხი.

ველისციხეში მე დავტოვე ერთი სტუდენტი და სამი კაზაკი, ავადმყოფები, აგრეთვე რამდენიმე ცხენი დაზიანების გამო. მეფემ, როგორც კი გაიგო ამ ამბის შესახებ, მაშინვე ბრძანა, რათა უფასოდ მიეცათ ავადმყოფებისათვის (den Leuten) ღვინო, პური და ქათმები, ხოლო ცხენებისათვის ქერი და თივა[1].

14 მარტი. ველისციხიდან 1 საათი მივდიოდით აღმოსავლეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. ალაზანამდე, რომლის სიგანეც აქ დაახლოებით 100 ნაბიჯია, და გადავედით მასზე. მისი სიღრმე იყო 3 ფუტი, ჰქონდა მღვრიე წყალი და ფსკერზე ძალიან წვრილი ქვები. დინება არ იყო სწრაფი. მისი ნაპირები იყო მხოლოდ რამდენიმე ფუტი სიმაღლის. მისგან ჩრდილოეთით და სამხრეთით გადაჭიმული იყო სწორი ველი, რომლისკენაც ჩრდილოეთიდან ეშვება ალპები, სამხრეთიდან – მთისწინეთი. ეს ველი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 20 ვერსის სიგანისაა, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ – 100 ვერსის სივრცისა.

ალაზნის ნაპირიდან ჩვენ მივდიოდით ½ საათი აღმოსავლეთით – ჩრდილო აღმოსავლეთით და მივედით სოფელ გავაზამდე, აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით სულ ახლოსაა სოფელი ჭიკაანი. ესენი არიან კახეთის უკიდურესი აღმოსავლეთი სასაზღვრო ადგილები ამ ველზე, რომელიც მდებარეობს ალაზნის ჩრდილოეთ მხარეზე. ამბობენ, რომ წინათ ქართველები სახლობდნენ აგრეთვე კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთით. ახლა კი ლეკეთ-აჭარის სოფელ ბელაქანამდე, რომელიც მდებარეობს გავაზიდან 30 ვერსზე, აღარ გვხვდებიან (ქართველები). მიუხედავად მტრულად განწყობილი ლეკების სიახლოვისა, ამ სოფლებს არ აქვთ სიმაგრეები და ცხოვრობენ უკეთეს პირობებში, ვიდრე უფრო

---

[1] 13 მარტს – ქერი და თივა, პ.] 1772 წ. 13 მარტს გავედით ანაგიდან, მაშინვე გავიარეთ ბაიდარი და 1 საათში დასავლეთის – ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მივედით კარდანახში; იქ ვისადილეთ. იქიდან 2 საათში დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით, მზარდ ბორცვამდე და თიხიან ნავთის წყარომდე, რომელსაც ახტალას უწოდებენ; გარშემო ყველაფერი უნაყოფოა; იქიდან 1½ საათში ბაკურციხის, კოლაქის, ვეჯინის, გურჯაანის, ჩუმლაყის და ახაშეს გავლით ველისციხეში, სადაც ავადმყოფები დავტოვეთ, გ ი უ ლ დ.

[2] ლაპარაკია ალაზნის ჩრდილოეთით მდებარე კახეთის ნაწილზე - გ. გ.

Alasans gelegenen Theils von Kachetien. Ehemals sollen noch weiter ostlich von Georgianern bewohnte Oerter gewesen sein. Jetzo aber ist bis zu dem lesgisch Ds[ch]arischen Dorfe Belakan, welches man über 30 Werst von Ganas enlfernt halt, keines mehr. Ohngeachtet der Nähe der feindseligen Lesgier, haben doch diese Dörfer keine Befestigung und leben im beßern Wohlstande als in dem weit entfernten Karteli. Sie sind der Scharmüzel mit den Lesgiern gewohnt, heimsuchen die Dscharischen Lesgier so oft als diese sie, und rauben sich mit ihnen wechselsweise Menschen und Vieh.

Ganas oder Gauas liegt kaum 2 W. vom eigentlichen ziemlich steilen Fuße des Hauptgebürges Jugum subalpinum) am Bache Ganas. Längst der Kluft dieses Baches geht ein Weg, auf welchem man in einer sehr starken Tagereise zu der an der Nordseite des Hauptgebürges wohnenden Nazion Kabutsch, und von da zu den lesginischen Distrikten Kahaiso und Chuusag gelangt.

Von Ganas ritten wir in WNW, durch hier gewöhnliche Waldung und hatten nach anderthalb Stunden den Bach Bursa und nach einer halben Stunde den Bach Durusch. An dessen Ufer und am Fuß des Hauptgebürges steht die Festung Kwaraeli auch Kwareli. Sie besteht wie die vorigen aus einer Mauer, die einen Quadratplatz von 150 Schritt im Durchmesser einfaßt. In diesem Plaze wohnt fast niemand, sondern neben der Festung in der Kluft, in welcher der Bach Duritsch aus dem Gebürg kömt, und auf den Ufern der Kluft, wo sie auch ihre Gärten haben. Am Bache selbst sind kleine Mühlen. Die Häuser der Einwohner sind von kisichischer Bauart. In Kwareli hat der Episkoposi Nekreseli seinen Siz. Am Gebürge soll Fagus Castanea häufig wild wachsen.

Von Kwareli oder Kwaraeli hat man im Gebürge, Dido in N. Tuschi in N. W. und den lesgisohen Distrikt Anzug in N0[1].

Den 15ten März brachen wir früh von Kwareli auf und erreichten nach einer Stunde Weges in WSW das Dorf Lomiziche am kleinen Bache Kui oder Kui Tskaro (Kuiquelle). Dieses und das eine halbe Stunde in WSW entfernte Dorf Wepchi Ziche legte der Zaar Heraclius etw: n vor 10 Jahren von den Ueberbleibsel und mit den Ueberbliebenen mehrerer, durch die Lesgier zerstörter Dörfer an.. Beide enthalten kaum 50 Familien und sahen noch sehr wüst aus[1], doch war schon Wein, Aprikosen, Pfirsichen, die sehr blüheten, und einige andere Fruchtbäume gepflanzt. Wir wurden hier, wie es in Georgien in den Faßten gebräuchlich ist, nehmlich blos mit Speisen aus dem Pflanzenreich, ohne Fische bewirthet.

---

[1] Den 14 März – Distrikt Anzug in N0. *P.*] Den 14 März. Von da aufgebrachen und 1 St. nach ONO bis zum Alasan; durch denselben und daraus 1/2 St. nach ONO bis Ganas. Dieser Weg gieng durch dikkes Gehölze, in dem Eiche, Weisbuche und Rust-

მოშორებულ ქართლში. ისინი მიეჩვივნენ ლეკებთან შეტაკებებს; თავს ესხმიან ჰარელ ლეკებს ისევე ხშირად, როგორც ეს უკანასკნელთ მათვე, და სტაცებენ ერთმანეთს ხალხსა და პირუტყვს.

გავაზი მდებარეობს 2 ვერსის მოშორებით საკუთრივ მთავარი ქედის თითქმის ციცაბო ძირისგან, მდ. გავაზზე. გზა მიდიოდა ამ მდინარის ხეობის გაყოლებით, რომლითაც ერთი დღის მოგზაურობით შეიძლება გადასვლა კაბუჩის ხალხში, რომლებიც ცხოვრობენ მთავარი ქედის ჩრდილოეთ მხარეზე; აქედან კი ლეკების მხარეებში კახაისოსა და ხუნძახში.

გავაზიდან ჩვენ გავემართეთ დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით და, აქაური ჩვეულებრივი ტყის გავლით, 1 1/2 საათში მივედით მდინარე ბურსამდე, ხოლო 1/2 საათში – მდინარე დურუჯამდე. მის ნაირზე და მთავარი ქედის ძირას მდებარეობს ყვარელის ციხე. ის, ისევე როგორც ზემოთშეხვედრილები, შეიცავს გალავანს, რომელიც ფარგლავს ფართობს 150 ნაბიჯის დიამეტრისას. ამ მოედანზე თითქმის არავინ ცხოვრობს. ცხოვრობენ ციხის ახლო ხეობაში, სადაც მიედინება ქედიდან ჩამომდინარე დურუჯი და ხეობის ნაპირებზე, სადაც მათ აქვთ აგრეთვე ბაღები. ზედ მდინარეზე არის პატარა წისქვილები. მცხოვრებთა სახლები ქიზიყური ტიპისაა. ზედ მდინარეზე არის პატარა წისქვილები. მცხოვრებთა სახლები ქიზიყური ტიპისაა. ყვარელი არის ნეკრესელი ეპისკოპოსის ადგილსამყოფელო. ამბობენ, რომ ქედზე იზრდება გარეული წაბლი.

ყვარელიდან მთებში მდებარეობენ: დიდო – ჩრდილოეთით, თუშეთი – ჩრდილო-დასავლეთით და ლეკების რაიონი ანწუხი – ჩრდილო-აღმოსავლეთით.

15 მარტს ადრე გავედით ყვარელიდან და 1 საათში დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოვედით სოფელ ლომისციხემდე, რომელიც მდებარეობს პატარა მდ. კუიწყაროზე. ეს და, მოშორებული მისგან დასავლეთით – სამხრეთ-დასავლეთით 1/2 საათის სავალზე, სოფელი ვეფხისციხე ერეკლე მეფემ დაასახლა დაახლოებით 10 წლის წინათ იმ სოფლების ნარჩენებისა და გადარჩენილ მოსახლეთაგან, რომლებიც ლეკებმა მოაოხრეს. ორივენი შედგებიან 50-ზე ნაკლებ ოჯახისაგან და გამოიყურებიან ძალიან უდაბურად, მაგრამ უკვე ჩაყარეს ვაზი, ჩარგეს გარგარი, ატამი, რომლებიც უკვე ყვაოდნენ და ხეხილის კიდევ სხვა სახეები. აქ ჩვენ გაგვიმასპინძლდნენ, როგორც ეს საქართველოში მარხვის დროსაა მიღებული, მხოლოდ ბოსტნეულის საკვებით, უთევზოდ.

---

er. Nahe bei Gauas in O, ist noch das Dorf Tzikani, welches das äusserste georgische Dorf ist; darauf erreichten in O. den lesgischen Distrikt Tschar folgI. Nach dem Mittagmal von Ganus aufgebrachen bis zum Buch Bursa 1 1/2 St., bis zum Bache Duritsch 1/2 St. an den Kwareli gelegen; der Weg ging am Fuß des Gebürges nach WNW. Von Kwareli am Gebürge in N. Dido, in NW Tuschi, in NO. Anzug. Allhierin. Blühe Ficaria, Vennica agr. Valetia Ceurcata... Kwareli ist der Siz des Episkuposi Nekreseli, die Festungr ist leer. Die Einwohner wonen in hölzernen kisichisch. änlich. Häusern. Von der Festung in N. in der Kluft des Flusses an beiden Seiten (sind) viele Mülen mit horizontal..., *G.*

Von Lomiziche ritten wir in NW, und kamen nach anderthalb Stunden (etwan 9 Werst) nach Tschilda am Flusse Tschelti. Tschilda liegt[2] in einem kleinen Thal, zwischen dem nordlichen höhern und südlichen niedrigern Gebürge, welches sich hier endigt. Es[3] besteht aus Kalkstein, und hatte Gebüsch aus[4] Carpinus betulus, Cornus mas, Ficus carica, Rhamnus paliurus und saxatilis, Jasminum; Crataegus oxyacantha und Rhus cotinus.

Den 16ten März brachten wir wegen Regenwetter in Tschilda zu. Dieses Dorf gehört theils dem Patriarchen, theils andern Fürsten. Man hält hier viele Ziegen und Schaafe. Leztere sind klein, mit einem kleinen Fettschwanze, ohne Hörner, mit guter, weicher, krauser Wolle. Hier war der Sommergersten schon Zoll lang aus der Erde[5]. Wie in Kwareli sind auch hier Weinreben und Maulbeerbäume häufig. Die Gärten werden mittelst der aus dem Tschelti in dieselben geführten Graben gewässert. Die Betten der Flusse, die von dem jugo subalpino aus Norden kommen, sind voll mit schwarzen Tafelschiefer, weil dies jugen so hoch ist, daß dieser häufig und mächtig ist. Nur am Fuß ist die Bergart Kalkstein[6].

Den. 17ten März. Der heutige Weg ging in W. wenig nordlich, ganz am Fuße des Schiefer und Kalkgebürgs (Jug. subalpinum).

Von Tschilda hatten wir nach 1/4 Stunde Sabueti, an einem kleinen Gebürgbache am Fuß des Gebürges[7] und nach 1/2 Stunde den Fluß Zubani, der aus NW, aus dem Gebürge kommt und am Fuß des Gebürges den Bach Boties aufnimmt; an dessen Mündung in W. auf einem niedrigen Kalksteinfelsen[8] die kleine Festung Gremi steht, mit einer Kirche, einem Schießthurm und ein paar Häusern, nur 2 kleine Toor gehen zu derselben[9].

ln dem nahen Thal stand die ehemals ansehnliche Stadt Gremi, von welcher noch 5 Kirchen übrig sind, deren einige georgianische, andere arinenische lnschriften haben.

Am linken Ufer des Zubaui steht hier das kleine Dorf Enuiseli[10].

Von Gremi kamen wir nach einer Stunde durch einen kleinen Bach und dann nach 2 Stunden zum Flußе Lopata, an deßen rechten Ufer[11] am Fuß des Gebürges die Festung Artana steht. Vordem hatten die Lesgier und Kisten für ihre räuberischen Streifereyen nach Kachetien und Georgien an diesem Fluß einen gemeinschaftlichen Weg. Eine Stunde von derselben hatten wir den Bach Tschitschakwa und nach 1/4 Stunden den Fluß Stori, an deßen linken Ufer[12] das Dorf Pschawel und am rechten[13] die Festung Laliskur stehen. Daselbst Halte[14].

---

[1] Den 15ten märza – sehr wüst aus] D. 15. März von Kwareli 1 St. nach WSW bis Lomiziche, an der Westseite des Baches Kuitskaro (d. i. Kuiquelle), hier zu Mittage Halte. Dies Dorf und Wepchi-Ziche, welches 1/2 St. von hier in WSW gelegen, sind erst vor 10 Jahre angelegt, *G.*

[2] Tschilda liegt. *G.* der seinen lauf...bat. *P.*

[3] Es. *P.*] dieses südliche, *G.*

[4] hatte Gebüsch aus, *P.*] es war bedeckt mit Gesträuch von. *G.*

[5] Hier war – Erde<*P.*

ლომისციხიდან ჩვენ გავემართეთ ჩრდილო-დასავლეთით და 1 1/2 საათში (დაახლოებით 9 ვერსის შემდეგ მივედით შილდაში, ჩელთის-წყალზე, შილდა მდებარეობს[1] პატარა დაბლობზე, ჩრდილოეთის უფრო მაღალ და სამხრეთის შედარებით დაბალ ქედებს შორის, რომელიც აქ თავდება. ის (სამხრეთისა – გ ი უ ლ დ.) შეიცავს კირქვას და აქვს ბუჩქნარი შემდეგი მცენარეებისა[2]: რცხილა, შინდი, ლეღვი, Rhamnus paliurus და saxatilis, Jasminum, Crataegus Oxyacantha (კუნელი) და თრიმლი.

16 მარტი წვიმის გამო გავატარეთ შილდაში. ეს სოფელი ნაწილობრივ ეკუთვნის პატრიარქს, ნაწილობრივ სხვა თავადებს. აქ ჰყავთ ბევრი თხები და ცხვრები. უკანასკნელნი აქ პატარა ზომისაა, პატარა ცხიმკუდებით, რქები არ აქვთ. აქვთ კარგი, რბილი და ხუჭუჭი მატყლი. საგაზაფხულო ქერი აქ უკვე დიუიმზე იყო ამოსული მიწიდან[3]. როგორც ყვარელში, აქაც ხშირად გვხვდება ვენახები და თუთის ხეები. ბაღები ირწყვება ჩელთის წყლიდან გამოყვანილი რუებით. მდინარეების კალაპოტები, რომლებიც მოედინებიან jugo subalpino-დან, ჩრდილოეთიდან, სავსეა შავი დაფის ფიქალით. რადგან ეს ქედი ასე მაღალია, ესეც ხშირი და მაგარია. მხოლოდ ძირას არის კირქვის ქანები[4].

17 მარტი. დღევანდელი გზა მიდიოდა დასავლეთისკენ, ნაკლებ ჩრდილოეთით, ზედ ფიქალიან და კირქვიან მთების ((Jug. subaIpinum) ძირში.

შილდიდან 1/4 საათში გავიარეთ საბუეთი, მდებარე მთის პატარა მდინარეზე ქედის ძირას[5]; ხოლო 1/2 საათის შემდეგ – მდინარე წუბანი (?), რომელიც გამოდის ქედიდან ჩრდილო-დასავლეთიდან და მთის პირთან იერთებს მდინარე ბოტიეს, რომლის შესართავთანაც, დასავლეთით, დაბალ კირქვიან კლდეზე[6] დგას პატარა ციხე გრემი ეკლესიით, კოშკით და რამდენიმე სახლით. მხოლოდ ორ პატარა ჭიშკარს მივყავართ მათკენ[7].

იქვე ახლოს დაბლობზე იყო წინათ მნიშვნელოვანი ქალაქი გრემი, რომლისგანაც კიდევ დარჩა 5 ეკლესია. ამათგან ზოგს აქვს ქართული წარწერები, ზოგსაც სომხური. წუბანის მარცხენა ნაპირზე დგას აატარა სოფელი ენისელი[8].

გრემიდან 1 საათის შემდეგ გავიარეთ პატარა მდინარე; კიდევ 2 საათში მივედით მდინარე ლოპოტაზე, რომლის მარჯვენა ნაპირზეც[9], მთის ძირში, დგას ციხე არტანა. წინათ ლეკებს და ქისტებს აქ, ამ მდინარეზე, ჰქონდათ საერთო გზა თავისი ყაჩაღური თავდასხმებისათვის კახეთზე და საქართველოზე. 1 საათის შემდეგ აქედან გავიარეთ მდინარე ჩიჩაყვა და 1/4 საათში – მდინარე სტორი, რომლის მარცხენა ნაპირზეც[10] მდებარეობს სოფელი ფშაველი, ხოლო მარჯვენაზე[11] – ლალისყურის ციხე. იქ შევისვენეთ[12].

---

33. 31. 15 მარტს – ძალიან უდაბურად, პ ა ლ.] 15 მარტს ყვარელიდან 1 საათი [მივდიოდით] დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთით ლომისციხემდე, [ის მდებარეობს] მდ. კუიწყაროს დასავლეთ მხარეზე, აქ სადილად შევისვენეთ. ეს და სოფელი ვეფხისციხე, რომელიც აქედან 1/2 საათის სავალზეა დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთით, მხოლოდ 10 წლის წინ არიან დასახლებულნი, გ ი უ ლ.

[1] შილდა მდებარეობს, გ ი უ ლ.] რომელიც მოედინება: პ ა ლ. [2] აქვს ბუჩქნარი შემდეგი

---

[6] Die Betten – Kalkstein<*P.* [7] am Fußdes Gebürges<*P.* [8] an dessen Mündung in W. auf einem niedrigen Kalksteinfelsen, *G.*] daselbst, *P.* [9] nur 2 – demselben<*P.* [10] Am Iinken – Enuiseli, *P.*] Ein bewontos kleines Dorf ist izt an der Ostseite des Zubani. das Enuiseli genant wird, *G.* [11] rechten Ufer, *P.*] Westseite. *G.* [12] linken Ufer, *P.*] Ostseite. *G.* [13] am rechten, *P.*] Westseite, *G.* [14] daselbst Halte<*P.*

Die heutige Gegend, der Fuß des Gebürges nehmlieli, war waldigt und Eichen, Weiß und Rothbuehen die gemeinsten Baumarten.

Ueberall waren in Gàrten Wein. Granaten, Feigen, und alles in Europa gewöhnliche Obst sehr häufig, auch ist der Seidenban sehr betrüchtlich, denn jede Familie gewinnet jährlich 2 bis 4 Pud Kokons, wovon das Pfund zu 60 bis 90 Kop. verkauft wird.

Der Viehstand war überall geringe. Man bält hier viele Gänse und Hüner selten Kalkunen.

Kraniche und Kropfgänse (Onocrotalus) zogen in großen Schaaren nach Norden, auch erscheinen die Schwalben.

D. 18. März 1772 in Laliskur übernachtet. Von da einige 100 Schritte nach N. ist auf einem Kalksteinfelsen eine kleine Festung. Die Stadtmauern sind ein Viereck, jede[1] an 100 Schritte lang. Die Einwohner leben gröstenteils anserhalb. Von da etwan 1/4 St. nach W. ist das Dorf Tachtizirhe gelegen: und von da 1/4 St. weiter in W. folgt die Festung Magrani an der Westseite des Baches Pscha, und von da an l 1/2 St. weiter in W. ist das Dorf Bachtrioni gelegen am Fuß des Gebürges und am Alasan, der hier aus den Gebürge tritt; das ist der lezte an der Nordseite des Alasan gelegene Orl[2].

Von Laliskur ritten wir 1 St. nach SW[2] bis zum Alasan und daraus durch denselben. Das Wasser gieng den Pferden über den Bauch, fliest aber ganz sanft und von da nach 1/4 St. bis zu der[4] Festung und dem Kloster Alawerdi; daselbst Halte[5]. Die 60 Schritte lange und 30 Schritte breite steinerne, mit Topfstein belegte Kreuz-Kirche ist mit einer Mauer in Viereck umgeben, deren Seiten an 120 Schritte halten[6]. Alawerdi steht am Bache Achschniskewi, des Alasan. Den Boden des Wassers decken gerundete Kalksteinbroken[7], und an der Nordseite verbindet sich mit diesen

---

[1] jede <*P.*

[2] D. 18. Marz – gelegene Ort. *G.*] Nahe bey Laliskur ist eine den beschriebenen ähnliche Festung auf einem Kalkielsen. Sie bildet ein Viereck, dessen Seitenmauern entwan 100 Schritte lang sind. Ihre meisten Einwohner haben die Häuser nusser der Meuer.

Den 18. März. Von Laliskur in W. hatten wir nach einer viertel Stunde dus Dorf Tachti Ziche und noch nach einer viertel Stunde die Festung Mugrani am rechten Ufer des Bachs Pschu.

Nach anderthalb Stunden kamen wir nach dem Dorfe Bachtrioni am Al san, der hier aus dem Gebürge kommt. Dieses ist das uordlichste Dorf am Alasan, *P.*

[3] Von Laliskur ritten wir 1 St. nach SW. *G.*] Wir ritten. *P.*

[4] bis zum - zu der, *G.*] durch den über 3 Fuß tiefen, hier sanft fließenden Alasan und kamen nach einer viertel Stunde zur, *P.*

[5] duselbst halte < *P.*

[6] Die 60 Schritte – 120 Schritte halten, *G.*] Beyde sind eines, denn eine Mauer umgiebt die Klosterkirche als ein Viereck. Sie ist au jeder Seite 120 Schritte lang. Die Klosterkirche ist eine Kreuzkirche mit Topisteinfliesen belegt. *P.*

[7] Alewerdi steht – Kalksteinbroken, *P.*] An der Süd – und Ostseite der Kirchmauer fließt der aus NW aus der Vorgebürge kommende und kleine Kalkstein führende Bach Achsniskewi, *G.*

დღევანდელი ადგილები, სახელდობრ მთისძირი, დაფარული იყო ტყით, უმეტესწილად გვხვდებოდა შემდეგი ხეები: მუხა, წითელი და თეთრი წიფელი.

ყველგან ბაღებში იყო ყურძენი, ბროწეული, ლეღვი და ყველა სახის ნაყოფი, რაც ევროპაშია გავრცელებული; მეაბრეშუმეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია: ყოველი ოჯახი წლიურად იღებს 2 – 4 ფუთ აბრეშუმის პარკს, ხოლო გირვანქას ყიდიან 60 – 90 კაპიკად.

მესაქონლეობა ყველგან უმნიშვნელოა. ჰყავთ ბევრი ბატები, ქათმები, იშვიათად ინდოურები.

წეროები და Onocrotalus[1]მიფრინავდნენ დიდი გუნდებით ჩრდილოეთისკენ; გამოჩნდნენ მერცხლებიც.

1772 წ. მარტი გავათენეთ ლალისყურში. მისგან რამდენიმე ასეული ნაბიჯის მოშორებით ჩრდილოეთისკენ, კირქვიან კლდეზე დგას პატარა ციხე. გალავანი არის ოთხკუთხი, თითოეული [მხარე] 100 ნაბიჯის სიგრძისა. მოსახლეობა უმეტესად მის გარეთ ცხოვრობს. აქედან დასავლეთით 1/4 საათის სავალზე არის სოფელი ტახტიციხე, ხოლო იქიდან 1/4 საათის გზაზე დასავლეთით მაღრაანის ციხე, მდ. ფშას დასავლეთ ნაპირზე. იქიდან კი 1 ½ საათის მოშორებით დასავლეთით არის სოფელი ბახტრიონი, რომელიც მდებარეობს მთის ძირში და მდ. ალაზანზე; ალაზანი აქ გამოდის მთისწინეთიდან. ეს არის ალაზნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე უკანასკნელი ადგილი[2].

ლალისყურიდან 1 საათი მივდიოდით სამხრეთ-დასავლეთით ალაზნამდე, მერე გავედით წყალში. წყალი ცხენებს მუცელს ზევით წვდებოდა, მაგრამ სავსებით მდორედ მოედინებოდა და იქიდან ¼ საათში მივედით ალავერდის ციხესა და მონასტერში; იქ შევისვენეთ. ჯვრის ფორმის ეკლესია 60 ნაბიჯის სიგრძისა და 30 ნაბიჯი სიგანისაა. ის ნაშენია ქვით და მოპირკეთებულია ფილაქნებით. მას გარს არტყია ოთხკუთხი გალავანი, რომლის გვერდები 120 ნაბიჯის სიგრძისაა[3]. ალავერდი მდებარეობს მდ. ახსნისხევზე, ალაზნის შენაკადზე. წყლის ფსკერი მოფენილია მრგვალი რიყის ქვებით. ჩრდილოეთით მას ერთვის ალაზნის პატარა ტოტი აქ საჯდომია ეპისკოპოსისა (ეპისკოპოსი ალავერდელი),

---

მცენარეებისა, პ ა ლ.] დაფარულია შემდეგი მცენარეების ჯაგნარით, გ ი უ ლ. [3] საგაზაფხულო ქერი – მიწიდან <პ ა ლ. [4] მდინარეების კალაპოტები – კირქვის ქანები <პ ა ლ. [5] ქედის ძირას <პ ა ლ. [6] რომლის შესართავთანაც – კლდეზე, გ ი უ ლ] იქ, პ ა ლ. [7] მხოლოდ ორ – მათკენ <პ ა ლ. [8] წუბანის – ენისელი. პ ა ლ.] დასახლებული პატარა სოფელი ამჟამად დგას წუბანის აღმოსავლეთ მხარეზე: მას ჰქვია ენისელი, გ ი უ ლ. [9] მარჯვენა ნაპირზეც, პ ა ლ.] დასავლეთ მხარეზე, გ ი უ ლ. [10] მარცხენა ნაპირზეც. პ ა ლ.] აღმოსავლეთ მხარეზე, გ ი უ ლ. [11] მარჯვენაზე, პ ა ლ.] დასავლეთ მხარეზე, გ ი უ ლ. [12] იქ შევისვენეთ <პ ა ლ.

[1] ჩინჩახვიანი ბატები (?).

[2] 1772 წ. – უკანასკნელი ადგილი გ ი უ ლ დ.] ლალისყურის ახლოს, კირიან კლდეზე არის აღწერილის მსგავსი ციხე. ის არის ოთხკუთხი, რომლის მხარეები დაახლოებით 100 ნაბიჯი სიგრძისაა. მისი მოსახლეობის უმეტესობას სახლები კედლის გარეთ აქვთ.

18 მარტს. ლალისყურიდან დასავლეთით ¼ საათში გავიარეთ სოფელი ტახტისციხე და კიდევ ¼ საათში – მდ. ფშას მარჯვენა მხარეს მდებარე მაღრაანის ციხე.

1 ½ საათში მივედით ალაზანზე მდებარე სოფ. ბახტრიონში. ალაზანი აქ გამოდის მთიდან. ეს არის ალაზანზე ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე სოფელი, პ ა ლ.

[3] ჯვრის ფორმის – 120 ნაბიჯი სიგრძისაა, გ ი უ ლ დ.] ორივე გაერთიანებულია, რადგან ოთხკუთხა გალავანი არტყია გარს მონასტრის ეკლესიას. მისი ყოველი მხარე 120 ნაბიჯის სიგრძისაა. მონასტრის ეკლ. არის ჯვარის ფორმისა და მოპირკეთებულია ფილაქნებით. პ ალ.

ein kleiner Abfluß des Alasansl. Ein Bischof (Episkoposi Alawerdeli) hat hier seinen Sitz. Zu seiner Eparchie gehört auch Telau, welches man von hier in SO. sahe.

Es regnete und gewitterte heute den ganzen Tag. darüber in den schlechten Hütten allhier alles schwam. Im heitern Abend sahe man von hier das Hauptgebürge in N., das Vurgebürge in S. und das beide verbindende in S. streichende Queergebürge (Jug. transversale), in W. etwan 15 Werst won hier mit Schnee bedeckt.

Von Alawerdi sagte man, in SSW. sei am südl. Fusse des Vorgebürges Sagaredgo gelegena.

Den 19ten bis 21sten März. Von Alawerdi[4] ritten wir in SO. und kamen nach einer Stunde nach dem großen Dorf und der kleinen Festung Ruispiri. Am Wege dahin hatten wir die Dörfer Achatel, Baioko[5], Kugoto und Gurgula.

Ruispiri liegt an der W. Seite[6] des, aus S. des Vorgebürges kommenden[7], steinigten[8] Baches Turdo. Von hier ward mir Matani in N. W., Achmeta in W., Ikolto in SW., Alawerdi in NW, Gremi in ONO, Laliskur in NNO und Wardisobani in O gezeigt[9]. Auch 2 Werst höher am Turdo liegt[10] die Festung Artosani.

Von Ruispiri ritten wir 3/4 St. bis zu eine[m] kleine[n] Bache und von da noch 1/2 St. bis zur cachetischen Hauptstadt Tvlawi[11].

Telawi besteht aus 3. mit vierekkien Ringmaner[u] umgebenen Festungen, die auf der Anhöhe des nordlichen Fusses des Vorgebürges liegen; in einer Höhe in gerader Linie von O. nach W. durch Klüfte, die an 200 Schritte breit sind von einander getrenet. Die mittelste Festung ist der Hauptort und wird Batonis Zinhe, das ist des Herrn Festung genant, weil innerhalb derselben das Schloß ist. Diese hat an 700 Schritte im Umfange. Sie ist innerhalb durch eine Quermauer in 2. Teile geschieden: in dem nordlichen Teile ist das zarische Schloß, das teils aus alten, teils aus neuen Gebäuden besteht, und eine neue Zarische Kirche; in dem südl. Teile sind verschiedene, verfallene Privathäuser. Ausser den Mauern, an der

---

[1] und an der – des Alasans < *P.*

[2] Es regnete – Im heitern, *G.*] Am heutigen Tage war Regen und Gewitter. Am klärern, *P.*

[3] Von Alawerdi sagte man – Sagaredgo gelegen < *P.*

[4] Den l9 ten bis 21 sten März. Von Alawerdi, *P.*] den 19. Märzavon Alawerd, *G.*

[5] Baioko, *G.*] Bujukoro, *P.*

[6] an der W. Seite, *G.*] am rechten Ufer, *P.*

[7] aus S. des Vurgebürges kommende < *P.*

[8] stoinigten, *P.*] und viele kleine Kalksteine fürende, *G.*

[9] Von hier ward mir – in O gezeigt *G.*] Man sieht von Ruispirilo, Matani in NW. Achmeta in W. Ikolto in SW. Wardi Sobani in 0. Gremi. Alawerdi und Laliskur, *P.*

[10] Iiegt < *P.*

[11] Von Ruispiri ritten – Hauptstadt Telawi *G.*] Von Ruispiro erreichten wir nach einor Stunde die kachetische Hauptstadt Telawi auch Telau, *P.*

მის ეპარქიას ეკუთვნის აგრეთვე თელავი, რომელიც აქედან სამხრეთ აღმოსავლეთით ჩანს.

დღეს მთელი დღე მოდიოდა წვიმა და იყო ჭექა-ქუხილი, რის გამოც ცუდ ქოხებში ყველაფერი წყალში ცურავდა. მოწმენდილ ამინდში აქედან ჩანს: ჩრდილოეთით – მთავარი ქედი, სამხრეთით – მთისწინეთი, დასავლეთით კი – ამ ორის შემაერთებელი გადამკვეთი ქედი (jng. transversale), რომელიც გადაჭიმულა სამხრეთისაკენ. ის მოშორებულია აქედან 15 ვერსზე და დაფარულია თოვლით.

ამბობენ, რომ ალავერდიდან სამხრეთით – სამხრეთ-დასავლეთით, მთისწინეთის სამხრეთ ძირთან, არის საგარეჯო.

19 დან 21 მარტამდე. ალავერდიდან ჩვენ გავემართეთ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და 1 საათის შემდეგ მოვედით დიდ სოფელ რუისპირში, რომელსაც აქვს პატარა ციხე. გზაზე გავიარეთ სოფლები ახატელი, ბაიხო, კოღოთო და გულგულა.

რუისაირი მდებარეობს მდინარე თურდოს დასავლეთ მხარეზე, რომელიც გამოდის მთისწინეთის სამხრეთიდან და აქვს ქვიანი კალაპოტი. აქედან მატანი იყო ჩრდილო-დასავლეთით, ახმეტა – დასავლეთით, იყალთო – სამხრეთ-დასავლეთით, ალავერდი – ჩრდილო-დასავლეთით, გრემი – აღმოსავლეთით – ჩრდილო აღმოსავლეთით, ლალისყური – ჩრდილოეთით-ჩრდილო-დასავლეთით და ვარდისუბანი – აღმოსავლეთით[1]. აგრეთვე 2 ვერსით ზემოთ თურდოზე მდებარეობს არტაზანის ციხე.

რუისპირიდან ჩვენ 3/4 საათში გავიარეთ პატარა მდინარე; იქიდან კი 1/4 საათში მოვედით კახეთის დედაქალაქ თელავში[2].

თელავი შედგება სამი, ოთხკუთხაგალავან-შემოვლებული, ციხისაგან, რომლებიც მდებარეობენ მთისწინეთის ჩრდილოეთის ძირის ამაღლებაზე; ერთ სიმაღლეზე პირდაპირი ხაზით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ერთმანეთისაგან გამოიყოფიან 200 ნაბიჯი სიგანის ხევით. შუა ციხე არის მთავარი ადგილი და მას უწოდებენ ბატონის ციხეს, ე. ი. ხმართველის ციხეს, რადგან მის შიგნით არის სასახლე. მისი წრეწირი 700 ნაბიჯს შეადგენს. შიგნით ის ორ ნაწილადაა გაყოფილი გამკვეთი კედლით; ჩრდილოეთის ნაწილში არის მეფის სასახლე, რომელიც ნაწილობრივ ძველი, ნაწილობრივ ახალი შენობისაგან შედგება, და ახალი სამეფო ეკლესია; სამხრეთ ნაწილში არის მოსახლეთა (კერძო პირთა) მოძველებული სახლები. კედლებს გარეთ, სამხრეთ მხარეზე არის დუქნები, სადაც სომხებს აქვთ უხეში ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები და ლეკებს [სხვადასხვა] საქონელი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ამ გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო მხარეზე. სამხრეთის კედელში არის დიდი ალაყაფის კარი და ჩრდილოეთისაში, მისგან აღმოსავლეთით – პატარა; ხოლო დასავლეთისაში ფარული (კარი), რომლიდანაც კედ-

---

[1] აქედან მატანი – აღმოსავლეთით, გ ი უ ლ დ.] რუისპირიდან ჩანდა მატანი ჩრდილო-დასავლეთით, ახმეტა-დასავლეთით, იყალთო – სამხრეთ-დასავლეთით, ვარდისუბანი – აღმოსავლეთით, ალავერდი და ლალისყური, პ ა ლ.

[2] რუისპირიდან – თელავში, გ ი უ ლ დ]. რუისპირიდან ერთ საათში მოვედით კახეთის დედაქალაქ თელავში, პ ა ლ.

Südseite sind Kramladen, in den[enJ Armenen schlechte baumwollene und seidene Zeuge und Lesgier Waaren … haben. Der mereste Teil der Einwohner wont an den Süd-Ost- und Nordseite dieser Ringmauer. ln der südl. Mauer ist ein grosses Tor, und der nurdl, in der ostl, ein kleines; und in der westl, ein verdecktes, das in ein[em] verdeckten ausserhalb der Mauer schräg herunter gefürten Gange zu einer Wasserquelle fürt. Eine Kluft in der diese Quelle ist, scheidet diese mittelste Festung von der westlichen, die Kortgibagiswilli Ziche genant wird, weil sie dieser fürstl. Familie gehört, Ir[en] einige leibeigene Bauern darin wonen; sie hat 600 Schritte in Umfange. Ihre westliche Mauer stöst an eine ganz steife an 10 Faden hohe Wand einer Kluft, in der ein kleiner aus S. kommender Bach fliest. In der Südseite ist ein grosses Tor.

Die ostliche Festung wird Wachochaschwilo Ziche genant, weil sie dieser adelichen Familie gehört; darin ist eine steine[rne] Kirche und die Hof- und Bauerngebaude; sie hat 500 Schritte im Umfange; in der westl. Mauer ist das Tor. In der Kluft, die diese von der Batonis Ziche scheidet, ist eine starke Quelle. Einige 100 Schritte von der westl, angefürte Festung weiter westlich stehen alte Ringmauern, die an 300 Schritte im Umfange haben und Sueli Ziche, d. i. alte Festung, genant werden. Zwischen diesen Ringmauern sind auch die Überbleibsel einer steinera[en] Kirche[1].

Von Telau 1/2 St. in № an dem Quellbach der kluft bey Batonis Ziche, steht das Dorf Kurigelauri und einige 100 Schritte davon[3], gegen Alasau zu, die Dörfer Muganle, Karağeler, Kepenaltschi und Kisilhadğil[4]. In allen[5] Wohnen 250 Familien terekemenzischer Tataren, die der Zaar Erekle

---

[1] Telawi besteht aus - steinern en Kirche. *G.*] Sie besteht aus 3 mit Mauern umgebenen Quadraten oder Festungen, durch tiefe bis 200 Schritte breite Klüfte getrennet. Die mittelste Festung ist die vornehmste und heißt Batonis Ziche. d. h. des Herrn Festung, weil der Zaar ein Schloß in derselben hat. Sie hat 700 Schritte im Umfang und ist durch eine Queermauer getneilt, In einem Quartier ist das Schloß mit alten und neuen Gebäuden und eine Kirche; im andern sind baufällige Einwohnerhäuser. Ausser der südlichen Mauer sind Kramladen der Armenianer mit schlechten seidenen und banmwollenen. Zeugen und lesgischen Waaren. Aus der Festung geht ein verborgener Weg zu einer reichen Wasserquelle in der Kluft.

Die westliche Festung heißt von der adlichen Familie, der sie gehört, Kortgibog Willi Ziche. Sie hat 600 Schritte im Umfange und wird von einigen leibeigenen Bauern bewohnt. In ihrer 10 Faden tiefen Kluft ist ein Quellbach.

Die ostliche Festung Wachocha Schwilo Ziche, der [adelichen] Familie dieses Namens, hat eine steinerne Kirche und Hof- und Bauer[u]gebäude. Im Umfange hält sie 500 Schritte.

Sueli Ziche (d. i. Alte Festung) steht nur einige 100 Schritte von der westlichen. Ihre verfallene Mauer umgiebt eine verfallene steinerne Kirche, und ein(en) Viereck von 100 Schritten im Durchmesser, *P.*

[2] Von Telau 1/2 St; in N < P.

[3] einige 100 Schritte davon, G.] demselben nahe, *P.*

[4] Kisilhndğil, *G*] Kisischadgi], *P.*

[5] allen. *P.*] diesen 4. Dörfern, *G.*

ლის გარეთ ციცაბოდ ქვევით დაშვებული (ფარული) საიდუმლო გზა წყარომდე მიდიოდა. ხევი, რომელშიც ეს წყაროა, გამოაყოფს ამ შუა ციხეს იმისაგან, რომელიც დასავლეთით მდებარეობს და რომელსაც ყორდღიბაღიშვილის ციხე ეწოდება, რადგან ის ეკუთვნის ამ თავადურ გვარს, რომლის ზოგი ყმა-გლეხები მასში ცხოვრობენ; მისი წრეწირი შეადგენს 600 ნაბიჯს. ვისი დასავლეთის კედელი ებჯინება ხევის მთლად ციცაბო, 10 საჟენი სიმაღლის ფერდობს, რომელშიც მოედინება სამხრეთიდან მომავალი პატარა მდინარე. სამხრეთ მხარეზე არის დიდი ალაყაფის კარი.

აქაური მარცვლეული იყო ხორბალი და ქერი; პირველი ყვაოდა, ხოლო მეორე თითქმის უკვე შემოსული იყო. პურში აქ ყოველთვის ბევრია აღმოსავლური ჭვავი, რომელსაც თათრები ეძახიან ჩ ა ნ დ ე რ ს (Tschander [= cavdar]), ქართველები – პშოავს[1] (Pschoawi), ებრაელები – სვილს (Swili). ის სიმაღლით 7 ფუტამდეა ხოლმე.

ადგილი უკვე მაღალია და გრილი, მაგრამ მაინც არის თუთის ხეები, ხილის გარკვეული სახეები, ხოლო დარბეულ ბაღებში ხშირად ყურძენიც. კაკლის ხეები აქ დიდი რაოდენობითაა; აგრეთვე კომში, ქლიავი, მსხალი, ვაშლი და ალუბალი[2].

28 მაისი გამიფუჭა ციების ძლიერმა შემოტევამ და მხოლოდ საღამოთი შევძელით გამგზავრება. პირველად გავემართეთ ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ დასავლეთით და 1 ½ საათში ანუ დაახლოებით 10 ვერსის მერე მოვედით დებედაზე, რომლის ნაპირიც აქ წარმოადგენს ციცაბო ქვიშაქვიან კლდეებს[3] და რომელიც ქციას ერთვის მარჯვენა მხრიდან; მასზე მდებარეობს თათრული მხარე ბორჩალო.

29 მაისი გავათენეთ დებედაზე[4].

დებედა იწყება არარატის ჩრდილოეთ მთისწინეთში, მიედინება ჩრდილოეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით, აქვს სიგრძე 1 ½ დღის სავალი და ერთვის ქციას მარჯვენა მხრიდან.

დებედა ადრე ძალიან იყო დასახლებული სომხებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლორის ციხე მის მარჯვენა ნაპირზე, მისი დინების შუა წელში. ასევე წინათ აქ ადნობდნენ სპილენძს, ახლა ეს მხარე გაუდაბურებულია. დებედაში ჩამავალი მდინარის სათავემდე, 1 საათის მოშორებით დებედიდან აღმოსავლეთით[5], ცხოვრობენ ბამბაკის რაიონის თათრები. ეს მხარე არის ერეკლე მეფის ქვეშევრდომი. მეფემ ის მისცა ბატონიშვილ გიორგის[6]. მაგრამ ისინი ხშირად იჭერდნენ ყარსის თურქების მხარეს ანდა ერევნის ხანისას. აქ ითვლიან 1000 ოჯახს[7].

ჩვენ გავედით დებედაზე, სადაც იყოფა გზები სოფელ ბამბაკისკენ, თურქულ ქალაქ ყარსისკენ და ერევნისკენ. ყარსამდე აქედან იყო მხოლოდ ნახევარი დღის სავალი დასავლეთით – სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო ერევნამდე ერთი დღის გზა სამხრეთით – სამხრეთ-აღმოსავლეთით.

იქ, სადაც ჩვენ გავედით, დებედა იყო მხოლოდ 2 ფუტი სიღრმისა და მახლობლად იზრდებოდა ბევრი ალუბალი (ქართულად აკაკი – ?), რომელსაც წელს სრულებით არ მოესხა ნაყოფი[8]. შემდეგ ჩვენ მის მარცხენა ნაპირზე კვლავ

---

[1] ეს არის, ალბათ, ჭვავი; ებრაელების მიერ ხმარებულად მოყვანილი სვილი-ც ხომ ქართულში იხმარება. იხ. რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ლექსიკონი, გვ. 51. სვილა, ქუბი, ჭვავი Рожь. Secale cereale L.

[2] კაკლის ხეები – ალუბალი < პ ა ლ.

[3] რომლის ნაპირიც – კლდეებს < პ ა ლ.

[4] 29 – დებედაზე < პ ა ლ.

[5] დებედაში ჩამავალი – აღმოსავლეთით გ ი უ ლ.] მხოლოდ მის ქვედა შენაკადებთან, თვით დებედის ქვემოთ, პ ა ლ.

[6] მეფემ ის – გიორგის < პ ა ლ.

[7] აქ ითვლიან 1000 ოჯახს < პ ა ლ.

[8] რომელსაც წელს სრულებით არ მოესხა ნაყოფი < პ ა ლ.

scheu Dorfs Keschalik. Pschlawa, die unserer Legerstelle nun gegenüber War[1]. Nach einein Ritt von 2 Stunden in SW. kamen wir an den Bach Tsarteni der linken des Tebete, welcher über Sandstein aus WNW fließt und l Werst von hier in den Tebete fällt. Noch nach eine[r] Stunde kamen wir in S-westlicher Richtung an den höher in den Tebete fallenden. Bach Bading, an welchem oben die Ruinen von Achtala sind.

Achtala ist[2] ein weitläuftiger Ort von Georgianern und Armenianern bewohnt, mit einem ansehnlichen Kloster von Griechischen Geistlichen erbauet und besorgt worden[3], welches einige griechische lnschriften[4] und an den Wänden griechische Priesternamen hat, also wohl georgisch gewesen ist. Die Hauptkirche ist 35 Schritte lang und 25 Schritte breit. Sie ist so, wie 2 Kapellen und ein Haus der Mönche, von Sandsteinwerkstücken aufgeführt und der Ort mit einer hohen Mauer, 400 Schritte ling, umgeben. Auf dem Platze der Stadt sind Ueberbleibsel von 8 armenischen Kirchen. An der Nordseite des Klosters fließt ein sehr kleiner Bach[5].

Nur seit 10 Jahren ist Achtala völlig verlassen, da Sirh der Rest der Einwohner, wegen der öftern lesgischen Einfälle, theils nach Bortschalo, theils nach Kachetien zog Man sieht daher hier noch Wallnuß. Granaten Pfirsich, Aprikosen und andere Obstbäume, euch Weinreben häufig.

Achtala ist einigen Erzgange wegen merkwürdig[6].

Den 29sten May besuchte ich hier einige Erzanbrüche und verlassene Bergwerke. Dem Kloster gerade gegenüber lIl NNO an der Nordseite des kleinen Baches nur einige 100 Schritte in gerade[r] Linie und von da aber an 60 Faden höher ist ein Gang, der Kupfer-grün und -blau und Eisen hält. Ein anderer Gang ist von der Kirche in NNW gelegen etwan 1 Werst von da. Etwa 3 Werst in NO. von Achtala ist eine Eisenstein-Grube[7].

Nachher ritten wir in NNW. über die steile Gebürghöhe, auf der auch noch zu Arhtala gerechnete Ruinen einer Kirche gesehen wurden, die wir nach anderthalb Stunden paßirt hatten, und uns bey einer Schönen Quelle in einem fruchtbaren Grunde lagerten.

Den 30sten May. Wir ritten, die unvermeidlichen Abweichungen abgerechnet. in ONO. und kamen, nach fast 2 Stunden, vom Gebürge in die

---

[1] die unserer – geg. war < *P.* [2] ist, *G.*] war, *P.* [3] von Griechischen – worden < *P.*

[2]

A	OA	A	ΘE	
ΓP	KP	ΘA	CA	
HΓ	AΓ	ΔΔ	ΔO	< *P*
OP	JIN	AIO	NIK	
HO	ΔHN		HS	

უნდა წავიკითხოთ:

Ὁ ἅγιος Γρηγόρη[ς] | ὁ Ἀχραγανδῆνο[ς] |
Ὁ ἅγιος Θαδδαῖο[ς] | Θεσαλονίκης

[5] An der Nordseite – Bach < *P.*

[6] Achtala – merkwürdig < *P.*

[7] Dem Kloster gerade – Eisenstein-Grube < *P.*

მივედით მთისწინეთის მწვერვალამდე და დავინახეთ მასზე დანგრეული სომხური სოფელი კეშალიკ აშლავა (?), რომელიც ჩვენი ბანაკის პირდაპირ მდებარეობდა[1]. სამხრეთ-დასავლეთისკენ ორი საათის მგზავრობის შემდეგ მივედით მდ. წართენთან, დებედის მარცხენა შენაკადთან, რომელიც მოედინება დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთიდან ქვიშაქვაზე და ერთვის დებედას აქედან ერთ ვერსზე. კიდევ ერთი საათის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მივედით დებედაში ჩამავალ მთის მდინარე ბადინგთან, რომელზედაც ზემოთ არის ახტალას ნანგრევები.

ახტალა არის[2] დიდი პუნქტი, დასახლებული ქართველებითა და სომხებით, საკმაოდ მოზრდილი მონასტრით, [ის] აშენებულია ბერძენი მამების მიერ და თვითვე უვლიან[3]. მას აქვს ბერძნული წარწერები და კედლებზე მიწერილია ბერძნული მამათასახელები (Friesternamen). ალბათ, იყო ქართული წარწერებიც. მთავარი ეკლესია არის 35 ნაბიჯის სიგრძისა და 25 ნაბიჯის სიგანისა. იქ არის თითქოს ორი სამლოცველო და ერთი სახლი ბერებისათვის, ქვიშაქვის ფილებით ამოყვანილი, და ეს ადგილი შემორტყმულია 400 ნაბიჯის სიგრძის მაღალი კედლით. ქალაქის ადგილას არის ნანგრევები 8 სომხური ეკლესიისა. მონასტრის ჩრდილოეთ მხარეზე მიედინება ძალიან პატარა მდინარე[4].

მხოლოდ 10 წელია, რაც ახტალა სავსებით მიტოვებულია, რადგან მოსახლეობის ნარჩენები, ლეკთა ხშირი თავდასხმების გამო, ზოგი ბორჩალოში და ზოგიც კახეთში გადავიდა. აქ გვხვდება კიდევ კაკალი, ბროწეული, ატამი, გარგარი და სხვა ხეხილი, აგრეთვე ხშირია ვაზი.

ახტალა აღსანიშნავია თავისი საბადოებით[5].

29 მაისს დავათვალიერე აქ ზოგიერთი სპილენძის საბადო და მიტოვებული მაღარო. მონასტრის პირდაპირ ჩრდილოეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით, პატარა მდინარის ჩრდილოეთ მხარეზე, მხოლოდ 100-ოდე ნაბიჯზე პირდაპირი ხაზით ხოლო 60 საჟენით მაღლა მასზე არის საბადო, რომელიც შეიცავს კაჟიან სპილენძს, სპილენძის ლურჯას და რკინას. მეორე საბადო არის ეკლესიიდან ჩრდილოეთ – ჩრდილო-დასავლეთით, 1 ვერსის მოშორებით მისგან. ახტალიდან 3 ვერსზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით არის რკინაქვის საბადო[6].

შემდეგ გავემართეთ ჩრდილოეთ – ჩრდილო-დასავლეთით, ციცაბო მთის ზედაპირზე, საიდანაც კიდევ მოჩანდა აგრეთვე ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ახტალას ეკუთვნოდა და რომელიც ჩვენ 1 ½ საათში გავიარეთ, და გავჩერდით მშვენიერ წყაროსთან, ნოყიერ მიწაზე.

30 მაისი. ჩვენ ვიარეთ, თუ არ ჩავთვლით აუცილებელ გადახვევებს, აღმოსავლეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით და თითქმის 2 საათში მთიდან დაბ-

---

[1] რომელიც ჩვენი – მდებარეობდა < პ ა ლ.

[2] არის, გ ი უ ლ.] იყო, პ ა ლ.

[3] [ის] აშენებულია – უვლიან < პ ა ლ.

[4] მონასარის ჩრდილოეთ – მდინარე < პ ა ლ.

[5] ახტალა აღსანიშნავია თავისი საბადოებით < პ ა ლ.

[6] მონასტრის პირდაპირ – რკინაქვის საბადო < პ ა ლ.

Thalfläche am Tscharteni des Tebete. In derselben folgten wir dem Tebete in N. hinab und kamen nach 5/4 Stunden nach dem tatarisch-armenischen Dorfe Sadachle, welches an Kanälen aus dem Tebete, etwan 3 Werst vom dessen linken Ufer liegt. Hier waren schöne Waizen-, Gersten-, Reis- und Baumwollfelder. Sadachle heißt eigentlich Sangana und ist erst vor 2 Jahren mit Einwohnern aus Sadachle und Tschotschgani, höher aus dein Gebürge, angelegt. Es ist das äusserste SW. Dorf am Tebete. Man siehet hier ein Kloster (Udobna) in N0.

Ich erhielt hier die Haut eines Leoparden der vor etlichen[1] Wochen in der Nähe von zwey Jünglingen, die er anfiel und sehr zerbiß, mit Dolchen erlegt worden. Auch sahe ich hier das Horn einer Ziege Bodscha genannt, die auf diesem araratischen Vorgebürge bey Bampek, so wie auf dem südlichen kankasischen Vorgebürge um Birtwis und Samschilde, mit der Rupicapra häufig herum schweifen soll. Sie ist von mir unter dem Namen Capra caucasica beschrieben.

Von Sangana oder Sadachle ritten wir drey viertel Stunden in NNO bis zu spitzigen Felsen am Fuß des Gebürges gegen den Tebete. Diese Felsen heißen Surutasch (hoher Stein). Ihnen in ONO. nahe sind die Ruinen der Festung Kiskala (Jungfern Stadt). Von hier in NW. hatten wir nach einer halben Stunde den Ksiabach Tschulawerdiskewi und wieder nach einer halben Stunde das armenische Dorf Tschulawerd am Ksia. Es hat etwan 100 Häuser und gehört dem Ksnis Eristaw und Kaplanow[2]. Von Sangana bis hier war alles ausgedörrter Thonboden.

Den 31sten May. Ich habe bei Tschulawerd übernachtet[3]. lch drang nun auf die Reise nach Dambulut, so sehr sich auch mein Führer wegen der türkischen Nachbarschaft sperrete, da mir die Gegend wegen der Erze, die der Zaar schon im Winter holen lassen, merkwürdig schien. Von Tschulawerd brach ich heute früh mit 15 Kosaken und 30 Georgianern dahin auf, alles übrige blieb bey Tschulawerd. Der Morgen war regnigt.

Der Weg gieng in W. und hatte nach einer halben Stunde Kotschakilissa das letzte bewohnte armenische Dorf der Kaplanows. Jetzt stand[4] es leer, weil alle[5] Einwohner ins Gebürge gezogen waren. Es steht einige 100 Schritte[6] am südl[7]. Ufer des Ksia und hat die neue Festung Talawerd in SO., Sarkineti in S. W., von da die Mülensteine nach Teflis und ganz Cartuli gebracht werden[8]. Von hier ritten wir dem rechten Ksiaufer eine viertel Stunde parallel aufwärts. Von da gieng dieser nach WNW, der in

---

[1] etlichen, *P.*] einigen, *G.*

[2] Kaplanow. *P.*] Kaplanows Teilhaber, *G.*

[3] Ich habe bei Tschulawerd übernachtet < *P.*

[4] stand, *P.*] war, *G.*

[5] alle, *G.*] die, *P.*

[6] einige 100 Schritte, *G.*] naht, *P.*

[7] südl. *G.*] rechten, *P.*

[8] Von da die – gebracht werden < *P.*

ლობზე გავედით დებედის შენაკად ჩარტენთან (Tscharteni)*. ჩვენ დავყევით მას ქვევით, დებედის ჩრდილოეთით, და 5/4 საათში მივედით თათრულ-სომხურ სოფელ სადახლეში, რომელიც მდებარეობს დებედის მარცხენა ნაპირიდან 3 ვერსზე, დებედიდან გაყვანილ არხებზე. აქ იყო მშვენიერი ყანები ხორბლისა, ქერისა, ბრინჯისა და ბამბისა. სადახლეს საერთოდ ეძახიან სანგანას და მხოლოდ 2 წლის წინ გაშენდა სადახლესა და ჭოჭკანის[1] (მაღლა მთაშია) მოსახლეებისგან. ის არის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის სოფელი დებედაზე. აქედან ჩანს მონასტერი (უდაბნო) ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მე მომიტანეს აქ ავაზის ტყავი; ის რამდენიმე კვირის წინ აქვე ახლოს ხანჯლებით მოეკლა ორს ყმაწვილს, რომელთაც ის თავს დასცემია და ძალიან დაეკბინა. მე ვნახე აქ აგრეთვე რქა თხისა, რომელსაც ეძახიან ბ ო ჯ ა ს, რომელიც აქ – არარატის მთიანეთში ბამბაკთან, – ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის მთათიანეთში ბირთვისთან და სამშვილდესთან, Eupicapra-სთან ერთად უნდა იყოს გამთელებული. მე ის აღვწერე ჯიხვის (Capra caucasica-ს) სახელით.

სანგანიდან ანუ სადახლიდან გავემგზავრეთ ჩრდილოეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით და 3/4 საათში მივედით წვეტიან კლდეებთან, რომლებიც არიან დებედის პირდაპირ მთის ძირას. ამ კლდეებს ეწოდებათ ს უ რ უ ტ ა შ (მაღალი ქვა). მათგან აღმოსავლეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით, ახლოს, არის ნანგრევები ყიზყალის ციხისა (ქალწულთა ქალაქი – Jungfern Stadt[2]). აქედან ჩრდილო-დასავლეთით 1/2 საათში მივედით ქციის შენაკად შულავერდის ხევთან და კიდევ 1/2 საათში ქციაზე მდებარე სომხურ სოფელ შულავერდში. მას აქვს დაახლოებით 100 სახლი და ეკუთვნის ქსნის ერისთავსა და ყაფლანოვს[3]. სანგანიდან აქამდე სულ იყო გამომხმარი თიხამიწა.

31 მაისი. მე გავათიე შულავერდში. თუმცა ჩემი მძღოლი დიდ წინააღმდეგობას მიწევდა, თურქების მეზობლობის გამო, მე დაჟინებით მოვითხოვდი გამგზავრებას დამბულუტში, რადგან ეს მიდამო, იმიტომ რომ აქ იყო მადნები, რომლებიც მეფემ ჯერ კიდევ ზამთარში ამოაღებინა, ღირსშესანიშნავად მეჩვენებოდა დღესვე ადრე გავეშურე შულავერდიდან 15 კაზაკითა და 30 ქართველით იქით, ყველაფერი დანარჩენი შულავერდში დარჩა. დილა იყო წვიმიანი.

გზა მიდიოდა დასავლეთისაკენ და 1/2 საათის შემდეგ ვიყავით უკანასკნელ სომხურ სოფელში, ყოშაქილისაში. ამჟამად ის იყო დაცარიელებული, რადგან მთელი მოსახლეობა ასულიყო მთაში. ის მდებარეობს რამდენიმე ასეული ნაბიჯის მოშორებით[4] ქციის სამხრეთი[5] ნაპირიდან და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ახალი ციხე ტალავერდი და სამხრეთ-დასავლეთით – სარკინეთი, საიდანაც თბილისსა და მთელ ქართლში გააქვთ წის-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი (აღწერა, გვ. 36): ახპატს ქვეით არს ხეობა ჭ ო ჭ კ ა ნ ი ს ა.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი (აღწერა გვ. 45): აღაშენა ციხე-ქალაქი ქართლოს, პირველ ეწოდა მტკვრის ციხე, შემდგომად ხუნანი, და აწ მოჰმადიანნი უქმობენ ქალის-ციხე – ყიზყალას, დაბის გამო.

[3] ყაფლანოვს, პ ა ლ.] ყაფლანოვების მონაწილეებს, გ ი უ ლ.

[4] რამდენიმე ასეული ნაბიჯის მოშორებით, გ ი უ ლ.] ახლოს, პ ა ლ.

[5] სამხრეთი, გ ი უ ლ] მარჯვენა. პ ა ლ.

[6] ზემოთ (გვ. 77) ამავე მდინარეს ეწოდება Tsarteni.

Trialeti sein [en] Ursprung hat; Wir passierten die Mündung[1] des Maschawere, der aus WSW. kommt, und nun am rechten Ufer des Maschawere hinauf, an welchem wir nach einer Stunde die Festung Tschapola, die die Form eines Vierecks hat, erreichten. Hier ist eine steinerne Brücke überden Fluß.

Nach einer halben Stunde höher hinauf, an der Nordseite des Maschawers[2] war die Festung Oranta, wo auch eine steinerne Brücke ist. Nun ritten[3] durch den Fluß Poladauri, der aus SSW. köinmt und über Oranta in die rechie Seite des Maschawere fallt. Auf dem Ritt einer halben Stunde waren die Ueberbleibsel Gardisopeli und denn nach einer viertel Stunde die ron Zugrugascheni. Nachher sahen wir 2 Werst vom Wege am Poladauri die Festung Bolnisi. Ihr gegenüber, an der andern Flußseite, ist vordem Kupfer geschmolzen worden.

Nach einer halben Stunde in WSW. Hatten wir das Dorf Tschori, wo ein Kupfer und Eisengang war. Er ist am 3 Faden mächtig[4].

Von Tschori in W. hatten wir nach anderthalb Stunden den Bach Balitschiskewi der rechten des Maschawere, dessen Mündung gegenüber oder am linken Ufer des Maschaweri die Hauptfestung Guetsch steht.

Von hier ritten wir weiter in W. und hatten nach einer halben Stunde den Bach Dambulutiskewi, nahe über seiner Mündung in die rechte Seite des Masvhaweri beim Dorf Dmanisi kamen[5]. An diesem Bache gingen wir in S. hinauf und hatten nach drey viertel Stunden die Ueberbleibsel des lorfs Dschanakom und wieder nach 3/4 Stunden Dambulut, wo Erzgange waren die ich besahe.

Von Tschulawerd bis Bolnisi ist die Gegend freier[6], von hier bis Dambulut alles bewaldet und das ganze dem nordlichen Vorgebürge am Terek, beim Katharinenbad sehr ähnlich.

Von Dambnlut in S. an 5 St. Reise[7], ist der armenische. ebenfals ganz[8] Wüste Distrikt Tashiri, indem ebenfals viele Eis- und Kupfer-Gruben sein Sollen[9]. Bis zur türkischen Festung Achalkalaka, die zu Dsawacheti gehört, ist von Dambulut nur eine kleine Tagereise.

Nach beendigten mineralogischen Beobachtungen, kehrte ich auf demselben Wege nach Tschulawerd zurücke. Es war schon eine Stunde Nacht.

---

[1] Von da ging - passierten die *G.*] bis zur *F.*

[2] an der Nordseite des Maschawers < *P.*

[3] ritten < *P.*

[4] Er ist am 3 Faden mächtig < *P.*

[5] kamen < *P.*

[6] die Gegend freier, *G.*] alles offen, *P.*

[7] an 5 St. Reise < *P.*

[8] ebenfals ganz, *G.*] gegenwärtig, *P.*

[9] indem – sein sollen < *P.*

ქვილის ქვები[1]. აქედან ჩვენ გავყევით 1/4 საათი მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს პარალელურად ზევით. იქიდან ქცია მიედინებოდა დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით, მას სათავე აქვს თრიალეთში; ჩვენ გავიარეთ[2] მაშავერის შესართავი, რომელიც მოედინება დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთიდან; შემდეგ ავყევით მაშავერის ნაპირს ზევით და ერთი საათის შემდეგ მივედით მასზე მდებარე, ოთხკუთხი ფორმის მქონე ჭაპალის ციხეში. აქ მდინარეზე არის ქვის ხიდი.

1/2 საათის სავალზე ზევით, მაშავერის ჩრდილოეთ მხარეზე[3] იყო სიმაგრე ორანტა, სადაც არის აგრეთვე ქვის ხიდი. შემდეგ გავედით[4] მდ. ფოლადაურზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან მოედინება და ორანტის ზევით ერთვის მაშავერას მარჯვესა მხრიდან 1/2 საათის მგზავრობის შემდეგ შეგვხვდა ღართისოფლის ნანგრევები, და კიდევ 1/4 საათში წუღრუღაშენისა, ამის შემდეგ გზიდან 2 ვერსის მოშორებით, მდ. ფოლადაურზე დავინახეთ ბოლნისის ციხე. მის პირდაპირ, მდინარის მეორე ნაპირზე, წინათ უდვნიათ სპილენძი.

1/4 საათის შემდეგ დასავლეთით – სამხრეთ-დასავლეთით მივედით სოფ. ჩორში[5], სადაც იყო სპილენძისა და რკინის ძარღვი. ის არის 3 საჟენის სიმძლავრისა[6].

ჩორიდან დასავლეთით 1 1/2 საათში ვიყავით მაშავერის მარჯვენა შენაკად ბალიჭისხევზე, რომლის შესართავის პირდაპირ, ანუ მაშავერის მარცხენა ნაპირზე დგას მთავარი სიმაგრე გუეჩი[7].

აქედან გავემართეთ დასავლეთისკენ და 1/2 საათში ვიყავით მდ. დამბლუტის ხევზე; მის ახლოს, მისვე შესართავზე ზევით მაშავერის მარჯვენა ნაპირთან მივედით სოფელ დმანისში. ამ მდინარეს ავყევით სამხრეთისაკენ ზევით და 3/4 საათში გავიარეთ სოფელ ჯანაკომის (?) ნანგრევები და კიდევ 3/4 საათში დამბლუტი, სადაც იყო მადნის ძარღვები, რომლებიც დავათვალიერე.

შულავერიდან ბოლნისამდე მიდამო[8] გაშლილია, აქედან დამბლუტამდე ტყიანია და ძალიან ჰგავს ჩრდილოეთ მთისწინეთისას თერგზე ეკატერინებადთან.

დამბლუტიდან სამხრეთით 5 საათის სავალზე[9] არის სომხური, ასევე მთლად[10] გააარტახებული მხარე ტაშირი, სადაც აგრეთვე ბევრი რკინის და სპილენძის საბადოები უნდა ყოფილიყო[11]. დამბლუტიდან თურქულ ახალქალაქის ციხემდე, რომელიც ჯავახეთს ეკუთვნის, არის ერთ დღეზე ნაკლები სავალი გზა.

მინერალოგიური დათვალიერების დამთავრების შემდეგ იმავე გზით გავემართეთ უკან შულავერდში. უკვე 1 საათის დაღამებული იყო, როცა ჩვენ

---

[1] საიდანაც თბილისსა – ქვები < პ ა ლ. [2] იქიდან ქცია – ჩვენ გავიარეთ < პ ა ლ. [3] მაშავერის ჩრდილოეთ მხარეზე < პ ა ლ. [4] გავედით < პ ა ლ. [5] „ჩორი“ უნდა იყოს სოფ. შორი, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთით და არა სამხრეთით. [6] ის არის 3 საჟენი სიმძლავრისა < პ ა ლ. [7] გუენი კი დანამდვილებით არის ქვეშის ციხე, რომელიც სწორედ შორის დასავლეთით მდებარეობს [8] მიდამოს, გ ი უ ლ.] ყველაფერი, პ ა ლ.[9] 5 საათის სავალზე < პ ა ლ.

[10] ასევე მთლად, გ ი უ ლ.] ამჟამად, პ ა ლ.

[11] სადაც აგრეთვე – ყოფილიყო < პ ა ლ.

da wir den Poladauri erreichten, daher wir an demselben, unterhalb Gardisopeli Halte machten[1].

Den 1sten Junius brachen wir mit Tagesanbruch auf und erreichten nach 3 1/2 St[2]. unser Lager in Tschulawerd, da alles wolbehalten war[3].

Man begrub hier einen Tataren. Er war in weiße Leinwand geschlagen und diese über dem Kopf und den Füßen angebunden. Er ward ohne Sarg in eine 4 Fuß tiefe Grube, mit dem Kopf in O. und dem Gesicht in S. gelegt und so bedeckt, daß die Erde die Leiche nicht berührte. Die Träger verrichteten nachher ein arabisch. Gebet, denn es war kein Geistlicher dabey.

Die Gegend am Maschawere, die ich gestern bereiste und noch eine Tagereise höher, und eben so die dieser parallel, am Ksia hinauf, macht einen Distrikt der Provinz Somchiti aus und gehörte der fürstl. Familie Kaplani Schwilli oder Orbeliani Schwilli. Es bewohnten ihn Armenier (Arm. u. Georg. Somaech) mit wenig untermischten Georgiern. Jetzt ist hier alles wüste. Eben so ist es mit dem Distrikt Trialeti, der mit diesem in NW. gränzt und oben am Ursprung des[4] Ksia belegen ist.

Wir ließen die Tageshize, besonders hier sehr häufigen Bremsen auszuweichen, übergehen und brachen erst gegen Abend von Tschulawerdi auf, ritten durch den Ksia und kamen nach anderthalb Stunden nach der wüsten Festung Marneaul, die an der südlichen[5] Seite des Algeti liegt, über den hier eine steinerne Brücke ist. Die Einwohner waren vor 4 Jahren von hier am Algete ins freie Felde[6] gezogen und hatten sich ein neues Marneaul erbauet, welches gegenwärtig 40 armenische und 30 tatarische Familien, die von Gandscha hergekommeifl. enthält. Beim alten Marneaul war der Sandstein stellenweise sehr eisenschüßig. Unter letztern. Ort etwan 1 Werst steht das ebenfalls vor 4 Jahren angelegte Dorf Gaurach, in welchem man 60 tatarische und 15 armenische Häuser rechnet, die von Akbalaly aus dem Gebürge hieher gezogen waren. Außer diesen sind keine bewohnte Oerter am Algete.

Von da ritten wir noch 4 Stunden in N. und erreichten das rechte Ufer des Kur 1 Werst unter Songalugi, wo wir anhielten. Auf dieser Distanz hatten wir auf dem halben Wege einen bis 2 Werst langen See mit thonigtem Boden und bittersalzigen Wasser, daher bey jeziger Verkleinerung desselben durch Eintrocknen eine schneeweiße Salzerde seinen breiten Rand bedeckt. An der Westseite des Sees steht das seit einem Jahre leere

---

[1] Es war schon – Halte machten, *G.*] kam aber nur bis an den Poladauri, *P.*

[2] erreichten nach 3 1/2 St, *G.*] trafen in (... ein) *P.*

[3] da alles wolbehalten war < *P.*

[4] Ursprung des < *P.*

[5] südlichen, *G.*] rechten, *P.*

[6] ins freie Felde, [ß] weiter hinab, *P.*

[7] die von Gandscha hergekommen < *P.*

მოვედით ფოლადაურამდე, რომელთანაც ჩვენ ღართი-სოფლის ქვემოთ დავბინავდით[1].

1 ივნისს გავედით გათენებისთანავე და 3 ½ საათში მივაღწიეთ[2] ჩვენს ბანაკს შულავერდში, სადაც ყველაფერი კარგად დაგვხვდა[3].

აქ მარხავდნენ ერთ თათარს. ის გახვეული იყო თეთრ ტილოში, რომელიც შეკრული ჰქონდა თავსა და ფეხებზე. ის უკუბოდ ჩაასვენეს 4 ფუტი სიღრმის საფლავში თავით აღმოსავლეთისაკენ და სახით სამხრეთისაკენ და ისე გადააფარეს, რომ მიწა არ შეჰხებია გვამს. ამის შემდეგ წამღებებმა შეასრულეს არაბული ლოცვა, რადგან აქ არავინ იყო სასულიერო პირი.

მთელი მიდამო მაშავერაზე, რომელიც მე გუშინ მოვიარე, და კიდევ ერთი დღის სავალი ზევით და ასევე მის პარალელურად, ქციაზე ზემოთ, შეადგენს სომხითის პროვინციის მხარეს და ეკუთვნის თავადის გვარს ყაფლანიშვილს ანდა ორბელიანიშვილს. აქ ცხოვრობენ სომხები, მცირე რაოდენობით შერეულნი არიან ქართველები. ამჟამად აქ ყველაფერი გაპარტახებულია. ასევე არის თრიალეთის მხარეშიც, რომელიც ამას ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება და ზემოთ, ქციის სათავესთან[4] მდებარეობს.

ჩვენ ვიცდიდით, სანამ გავიდოდა დღის პაპანაქება, განსაკუთრებით გვინდოდა აგვეცდინა კრაზანები, რაც აქ ძალიან ხშირია, და მხოლოდ საღამოთი გავედით შულავერდიდან; გადავედით ქციაზე და 1 ½ საათში მივედით დანგრეულ მარნეულის (MarneauI) ციხესთან, რომელიც მდებარეობს ალგეთის სამხრეთ[5] მხარეზე. აქ ალგეთზე ქვის ხიდია. მარნეულის მოსახლეობა ოთხი წლის წინათ გადავიდა აქედან ალგეთის გაშლილ (freie) მინდვრებზე[6] და გააშენეს ახალი მარნეული, სადაც ამჟამად არის 40 სომხური და 30 თათრული ოჯახი, რომლებიც განჯიდან მოვიდნენ[7]. ძველ მარნეულთან ქვიშაქვა ადგილ-ადგილ შეიცავდა ბევრ რკინას. უკანასკნელი ადგილის ქვემოთ, დაახლოებით ერთ ვერსზე, მდებარეობს ასევე 4 წლის წინათ შექმნილი სოფელი გიაურარხი (Gaurach), რომელშიც ითვლება 60 თათრული და 15 სომხური სახლი, რომლებიც აკბალალიდან, მთიანეთიდან, იქნენ გადმოყვანილი აქ. ამათ გარდა ალგეთზე არ არის სხვა დასახლებული ადგილი.

აქედან ჩვენ ვიმგზავრეთ ჩრდილოეთით კიდევ 4 საათი და მივედით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სონღალუღის ქვემოთ ერთ ვერსზე, სადაც ჩვენ გავჩერდით. აქეთკენ, ნახევარ გზაზე, შეგვხვდა დაახლოებით 2 ვერსის სიგრძის ტბა, თიხიანი ფსკერით და მწარე მარილიანი წყლით, ამასთან, მისი ახლანდელი დაპატარავების გამო (სიცხისაგან ამოშრობით), ნაპირი დაფარული აქვს თოვლივით თეთრი მარილიანი მიწით (მარილიანი მიწის არშიით – გ. გ.).

---

[1] უკვე დავბინავდით გ ი უ ლ.] მაგრამ მოვედით მხოლოდ ფოლადაურამდე, პ ა ლ.

[2] 3 ½ საათში მივაღწიეთ, გ ი უ ლ.] მივედით პ ა ლ.

[3] სადაც ყველაფერი კარგად დაგვხვდა < პ ა ლ.

[4] ქციის სათავესთან, გ ი უ ლ.] ქციაზე, პ ა ლ.

[5] სამხრეთ, გ ი უ ლ.] მარჯვენა, პ ა ლ.

[6] გაშლილ მინდვრებზე, გ ი უ ლ.] მოშორებით ქვევით. პ ა ლ.

[7] რომლებიც განჯიდან მოვიდნენ < პ ა ლ.

Dorf Gaumysch. Der Ksnis Eristaw kaufte seine Einwohner von Kaplanows und versetzte sie nach Karteli.

Den 2ten Junii brach[t]en Wir früh auf und hatten nach einer viertel Stunde die Festung Songalugi, nach 7/4 Stunden aber erreichten wir Teflis (durch Gandschiskari, d. i. durchs Gandschische Tor[1]. weil die Badebrücke zerbrochen war; dies ist jetzt der eigentliche Weg, den die Carawan machte, weil die Brücke über den Bade-Fluß eigentl. nur zur leichten Communication ist[2]), wo ich alles hinterlassene in gutem Stande fand.

In Teflis machte ich zu meiner möglichst baldigen Abreise nach lineretien, um auch des Zaars Salomons Land und Distrikte bereisen zu können, alle Anstalt, mußte mich aber dabey nach den Umständen richten. Indessen fehlte es mir nicht an Beschäftigungen.

Den 4ten Junii machte ich eine Excursion nach Melel, und hatte daselbst mit dem Zaar eine Unterredung.

Den 6ten Junii schickte mir der Zaar den Saltuchses David Kaplanow und den Fürsten Otia[3] als Dolmetscher. Heute traf auch der Fürst Artschili, Bruder des Zaars Salomon, mit dem rußischen Geschäftsträger dem Capitain Lwow in Teflis ein.

Den 7ten Junii besuchte ich diesen Fürsten in Digomi.

Der Zaar Heraclius ließ mir Wissen, daß ich den Zarewitsch Georgi und den Fürsten Artschil auf deren Reisen nach Krzchinwal und Sagina, wohin sie morgen abgingen, begleiten könne, worauf ich dem Zaar mein Vorhaben, von da nach Imereti zu gehen, bekannt machte, der mich aber des folgenden Tages durch den Fürsten Otia Endronika Schwilly ließ, des, Ksnis Eristaws wegen noch 8 Tage in Teflis zu verbleiben. Dieser würde mich denn nach Krzchinwal und bis au die imeretische Gränxe begleiten und bedecken.

Den 8ten Junii reiste der Fürst Artschil mit seiner Gemahlin, einer Tochter des Zaars, von Zarewitsch Georgi begleitet ab.

Den 10 Junii sahe ich des Fürsten Eristaws Hochzeit. Erst eine Stunde nach Sonnen-Untergang versammleten sich die Gäste beim Bräutigam, dem in einem Nebenzimmer die Hochzeitliche Kleidung unter einen besondern Gesange angelegt ward. Er gieng dann zur Braut, wohin er mit einer Fakel geleuchtet ward, und leitete seine Braut an einem langen, von dem Aermel[4] herunterhangenden Bande, hinter sich her nach der Kirche, wohin ihn alle Gäste beider Geschlechter begleiteten. Vor ihm gieng ein Mann mit einem über die Achseln hangenden Stücke Stof und neben ihm gieng ein anderer Mann. Der erste breitete den Stof in der Kirche aus, damit das Brautpaar darauf stehen könne, und der andere zog seinen Säbel vor

---

[1] durch Gandschiskari – Tor < *P.*

[2] weil die Badebrücke – Communication ist < *P.*

[3] Otia, *G.*] Oha, *P* (კორექტურული შეცდომა უნდა იყოს).

[4] Ermel *P.*

ტბის[1] დასავლეთ მხარეზე დგას უკვე ერთი წლის დაცარიელებული სოფელი გაუმიში. ქსნის ერისთავმა შეისყიდა მისი მცხოვრებნი ყაფლანოვისაგან და გადაასახლა ისინი ქართლში.

2 ივნისს ჩვენ ადრე გავემართეთ და 1/4 საათში ვიყავით სონღალუღის ციხეში; 7/4 საათში კი უკვე თბილისს მოვაღწიეთ განჯისკარით[2]; რადგანაც აბანოს ხიდი გატეხილი იყო, ეს არის ამჟამად ჩვეულებრივი გზა, რომლითაც ქარავანი მოდის, რადგან ხიდი აბანოს მდინარეზე მხოლოდ მსუბუქი კომუნიკაციისათვისაა განკუთვნილი[3]; აქ დატოვებული ყოველივე მშვენივრად დამხვდა.

თბილისში ვემზადებოდი, რაც შეიძლება სწრაფად გავმგზავრებულიყავი იმერეთში, რათა შემძლებოდა სოლომონ მეფის ქვეყნის და მხარეების შემოვლაც, მაგრამ, ამასთან ანგარიში უნდა გამეწია გარემოებისათვის. თანაც ბევრი სამუშაო მქონდა.

4 ივნისს მე მოვაწყე ექსკურსია მელელში (Meleli – ?) ძდა იქვე მქონდა საუბარი მეფესთან.

6 ივნისს მეფემ გამომიგზავნა სახლთუხუცესი დავით ყაფლანოვი და თავადი ოტია, როგორც თარჯიმანები. დღეს თბილისში, რუსეთის რწმუნებულ კაპიტან ლვოვთან ერთად, მოვიდა აგრეთვე თავადი არჩილი, ძმა სოლომონ მეფისა.

7 ივნისს მე ვინახულე ეს თავადები დიღომში.

ერეკლე მეფემ შემატყობინა, რომ მე შემეძლო გავყოლოდი ბატონიშვილ გიორგის და თავად არჩილს ქრცხინვალსა და საგინაში (?), სადაც ისინი მეორე დღეს მიემგზავრებოდნენ; ამასთან მე მეფეს გავაცანი ჩემი გეგმა - იქიდან იმერეთში გადასვლის შესახებ; მან კი მეორე დღეს თავად ოტია ანდრონიკაშვილის პირით მთხოვა, ქსნის ერისთავის გამო კიდევ ერთი კვირა დავრჩენილიყავი თბილისში. შემდეგ ის [ერისთავი – გ. გ.] გამყვებოდა ქრცხინვალში და გამაცილებდა და დამიცავდა იმერეთის საზღვრებამდე.

8 ივნისს, ბატონიშვილ გიორგის თანხლებით, გაემგზავრა თავადი არჩილი თავის ცოლთან ერთად, რომელიც იყო მეფის ქალიშვილი.

10 ივნისს მე დავესწარი თავად ერისთავის ქორწილს. მხოლოდ მზის ჩასვლიდან ერთი საათის შემდეგ შეიკრიბნენ სტუმრები სიძესთან, რომელსაც მეზობელ ოთახში, საგანგებო სიმღერის შესრულებით, ჩააცვეს საქორწილო ტანსაცმელი. შემდეგ ის წავიდა პატარძალთან, საითკენაც მას გზას უნათებდნენ ჩირაღდნით, და წაიყვანა პატარძალი სახელოდან ჩამოშვებული გრძელი ლენტით ეკლესიაში. იქ მას მიჰყვებოდნენ ორივე სქესის სტუმრები. ნეფის წინ მიდიოდა კაცი მხარზე გადაკიდებული ქსოვილის ნაჭრით და მის გვერდით მიდიოდა კიდევ ერთი კაცი. პირველმა გაუფინა ნაჭერი ეკლესიაში, ისე რომ ნეფე-დედოფალს შესძლებოდათ მასზე დგომა; მეორემ ამოიღო თავისი

---

[1] ეს არის კუმისის ტბა, ხოლო ქვემოთ დასახელებული სოფელი გაუმიში უნდა იყოს კ უ მ ი სი, შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი (აღწერა, გვ. 45: ...ჩრდილოთ კერძ არს ტბა კუმისისა, მლაშე. ამ ტბის დასავლეთით არს კუმისი, დაბა დიდი).

[2] განჯისკარით < პ ა ლ.

[3] რადგანაც აბანოს ხიდი – განკუთვნილი < პ ა ლ.

der Kirche aus und legte ihn in der Kirche dem Bräutigam vor die Füße Beim Trauen stand der Bräutigam zur rechten. Der Geistliche wechselte die Trauringe und druckte 2 kleine Kronen dem Bräutigam und der Braut wechselsweise an die Stirn, nachher aber setzte er jedem eine auf. Endlich ward noch dem getraueten Paar ein Stücklein Brodt in Wein getaucht gereicht.

Der Bräutigam leitete nachher die Braut eben so an dem Bande nach dem Hochzeitshause. Daselbst setzten sie sich, sie ihm zur rechten, und um sie das Frauenzimmer. Vor dem Brautpaar stand ein silberner Teller und neben ihm saß an jeder Seite ein Mann. Alle hereinkommende warfen für diese Begleiter Geld auf den Teller, sagten dem neuen Paar einen kleinen Glückwunsch und giengen denn fort. Nun Speiseten die Mannspersonen mit dem Bräutigam, und das Frauenzimmer mit der Braut besonders. Nach 2 Stunden kam der Bräutigam wieder zur Braut, die Gäste aber gierigen aus einander.

Den 19ten jun. ward alles zur Abreise fertig. Des Abends sprach mich noch der Zaar.

Ich will, ehe ich Teflis verlasse, von dem Orte selbst eine kurze Beschreibung mittheilen.

Teflis ist der persische und europäische Stamm der Hauptstadt und Residenz der kartulischcn Zaaren, die die Georgianer Tbiliskalak, d. i. Warmstadt nennen, weil nahe unter derselben warme Quellen und bey diesen Bäder sind.

Sie steht am rechten Ufer des Kur, welches hier von dem Senken des südlichen kaukasischen Vorgebürges schrege, über und unter der Stadt aber mehr jähe ist, nach meinen Beobachtungen mit Mosdok unter einem Meridian, und 2 Grad südlicher. Vor diesem war die untere Vorstadt, nuter den Bädern, die Stadt Tbiliskalak.

Die jezige Stadt bildet fast ein stumpfes Dreyeck, und ist bis auf eine Stelle am Kur mit einer Mauer von Backsteinen umgeben; auch ist in der ostlichen Ekke die kleine Festung Narekla und in der westlichen die Fortresse Schardachty. Die Stadtmauer zwischen beiden 600 Faden lang und der ganze Umfang der Stadt beträgt etwan 3 rußische Werste oder 1500 Faden. In diesem nicht großen Raum leben etwan 20 000 Einwohner; daher die Straßen nur etwan 1 Faden breit und die Queerstraßen noch schmaler sind.

Die Häuser sind von Ziegeln und Fliesen, mit thonigten Kalk, l Stockwerk, etwan 15 Fuß hoch aufgeführet, die Dächer aber flach mit Thon beschüttet; die Stuben haben Kamine und die Fenstern statt Glas geöltes Papier. Alles ist leicht. Schlecht, dicht und sehr unansehnlich gebauet. Neben dem ostlichen Theil der Stadt ist eine Brücke über den Kur, die' in die kleine Festung Metechi am linken Kurufer führet.

ხმალი ეკლესიის წინ და დაუდო იგი ეკლესიაში სიძეს ფეხების წინ. ჯვრის-წერისას სიძე იდგა მარჯვნივ. მოძღვარმა გაცვალა ნიშნობის ბეჭდები და ჯერ ნეფეს და შემდეგ დედოფალს რიგრიგობით შეახო შუბლზე ორი პატარა გვირგვინი; შემდეგ კი ისინი მათ დაადგა თავზე. ბოლოს დაქორწინებულ წყვილს მისცეს ღვინოში ამოვლებული პურის პატარა ნატეხი.

ნეფემ ამის შემდეგ წაიყვანა დედოფალი, ისევე ლენტით[1], საქორწილო სახლისკენ. იქ ისინი დასხდნენ, ქალი ნეფის მარჯვენა მხარეს და ქალის გარშემო ყველა ქალები. ნეფე-დედოფალს წინ ედგა ვერცხლის თეფში; მათ გვერდით ორივე მხარეს იჯდა თითო კაცი. ყველა მომსვლელი აგდებდა ფულს თეფშზე ამ მაყრებისთვის, უსურვებდნენ ახალ წყვილს ბედნიერებას და მიდიოდნენ. შემდეგ ივახშმეს კაცებმა ნეფესთან ერთად და ქალებმა დედოფალთან ერთად ცალ-ცალკე განსაკუთრებულად. ორი საათის შემდეგ ნეფე კვლავ მივიდა დედოფალთან, სტუმრები კი წავიდ-წამოვიდნენ.

19 ივნისს ყველაფერი მზად იყო გამგზავრებისათვის. საღამოთი მე კვლავ მესაუბრა მეფე.

სანამ დავტოვებდე თბილისს, მოგაწვდით ამ ადგილის მოკლე აღწერილობას.

თბილისი არის სპარსული და ევროპული სახის დედაქალაქი და რეზიდენცია ქართლის მეფისა; მას ქართველები უწოდებენ თბილის ქალაქს, ეს ნიშნავს თბილ ქალაქს, რადგან მის ახლოს ქვემოთ არის თბილი წყაროები და მათთან კი აბანოები.

ის მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც აქ სამხრეთ კავკასიის მთისწინეთის ტოტის ჩამოწოლის გამო მოხრილია, ქალაქის ზემოთ და ქვემოთ კი უფრო ციცაბოა; ჩემი დაკვირვებით მოზდოკთან ერთ მერიდიანზეა და 2 გრადუსით სამხრეთით ადრე ქვედა გარეუბანი, აბანოების ქვევით, იყო ქალაქი თბილისქალაქი.

თანამედროვე ქალაქი შეადგენს თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და, გარდა ერთი ადგილისა მტკვართან, შემორტყმულია აგურის კედლით; ამასთან აღმოსავლეთის კუთხეში არის პატარა ციხე ნარიყალა და დასავლეთისაში – სიმაგრე შარდახტი. ქალაქის კედელი მათ შორის არის 600 საჟენის სიგრძისა და მთელი ქალაქის გარშემო შეადგენს დაახლოებით 3 რუსულ ვერსს ან 1500 საჟენს. ამ, არც ისე დიდ, ფართობზე ცხოვრობს დაახლოებით 20000 მცხოვრები; ამიტომ ქუჩები არის დაახლოებით 1 საჟენი სიგანისა, შესახვევები კიდევ უფრო ვიწრო.

სახლები ნაგებია აგურისა და ფილაქნებისაგან, თიხანარევი კირით, ერთსართულიანი, დაახლოებით 15 ფუტი სიმაღლისა, სახურავები სწორი – თიხით დაფენილი; ოთახებს აქვთ ბუხარი და ფანჯრებზე, შუშის მაგიერ, გაქონილი ქაღალდებია. ყველაფერი არის მსუბუქი, ცუდი, მკვრივი (ტლანქი) და ძალიან შეუხედავად ნაშენი. ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილთან არის ხიდი მტკვარზე, ამ ხიდით შევდივართ მეტეხის პატარა ციხეში, მტკვრის მარცხენა ნაპირას.

---

[1] ე. ი. პატარძალს ჩაევლო ხელი ლენტზე და ისე მიჰყვებოდა.

Unter der Stadt, nahe an derselben und am rechten Ufer des Kur, sind warme Quellen und besr denselben öffentliche Bäder für beyde Geschlechter. Unter den Bädern ist die Vorstadt Garetubani oder vielmehr alt Teflis. Um der Stadt und Vorstadt stehen ansehnliche Wein- und Obstgärten, die am Fluß an 5 Werst hinab reichen und mittelst kleiner Mühlwerke- und Rinnen aus dem Kur gewässert werden. An und auch unter den Gärten sind auch kleine Kornfelder. Eben so sind am linken Kurufer gegen die Stadt Gärten und Felder.

Von dem für 20 000 Einwohner kleinen Raum nehmen noch viele Kirchen und mehrere Kirchhöfc ansehnliche Plätze ein. Dieses Zusammenpressen der Einwohner, die schräge Lage der Stadt auf thonigten Boden, die bey Regen ganz aufweieht und keine Abzüge hat, die Kirchhöfe, die schlechte Polizei, welche verstattetfdaß die Straßen mit Unrath fast bedeckt sind, u. s. f. verpesten gleichsam die Luft, daher Dissenterien1 und bösartige Fieber endemisch und Epidemieu, auch die Pest selbst nicht selten sind. Im Jahre 1770. rafte letztere an 4000 Menschen weg. Die große Sterblichkeit würde noch größer sein, wenn die Häuser nicht so luftig gebauet wären, denn durch schlechte Thüren, Papierfeustern, Kamine u. s. w. wird ein beständiger Luftzug erhalten. ln der Peat im Jahr 1770 legte man die Befallenen meistens aus den Häusern auf die Straßen und hat bemerkt, daß im Verhältnis von diesen mehr, als von denen in Häusern durchkamen.

Die Stadteinwohner sind mehr als zur Hälfte Armenianer; die andere Hälfte besteht meist aus Georgianern, und nächst diesen aus Tataren. Unter den Armeniauer[n] sind etwan 400 römischer Konfeßion, welche Patres unterhalten.

Alle sind mit Kirchen reichlich versorgt.

Den Georgianern gehören:

1. Sioni Sagdari (Simeons Kirche), welches die Kathedralkirche ist. In derselben ist eine lange Inschrift[2], in georgischer Sprache[3].

---

[1] უნდა იყოს: Dysenterien.

[2] P. I. on 100, N 20, л. – 48.

[3] ეს წარწერა იკითხება შემდეგნაირად:

ქ: მადიდებელი სამებისა დავითიანი
ძმისწული სახელოვანი მეფის
გიორგისა და ძე დიდად პატი-
ოსნისა ლევანისა განმგებელი
ქართლისა ბატონის შვილი ვახ-
ტანგ განმაახლებელი გუმბე
თით ლორფინით ცავრით

გაგრძელება იხ. 89 გვერდზე.

ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინაქალაქი[1], გარეთუბანი, ან უფრო უკეთ ძველი თბილისი. ქალაქისა და გარეუბნის გარშემო არის მნიშვნელოვანი ვენახები და ხილის ბაღები, რომლებიც მდინარის ქვევით აღწევენ 5 ვერსამდე, და პატარა წისქვილებისა და არხების საშუალებით ირწყვებიან მტკვრის წყლით. ბაღებთან და მათ ქვემოთ არის აგრეთვე ხორბლის პატარა ყანები. ასევე მტკვრის მარცხენა ნაპირზეც, ქალაქის პირდაპირ, არის ბაღები და ყანები.

20000 მოსახლეობისათვის ისედაც პატარა ფართობიდან დიდი ადგილი უჭირავს ეკლესიებსა და სასაფლაოებს. მცხოვრებთა ეს სივიწროვე, დაქანებული მდებარეობა ქალაქისა თიხიან ნიადაგზე, რომელიც წვიმის დროს მთლად იჟღინთება და არ აქვს წყლის საწრეტები, სასაფლაოები, ცუდი პოლიცია, რომელიც ნებას აძლევს, რომ ქუჩები დაიფაროს ნაგვით და ა. შ., – [ყოველივე ეს) სწამლავს ჰაერს, ამიტომაც დიზენტერია, ავთვისებიანი ციებ-ცხელება და ეპიდემიები, აგრეთვე ჭირიც, არც თუ იშვიათია. 1770 წელს ამ უკანასკნელმა გაწყვიტა 4000 მცხოვრები. დიდი სიკვდილიანობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, სახლები რომ არ იყოს ბევრ-ჰაერიანი, რადგან ცუდი კარებებიდან, ქაღალდიანი ფანჯრებიდან, ბუხრებიდან და ა. შ. მუდამ არის ჰაერის მიმოქცევა. 1770 წელს, ჭირის დროს, ავადმყოფებს აწვენდნენ უმეტესად ქუჩებში და შეიმჩნეოდა, რომ ამათგან შედარებით მეტი რჩებოდა, ვიდრე სახლში მწოლიარეთაგან.

ქალაქის მოსახლეობა ნახევარზე მეტი სომხებია. გმეორე ნახევარს შეადგენენ უმთავრესად ქართველები და, ამათ გარდა, კიდევ არიან თათრები. სომეხთა შორის დაახლოებით 400 რომაული სარწმუნოებისაა[2], მათ ჰყავთ პატრები, ყველანი უხვად არიან უზრუნველყოფილი ეკლესიებით.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს ე კ უ თ ვ ნ ი თ:

1. სიონის საყდარი[3] (სიმეონის ეკლესია) რომელიც არის კათედრალური ეკლესია. მასში არის დიდი ქართული წარწერა[4].

---

[1] წინაქალაქი – Vorstadt, ანუ გარეუბანი.

[2] ე. ი. კათოლიკურისარწმუნეობისაა.

[3] ქართულ ეკლესიათა სახელწოდებანი (სიონის საყდარი, ჯვარის მამის საყდარი და სხვები) გიულდენშტედტს მოჰყავს ქართული სიტყვებით, ხოლო გერმანული ასოებით. იხ. გერმანული ტექსტი.

[4] ეს წარწერა მოგვყავს 88 და 89 გვერდებზე.

მონასატრისა ამის სულისა მეფისა
ბიძისა და მამისა და დედისათჳს
და სულთა ჩემთა და მეუღლისა
ძისა და ასულთა აღსაზრდელად.
ქრისტეს აქეთ ჩღ˜ი.
ქართლის ქრონიკონს ტჟჱ

2. Dschwnris[1] Mainis Sagdari, d. i. der Kreuzvater (so nennet man die Mönche) Kirche.

3. Natlis Zemeli Sagdari, d. i. die Kirche des Tänfers.

4. Mepis Karis Sagdari, d. i. zaarische Hefkirche.

5. Karis Mgtis-Sagdari, d. i. die Kirche des Hofes der Mutter Gottes.

6. Koletis Sagdari.

7. Metechi Sagdari.

8. Ziminda Georgi Sagdari. Kirche des heil. Georgs.

9. Antschis-schati Sagdari. In derselben ist eine Inschrift[2] in Georgianiscber Sprache.

10. Katholicos Sagdari, d. i. die Kirche des Patriarchen.

11. Tawar Episkoposi Sagdari, Kirche des Erzbischofs.

12. Charebis[3] Mgtis Schobeli, d. i. Marien Verkündigung. Es war ehedem eine katholische Kirche.

13. Kaschweti Ziminda Georgi, steht an der linken Seite des Kur.

14. Golobnis[4] Ziminda Georgi.

15. Meliki Sachdari, ist auch in einer Entfernung vorn linken Kurufer. Neben derselben ist ein besonderer Kirchhof.

Ausser der Stadt in N. W. auf dem Felsen Ischiturdukhi steht die verfallene Kirche Mtla-tzminda, nach der gewallfabrtet wird[5].

Kirchen der Armenianer

1. und 2. Zichis Sagdari.

3. Potscherno Sagdari.

4. Kasebis.

5. Petros.

6. Sagascheni.

7. Norascheni.

8. und 9. Mognili

10. Tschigrascheni.

11. Subnischani.

12. Kosmani.

13. 14. 15. Den Wankin gewidmete, Wankin-Sagdari.

16. Kamuani.

17. Sirkiani.

18. Subkarabesa.

19. Melikis und

20. Subsasnisi Sagdari.

---

[1] Dschwaris corr.] Dschagaris *P.*

[2] P. 1, on. 100, N 20, л. – 48.

[3] Charebis *G.*] Churetis *P.*

[4] უნდა იყოს Kalobnis.

[5] Ausser der Stadt – wird < *P.*

2. ჯვარის მაშის საყდარი, ე. ი. ჯვარის მამის (ასე ეძახიან ბერებს) ეკლესია.

3. ნათლისმცემლის საყდარი, ე. ი. ეკლესია [იოანე – გ. გ.] ნათლისმცემლისა.

4. მეფის კარის საყდარი, ე. ი. მეფის კარის ეკლესია.

5. კარის ღვთის საყდარი, ე. ი. კარის ღვთისმშობლის ეკლესია.

6. კოლეთის საყდარი.

7. მეტეხის საყდარი.

8. წმინდა გიორგის საყდარი, ეკლესია წმ. გიორგისა.

9. ანჩისხატის საყდარი, მასში არის ქართული წარწერა[1].

10. კათალიკოსის საყდარი, ე. ი. ეკლესია პატრიარქისა.

11. მთავარეპისკოპოსის საყდარი, ეკლესია მთავარეპისკოპოსისა.

12. ხარების ღვთისმშობელი, ე. ი. მარიამის ხარება. ის წინათ იყო კათოლიკური ეკლესია.

13. ქაშვეთის წმინდა გიორგი, მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

14. კალოუბნის წმინდა გიორგი.

15. მელიქის საყდარი, არის აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირის მოშორებით. მის ახლოს არის სპეციალური სასაფლაო.

ქალაქს გარეთ, ჩრდილო-დისავლეთით, იშიტურდუქის კლდეზე[3] დგას დანგრეული ეკლესია მთა-წინდა სადაც მიდიან თაყვანისსაცემად.

სომხების ეკლესიები.

1. და 2. ციხის საყდარი.

3. პეჩერნო (= პეტხაიმის) საყდარი.

4. კასების (?).

5. პეტროს (?).

6. საგაშენი.

7. ნორაშენი.

8. და 9. მოღნინი.

10. ჯიგრაშენი.

11. სურბნიშანი.

12. კოზმანი (= კოზმადამიანის საყდარი).

13. 14. ვანკინისადმი მიძღვნილი, ვანქის საყდარი.

16. ქამუანი (= ქამოაანთ საყდარი).

17. ზირკიანი (= ზირკინაანთ საყდარი).

18. სუბკარაბესა (= სურბკარაპეტას).

19. მელიქის და

20. სუბსასნისის (= სურბსარქისის) საყდარი.

---

[1] ქ: ჩამ ქრისტეს მიერ კურთხეულ მან ბატონიშვილმან კოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩვენისა საოსალ (საოხად!) მეფობასა ქართველთასა შანავაზისასა. ქკ˜ს ტნიგ.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი (გვ. 54): კვალად დასავლით: ი შ ი ტ უ ტ რ უ ქ ი ს კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმინდისა და აწ ცალიერი.

Von diesen stehen 12 in der Stadt, und 8 in den Vorstädten; die katholischen Armenianer, deren 400 seyn mögen. behelfen sich mit einer Kapelle. ln der Stadt ist auch ein armenianisch Kloster.

Die muhamedanischen Tataren besitzen 3 Metscheden.

Die Stadteinwohner leben zu einem großen Theil von ihren Weingärten und Pflanzungen, besonders von der Kultur der Baumwolle. Viele sind auch Kaufleute oder viel mehr nur Krämer, bey welchen man hier gangbare Zeuge, kurzen Kram, Lebensmittel, Gewürze und andere Materialien findet. Verschiedene sind Gerber, Zeugdrucker, Weber, Schmiede. Alle städtische Gewerbe werden nur ins Kleine und von Liebhabern, nicht von Meistern betrieben.

Der Zaar hat hier eine Salzrafiniuierey und eine Münze. lm Jahr 1772. galt in Teflis.

1 Batman, d. i. 1 Pfund	Brodt nach rußischem Geld 8 Kopek.
	Rindfleisch 25 Kop. Schaaffleisch 30 Kop.
	Käse 20 Kop. Salz 20 Kop. Reis 20 Kop.
	Butter 80 Kop.

1 Citra guter Landweiu 20 Kop.

Weizen und Gersten kömmt von Gori und Surami auf Flößen von Fichtenbaumstammen den Kur hinab. Diese Klöße werden zu Bauholz gekauft.

Die Gegend um die Stadt ist wie ganz Georgien nur wenig und schlecht angebanet und bewohntnuf einem Berge neben der Stadt siehet man unterhalb am Kur eine Udobna[1] (Einsiedelerey) und die bewohnten Dörfer Zalaskuri und Kumisi, auch die wüste Festung Chunan. Ueber dem Kur sieht man das kewische Dorf Gergel in NNW. und die Kluft, in welcher der Aras aus dem Gebürge in die Fläche des Kur kömmt, in WNW.

Die Zaaren standen vordem auf der Höhe bey Kodschori, wegen geringerer llitze im Soummerlager und des Winters im niedrigen wärmern 'I‘hal des Kur bey Nagebi; denn zwischen den Bergen bey Teflis ist die Kälte weit strenger. Jezoowird die Residenz nicht ohne andere Veranlassung verlassen.

Den 20. Juni verließ ich endlich Teflis unter Bedeckung und Begleitung des gegen mich so freundschaftlichen und um meine Expedition so verdienten Ksnis Eristaw David auf immer, und kam nach 4-stündigen Ritt, auf welchem wir die Brücke bey Weri und Mtkwari[2] paßierten, des Abends um 7 Uhr[2] nach Mzcheta. Da eben der Hr. General Suchotin, Befehlshaber der rußischen Truppen in Georgien hierdurch nach Teflis zum Zaar Heraklius reiste, hatte ich hier seine Rückkunft abzuwarten.

---

[1] უნდა იყოს: Udabno.

[2] und Mtkwari < *P.*

[3] Um 7 Uhr < *P.*

ამათგან 12 დგას ქალაქში და 8 ქალაქის გარეუბნებში; კათოლიკე სომხები, რომლებიც უნდა იყვნენ 400, კმაყოფილდებიან ერთი საყდრით. ქალაქში არის აგრეთვე ერთი სომხური მონასტერი.

მაჰმადიან თათრებს აქვთ 3 მეჩეთი.

ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს უმთავრესად თავისი ვენახებითა და ნარგავებით, განსაკუთრებით ბამბის კულტურით. ბევრი არიან ვაჭრები, ანუ, უფრო უკეთ წვრილი მედახლეები (Krämer), რომლებთანაც შეიძლება შეიძინოს კაცმა გასავლიანი საქონელი, წვრილმანი საქონელი, სურსათი, სანელებელი და სხვა რამეები. არიან სხვადასხვა [ხელოსნებიj: მეტყავეები, მღებავები, მქსოველები, მჭედლები. ყოველგვარ საქალაქო ხელოსნობას ეწევიან მცირე რაოდენობით და ისიც მოხალისენი და არა ოსტატები.

აქ მეფეს აქვს მარილის-სახდელი ქარხანა და ზარაფხანა.

1772 თბილისში იყიდებოდა:

1 ბათმანი[1], ე. ი. 1 გირვანქა პური რუსულ ფულზედ - 8 კაპიკად.
„ „ საქონლის ხორცი 25 კ., ცხვრის ხორცი 30 კ.,
„ „ ყველი 20 კ., მარილი 20 კ., ბრინჯი 20 კ.,
„ „ კარაქი 80 კაპიკად.

1 ციტრა კარგი ადგილობრივი ღვინო – 20 კ.

ხორბალი და ქერი მოდის გორიდან და სურამიდან ტივებით, რომლებიც შეკრულია ფიჭვის მორებისაგან, ქვევით მტკვრით. ეს ტივები შემდეგ იყიდება როგორც საშენი ხე-ტყის მასალა.

მიდამო ქალაქის გარშემო, ისე როგორც მთელი საქართველო, მცირედ და ცუდადაა გაშენებული და დასახლებული. მთაზე, ქალაქის ახლოს, ქვევით მტკვარზე, ჩანს უდაბნო (საცხოვრებელი განდეგილებისა) და დასახლებული სოფლები წალასყური და კუმისი, აგრეთვე დანგრეული ციხე ხუნანი. მტკვარზე ზემოთ, ჩრდილოეთ – ჩრდილო-დასავლეთით, ჩანს ხევის სოფელი გერგელი[2], ხოლო ხეობა, რომელშიც არაგვი (Aras) მთიანეთიდან მტკვრის დაბლობზე გამოდის, დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით.

მეფეები წინათ, ზაფხულობით, იდგნენ მთაზე კოჯორთან, რადგან იქ სიცხეები ნაკლებია, ხოლო ზამთარში დაბლა, უფრო თბილ მტკვრის ველზე, ნაგებთან, რადგან მთებს შორის თბილისში ყინვები უფრო სუსხიანია. ახლა რეზიდენციას სხვა მიზეზების გამო არ სტოვებენ.

20 ივნისს საბოლოოდ დავტოვე თბილისი ჩემს მიმართ ასე მეგობრულად განწყობილი და ჩემი ექსპედიციებისათვის ასე გარჯილი ქსნის ერისთავის დავითის თანხლებით და დაცვით. ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ, გზად ვერის და მტკვრის[3] ხიდების გავლით, საღამოს 7 საათზე[4] მივედით მცხეთაში. რადგან ბატონი გენერალი სუხოტინი, რუსთა ჯარების სარდალი საქართველოში, ეს-ესაა გამგზავრებულიყო თბილისში ერეკლე მეფესთან, ამიტომ მე მისი დაბრუნებისათვის აქ უნდა დამეცადა.

---

[1] ბათმანის და გირვანქის შესახებ იხ. ქვემოთ.

[2] ვახუშტის (აღწერა გვ. 67) ხევში აღნიშნული აქვს „გერგეთი არაგვის იქით კიდესა“.

[3] და მტკვრის < პ ა ლ.

[4] 7 საათხე < პ ა ლ.

D. 22 et 23 Juni [war] ich in Mzcheta[1].

Mir ward hier eine besondere Fledermaus (Fer a cheval) und Cyprinus barbus zu Theil. Exkursionen stand Regenwetter im Wege.

D. 24. Juni[2]. Lcli sahe die hiesige Kirche. Sie ist 80 und mit dem Vorhofe 90 Schritte lang und 45 Schritte breit. Ihre Inschriften waren unleserlich.

D. 24sten Juni kam der Hr. General Suchotin von Teflis zurück, dem ich nach dem Lager bey Muchran folgte und daselbst des folgenden Tages blieh.

Den 26sten Junii brachen die Truppen nach Duschet auf, ich aber nahm meinen Weg nach Achalgori, daselbst ich unter starkem Wege nach 4 St. Ankame[3], wo ich meine vorausgeschickte Sachen antraf und die weitere Reise oinrichtete.

D. 27 et 28 Jun. in Achalgori zugebracht[4].

D. 29. Jun. Gestern ist Muchran von Lesgiern überfallen und geplündert[5]. Ich brach heute von Achalgori auf. Der Weg gieng dem ostlichen Ufer des Ksani parallel, nach 1/4 [St.] durch ein[en] ser kleyn[en] Bach; nach 1/4 [St.] durch den zweiten und nach 1/2 St. weiter den dritten, an dem das Dorf Ikoti gelegen[6]. Den bisherigen Weg hatte ich schon vorher im April gemacht. Man sahe hier an der Ostseite[7] des Ksani das Dorf Jeldwa und auf einer ansehnlichen Höhe die Festung Zirkoli. Nach einer viertel Stunde hatten wir das Dorf Orinta, an einem linken Ksanibache. Einige Werste höher soll an diesem Bache das Dorf Alewi stehen, und oben an demselben der ossetinische Distrikt Saperscheti liegen. Gegen Orinta über steht Kurta am W. Seite des Ksani[8].

Nach einer Stunde kamen wir an einem Orte, wo ehemals Bergtheer (G. Kupri) quell, und denn am Ksani, beim Dorf Sadsegur an die Mündung eines Baches Sadsegur; es hat an beiden Seiten des Ksani Häuser.

Nach einer guten Stunde hatten wir das alte Schloß Kweni lpne, an der Westseite des Ksani, wo ehedem[9] der Eristaw residiert hatte. Es liegt in der Mitte[10], an einem steilen Berge. Nach einer viertel Stunde hatten wir einen Bach und sahen das Dorf Sakoreti am westlichen Ksani-Ufer. Wieder nach einer viertel Stunde ritten wir über eine hölzerne Brücke des Ksani, in die Festung oder[11] Kloster Largwi, die am rechten Ksani-Ufer und der Mündung des Bachs Tschurta steht. Etwan 1 Werst höher

---

[1] D. 22 et 23. Juni ich in Mzcheta < *P.*

[2] D. 24 Juni < *P.*

[3] daselbst – 4 St. Ankame < *P.*

[4] D. 27 et 28 Jun. in Achalgori zugebracht <*P.*

[5] D. 29 Jun. – geplündert, *G.*] Wir hörten hier daß Muchran den 28-sten von den Lesgiern überfallen und geplündert worden, *P.*

[6] Ich brach heute – Ikoti gelegen, *G.*] Den 29-sten Junii ritte ich von Achalgori neben dem linken Ufer des Ksani. an welchem ich bis zum Dorf lkoti drey Bäche hatte, *P.* [7] Ostseite. *G.*] rechten *P.* [8] W. Seite des Ksani, *G.*] rechten Ufer des Ksani, *P.* [9] ehedem, *P.*] ehemals, *G.* '° in der Mitte < *P.* [11] oder, *G.*] und, *P.*

22 და 23 ივნისს ვიყავი მცხეთაში[1].

მე აქ მაჩვენეს განსაკუთრებული ღამურა (Fer a cheval) და Cyprinus babbus. ექსკურსიები შეჩერდა წვიმიანი ამინდის გამო.

24 ივნისი. მე ვნახე აქაური ეკლესია. ის არის 80 ნაბიჯის სიგრძისა, მინაშენთან ერთად – 90 ნაბიჯი სიგრძისა და 45 ნაბიჯი სიგანისა. მისი წარწერების გარჩევა შეუძლებელი იყო.

24 ივნისს თბილისიდან დაბრუნდა ბატონი გენერალი სუხოტინი; მე მას გავყევი მუხრანის ბანაკამდე და იქვე დავრჩი მეორე დღესაც.

26 ივნისს რაზმები გაემართნენ დუშეთისაკენ, მე კი ავიღე გეზი ახალგორისაკენ, სადაც ძნელი გზით მივედი 4 საათის შემდეგ[2]. აქ წინდაწინ გაგზავნილი ნივთები დამხვდა და დავგეგმე შემდგომი მგზავრობა.

27 და 28 ივნისი გავატარე ახალგორში[3].

29 ივნისი. გუშინ ლეკები თავს დაესხნენ მუხრანს და გაძარცვეს[4]. დღეს მე გავედი ახალგორიდან. გზა მიდიოდა ქსნის აღმოსავლეთი ნაპირის პარალელურად; 1/4 საათში გავიარეთ ძალიან პატარა მდინარე; 1/4 საათში – მეორე; 1/2 საათში კიდევ მესამე, რომელზეც სოფ. იკოთი მდებარეობს[5]. გზა აქამდე მე ჯერ კიდევ აპრილში მოვიარე. აქ, ქსნის აღმოსავლეთ[6] მხარეზე ჩანს სოფელი იელდვა (?) და მოზრდილ მაღლობზე - ციხე წირქოლი. 1/4 საათში ვიყავით სოფ. ორინტაში (ორინთა – გ. გ.), ქსნის მარცხენა შენაკადზე. რამდენიმე ვერსით მაღლა ამ მდინარეზე უნდა იყოს სოფელი ალევი და მის ზემოთ ოსური მხარე საფერშეთი. ორინთას[7] პირდაპირ ზევით დგას ქურთა ქსნის დასავლეთ[8] ნაპირზე.

ერთ საათში მივედით ადგილამდე, სადაც ადრე გადმოდიოდა მთის კუპრი, და შემდეგ – ქსანზე სოფ. საძეგურამდე მდ. საძეგურის შესართავამდე; მას ქსნის ორივე ნაპირზე აქვს სახლები.

კარგი ერთი საათის შემდეგ გავიარეთ ძველი სასახლე ქვენი იფნე[9], ქსნის დასავლეთ მხარეზე, სადაც ადრე იყო ერისთავის რეზიდენცია. ის დგას ციცაბო მთის შუა ადგილას[10]. 1/4 საათის შემდეგ მივედით მდინარემდე და დავინახეთ სოფ. საქორეთი ქსნის დასავლეთ ნაპირზე; კიდევ 1/4 საათის შემდეგ გადავედით ხის ხიდით ქსანზე და მივედით ლარგვის ციხეში ანდა[11] მონასტერში, რომელიც მდებარეობს ქსნის მარჯვენა ნაპირზე მდ. ჭურთას [ქსანთან] შერევის ადგილას. დაახლოებით 1 ვერსით ზემოთ ერთვის ქსანს აღმო-

---

[1] 22 და 23 – მცხეთაში < პ ა ლ.

[2] სადაც ძნელი გზით – შემდეგ < პ ა ლ.

[3] 27 და 28 – ახალგორში < პ ა ლ.

[4] 29 ივნისი – გაძარცვეს, გ ი უ ლ.] ჩვენ აქ გავიგეთ, რომ 28-ში ლეკები თავს დასხმიან მუხრანს და გაუძარცვავთ, პ ა ლ.

[5] დღეს მე გავედი – მდებარეობს, გ ი უ ლ.] 29 ივნისს გავემართე ახალგორიდან ქსნის მარცხენა ნაპირის გაყოლებით, რომელზეც [სოფ. იკოთამდე, სამი მდინარე შემხვდა, პ ა ლ.

[6] აღმოსავლეთ, გ ი უ ლ.] მარჯვენა პ ა ლ.

[7] ორინთა არის კორინთა რომლის ზევით მართლაც არის ქურთა.

[8] დასავლეთ, გ ი უ ლ.] მარჯვენა პ ა ლ.

[9] ეს უნდა იყოს „ქვენიფნევი“.

[10] შუა ადგილას < პ ა ლ.

[11] ანდა, გ ი უ ლ .) და, პ ა ლ.

fällt der Bach KartSchoch ins ostl[1]. Ufer des Ksani, welches an eben dieser Seite etwan 10 Werst höher vom Flüßchen Ts-chrasma gehen soll[2]. An allen diesen Flüßchen stehen noch kleine georgische Dörfer, um ihre Quellen aber sind ossetische Distrikte, die davon Tschurta, Kartschoch, Ts-chrasma und am Ksani waren Tschamur, genannt werden. Sie sind alle dem Eristaw unterthan. Monasteri Largwi gegenüber sieht man auf der Höhe an der Ostseite des Ksani[3] das von Ossen bewohnte Dorf Lagosche.

Der ganze Weg von Achalgori bis Largwi ging in NNW[4]. und beträgt 4 Stunden oder 20 Werste. Der Weg geht über Kalksteinfelsen besonders in der Gegend der Bergeelquelle[5], und ist so schmal, daß er keine Wagen verträgt. Die Höhen sind meist waldigt und nur gegen die Bäche sind zu Akker dienliche Niedrigungen.

Aus dem obern Ksani erhielt ich Salmo Fario und Cyprinus Gobius, Die Schützen brachten Hirundo apus und Motacillafphoenicurus. Man fischt hier mit kleinen, nur einen Faden langen und weiten Nezen, mit angehangenem Metall beschwert.

Der SOsten ‚Junii ward in Largwi zugebracht. Weil ich aus Imeretien hieher zurücke kehren und die Gebürgreise nach Rußland von hier machen wollte, hinterließ ich daseibst, als an einem sichern Ort, alles auf der Reise nach Imeretien entbehrliche, unter der Aufsicht des Studentens Kraschenikows, dem ich auch 2 Kasaken ließ.

Den 15ten Julii. Von Largwi ritten wir bald in SW. bald in NW. erst am Tschurta-Fluß[6] hinauf und hatten nach 3 Stunden das oßetische Dorf Skunet.

Von demselben lag Largwi in O. in gerader Linie nur 8 W. das Gebürg Lardsobani in S0., das Dorf Koloti, hinter einen Bergrücken in S. und Urspruug des Lechura[7].

Von Skunet gieng unser Weg 1 Stunde bergen und brachte uns noch nach anderthalb Stunden auf den Rücken einer Höhe, auf welchem noch hin und wieder Schnee lag und von der man in S. den Ursprung der Medschuda und in N. den in den Batara Liachwi (d. i. kleine Liachwi) fallenden Bach Tkuptura, an welchem Oßeten wohnen, sahe. Von da ritten wir Stunde bergab bis zu dem ossetischen Dorf Sklebi, wo wir die Nacht blieben, Bosseli diesem gegenüber[8].

Um Sklebi liegen am Medsuhuda vier oßetische Dörfer: Aschetur, Ardisi, Bersentkari, Tba[9] und die georgischen Datwientkari, Zoldewi, Ateni,

---

[1] Osti *G.*) linke, *P.*

[2] gehen soll, *P.*] ins ostl. Ufer des Ksani begeben, *G.*

[3] auf der Höhe an der Ostseite des Ksani < *P.*

[4] NNW, *G.*) NNO, *P.*

[5] besonders – Bergoelquelle < *P.*

[6] Fluß < *P.*

[7] und Ursprung des Lechura < *P.*

[8] diesem gegenüber < *P.*

[9] Aschatur, Ardisi, Bersentkari, Tba < *P.*

სავლეთის[1] მხრიდან მდ. ქარჩოხი, რომელიც, როგორც ამბობენ, ამავე მხარეს, მდ. ცხრაზმიდან 10 ვერსით მაღლა გამოდის. ყველა ამ მდინარეებზე მდებარეობენ პატარა ქართული სოფლები, მათ სათავეებისკენ კი არიან ოსური რაიონები, რომლებსაც ამიტომ ეწოდება – ჭურთა, ქარჩოხი, ცხრაზმა, ხოლო ქსანზე იყო ჟამური. ისინი ყველანი ემორჩილებიან ერისთავს. ლარგვისის მონასტრის პირდაპირ მაღლობზე, ქსნის აღმოსავლეთ მხარეზე[2], ჩანს ოსებით დასახლებული სოფელი ლაგოშე (?).

მთელი გზა ახალგორიდან ლარგვისამდე მიემართებოდა ჩრდილოეთ – ჩრდილო-დასავლეთით[3] და არის 4 საათის სავალი, ანუ 20 ვერსი. გზა მიდის კირქვიან კლდეებში, უმთავრესად ნავთობიან მიდამოზე[4] და არის ისე ვიწრო, რომ ურემს ვერ დაიტევს. მაღლობები უმეტესად ტყითაა დაფარული და მხოლოდ მდინარეთა ახლოს მდებარე დაბლობები არიან გამოსაყენებელი დასამუშავებლად (სახნავად). ზემო ქსნიდან მე მივიღე Salmo fario (კალმახი) და Cuprinus gobius. მონადირეებმა მომიტანეს Hirundo apus და Motacilla poenicurus. აქ თევზაობენ პატარა, ერთი საჟენი სიგრძის და სიგანის ბადით, რომელსაც ამძიმებს დაკიდული ლითონი.

30 ივნისი გავატარეთ ლარგვისში. რადგანაც იმერეთიდა. მე ისევ აქ უნდა დავბრუნებულიყავი და მთებზე გადასვლით რუსეთში აქედან უნდა წავსულიყავი, ამიტომ აქ, როგორც საიმედო ადგილას, სტუდენტ კრაშენინიკოვის მეთვალყურეობით დავტოვე ყველაფერი რაც იმერეთში სამოგზაუროდ არ იყო საჭირო, მასვე დავუტოვე აგრეთვე ორი კაზაკი.

1 ივლისი. ლარგვისიდან ჩვენ მივდიოდით ხან სამხრეთ-დასავლეთით, ხან ჩრდილო-დასავლეთით ჯერ მდ. ჭურთის ზევით და 3 საათის შემდეგ ვიყავით ოსურ სოფელ ცქუნეთში.

აქედან ლარგვისი არის აღმოსავლეთით, პირდაპირი ხაზით მხოლოდ 8 ვერსზე, მთა ლოწობანი – სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელი ქოლოთი – მთის იქით, სამხრეთით, და ლეხურის სათავე[5].

ცქუნეთიდან ჩვენი გზა 1 საათი მიდიოდა აღმა და აგვიყვანა კიდევ 1 1/2 საათის შემდეგ მთის წვერზე, სადაც ჯერ კიდევ აქა-იქ თოვლი იდო და საიდანაც სამხრეთით ჩანდა მეჯუდის სათავე, ჩრდილოეთით კი – პატარა ლიახვში ჩამავალი ტკუპტურა, რომელზეც ოსები ცხოვრობენ. აქედან ჩვენ ერთი საათი ვიარეთ ზევით ოსურ სოფელ სხლებამდე, სადაც გავათიეთ ღამე. ამის პირდაპირ[6] [მდებარეობს] ბოსელთა.

სხლების გარშემო, მეჯუდაზე, მდებარეობს 4 ოსური სოფელი – ასატური, არდისი, ბერზათკარი ტბა[7], და ქართული [სოფლები]: დათვიანთკარი

---

[1] აღმოსავლეთის, გ ი უ ლ.] მარცხენა, პ ა ლ.

[2] მაღლობზე, ქსნის აღმოსავლეთ მხარეზე < პ ა ლ.

[3] ჩრდილოეთ – ჩრდილო-დასავლეთით, გ ი უ ლ.] ჩრდილოეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთით, პ ა ლ.

[4] უმთავრესად ნავთობიან მიდამოზე < პ ა ლ.

[5] და ლეხურის სათავე < პ ა ლ.

[6] ამის პირდაპირ < პ ა ლ.

[7] ასატური, არდისი, ბერზათკარი, ტბა < პ ა ლ.

Dschawachlmri, lsrol und Salkentkari: am Lechura aber die eßetischen S-chra-tskara, Bosselta und das georgische Koloti.

Den 2ten Julii, morgens um 9 Uhr[1] ritten wir nach Veranlassung des Weges mit vielen Abweichungen der Richtung in Westen, erst eine halbe Stunde bergan, wo man auf der Höhe die Kluft des Batara. Liachwiflusses sahe und 1/4 Stunde bergab nach dem oßetischen Dorfe Zippor; auch noch von hier abwerts, wodurch wir in einer Stunde den Batara Liachwi erreichten. ln gerader Linie waren es von Sklebi nur 5 Werst in W.

Wir ritten durch den Fluß und 3/4 Stunden an seinem rechten Ufer bis zur Festung Adseriskewi. Hier wieder nach dem linken Flußufer und an demselben nach einer viertel Stunde das Dorf Zinubani[2]. Gegenüber Halte gemacht[3]. Von hier ritten wir in drey viertel Stunden 3 mahl durch den Fluß und zu einein großen Theil in dessen Wasser, bis zum ossetischen Dorf Somkari. Von hier hatten wir an der Anhöhe, nach drey viertel Stunden die Festung Bellote. Von Bellote nach einer viertel Stunde das ossetische Dorf lrtula in W., dem gegenüber am linken Ufer des Liachwi das Dorf Chutariskari[4] steht. Am rechten Ufer hatten wir nach einer viertel Stunde das Dorf Sazcheneti mit einer Mauer. Die Richtung des Weges vom ersten Durchschnitt durch den Batara Liarhwi ging in SSW. und betrug in gerader Linie etwan 17 Werst.

Unter den Pflanzen auf der Höhe waren Azalea pontica, georg. Jeli, welche dem Bienenhonig rauschend macht, Rhododendron ponticum, georg. Theca, Sorbus aucuparia, georg. Mschnawi, Betula alba, Ribes rubra.Veratrum Bistorta, Lilium Martagon, Astrantia u. a. m.

Des Abends erhielt ich noch einen Besuch von dem Vetter des Eristaws Georgi, der den persischen Titul Kullaraga[5] führt und dem der Eristaw nach vielem Streit Bellote und mehr Dörfer am Batara Liachwi abtreten müssen.

Den 3ten Jul. Von Sazcheneti hatten wir nach einer Stunde den Bach Grya beim Dorfe Wanati, wo man am linken Ufer des Batara. Liachwi die Festung Wanati auf einer ansehnlichen Höhe sieht. Am Bache Grya liegt der dem Zaar Heraklius gehörige oßetische Distrikt Tschru.

Weiter am Batara Liachwi an der rechten Seite hinab in S. hatten wir, nach einer halben Stunde, die Festung Eredwi. die dem Fürsten Paw leni Schwilli gehört. Sie liegt am ausgehenden des Gebürgs und giebt in S. eine Aussicht über eine freye Ebene bis Gori. Von Eredwi wandten wir uns in W. und kamen am Fuße des Gebürgs nach anderthalb Stunden [durch] die Dörfer Argwis und Prissi[6] nach Krzchinwal, wo ich mein Zelt aufschlug. Dieser Ort steht am linken Ufer des Didi (großen) Liachwi. Die Kirche des Orts steht aber am rechten Flußufer.

---

[1] morgens um 9 Uhr < *P.* [2] Zinubani, *G.*] Zuanbani, *P.* [3] gegenüber Halte ge-Macht < *P.* [4] Chutariskari, *G.*] Chutanskari, *P.* [5] Kullaraga, *G.*] Kalleraga, *P.* [6] die Dörfer Argwis und Prissi < *P.*

წოლდევი, ატენი, ჯავახკარი, ისროლი და სალკენთკარი; ლეხურაზე კი – ოსური ცხრაწყარო, ბოსელთა და ქართული – ქოლოთი.

2 ივლისი. დილის 9 საათზე[1] სხლებიდან ბევრი მიხვეულ-მოხვეულებით გავემართეთ დასავლეთისკენ; ჯერ 1/2 საათი აღმა, საიდანაც ჩანს პატარა ლიახვის ხეობა, და შემდეგ 1/4 საათი დაღმა, ოსურ სოფელ წიფორამდე; აქედან კვლავ ზევით და 1 საათში მივედით პატარა ლიახვზე. სხლებიდან პირდაპირი ხაზით ის არის 5 ვერსზე დასავლეთით.

ჩვენ გავედით მდინარეზე და 3/4 საათში მივედით მის მარჯვენა ნაპირზე აწრისხევის ციხემდე. აქ კვლავ მდინარის მარცხენა ნაპირზე და მასზე 1/4 საათში ვიყავით სოფ. წინუბანში. ამის პირდაპირ შევისვენეთ[2]. აქედან 3/4 საათში 3-ჯერ გავედით მდინარეზე და უმეტესწილად მის წყალში, ოსურ სოფელ ზონკარამდე. აქედან მაღლობზე 3/4 საათში - ციხე ბელოთი. ბელოთიდან 1/4 საათში – ოსური სოფელი ელტურა დასავლეთით, მის პირდაპირ, ლიახვის მარცხენა ნაპირზე სოფ. ხუტარისკარი მდებარეობს. მარჯვენა ნაპირზე 1/4 საათში გავიარეთ სოფ. საცხენეთი, კედლით [გამაგრებული]. გზის მიმართულება იმ ადგილიდან, სადაც პატარა ლიახვი პირველად გადავკვეთეთ, იყო სამხრეთი – სამხრეთ-დასავლეთი და შეადგენდა პირდაპირი ხაზით დაახლოებით 17 ვერსს.

მცენარეულთა შორის მთაზე იყო Aralea pontica, ქართულად იელი, რომელიც ფუტკრის თაფლს დამათრობელს ხდის; Rhododendron ponticum (შქერი), ქართულად თეკა[3], Sorbus aucuparia (ცირცელი), ქართ. მშნავი[4], Betula alba (არყი), Ribes rubra (წითელი მოცხარი), Veratrum Bistorta, Lilium martagon, Astramtia (ვარსკვლავა) და ა. შ.

საღამოს მესტუმრა ერისთავის ბიძაშვილი გიორგი, რომელიც ატარებს სპარსულ ტიტულს ყულარაღასს (Kullaraga) და რომელსაც ერისთავმა, ბევრი დავის შემდეგ, დაუთმო ბელოთი და რამდენიმე სოფელი პატარა ლიახვზე.

3 ივლისი. საცხენეთიდან 1 საათის შემდეგ ვიყავით მდ. გრიაზე სოფ. ვანათთან, სადაც პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, მნიშვნელოვან სიმაღლეზე, ჩანს ვანათის ციხე. გრიაზე მდებარეობს ოსური რაიონი ჩ რ უ (Tschru), რომელიც ეკუთვნის ერეკლე მეფეს.

შემდეგ პატარა ლიახვზე, მარჯვენა მხარეს, ქვევით, სამხრეთით, 1/2 საათში გავიარეთმ ერედვის ციხე, რომელიც ეკუთვნის თავად ფავლენიშვილს. ის მდებარეობს მთის შვერილზე და აქედან სამხრეთით ჩანს გაშლილი დაბლობი გორამდე. ერედვიდან გადავუხვიეთ დასავლეთით და 1 1/2 საათში, მთისძირას მდებარე სოფლების არგვისის და ფრისის[5], გავლით, მოვედით ქრცხინვალში, სადაც დავბანაკდი. ეს ადგილი მდებარეობს დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირას, მისი ეკლესია კი დგას მარჯვენა ნაპირზე.

---

[1] დილის 9 საათზე < პ ა ლ.

[2] ამის პირდაპირ შევისვენეთ < პ ა ლ.

[3] ამ მცენარის ქართული სახელია „შქერი“ და არა „თეკა“.

[4] ამ მცენარეს (ცირცელს) მთისრაჭულ კილოში მართლა ჰქვია „მჭნავი“. იხ. ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 67.

[5] სოფლების არგვისის და ფრისის < პ ა ლ.

Die Pferde durften der lesgischen Strauchräuber wegen nicht weiden, sondern musten gefüttert werden.

Man war hier jezo überall mit der Waizen- und Gorstencrnte beschäftigt. Die Linden standen in bester Blüthe.

Den 4ten Julii blieb ich hier und fertigte einen Expressen an den Zaar Solomon bey Kutais ab, um ihm mein Vorhaben von hier nach Radscha zu gehen anzuzeigen und ihn zu ersuchen mich daselbst mit Bedeckung zur weitern Reise zu versehen. Da ich durch den oßetischen Distrikt Dschaukom georg. Dschawis-cheoba am Didi Liachwi muste, ließ der Eristaw den Aeltesten derselben, der aus der Familie Gubilta oder Gobili Schwilli war, und in Gupta am Didi Liachwi wohnt, zu uns rufen.

Den 5ten Jul. ritten wir von Krzchinwali nach dem Didi Liachwi und an und neben seinem rechten Ufer aufwärts. Wir hatten das Dorf Grisi bald und das Oßetische Dorf Udaneti etwan 1 Werst westlich vom Wege. Nach einer halben Stunde kamen wir bey der Festung Tamaraschen, und bey der westlichen vom Fluß, auf einer Anhöhe liegenden Wüsten Festung Taktakiani vorbey, wo wir an der linken des Didi Liachwi die Dörfer Cheiti und Sarzeni hatten. Squderi Krzchinwal gerade gegenüber ist[1]. Nach einer halben Stunde nordlich hatten wir die wüste Festung Atchabeti, auch einen kleinen Bach; und nach einer viertel Stunde das Dorf Kurta, welches von Georgianern und Oßeten zugleich bewohnt wird. Nach wieder einer viertel Stunde war die wüste Festung licrhwi, bey der man am linken Flußufer die Festung Sweri sieht. Von Kechwi ritten wir weiter am rechten Flußufer hinauf und hatten den Bach Itrapula, in welchem einige oßetische Familien wohnen, und nach anderthalb Stunden das oßetische Dorf Gupta. Von Gupta hatten wir am Flusse hinauf nach anderthalb Stunden das ziemliche Flüßchen Paza. Es ist größer als hier der Didi Liachwi[2], und reißend, doch konnten wir nahe über der Mündung durchreiten. Von hier liegt Krzchinwal in SSO. Auf dem Rücken zwischen dem Didi Liachwi und Paza liegt das kleine oßetische Dorf Paza. Wir folgeten noch dem rechten Didiufer weiter hinauf und hatten nach drey-viertel Stunden des Dorfs S-chlepi, von welchen man am linken Flußufer das Dorf Gusala sieht. In S-chlepi steht noch eine kleine, alte steinerne Kirche (in der noch ein mit Silberblech beschlagenes Kreuz stehet; dasselbe ist an 2 Fuß hoch und ist vor 40 Jahren von dem Fürsten Matschabeli und seiner Frau hieher geschenkt worden. Der Fürst hat hier Sommerhaus gehabt[3]), die jezt blos den oßetischen Verbrechern zur Freistadt dient. Um die Kirche liegen sehr viele Hirschgeweihe, auch sind viele Gräber. Auf einem neuen Gräbe standen Stöcke(r) mit Haarflechten, die sich leidtragende Weiber ausgerissen haben.

Den 6ten Julii. In S-chleppi verließ mich mein bisheriger treuer Führer und Beschützer David Eristaw, und ging nach Krzchinwal zurück.

---

[1] Squderi – gegenüber ist < *P.* [2] Liachwi < *P.* [3] in der noch ein mit – som merhaus Gehabt , *P.*

ცხენებს არ შეეძლოთ ებალახათ, ლეკთა ყაჩაღობის გამო, ამიტომ უნდა გამოგვეკვება.

აქ ყველგან მკიდნენ პურს და ქერს. ცაცხვები ყვაოდნენ.

4 ივლისს დავრჩი აქ და ვამზადებდი შიკრიკს სოლომონ მეფესთან ქუთაისში გასაგზავნად, რათა შემეტყობინებინა მისთვის ჩემი გადაწყვეტილება – აქედან რაჭაში წასვლისა, და მეთხოვა, მოეცა მცველები ჩემი შემდგომი მოგზაურობისთვის. რადგან მე უნდა გამევლო დიდ ლიახვზე მდებარე ოსური რაიონი ჯაუკომი, ქართულად ჯავისხეობა, ამიტომ ერისთავმა მოუხმო ამ ადგილის მოურავს, რომელიც იყო გვარად გუბილთა ან გობილიშვილი და გუფთაში, დიდ ლიახვზე, ცხოვრობდა.

5 ივლისს გავემართეთ ქრცხინვალიდან დიდ ლიახვზე და მისი მარჯვენა ნაპირით ზევით. მალე გავიარეთ სოფელი დგვრისი და ოსური სოფელი უდანეთი, დაახლოებით 1 ვერსზე დასავლეთით გზიდან. 1/2 საათში გავიარეთ თამარაშენის ციხე და მდინარიდან დასავლეთით, მაღლობზე მდებარე აოხრებული ციხე თაქთაქიანი, სადაც ჩვენ დიდი ლიახვის მარცხნივ შეგვხვდა სოფლები ხეითი და ძარწემი. ზღუდერი არის ქრცხინვალის პირდაპირ[1]. 1/2 საათის შემდეგ, ჩრდილოეთით გავიარეთ დანგრეული აჩაბეთის ციხე, აგრეთვე პატარა მდინარე; კიდევ 1/4 საათში – სოფელი ქურთა, რომელიც დასახლებულია ქართველებითაც და ოსებითაც. კიდევ 1/4 საათის შემდეგ იყო დანგრეული კეხვის ციხე, საიდანაც მდინარის მარცხენა ნაპირზე ჩანდა სვერის ციხე. კეხვიდან გავემართეთ მარჯვენა ნაპირზე ზევით და მივედით მდ. იფრაპულაზე, რომელზეც რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობს და 1 1/2 საათში ვიყავით ოსურ სოფელ გუფთაში. გუფთიდან ზემოთ მდინარეზე 1 ½ საათში მივედით მატარა წყალთან ფაწასთან[2]. ის აქ უფრო დიდია, ვიდრე დიდი ლიახვი, და ჩქარიც, მაგრამ შევძელით შესართავს ახლოს გავსულიყავით. აქედან ქრცხინვალი არის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მთაზე, დიდ ლიახვსა და ფაწას შორის, არის პატარა ოსური სოფელი ფაწა. ჩვენ გავყევით დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირს ზევით და 3/4 საათში ვიყავით სოფ. სხლებში (Schlepi)i), საიდანაც მდინარის მარცხენა ნაპირზე ჩანს სოფ. გუსალა[3]. სხლებში ჯერ კიდევ არის პატარა ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომელშიც ჯერაც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი. ის არის 2 ფუტი სიმაღლისა და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს. თავადს აქ ჰქონდა საზაფხულო სახლი[4]. [ეს ეკლესია] ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავშესაფარად. ეკლესიის გარშემო ბევრი ირმის რქებია, ასევე ბევრია საფლავები. ერთ ახალ საფლავზე დარჭობილ სარზე ჩამოკიდებული იყო თმის ნაწნავები, რომლებიც ჭირისუფლებმა დაიგლიჯეს.

6 ივლისი. სხლებში მიმატოვა ჩემმა აქამდელმა ერთგულმა მეგზურმა და დამცველმა დავით ერისთავმა და წავიდა უკან ქრცხინვალში. მანამდე

---

[1] ზღუდერი არის ქრცხინვალის პირდაპირ < პ ა ლ.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი (აღწერა, გვ. 77): გუფთის ზევით მოერთვის ლიახვს მდინარე ფაწა.

[3] გუსალა ალბათ ბუზალა უნდა იყოს, რომელიც მართლაც ხანს სხლებიდან მდინარის მარცხნივ.

[4] რომელშიც ჯერაც – საზაფხულო სახლი < პ ა ლ.

Vorher hatte er mich den Ußetischen Aeltesten aus Gupta übergeben, auch mich mit einein Briefe an den in Uni kominandierenden Fürsten Georgi Dschapurisi versehen. Er ließ mir drey seiner Leute, die rußisch, oßetisch und georgianisch verstünden und die Wege in Imeretien kannten.

Von S-chlepi ritte ich in NNW. und hatte nach l Stunde das oßetische Dorf Gwerzeri. Im Vorbeyreiten sahen wir eine große Schlägerey unter etwan 100 Menschen, weil einer von dem Gaste eines andern Geschenke gefordert und ihin unhöflich begegnet hatte[1]. Der Streit war so hizig, daß selbst die Weiber, nach deren Herbeykunft sonst gleich Friede wird, nicht nur dieses Zwecks verfehlten, sondern selbst manchen Schlag bekamen. Man hieb mit Stöcken, nicht mit Sübeln oder Dolchen herum, welches bey den Tscherkessen u. a. sehr schimpflich ist.

Von Gwerzeri kamen wir, ohne Dörfer zu sehen, nach 2 Stunden zu dem kleinen Dorf Kolalto, in der Nähe der linken des Paza auf einer ansehnlichen Höhe. Die Direktion des Weges von S-chlepi ist nach NNW dem Ostlichen Ufer des Paza parallel[2]. Der Zug ging langsam, und etwan in der Stunde 4 Werst.

Von Kolalto ließen wir uns ins Thnl des Paza, kamen über eine schlechte Brücke desselben und denn wieder auf die Höhe nach dem kleinen Dorfe Tamuta, von Kolalta etwan 3 Werst. Von hier sahe man südlich an der westlichen[3] Seite des Paza die kleine Festung Zacho, in 2 Werst Entferuung. Sie hat sonst dem Fürsten Matschabeli zuin Sommerauffenthalt gedient.

Auf WN Westlicher Richtung des Weges von Zacho kamen wir nach einer Stunde über einen kleinen Bach des Paza und wieder nach einer Stunde an einem kleinen See, denn aber nach 5/4 Stunden nnch dem kleinen Dorf Zoua um Ursprünge des Kwirila des Rion. Es war von Zacho 13 W [4], in gerader Linie aber[5] etwnu 10 Werst. Die Gegend war hoch und stieg nordlich noch mehr au, doch war auch hier nahe um Wege noch Schnee und viele Moraststelleu mit Eriophorum polyslachyon, Carex pseudocyperus. Geum rivnle und Polygonum bistorta.

Tamuta war mirdas lezte oder äusserste oßetische Dorf des Distrikts Dschankom oder georg. Dschawis Cheoba. Man rechuet hiezu au 1000 Familien. So ist dieser Distrikt von alters her der Fürstlichen Familie Matschabeli untertan. Allein vor einigen Wochen hat der Zaar diese Distrikte abgenommen, weil diese Ossetiner überall zu große Pressung geklaget, und hat sie dem Zarewitsch Georgi übergeben[6].

Den 7ten Julii. Von Zona ritten wir in NNW. und 1 Stunde durch mehrere Gebürgbäche, die den Kwirila ausmachen und von nordi. Gebürgschnee ernährt werden. Nun ging es eine halbe Stunde in W. zum Fluße Dschedscho, der aus WNW. kömmt und zum Rion fließt, reißend und hier

---

[1] ihm unhöflich begegnet hatte, *P.*] dem Gaste beleidigt hatte, *G.* [2] die Direktion – parallel < *P.* [3] westlichen, *G.*] rechten, *P.* [4] 13 W. < *P.* [5] aber < *P.* [6] Man rechnet – Georgi übergeben < *P.*

მან ჩემი თავი გადააბარა ოს მამასახლისს გუფთიდან და გამატანა წერილი ონში მმართველ თავად გიორგი ჯაფარიძესთან. მან აგრეთვე მომცა თავისი სამი კაცი, რომელთაც ესმოდათ რუსული, ოსური და ქართული და იცოდნენ იმერეთის გზები.

სხლებიდან გავემართე ჩრდილოეთით – ჩრდილო-დასავლეთით და 1 საათში ვიყავი ოსურ სოფელ გვერწერში, სოფელზე გავლისას ვნახეთ დიდი ჩხუბი დაახლოებით 100 კაცისა. ერთ კაცს მეორე კაცის სტუმრისაგან მოეთხოვა საჩუქარი და შეურაცხყოფა მიუყენებია. დავა ისეთი ფიცხელი იყო, რომ თვით ქალებმაც, რომელთა მოსვლის დროსაც მაშინვე ჩამოვარდება ხოლმე მშვიდობა, ვერათუ ამას ვერ მიაღწიეს არამედ მათაც მოხვდათ. ჩხუბობდნენ ჯოხებით და არა ხმლებით ან ხანჯლებით, რაც ჩერქეზებთან, სხვათა შორის, ძალზე სამარცხვინოდ ითვლება.

გვერწერიდან 2 საათში მივედით პატარა სოფელ კოლალტოში[1] ისე რომ გზად სხვა [სოფელი] არ შეგვხვედრია. ის მდებარეობს ფაწის მარცხენა ნაპირის ახლოს, მნიშვნელოვან სიმაღლეზე. გზის მიმართულება სხლებიდან არის ჩრდილოეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ფაწის აღმოსავლეთ ნაპირის პარალელურად[2]. რაზმი მიდიოდა ნელა, დაახლოებით 4 ვერსს საათში.

კოლალტოდან დავეშვით ფაწის დაბლობზე, გადავედით მის ცუდ ხიდზე და კვლავ შევუდექით აღმართს: კოლალტოდან 3 ვერსზე გავიარეთ სოფ. ტამუტა (?). აქედან სამხრეთით, ფაწის დასავლეთ[3] მხარეზე ჩანს პატარა ციხე წახო, 2 ვერსის მოშორებით. თავადი მაჩაბელი მას საზაფხულო სადგომად იყენებდა.

დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით წახოდან 1 საათში მივედით ფაწის პატარა შენაკადთან და კვლავ 1 საათში პატარა ტბასთან; აქედან ¾ საათში კი – პატარა სოფელ წონაში, რიონის შენაკად ყვირილის სათავესთან. ის წახოდან დაშორებული იყო 13 ვერსზე[4], პირდაპირი ხაზით კი[5] 10 ვერსზე. მიდამო იყო მაღალი და ჩრდილოეთით კიდევ უფრო იზრდებოდა. ამასთან აქაც გზის ახლოს ისევ იყო თოვლი და ბევრი ჭაობიანი ადგილები, სადაც შეგვხვდა: Eriophorum polystachyon, Carex pseudocyperus, Geum rivale და Polygonum historta (დვალურა).

ტამუტა ჩემთვის იყო უკანასკნელი, ანუ განაპირა სოფელი ჯაუკომის რაიონისა, ანდა ქართულად ჯავის ხეობისა. აქ ითვლიან 1000 ოჯახს. ეს მხარე ძველთაგან ექვემდებარებოდა თავად მაჩაბელს. სულ რამდენიმე კვირის წინ მეფემ ეს მხარე ჩამოართვა, რადგან აქაური ოსები ყველგან ჩიოდნენ ძალიან შევიწროებული ვართო, და გადასცა ბატონიშვილ გიორგის[6].

7 ივლისი. წონიდა6 ჩვენ გავემართეთ ჩრდილოეთ – ჩრდილო-დასავლეთისკენ და 1 საათში გავიარეთ რამდენიმე მთის მდინარე, რომლებიც ქმნიან ყვირილას და იკვებებიან ჩრდილოეთის ქედის თოვლით. ნახევარი საათი მივდიოდით დასავლეთით მდ. ჯეჯომდე[7], რომელიც მოედინება დასავლეთ – ჩრდი-

---

[1] იქნებ ქ ო თ ა ნ თ ა? – გ. გ. [2] გზის მიმართულება – პარალელურად < პ ა ლ. [3] დასავლეთ, გ ი უ ლ დ.] მარჯვენა, პ ა ლ. [4] 13 ვერსზე < პ ა ლ. [5] კი < პ ა ლ.

[2] აქ ითვლიან 1000 – გიორგის < პ ა ლ.

[3] ეს უნდა იყოს მდ. ჯ ე ჯ ო რ ი. იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 160.

etliche zwanzig Schritte breit ist. Wir paßirten ihn auf einer schlechten Brücke beym Dorfe Kudaro an seinem westl. Ufer, welches mit Zoni vor 3 Jahren von imeretischen Fürsten verheeret worden, daher alle Schiesthürme halb abgebrochen waren. Es gehört zum oßetischen Distrikt Dwaleti. Zu dem 18 Dörfer, die oberhalb Kudaro gelegen, gerechnet werden, namLich: Gulianta, Nadarbasewi, Nakrebawi, Koretscheti, Kwemo Bodscha, Didi Bodscha, Kobiata, Morecha, Sibatara, Dschawis-tawi, Mats-chora, Sadschnari, Tkeburta, Leta, Srogo, lieschelta, Samtareti[1].

Unter Kudaro wohnen Imereter, dem Fürsten Dschaparisi gehörig, der sich daher auch mit dem Radschis Eristaw die Herrschaft über die beiden oßetischcn Distrikte Dwalet und Mapsuani anmaßt.

ln Kudaro entließ ich den oßetischen Aelteston mit 10 Rubl. Belohnung und setzte den Weg in WSW. fort. Nach anderthalb Stunden hatten wir eine kleine Wiese und noch nach l Stunde Zedis, das erste imeretische Dorf, in einem hohen Thale, 3 Werst von Dschedscho in W. dem Fürsten Dschaparisi gehörig.

Bey diesem Dorfe wird grober Blutstein gebrochen und das durch dreymahliges Schmelzen erhaltene Eisen zu Hufeisen, Sicheln, Beilen, Pflugschaaren, Ketten, zu Kesseln u. dergl. veredelt und nach Kachetien u. weiter gegen Vieh, Waizen u. d. gl. verhandelt.

Von Zedis ritten wir 1 Stunde abwärts bis zum Dschedscho, durch einen Bach drey viertel Stunden am N Westlichen Flußufer bis zum Dorfe Pipeleti und hier über eine Brücke nach dem ostlichen Ufer und nun an diesem Ufer hinab bis zum Einfall des Dschedscho in die linke des Rion; hier nun wieder über eine Brücke; daselbst zwischen diesen beiden Flüssen Oni gelegen[2]. Das Gebürge, das diese beide Fliisse schnit, ist dem Dschedscbo zu sehr steil und hoch und auf demselben liegen 2 vierekkige Festungen und 2 Schiesturmen; nach dem Rion zu senket sich, dann[3] nach dem Dorfe Oni, wo in der Nähe an beiden Seiten des Rion mehr Dörfer sind.

D. 8 Jul. wir hatten bei Oni übernachtet und ich hatte die Nacht wieder ein[en] Fieber-Anfall gehabt[4].

Der Rion entsprit an der Südseite der Schueealpen dem Ursprünge des Uruch des Terek gegenüber, an welchem ich im August 1771. bey Stardugor war, wo ein Weg über die Alpen nach dem imeretischen Dorfe Chebi am Rion geht, und dieses Dorf ist nur eine kleine Tagereise von Oni. Der Rion läuft von Seinen Quellen in seiner Kluft etwan 25 Werst in O. und wendet sich denn in S. Diese Kluft scheint bis Oni nach Augenmaas 10 Werst lang. Auf der ostlichen Richtung liegt das Dorf Tschiora, etwas

---

[1] Zu dem 18 Dörfer – Samtareti < *P.*

[2] daselbst zwischen – gelegen < *P.*

[3] das Gebürge das diese belde – senket sich; dann < *P.*

[4] D. 8 Ju|. – Anfall gehabt < *P.*

ლო-დასავლეთიდან და რიონს ერთვის. ის არის სწრაფი და აქ რამდენიმე 20 ნაბიჯის სიგანისაა. ჩვენ გადავედით მასზე ცუდი ხიდით სოფ. კუდაროსთან, რომელიც მდებარეობს მის დასავლეთ მხარეზე და რომელიც, წონასთან ერთად, 3 წლის წინათ განადგურებულ იქნა იმერელი თავადის მიერ; ამიტომაც ყველა კოშკი ნახევრად დანგრეული იყო. ის ეკუთვნის ოსურ მხარეს დვალეთს. კუდაროს ზემოთ არის 18 სოფელი, სახელდობრ: გულიანთა, ნადარბაზევი, ნაკრებავი, კორეჩეთი, ქვემო ბოჟა, დიდი ბოჟა, კობიათა, მორეხა, სიბატარა, ჯავისთავი, მაჩხარა, საჯვარი, ტკებურთა, ლეთი, სროგო, ქეშელთა, ზამთარეთი[1].

კუდაროს ქვემოთ ცხოვრობენ იმერლები; ისინი ეკუთვნიან თავად ჯაფარიძეს, რომელიც ადრე რაჭის ერისთავთან ერთად თავის თავს თვლიდა ორივე ოსური მხარის – დვალეთისა და მაპსუანის – ბატონად.

კუდაროში ოს მამასახლისს მივეცი 10 მანეთი საჩუქრად და გავისტუმრე. მე განვაგრძე გზა დასავლეთით – სამხრეთ-დასავლეთისაკენ. 1 ½ საათში გავიარეთ პატარა მდელო და კიდევ 1 საათში ვიყავით წედისში; ეს არის პირველი იმერული სოფელი მაღალ ვაკეზე, 3 ვერსზე ჯეჯოს დასავლეთით. ის ეკუთვნის თავად ჯაფარიძეს.

ამ სოფელთან ამტვრევენ მსხვილ წითელ რკინაქვას. სამმაგი გამოდნობის შემდეგ ღებულობენ რკინას, რომლისგანაც აკეთებენ ნალებს, ნამგლებს, ნაჯახებს, გუთნის სახნისს, ჯაჭვებს ქვაბებისათვის და მისთანებს; აგრეთვე ცვლიან კახეთში და სხვაგან პირუტყვზე, ხორბალზე და მისთანებზე.

წედისიდან 1 საათი მივდიოდით ზევით ჯეჯომდე; ¾ საათში გავიარეთ მდინარე და მის ჩრდილო-დასავლეთის ნაპირზე მივედით სოფ. პიპილეთში. აქ გავედით ხიდით აღმოსავლეთ ნაპირზე და ახლა ამ ნაპირს დავყევით იმ ადგილამდე, სადაც ჯეჯო რიონს ერთვის; აქ კვლავ ხიდზე გადავედით. იქ, ამ ორ მდინარეს შორის, მდებარეობს ონი[2]. მთა, რომელიც ამ ორ მდინარეს ჰყოფს, ჯეჯოს მხარეზე არის ძალიან ციცაბო და მაღალი და მასზე არის 2 ოთხკუთხა ციხე და 2 კოშკი; რიონისკენ კი – თანდათან ეშვება. შემდეგ[3] [წავედით] ონისკენ, საითაც რიონის ორივე მხარეს, მისგან ახლოს, რამდენიმე სოფელი მდებარეობს,

8 ივლისი გავათენეთ ონში. მე ამ ღამეს კვლავ შემამცივნა[4].

რიონი სათავეს იღებს თოვლიანი ალპების სამხრეთ მხარეზე, თერგის შენაკად ურუხის,სათავის პირდაპირ, რომელზეც მე 1771 აგვისტოში სტარდუგორში ვიყავი, სადაც გადის გზა ალპებზე იმერეთის სოფელ ღებისკენ, რომელიც რიონზე დევს. ეს სოფელი [ღები] კი არის ონიდან მხოლოდ 1 დღის სავალზე. რიონი მოედინება თავის ხეობაში დაახლოებით 25 ვერსი აღმოსავლეთით და შემდეგ უხვევს სამხრეთისკენ. ეს ხეობა ონამდე, თვალზომით, უნდა იყოს 10 ვერსი სიგრძისა. აღმოსავლეთისკენ მდებარეობს სოფელი ჭიორა, ცოტა ქვემოთ გლოლა, რიონის მარჯვენა ნაპირას. ამ უკანასკნელის ქვემოთ

---

[1] კუდაროს ზემოთ – ზამთარეთი < პ ა ლ.

[2] იქ, ამ ორ – ონი < პ ა ლ.

[3] მთა, რომელიც ამ ორ – შემდეგ < პ ა ლ.

[4] 8 ივლისი – შემამცივნა < პ ა ლ

weiter hinab Glola an der rechten des Rion. Unter letztern nimmt er an der linken einen aus ONO. kommenden starken Fluß auf; S. 177l Aug.

Man billigte in Oni, daß.ich nicht den Weg von Stardugor nach Chebi gewählt, weil auf demselben allemahl viele Pferde stürzten und rerlohren gingen.

Ueber Oni stehen am rechten Ufer des Rion neun Dörfer, an der linken Seite von Oni hinauf, Oni selbst, noch 7 Dörfer.

Oberhalb Oni liegen an der. Westseite des Rions folgende Dörfer. nemlich: Churuti, Tschala, Tschauban, Laugwanta, Sakaw, Seglewi, Nakieti, Utsera, Cheby; an der Ostseite folgende: Oni, Zumedauri, Zola, Gari, Nakieti, Dschitschwis, Gomi, Metrewi, Glola, Dschidro nur Festung, und Tschiora[1].

Ueber Oni liegen an der Westseite des Dschedscho, Pipelets und Zedis und an der Ostseite Komadeli, S-chieri, Christeßi, Somizo, Dschaschkwa, Zechwori, Gunda, Iri, Kwedi, Onschebi und hoch im Gebürge in ziemlicher Entfernung nach O. Kircherisi, Korta, Moka, Broalsa, Tschkmeri, Badschikewi, Tschordi, Psori, die den Dschedschoschen Kreis ausmachen.

Bey Gori soll ein Salzsee seyn und nahe bey Oni, einige hundert Schritte nordlich[2], spüret man an einem Orte einen Veilchengeruch, der sich auf dieses Salz zu beziehen scheint. Die Einwohner bedienen sich dieser Dünfte wieder Gliederreißen. Sie machen kleine Gruben und sezen in denselben Rohrhalme in die Erde, auf welcher sie die Luft einziehen; viele aber werden hierüber verrückt oder bekommen spasmatisches Zittern der Glieder.

Bey Seglewi sollen heiße Quellen sein.

Oni wird von lmeretierm Armenianern und Juden bewohnt. Alle reden georgisch, unter sich aber jeder seine Sprache. Armenier und Juden handeln mit Eisenwaare[n] aus Zedis, mit baumwollenen Zeugen aus Kartli und mit Salz und Hirse, daher die Oßeten aus Dwaleti und Dugor, Balkar[3], Basiannen und auch Soni hieher kommen.

Von Oni sieht man in N0. 2 große mit Schnee bedeckte, spitze Koppen, die in gerader Linie 15 Werst entfernt seyn möchten und zwischen dem Ursprunge des Kudaro und Glola liegen. Einen andern Schneeberg siehet man etwan 5 Werst von Oni in NNW. an dessen Ostseite der Rion hinfließt. Dessen ohngeaehtet war es jezo in Oni sehr heiß, die Waizen- und Gerstenernte war schon vorbey und der Wein wächset hier stark. Das Thal des Rion ist schon zu diesen Erscheinungen niedrig genug, denn bey 16 Grad Thermometerhöhe stand das Barometer auf 27 Zoll 7 Liu.

---

[1] Oberhalb 0ni – Tschiora < *P.*

[2] einige hundert Schritte nordlich < *P.*

[3] Balkar < *P.*

იერთებს რიონი მარცხენა მხრიდან დიდ მდინარეს, რომელიც მოედინება აღმოსავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან; იხილე 1771 წ. აგვისტო.

ონში მომიწონეს, რომ მე არ ავირჩიე გზა სტარდუგორიდან ღებისკენ, რადგან ამ გზაზე ცხენები ყოველთვის ვარდებოდნენ და იღუპებოდნენ.

ონის ზემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირზე, დგას 9 სოფელი; მარცხენა ნაპირზე კი, ონიდან ზევით, ონი თვით და კიდევ 7 სოფელი.

ონს ზემოთ, რიონის დასავლეთ მხარეზე, არიან შემდეგი სოფლები, სახელდობრ: ხურუთი ჭალა, ჭაუბანი[1], ლაგვანთა, საკაო, ძეგლევი, ნაკიეთი, უწერა, ღები; აღმოსავლეთ მხარეზე კი შემდეგია: ონი, წუმედაური[2], წოლა, ღარი, ნაკიეთი, ჯიჩვის[3], გომი, მეტრევი, გლოლა, ჯიდრო[4] – მხოლოდ ციხეა და ჭიორა[5]. ონს ზემოთ, ჯეჯოს დასავლეთით პიპილეთი და წედისი მდებარეობენ, აღმოსავლეთით კი: კომანდელი, სხიერი, ქრისტესი, სომიწო, ჟაშქვა, ცეხვორი[6], ღუნდა, ირი, ქმედი ონშები[7], და მაღლა მთაში, საკმაო დაშორებით, აღმოსავლეთისკენ: ხირხონისი, ქორთა, მოკა, ბროალსა[8], შქმერი, ბაჯიხევი, ჩორდი, ფსორი, რომლებიც შეადგენენ ჯეჯოს რაიონს*.

გორთან უნდა იყოს მლაშე ტბა, ხოლო ონთან ახლოს, რამდენიმე ას ნაბიჯზე ჩრდილოეთისკენ[9], ერთ ადგილას იგრძნობა იის სუნი, რომელიც ამ მარილიდან უნდა გამოდიოდეს. მოსახლეობა ამ სურნელს იყენებს სახსრების ტკივილების წინააღმდეგ. ისინი აკეთებენ პატარა ორმოებს, არჭობენ შიგ ლერწმის ღეროებს, საიდანაც ისუნთქავენ ჰაერს; მაგრამ ბევრი ამის გამო გიჟდება, ან ემართებათ სახსრების სპაზმული კანკალი.

ძეგლევთან, ამბობენ, რომ არის ცხელი წყაროები.

ონში ცხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები. ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე[10], სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით – ქართლიდან და მარილითა და ფეტვით; ამიტომაც ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგორიდან; მალყარები[11], ბასიანელები და აგრეთვე სვანებიც მოდიან.

ონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანს 2 დიდი, თოვლით დაფარული მწვერვალი, რომლებიც პირდაპირი ხაზით 15 ვერსით უნდა იყვნენ დაშორებული და კუდაროს და გლოლას სათავეებს შორის მდებარეობენ. სხვა თოვლიანი მთა ჩანს ონიდან 5 ვერსზე ჩრდილო – ჩრდილო-დასავლეთით, რომლის აღმოსავლეთ მხარეზეც რიონი ჩამოედინება. მიუხედავად ამისა, ონში ახლა ძალიან ცხელოდა; ხორბალი და ქერი უკვე აღებული იყო; ვაზი აქ კარგად ხარობს. რიონის დაბლობი ამ მოვლენებისთვის არის საკმაოდ დაბალი, რადგან 16 გრადუსზე ბარომეტრი უჩვენებდა 27 დუიმსა და 7 ხაზს.

---

[1] შეიძლება ეს იყოს „შეუბანი“. [2] არის წმინდაური. [3] ჯინჭვისი. [4] იქნებ ციდრო? რუკებზე სწერია Цидро, ციდრო; მაგრამ ეს უნდა იყოს ვ ა ხ უ შ ტ ი ს „ჭიდროთა“: უწერის „ზეით, ჭიდროთას არს ციხე მცირე“ (აღწერა, გვ. 161). [5] ონს ზემოთ, რიონის დასავლეთ – ჭიორა < პ ა ლ. [6] ეს არის ცხმორი. [7] ონჭევი. [8] ეს არის ალბათ ბ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი. [9] რამდენიმე ას ნაბიჯზე ჩრდილოეთისკენ < პ ა ლ. [10] რაჭის ებრაელების „თავიანთი ენაც“ არის ქართული. [11] მალყარები < პ ა ლ.

* შენიშვნებში მოყვანილი გეოგრაფიული სახელწოდებანი დადგენილი გვაქვს შემდეგი წყაროების მიხედვით: 1) ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა; 2) გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე ტომები V, VII, VIII; 3) ხუთვერსიანი რუკები, რუსული და ქართული.

Im Waizen bey Oni war Lolium temulentum häufig, das auch hier betäubt, und wo es in Getraide ist, Krämpfe macht. Auch Secale creticum ist im Waizen häufig, weil es schon bey der Saat ist. Es macht das Brod nicht sehr schwarz und ist von Ansehen kaum vom Sec, cereale unterschieden. Die sechszeilige Gerste[1] war auch schon reif; Mais oder türkischer Waizen blühete. Hirse aber war nur noch eines Fingers lang.

Azalea pontica ist unter Weisbuchen und Haseln häufig; von demselben wird, wie schon bemerkt, der Honig betäubend, und den Ziegen ist ihr Laub tödlich.

Hier waren sonst, der katholischen Armenier wegen, 2 Kapuzinervä-Ter. Der eine war jezo in Gori und der andere ward im vorigen Jahr auf dem Wege dahin von den Oßetinern beraubt und erschlagen.

Den 9ten Jul. setzte ich erst die Reise von Oni fort. Wir gingen wieder über die Brücke des Dschedscho, dann dem linken Ufer des Rion abwerts parallel in WSW. und hatten am Bache Cheori das Dorf Wertetli; am Tscheschtschora, Sundal und am Murechala, Tschardobeti. Eine Wegestelle über Kalkfelsen des Ufers war so schmal, daß man die Pferde am Schwanze halten mußte: dennoch stürzte eines in den Fluß und trieb weit hinab, ward aber doch gerettet. Auch das rechte Ufer ist steil. Wir giengen nach demselben etwan 10 Werst unter Oni auf einer schlechten Brücke beim Dorfe Sori hinüber. Von Sori kamen wir nach 5/4 St. Weges unter die Festung Minda oder Minda-Ziche, die auf der Spitze eines hohen Felsen liegt[2]. Der Weg mochte 8 Werste seyn.

Bey Minda fällt der Lochuni, der aus WNW, kömmt, in den Rion. Wir folgten ihm eine Strecke hinauf, paßirten ihn denn über eine Brücke und wandten uns wieder zum rechten Ufer des Riou, an welchem wir nach dem Dorfe Zeßi nicht weit unter der Mündung des Lochuni kamen.

Noch näher unter der Mündung des Lochuni steht eine ansehnliche Kirche und einige 100 Schritte westlich[3] sieht man steinerne Wohngebäude des Radschis Eristaws, die der Zaar Solomon vor 3 Jahren in einen Steinhaufen verwandelte. Als nähmlich damahls der Zaar von den Türken sehr gedruckt ward. widersetzte sich ihm auch der Radschis Eristaw; ihm aber fühlte sich der Zaar noch gewachsen und überzog ihn mit Hülfe seiner treuen Fürsten, besonders des Zireteli, kriegerisch. Der Radsdiis Eristaw unterwarf sich zwar bald, aber der Zaar nahm ihn gefangen, ließ ihm beide Augen ausstechen und erklärte den Distrikt Radscha für sein Eigen-

---

[1] Die sechszeilige Gerste; ამ გერმანული გამოთქმით უნდა იყოს გადმოცემული Hordeum hexastichum, რაც ქართულად იქნება „მრავალმწკრივიანი ქერი“. იხ. ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 36.

[2] Von Sori kamen – Felsen liegt, *G.*] Von Sori bis zur Festung Minda oder Minda Ziche waren mehr schwierige Wegestellen, *P.*

[3] einige 100 Schritte westlich, *G.*] ihr ganz nahe, *P.*

პურს ონის მხარეში ხშირად შერეული აქვს ღვარძლი (LoIium temuIentum), რომელიც აქაც დამათრობლად მოქმედებს, და სადაც ის მოხვდება მარცვალში, იწვევს კრუნჩხვას. პურში ხშირად გვხვდება აგრეთვე Secale creticum (ჭვავი ?), რადგან ის უკვე თესვის დროს არის შერეული. ის პურს ხდის ნაკლებ შავს და შესახედავად ძლივს გაირჩევა Sec. cereale-სგან. მრავალმწკრივიანი ქერი[1] უკვე შემოსული იყო; სიმინდი, ანუ თურქული ხორბალი ყვაოდა. ფეტვი კი იყო მხოლოდ 1 თითის სიგრძე.

Azalea pontica (იელი) ხშირია თეთრ წიფელსა და თხილნარში; მისგან, როგორც უკვე ითქვა, თაფლი ხდება მათრობელა და თხებისთვის მისი ფოთოლი სასიკვდილოა.

[წინათ] აქ, კათოლიკე სომხების გამო, იყო ორი კაპუცინი ბერი. ერთი მათგანი ახლა გორშია, მეორე კი შარშან ოსებმა გაძარცვეს და მოკლეს გორის გზაზე.

მხოლოდ 9 ივლისს განვაგრძე გზა ონიდან. ჩვენ კვლავ გადავედით ჯეჯოს ხიდზე, შემდეგ გავყევით რიონის მარცხენა ნაპირს პარალელურად დასავლით – სამხრეთ-დასავლეთისკენ და მდ. ხეორზე გავიარეთ სოფ. ველთეთრი, ჯეჯორაზე – ზუდალი და მურეხანაზე – შარდომეთი. გზა, ნაპირის კირქვიან კლდეზე, ისე ვიწრო იყო, რომ ხალხი ცხენებს კუდში ხელჩავლებული მიჰყვებოდა; მაინც ერთი ცხენი ჩავარდა მდინარეში და წაღებულ იქნა შორს ქვევით, მაგრამ მაინც გადაარჩინეს. მარჯვენა ნაპირიც ციცაბოა. ჩვენ გავყევით მას და დაახლოებით 10 ვერსზე, ონს ქვემოთ, სოფელ სორთან, გადავედით ცუდ ხიდზე. სორიდან [5]/[4] საათში ჩვენ მივედით ციხე მინდას, ანუ მინდა-ციხის ქვემოთ, რომელიც დგას მაღალი კლდის წვერზე ეს გზა 8 ვერსი უნდა იყოს.

მინდასთან რიონს უერთდება ლუხუნი, რომელიც მოედინება დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთიდან. ჩვენ გარკვეულ მანძილზე ავყევით მას, გადავედით ხიდზე და კვლავ გავუხვიეთ რიონის მარჯვენა ნაპირისკენ, რითაც მივედით სოფელ წესში, რომელიც შორს არაა ლუხუნის შესართავიდან.

კიდევ უფრო ახლოს ლუხუნის შესართავთან დგას დიდი ეკლესია და მისგან 100-ოდე ნაბიჯზე[3] დასავლეთით ჩანს რაჭის ერისთავის ქვიტკირის სასახლე, რომელიც სოლომონ მეფემ 3 წლის წინ ნანგრევებად აქცია. კერძოდ, მეფე მაშინ ძალზე შევიწროებული იყო თურქთაგან და რაჭის ერისთავიც განუდგა მას; მეფემ იცოდა, რომ შესძლებდა მას გასწორებოდა და ერთგული თავადების, განსაკუთრებით წერეთლის, დახმარებით თავს დაესხა მას. მართალია, რაჭის ერისთავი მალე დანებდა, მაგრამ მეფემ ის დაატუსაღა, ამოათხრევინა ორივე თვალი და რაჭა გამოაცხადა თავის სამფლობელოდ.

---

[1] იხ. 108 გვერდის პირველი შენიშვნა.

[2] სორიდან - წვერზე; გ ი უ ლ.] სორიდან ციხე მინდამდგ ანუ მინდა-ციხემდე გზაზე ბევრი ძმელგასავალი ადგილები იყო, პ ა ლ.

[3] 100-ოდე ნაბიჯზე დასავლეთით გ ი უ ლ.] სულ ახლოს მისგან. პ ა ლ.

thum. Den blinden Fürsten und seine jüngsten Sühne unterhielt Zaar Solomon: die 3 altern Söhne aber entfloheu zu den Türken nach Achalziche, bis vor 3 Jahren das rußische Korps unter dem General Totleben erschien, welches ganz Imeretien von Türken reinigte und die Herrschaft des Zaaren Solomon befestigte.

D. 10 Jul. Die heutige Nacht war bei Zessi vergangen. Dieser Ort gehört zu dem Distrikt Radscha[1].

Den 11ten Jul. traf ein lixpresser vom Zaar Solomon bey mir in Zeßi ein, der mir nach der diesem Herrn ganz eigenen und aufrichtigen Zuneigung gegen alle rußische Expeditionen, zur Antwort auf mein Schreiben aus Krzchinwal, zu melden hatte, daß ich die Ankunft seines Sohnes, des Zaarewitsch Alexander erwarten möchte: daher ich mich hier bis dahin auf das beste zu beschäftigen suchte, und die Pferde nach der linken des Rion auf die Weide schickte. Er war 4 bis 5 Fuß tief.

Bev Zeßi war Rhus coriaria[2] häufig und blühend; ich hatte ihn ansser bey Mzcheta nirgends gehabt. Rhus cotinus ist eben so häufig. Die Waldung und das Gebüsch der Anhöhe enthält hier Weisbuchen, Eichen, Crataegus oxyacantha, Cornus mas, Rosa canina. Cytifus hirsntus, die Niedrigung des Rions Populus nigra et tremnla, Salix alba, Fraxinus excelsior, Betula Aluus, Hippophae rhamuoides. An den Dörfern stehen welsche Nüsse, Maulbeerbäume, Pflaumen, Aepfel, Birnen und Weinreben häufig. Gersten und Walzen waren schon geerntet. Die Hirse war spannenlang. Mays blühete, Gurken un'd türkische Bohnen waren schon brauchbar.

Der hiesige Pflug ist dem deutschen Haken sehr ähnlich, ein dreyeckig. Pflugeisen ist nähmlich vor einem dicken länglichen Brettchen, als eine Schaufel, schräge gestellt. Hinter demselben ist die Handhabe und vorne eine krumme Deichsel, au der 2 Ochsen ziehen. Eben dieser Pflug ist auch bey den Oßeten im Gebrauch.

Von 12 bis 13. Jul. auch diese Tage vergingen bei Zessis.

Am 13ten Julii traf der junge Zarewitsch Alexander mit seiner Begleitung in Zeßi ein.

Den 14ten Julii früh kam mir der Prinz mit der Visite zuvor. Er ist etwan l2 Jahr alt, ein brunetter, wohlgebildeter, schöner Knabe, von vieler Lebhaftigkeit, und der ehrlichsten und leutseeligsten Mine. Diesen einzigen Sohn des Zaars Solomon hatte er dem Fürsten Georgi Zulnkisof, einem seiner getreuesten anvertrauet, der ihn auch überall begleitete. Der altere Vetter hielt es mit dem Badschis Eristaw, daher er, als derselbe kaßirt ward, zum Dadian flüchtete. Nachher ward ich auch von Thamas

---

[1] D. 10 Jul. – Distrikt Radscha < *P.* ამას მოსდევს რაჭის სოფლების ჩამოთვლა, რაც პალასთან 396 398 გვერდებზეა მოცემული.

[2] lch muthmaße, daß hier eine besondere, auch in Tauri n einheimische Art von Gerberbaum gemeynt sey, wovon ich aus dem Caucasus Zweige erhalten, und die ich Rhus ornifolia genannt habe. *P.*

[3] Von 12 bis 13 – bei Zessi < *P.*

ბრმა თავადი და მისი უმცროსი ვაჟები სოლომონ მეფემ თავისთან დაიტოვა: სამი უფროსი ვაჟი კი გაიქცნენ თურქებთან ახალციხეში, სანამ სამი წლის წინ რუსული რაზმები გენერალ ტოტლებენის მეთაურობით არ გამოჩნდნენ, არ გაწმინდეს მთელი იმერეთი თურქებისგან და განამტკიცეს სოლომონ მეფის ბატონობა.

10 ივლისი. დღევანდელი ღამე გავატარეთ წესში. ეს ადგილი ეკუთვნის რაჭას[1].

11 ივლისს სოლომონ მეფის შიკრიკი მოვიდა ჩემთან წესში; მას, ამ ბატონისთვის დამახასიათებელი გულახდილი დამოკიდებულების თანახმად ყოველგვარი რუსული ექსპედიციის მიმართ, ქრცხინვალიდან გამოგზავნილი ჩემი წერილის პასუხად უნდა ეცნობებინა ჩემთვის, რომ მე დავლოდებოდი მისი ვაჟის, ბატონიშვილ ალექსანდრეს მოსვლას; ამიტომ მე ვცადე რაც შეიძლება კარგი საქმით გავრთულიყავი მანამდე და ცხენები რიონის მარცხენა ნაპირას გავგზავნე საძოვარზე. რიონის სიღრმე 4 – 5 ფუტი იყო.

წესთან ხშირად გვხვდება RhuS coriaria[2] (თუთუბო) ყვავილობაში მყოფი; ის მე მცხეთის გარდა არსად შემხვედრია. Rhus cotinus-იც (თრიმლი) ასევე ხშირია. მაღლობის მცენარეულ საფარს (ტყეები და ბუჩქნარი) შეადგენს თეთრი წიფელი, მუხა, Crataegus სუნელი) oxyacautha, Coruus coruus mas (შინდი), Rosa canina (ასკილი), Cytifus (ცოცხი) hirsutus. რიონის დაბლობზე Populus nigra (ოფი) და tremula (ვერხვი), Salix alba (წნორი), Fraxinus excelsior (იფანი), Betula Alnus (არყი), Hippophaë rhamnoides (ქაცვი). სოფლის თავში ხშირად დგას კაკლის ხეები, თუთის ხეები, ქლიავი, ვაშლი, მსხალი და ყურძენი. ხორბალი და ქერი უკვე აღებული იყო ფეტვი იყო ერთი მტკაველი სიგრძის, სიმინდი ჰყვაოდა, კიტრი და ლობიო უკვე შემოსული იყო.

აქაური გუთანი ძალიან ჰგავს გერმანულ კავს; სახელდობრ, სამკუთხა რკინის სახნისი ირიბადაა წამოცმული მოგრძო, მსხვილ ფიცარზე, როგორც ბარი. მის უკან არის ტარი და წინ ირიბი ხელნა, რომელსაც 2 ხარი ეწევა. ასეთსავე გუთანს ხმარობენ ოსეთშიც.

12 – 13 ივლისიც წესში გავატარეთ[3].

13 ივლისს ახალგაზრდა ბატონიშვილი ალექსანდრე თავისი ამალით მოვიდა წესში.

14 ივლისს ადრე ბატონიშვილმა მინახულა მე. ის არის დაახლოებით თორმეტი წლისა, შავგვრემანი, ტანადი, მშვენიერი ყმაწვილი, ძალიან ცოცხალი, სათნო და მოსიყვარულე სახის გამომეტყველებისა. ეს ერთადერთი ვაჟი სოლომონ მეფემ მიაბარა თავად გიორგი წულუკიძეს, თავის ყველაზე უერთგულეს თავადს, რომელიც მას ყველგან დაჰყვება. უფროსი ბიძაშვილი რაჭის ერისთავს ემხრობოდა, ამიტომ, როცა ის (ერისთავი – გ. გ.) გადაყე-

---

[1] 10 ივლისი – რაჭას < პ ა ლ.

[2] პალასი შენიშნავს: მე ვფიქრობ, რომ აქ იგულისხმება (აგრეთვე ტავრიდისთვისაც ნაცნობი) ადგილობრივი ჯიში თრიმლის ხისა, რომლის შტო კავკასიიდან მე მივიღე და რომელსაც მე ვუწოდე Rhus ornifolia.

[3] 12 13-გავატარეთ < პ ა ლ.

Mes-chil[1] besucht. Dieser sitzt im Rath des Zaars, ein dicker Wolliistling, der den Mantel nach dem Winde hängt. Sein jezig Geschäft bestand in Besorgung alles dessen, was die. Reise des Zaarewitsch und meine Suite erforderte. Er ist aus Dschznvacheti und vor den Türken nach Imeretien geflüchtet.

Den 15ten Julii des Abends muste ich, so gern ichs überhoben gewesen, mit dem Zarewitsch speisen und Tisch und Tischzeug, welches ihm fehlte, geben. Die Speisen bestanden in gekochten Hüner, Rind-, Schaaf-, und Ferkelfleisch, und wurden in hölzernen Schüsseln aufgesetzt. Der Wein aber stand in einer großen silbernen Punsch-schale mitten auf dem Tisch. Jedem ward ein flacher silberner Becher gesetzt, den er sich selbst mit einem großen silbernen Löffel, der in der Schaale war, so oft er Wollte, aus derselben füllete. Aus einer großen silbernen Kanne ward die Abnahme des Weins in der Schaale ersezt. Es ward gut getrunken.

Hier blüheten Datura stramonium, Eryngium amethysteum, Echinops Ritro, Digitalis lutea u. a. Viburnum an Opuli varietas, baccis compressis, foliis alternis, petiolis subcernuis, war nicht selten.

Den 17ten Jul. machte ich auf dem schon gehabten Wege, denn ein anderer ist nicht, von der Festung Zeßi eine Exkursion nach Sori. Sie gieng über die Brücke des Lochuni, durch 2 felsige Defileen bis zum Bach Sotaruli und an diesem nach dem an seiner Nordseite gelegenen Dorfe Sori 30 Min[3]. und von demselben bis zur Brücke 25 Min[2]., über den Rion überhaupt in NNO. und ONO. Ich betrachtete die hiesigen Gebürg- und Bergarten und sammlete Pflanzen. Hier war Philadelphus coronaria, den ich auch schon am Didi-Liachwi zwischen Krzchinwal und Gupta gesehen, nicht sparsam; Crataegus termiualis, Cornus mas et sanguinea, Ligustrum vulgare, Circinalis Gled. u. a. waren auch häufig.

Des Abends kam ein Bote vom Zaar Solomon mit der Nachricht, daß. er aus dein Distrikt Sazeretlo nach Radscha gekommen und uns Morgen in S-chartali erwarte.

Den 18ten Jul. Des Morgens brachen wir von Zessi auf. Wir ritten eine kleine viertel Stunde nach SW. längst dem Rion, bis zu einer Brücke und über derselben nach der südostliche des Rion[4] hinab, den die hohen Kalkfelsenufer bis auf 40 Schritte breit einpresscn. An der Nordwestscite der Brücke ist eine hölzerne. viereckigte Verschanzung angebracht aus der ein Tor den Rion aufwärts zu Zessi und das andere den Rion hin und unter zu Kwazchuli, Sardmeli, Tola und Sakipiauo fürt, welches die letzte an der Nordwestseite des Rions zu Radscha gehörigen Dörfern sind, deren

---

[1] Themas Mes-chi, *G.*] Thomas, *P.*

[2] 30 Min < *P.*

[3] 25 Min. < *P.*

[4] Des Morgens – südostliche des Rions, *G.*] verließen wir Zeßi und folgten anfänglich dem rechten Ufer des Rion, *P.*

ნებულ იქნა, გაიქცა დადიანთან. შემდეგ მე მინახულა თამაზ მესხმა1' ის არის მეფის საბჭოს წევრი, ჩასუქებული მუსუსი, რომელსაც მოსასხამი ქარის მიმართულებით აქვს მოგდებული ი. მედროშეა) გი გ!:)' მის ახლანდელ საქმეს შეადგენდა ეზრუნა ყველაფერზე, რაც საჭირო იყო უფლისწულის მოგზაურობისა და ჩემი ამალისთვის, ის არის ჯავახეთიდან; თურქებს გამოექცა იმერეთში

15 ივლისს საღამოთი, თუმცა არ მსურდა, უნდა მევახშმა უფლისწულთან ერთად და სუფრა და ჭურჭელ-მოწყობილობა, რაც მას აკლდა, უნდა მიმეცა. საჭმელად იყო მოხარშული დედლები, საქონლის, ცხვრის და გოჭის ხორცი, რაც მოგვიტანეს ხის ჯამებით. ღვინო კი იყო ვერცხლის დიდ საწდეში და იდგა მაგიდის შუაში ყველას წინ ედგა ვერცხლის ბრტყელი თასი, რომელსაც თითოეული საწდეში ჩაშვებული ვერცხლისვე დიდი კოვზით ავსებდა სურვილის მიხედვით. ვერცხლის დიდი დოქიდან ასხამდნენ ღვინოს თასში; დაილია საკმაოდ

აქ ყვაოდა ლემა, Eryngium amethysteam, თავკომბალა, ფუტკარა და სხვა. უზანი თუ ნეკერჩხალი მიტკეპნილი კენკრით, რიგ-რიგობითი ფოთლებით და დაზნექილი ღეროებით იშვიათი არ იყო.

Wir kehrten nach dein Ort, wo sich der Cherga verliert, zurück, und hatten von da, nach 1 Stunde in SW., einen See von etlichen hundert Schritten Umfang[3], der sehr tief war. Wir ritten noch eine Stunde in W. und immer etwas bergan. Die Oberfläche war Thon. Von hier ging es bergab, gegen den steilen Abfall des Jugi subalpini. Der Kalkfelsen lag hier blos und hatte einen gemachten Weg, der als ein schmaler Steig den Pferden sehr sauer ward. Da es den ganzen Tag geregnet hatte, konnten weder Menschen noch Pferde auf den bloßen Kalkstein an einigen(?) und auf dem Thon an andern Stellen festen Fuß fassen. Weiter hinab hatten wir das Dorf Sugnuri. Es liegt von Nikor Ziminda in gerader Linie in SW. etwan 10 Werst, unser Weg aber war wenigstens 18 Werst.

Die Höhe des Jugi ist unbewohnt, und über derselben gehen verschiedene Wege aus Radscha nach Imereti; noch einige Werste westlicher von unserem gemachten Riege gehet ein noch steilerer Weg über dein Berg. Ziminda Georgi genannt, auf dein eine berümte, wüste Kirche stehet; der dritte Weg gehet ostlicher Voll S-chartali, nach dem Dorfe Muchura und der Festung Schaupawari; der vierte ist noch ostlicher von Tschkmeri nach Sazeretlo und dieser ist der beste, indem sich hier das Gebürge sanft zur Kwirila senket[4].

Die Höhe wird von ungeheuren Buchenwaldung bedeckt; auf unsern Wege aber hatten wir vorzüglich Fagus castanea, Azalea pontica und Rhododendron caucasicum (Flora ross. 1 t. 31), die ich hier zuerst sahe, Vaccinium arctostaphylos und Betula alnus.

Den 6 August. An diesem Tage erholten sich Menschen und Pferde von der gestrigen sehr grossen Abmattung, in Sugnuri. Dies ist ein Dorf des Distriktes 0kriba, der sich an der Südseite des iugi subalpini erstrekt[5].

Den 7ten August. Diese Nacht war noch in Sugnuri vergangen[6]. Von Sugnuri hatten wir nach dreyviertel Stunden die Festung Sazeri am Tscha-

---

[1] zwischen Bar. und Badschi < *P.* [2] sich aufhalten. *G.*] waren, *P.* [3] Umfang < *P.*

[4] Die Höhe des Jugi – zur Kwirila senket, *G.*] Es gehen mehrere Wege über dieses Gebürge nach Muchura und der Festung Schaupawari, nach Sazeretlo, u. a. m. einer geht über den steilen Berg. der nach einer Wüsten Kirche Ziminda Georgi heißt, *P.*

[5] Den 6 August – erstrekt. *G.*] Sugnuri, wo wir den 6-ten August blieben, liegt schon im Distrikt Okriba, *P.* გიულდშტედტის დედანში ამას მოსდევს ოკრიბის სოფლებისა და საზღვრების ჩამოთვლა, რაც პალასთან შემდეგა გვ. 401-ზე.

[6] Diese Nacht war noch in Sugnuri vergnngen < *P.*

ეს Julus-ი უშვებს ძალიან მქროლავ, ცხვირის და თვალის გამაღიზიანებელ სუნს, რომლითაც სავსეა მთელი გამოქვაბული.

ამ ხეობის აღმოსავლეთ ციცაბო კედელზე, აქ გამომდინარე წყალზე, რომელიც მდ. შაურულას[1] სახელით მიედინება რიონისკენ ბარენულასა და ბაჯს შორის[2], არის განდეგილთა სადგომი (უდაბნო), რომელშიც 10 ბერი ცხოვრობს.

წითელი წიფელი, ბზა და ტყემალი ბევრია ამ ხევში.

ჩვენ დავბრუნდით უკან იმ ადგილამდე, სადაც ხერგა იკარგება და იქიდან 1 საათში სამხრეთ-დასავლეთით მივედით ტბასთან, რომლის წრეწირიც რამდენიმე 100 ნაბიჯს უდრის და ძალიან ღრმა არის. ჩვენ კიდევ 1 საათი მივდიოდით დასავლეთისკენ და სულ აღმართ. ზედაპირი იყო თიხა. აქედან გზა დაეშვა ალპური ქედის ციცაბო ფერდის პირდაპირ. კირქვის კლდე აქ ტიტველი იყო და მასზე გადიოდა აქ გაყვანილი გზა, რომელიც ვიწრო ბილიკს წარმოადგენდა და ცხენებისთვის ძნელსავალი იყო. რადგან მთელი დღე წვიმდა, არც ხალხს და არც ცხენებს არ შეეძლოთ ფეხი მტკიცედ მოეკიდებინათ ზოგ ადგილას ტიტველ კირქვაზე და ზოგანაც თიხაზე. შემდეგ ქვევით გავიარეთ სოფ. ძუყნური. ის მდებარეობს ნიკორწმინდიდან პირდაპირი ხაზით სამხრეთ-დასავლეთისკენ დაახლოებით 10 ვერსზე, ჩვენი გზა კი შეადგენდა სულ ცოტა 18 ვერსს.

ქედის თხემი დაუსახლებელია და მასზე გადის სხვადასხვა გზა რაჭიდან იმერეთისკენ; ჩვენ მიერ გავლილი გზიდან კიდევ რამდენიმე ვერსზე დასავლეთით გადის უფრო ციცაბო გზა მთაზე, რომელსაც წმინდა გიორგი ეწოდება; მასზე დგას ცნობილი, დანგრეული ეკლესია; მესამე გზა მიდის სხარტალიდან აღმოსავლეთისკენ სოფ. მუხურასა და ციხე შაუპოვარისკენ; მეოთხე არის კიდევ უფრო აღმოსავლეთით შქმერიდან საწერეთლოსკენ და ეს არის საუკეთესო, რადგან აქ მთა ყვირილამდე ძალიან დამრეცად ეშვება[3].

თხემი დაფარულია წიფელის უღრანი ტყით; გზაზე კი ჩვენ უმეტესად გვხვდებოდა წაბლა წიფელი, იელი და დეკა, რაც აქ პირველად ენახა, კავკასიური მოცვი და არყის ხე.

6 აგვისტო. დღეს ხალხმა და ცხენებმა დაისვენეს ძუყნურში გუშინდელი დიდი მოქანცვის შემდეგ. ეს არის ოკრიბის სოფელი, რომელიც გადაჭიმულია ალპური ქედის სამხრეთ მხარეზე[4].

7 აგვისტო. ეს ღამეც ძუყნურში გავათიეთ[5] ძუყნურიდან 3/4 საათში გავიარეთ ციხე საწირე მდ. ჭალაზე. ის ეკუთვნის თავად ხეიძეს, და აქვს სწორ-

---

[1] შარეულა.

[2] ბარენულასა და ბაჯს შორის < პ ა ლ.

[3] ქედის თხემი – დამრეცად ეშვება, გ ი უ ლ.] ამ მთაზე გადის რამდენიმე გზა მუხურისაკენ და ციხე შაუპოვარისკენ, საწერეთლოსკენ და ა. შ. ერთ-ერთი მიდის ციცაბო მთაზე, რომელსაც დანგრეული ეკლესიის მიხედვით ჰქვია წმინდა გიორგის (8თა), პ ა ლ.

[4] 6 აგვისტო - მხარეზე, გ ი უ ლ.] სუგნშრი [ძუყნური] სადაც ჩვენ 6 აგვისტოს დავრჩით, მდებარეობს ოკრიბის მხარეში, პ ა ლ.

[5] ეს ღამეც ძუყნურში გავათიეთ < პ ა ლ.

la. Sie gehört der fürstl. Familie Cheidsi und hat durch eine Ringmauer[1] die Form eines Vierecks, jede Seite ist 50 Schritte lang und in jeder Ecke ein Schiesthurm. Sie liegt zwischen den Submontanis, Ebene und ein[em] Gebüsche[2]. Hier ritten Wir durch den 30 Schritte breiten, 2 Fuß tief.[3], trägen, trüben Tschala, der in Rion unter Kutais sich ergiest[4], 8 Werst unter seinem Ursprunge. An seinem linken Ufer hinab hatten wir nach 1 Stunde das Dorf Chresili. Daselbst wir Halte machtenb. Dieser Ort ist hier wegen eines vor 10 Jahren, zwischen den Türken und dem Zuar Solomon gelieferten Treffens berühmt.

Nach dem wir hier Mittag gehalten[6], ritten wir von hier noch zweymahl durch den Tschala und entfernten uns von dessen Westseite[7]. Nach l Stunde von Chresili hatten wir das Dorf Zichia an einem kleinen Bach, neben einer Wüsten Festung.

Nach wieder einer Stunde kamen Wir in NN-Westlicher Richtung nach Antoria an dem großen Bache Gwawana. Es Wird von 50 judischen Familien, die vor einigen Jahren aus mehrern Dörfern, in welchen sie zerstreut wohnten, hier zusammengebracht Wurden, bewohnt. Sie wohnen in Hütten von Strauch geflochten mit Gomisstroh bedeckt, in engen Gassen. welches auffällt. da. sonst die Georgianer in Okriba gern weit auseinander und im Gebüsch zerstreuet wohnen. Es isr in Antoria alle Freytage Markt-

Von diesem Dorf kamen wir heute noch nach 1/2 St. nach NW[8] dem 3 Werst entfernten Dorfe Gurna. Daselbst wir Halte machten[9].

In der südlichen und niedrigem Gegend von Radscha und hier ist Diospyros lotus georg. Churma in Obstgärten häufig und von Größe der Birnbäume. Nicht weniger häufig Sind Wallnüssc, Feigen, Kirschen, Pflaumen, Aepfel, Birnen, Quitten und Pfirsichen. In den Weingärten stehen türkische Bohnen neben den Reben, und Flaschenkürbiße klettern an demselben und umschlingen sie.

Bienen sind überhaupt im Distrikt Okriba häufig. Die Stöcke sind ausgehölte Klötze, 3 Fuß lang, 1 Fuß weit. Man stellt sie ohne Nachsicht imd Reinigung in den Weingärten. Ich kaufte einen Stock für 50 Kop., fand aber den Honig von Azalea schwarzbraun, von bitterhaften Geschmack und für mich ungeniesbar. Gegenwärtig blühete Lamium a1bum, Leonurus cardiaca, Polygonum persicaria, Arctiurn (Lappa) – aus welcher die Bienen Honig sammleten.

---

[1] Ringmauer. *G.*] Mauer, *P.*

[2] sie liegt zwischen – Gebüsche < *P.*

[3] 2 Fuß tief. < *P.*

[4] der in Rion unter Kutais sich ergiest < *P.*

[5] Daselbst wir Halte machten < *P.*

[6] Nachdem wir hier Mittag gehaltcn < *P.*

[7] Westseite, *G.*] linken Ufer, *P.*

[8] 1/2 St. nach NW < *P.*

[9] Gurna. Daselbst wir Halte machten, *G.*] Gema. *P.*

კუთხა გალავანი, ყოველი მხრიდან 50 ნაბიჯის სიგრძისა და ყოველ კუთხეში კოშკით. ის მდებარეობს მთის ძირსა, დაბლობსა და ჯაგნარს შორის[1]. აქ ჩვენ გავიარეთ 30 ნაბიჯი სიგანის და 2 ფუტი სიღრმის[2] მდორე, ამღვრეული ჭალა, რომელიც რიონს ერთვის ქუთაისს ქვემოთ[3]. 8 ვერსზე ქვემოთ მისი სათავიდან, მის მარცხენა ნაპირზე, ქვემოთ 1 საათის სავალზე გავიარეთ სოფ. ხრესილი. აქ ჩვენ შევჩერდით[4]. ეს ადგილი განთქმულია 10 წლის წინათ მომხდარი ბრძოლით თურქებსა და სოლომონ მეფეს შორის.

სადილის შემდეგ[5] აქედან კიდევ ორჯერ გავედით ჭალაზე და დავშორდით მის დასავლეთ[6] ნაპირს. ხრესილიდან 1 საათში გავიარეთ პატარა მდინარეზე მდებარე სოფელი ციხია, დანგრეული ციხის ახლოს.

კიდევ ერთი საათის შემდეგ, ჩრდილოეთ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მივედით ანტორიაში, რომელიც მდებარეობს დიდ მდინარე გვავანაზე. ის დასახლებულია 50 ებრაული ოჯახით, რომლებიც აქ ერთად გადმოასახლეს რამდენიმე წლის წინათ სხვადასხვა სოფლებიდან, რომლებშიც ისინი გაფანტული ცხოვრობდნენ დაწნული წნელის ქოხებში (რომლებიც გადახურულია ღომის ლერწმით), ვიწრო ქუჩებში, რაც თვალში ეცემა ადამიანს, იმიტომ რომ ოკრიბაში ქართველები ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებით და (ჯაგნარში) გაბნეულად ცხოვრობენ. ანტორიაში ყველა პარასკევს ბაზრობა იცის.

დღესვე 1/2 საათში[7] მივედით სოფელ გურნაში, რომელიც ამ სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით[8] მდებარეობს 3 ვერსის მოშორებით. აქ ჩვენ შევჩერდით[9].

რაჭის სამხრეთის და უფრო დაბალ მიდამოებში და აქ ხარობს Diospyros lotus ქართულად ხურმა, რომელიც ხშირია ხილის ბაღებში და სიდიდით მსხლის ხის ოდენაა. არა ნაკლებ ხშირია კაკალი, ლეღვი, ალუბალი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, კომში და ატამი. ვენახებში ვაზის გვერდით იზრდება ლობიო და მასზე შემოხვეულია გოგრა.

საერთოდ ოკრიბაში ფუტკარი ბევრია. სკა წარმოადგენს 3 ფუტი სიგრძისა და 1 ფუტი სიგანის გამოფუღურულ მორს. მას სდგამენ ვენახებში ყოველივე მოვლისა და გაწმენდის გარეშე. მე ვიყიდე ერთი სკა (?) 50 კაპიკად, მაგრამ თაფლი იელისგან იყო მუქი ყავისფერი, მომწარო გემოსი და მე ვერ შევჭამე. ამჟამად ყვაოდა ჯინჭრის-დედა შავბალახა, ბოსტნის წალიკა და ოროვანდი, რომლიდანაც ფუტკრები თაფლს იღებდნენ.

---

[1] ის მდებარეობს - შორის < პ ა ლ.

[2] ორი ფუტი სიღრმის < პ ა ლ.

[3] რომელიც რიონს – ქვემოთ < პ ა ლ.

[4] აქ ჩვენ შევჩერდით < პ ა ლ.

[5] სადილის შემდეგ < პ ა ლ.

[6] დასავლეთ, გ ი უ ლ.] მარცხენა, პ ა ლ.

[7] 1/2 საათში < პ ა ლ.

[8] ჩრდილო-დასავლეთით < პ ა ლ.

[9] აქ ჩვენ შევჩერდით < პ ა ლ.

Den 8-ten August. Von Gurna ritten wir 2 Stunden in W. durch das Dorf Dschwarisa und kamen nach Odsehola. Daselbst wir Halte machten[1].

Von hier sieht man die Festung Tgnorisa in etwan 12 W. nordlicher Entfernung[2] am Fluße Lechadari, der aus dem Nebengebürge (Jugum subalpinum) dem Tschala zur rechten parallel fließt und 3 Stunden über Kutais in die linke des Rion fällt. Er macht die Gränze zwischen Okriba und Letschkum[3]. Von Odscbola in SW. sieht man die etwan 3 Stunden entfernte Kirche von Gelati; von da bis Kutais nur noch anderthalb Stunden sind.

Den 9-ten August hatten in Udschola übernachtet und brachten des Mittags von da. auf und[4] ritten von Odschola in SW. und hatten nach 2 ½[5] Stunden das Dorf Sarati am linken Ufer des Rion. Vorher hatten wir einen Bach des Tsehala. in einer Kluft, in welcher er aus dem Gebürge in die Ebene gelangt. Der Weg gieng noch immer auf dem niedrigen, sich gegen die Ebene senkenden Gebürge.

Clathrns cancellatus kam mir heute zuerst vor.

Pteris aquilina L. Cincinalis, Gled. bedeckt das sich senkende Gebürge in ganz Okriba und ist im ganzen Kaukasus nirgends so häufig als hier. Es unterdrückt oft den Gomi (Panicum Ital.) und die Hirse und muß mit Fleiß ausgewietet werden.

Panicum viride, filiforme und crus-galli sind hier alle häufig und sehr hoch, auch Juncus vulgaris ist häufig und überhaupt sind Pflanzen des mittlern Europa, die Schatten und feuchten Boden lieben, gemein.

Man hält hier kleine Boote aus ausgehölten Bitumen, mit den man über dem Rion fürt, der hier in SSW. Send[en] Lauf hat, welche Direktion er sich der Aufname des Flusses Ladschanuri scheint angenommen zu haben, nachdem er von der Mündung des Flusses Aski bis dahin nach W. geflossen ist[6].

Den 10-ten August. Wir hatten in Sarati übernachtet[7]. Sehr starken Regens wegen verließen wir Sarati erst Nachmittag. Wir folgten dem Ufer des Rion in SW. 2 Stunden hinab und hatten die Dörfer Rioni und Nogzh und passirten[8] auch 6 ansehnliche, aus O. laufende Rienbiiche. Nun hatten wir weiter am Fluß hinab eine halbe Stunde einen schmalen Weg, auf dem sich steil gegen den Fluß scnkenden Fuß des Kalkfelsengebürgs und denn

---

[1] Daselbst wir Halte machten < *P.*

[2] etwan 12 W. nordlicher Entfernung. *P.*] N. 2 Stunden weit, *G.*

[3] ამას მოსდევს ლეჩხუმის სოფლების ჩამოთვლა, რაც პალასთან შემდეგაა, გვ. 401-ზე.

[4] hatten in Odschoia – von da auf und < *P.*

[5] 2 ½ *G.*] anderthalb, *P.* [5a] ხომ არ არის: ausgeietet (ე. ი. ausgejätet)?

[6] Man hält hier – geflos sein ist, *G.*] Man hatte hier im Gebrauch, den Rion auf Booten von ausgehalten Bäumen zu paßiren. Dieser Fluß läuft von der Aufnahme des Dschedscho bis zum Aski in WSW und vom Aski in SW., *P.*

[7] Wir hatten in Sarati übernachtet < *P.*

[8] und passirten < *P.*

8 აგვისტო. გურნიდან 2 საათი მივდიოდით დასავლეთით, გავიარეთ სოფ. ჯვარისა და მივედით ოჯოლაში. აქ გავჩერდით[1].

აქედან ციხე დღნორისა ჩანს დაახლოებით 12 ვერსზე ჩრდილოეთით[2] მდ. ლეხადარზე[2a], რომელიც გვერდითი ქედიდან გამოდის, მიედინება ჭალის მარჯვენა მხარეზე, მის პარალელურად და 3 საათის სავალზე ქუთაისს ზემოთ ერთვის რიონს მარცხენა მხრიდან. ის შეადგენს საზღვარს ოკრიბასა და ლეჩხუმს შორის. ოჯოლიდან სამხრეთ-დასავლეთით ჩანს 3 საათის სავალზე მოშორებული გელათის ეკლესია; იქიდან ქუთაისამდე არის მხოლოდ 1 ½ საათის გზა.

9 აგვისტოს ღამე გავათიეთ ოჯოლაში და გავედით იქიდან დღისით[1]; ოჯოლიდან გავემართეთ სამხრეთ-დასავლეთით და 2 ½ საათში[4] ვიყავით რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ზარათში. მანამდე ჩვენ გავიარეთ ჭალის შენაკადი ერთ ხევში, რომლითაც ის მთიდან დაბლობზე გამოდის. გზა ისევ და ისევ მიდიოდა დაბალ, დაბლობისკენ დაშვებულ მთაზე.

Clathrus cancellatus დღეს პირველად შემხვდა.

Pteris aquiIina L. Cincilis, Gled. ფარავს დაქანებულ ქედს მთელ ოკრიბაში, და მთელ კავკასიაში არსად ისე ხშირი არ არის, როგორც აქ. ის ხშირად ჩაგრავს ღომსა და შვრიას და ამიტომ გულმოდგინედ უნდა გაიმარგლოს.

Panicum viride, fiIiforme და ბურჩხა – ყველა ეს ხშირია აქ და ძალიან მაღალი, აგრეთვე ჭილიც ბევრია და, საერთოდ, გავრცელებულია შუა ევროპის მცენარეები, რომლებსაც უყვართ ჩრდილი და ნესტიანი ნიადაგი.

აქ აქვთ ამოფუღურული ხეებისგან დამზადებული ნავები, რომლებითაც გადადიან რიონზე; ის აქ სამხრეთ – სამხრეთ-დასავლეთისკენ მიედინება; ეს მიმართულება მას აქვს ალბათ მდ. ლაჯანურის შეერთებამდე, შემდეგ ის მდ. ასკის შესართავიდან იმ ადგილამდე დასავლეთისკენ მიედინება[5].

10 აგვისტო. ღამე გავათიეთ ზარათში[6]. მაგარი წვიმის გამო მხოლოდ ნასადილევს დავტოვეთ ზარათში. ჩვენ მივდევდით რიონის ნაპირს სამხრეთ-დასავლეთისკენ, [ვიარეთ] 2 საათი ქვევით და გავიარეთ სოფლები რიონი, ნოღა და 6 მოზრდილი, აღმოსავლეთიდან მომდინარე რიონის შენაკადი. შემდეგ, ქვეით მდინარეზე, ½ საათში გავიარეთ ვიწრო ბილიკი, მდინარეზე ციცაბოდ დაშვებულ კირქვიანი მთის ძირას და მერე დანგრეული მონასტერი მწვანეყვავილა; აქ გავედით დაბლობში, რომელიც ჰყოფს გვერდით ქედს მთისწინეთიდან. ამ დაბლობში, მხოლოდ 1 ვერსზე[7] მონასტრის ქვემოთ,

---

[1] აქ გავჩერდით < პ ა ლ.

[2] დაახლოებით – ჩრდილოეთით, პ ა ლ.] ჩრდილოეთით 2 საათის სავალზე, გ ი უ ლ.

[2a] ალბათ, ლახიდარი.

[3] ღამე გავათიეთ - დღისით < პ ა ლ.

[4] 2 ½ საათში, გ ი უ ლ.] საათნახევარში, პ ა ლ.

[5] აქ აქვთ – მიედინება, გ ი უ ლ.] აქ ჩვეულებად აქვთ გადაცურონ რიონი ამოფუღურული ხეებისგან დამზადებული ნავებით. ეს მდინარე ჯეჯოს შეერთებიდან ასკამდე მიედინება დასავლეთ - სამხრეთ-დასავლეთით და ასკიდან – სამხრეთ-დასავლეთისკენ, პ ა ლ.

[6] ღამე გავათიეთ ზარათში < პ ა ლ.

[7] 1 ვერსზე, პ ა ლ.] ¼ საათის სავალზე ნაკლებ, გ ი უ ლ.

das wüste Kloster Zwane Kwawila; hier erreichten wir die Ebene, welche das Nebengebürge (Jugum subalpinum) vom Vorgebürge (jugum promontoriale) scheidet. In dieser Ebene, nur etwan l Werst[1] unter dem Kloster, steht die Imeretische Hauptstadt Kutais, wo wir übernachteten. Ich kam; in ein im vorigen Winter von dem rußischen Obersten Alexei Andreewitsch[2] Wolkow bewohntes und von ihm mit Thüren, Fenstern, Kaminen u. s. W. versehenes Haus.

Den 11-ten[2a] August. lch sahe mich heute in Kutais um. Neben dieser dringt der Rion aus dem iugo subalpino calcareo in die Ebene; in einer kleiner Krümung ist sein Gang unter der Stadt von N0. nach SW[3]. Die mit Mauern umgebene Stadt liegt an dem nordwestl. Ufer des Rions, auf der Höhe und an der schiefliegenden Fläche desselben, die an 30 Faden hoch ist. Das Flußbette des Rions ist hier ein weißer, fester, glatter Kalkstein, der sich am nördwestl. Ufer an 30 Faden erhebt. An dem Südostl. Ufer aber nur einige Fuß hervorsteht und hierauf in die weite Ebene sich verliert. Das hohe Ufer ist mit Ton und Gestrauch bedeckt. Aus Nordwesl fliest ein kleiner Bachins nordwestl. Ufer des Rions, der Rua genant wird, und an dem Winkel, den dieser Bach mit dem Rion macht, ist Kutais gelegen[4]. Die Stadt ist mit einer Ringmauer umgeben gewesen, die aus 3 Seite[n] bestehet, deren eine dem Ufer des Rions auf der Höhe parallel läuft und deren Enden mit Mauern, die zum Rion sich senken und an dessen Wasser an stossen, verbunden werden[5]. Jede ist an 500 Schritte lang, so auch das von ihn[en] eingeschlossene Ufer des Rions. ln den westl. auf der Höhe ist ein grosses Tor und niedriger näher zum Ufer des Rions einlel zweite kleine Thürcs. Innerhalb dieser Mauer sind die Ueberbleibsel der steinernen Wohnungen der Einwohner, und in dem nordostlichen Winkel, derselben ist die Gitadelle gewesen, mit hohen und dicken Ringmauer in Vierecke eingeschlossen[7], von 100 Schritten in Durchmesser. Mitten in der Festung stand ehedem'eine georgianische christliche Kirche, an deren statt die Türken eine Metsched erbauet haben, deren noch stehende Mauer ein

---

[1] etwan l Werst, *P.*) l kleiner 1/4 St, *G.*

[2] Alexei Andreewitsch < *P.*

[3a] 11ten *G.*] 11ten und 12, *P.*

[3] Ich sahe mich heute – N0. nach SW. < *P.*

[4] Die mit Mauern – ist Kutais gelegen, *G.*] Kutais steht am rechten Ufer des Rion auf dem schrägen Abfall der Höhe gegen den Fluß, in einem Winkel vom Einfall des Bachs Rua. *P.*

[5] Die Stadt ist mit – verbunden werden < *P.*

[6] Jede ist an 500 – kleine Tür, *G.*] Sie hat auch an der Flußseite eine Mauerr die einen Plaz von 500 Schritten im Quadrat umgab, aber jezo verfallen ist. In dieser Mauer war ein großes Thor und eine Pforte, *P.*

[7] Innerhalb dieser Mauer – eingeschlossen, *G.*] Auf dem eingeschlossenen Plaze sind Uebeiblcibsel steinerner Wohnungen, und in einer Ecke war die Citadelle, als ein Viereck von 100 Schritten im Durchmesser, mit einer sehr dicken Mauer, *P.*

მდებარეობს იმერეთის დედაქალაქი ქუთაისი, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ. მე მივედი იმ სახლში, რომელშიც გასულ ზამთარს იდგა რუსი პოლკოვნიკი ალექსეი ანდრეისძე[1] ვოლკოვი და რომელსაც მან შეაბა კარები, ფანჯრები, [გააკეთებინა] ბუხარი და ა. შ.

11 აგვისტო[2] დღეს მე დავათვალიერე ქუთაისი. მის გვერდით რიონი გამოდის კირქვიანი გვერდითი ქედიდან დაბლობზე, ქალაქის ქვემოთ აკეთებს პატარა მუხლს [და მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ[3]. კედლებით გარშემორტყმული ქალაქი მდებარეობს რიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე, მაღლობზე და მის დაქანებულ ვაკეზე, რომელიც (?) 30 საჟენი სიმაღლისაა. რიონის კალაპოტი აქ არის თეთრი, მაგარი, ბრტყელი კირქვა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის ნაპირისკენ 30 საჟენამდე მაღლდება. სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე კი რამდენიმე ფუტს აღწევს და აქედან ვრცელ დაბლობში იკარგება. მაღალი ნაპირი დაფარულია თიხით და ბუჩქნარით. ჩრდილო-დასავლეთიდან რიონში ჩრდილო-დასავლეთის ნაპირიდან ჩაედინება პატარა მდინარე, რომელსაც ჰქვია რუა, და იმ მუხლში, რომელსაც ეს მდინარე ჰქმნის რიონთან, მდებარეობს ქუთაისი[4]. ქალაქი გარშემორტყმული იყო გალავან-ზღუდით, რომელიც შესდგება 3 მხარისგან, რომელთაგან ერთი ძევს მაღლობზე, რიონის ნაპირის პარალელურად, ხოლო მისი (ამ კედლის) ბოლოები უერთდება იმ კედლებს, რომლებიც რიონისკენ ეშვებიან და [რომელთაც] წყალი ეხეთქება[5]. თითოეული (კედელი – გ. გ.) არის 500 ნაბიჯი სიგრძისა, ასევე მათში მოქცეული რიონის ნაპირიც. დასავლეთით, მაღლობზე არის დიდი კარი და უფრო დაბლა რიონის ნაპირისკენ – მეორე, უფრო პატარა კარი[6]. ამ კედლის შიგნით არის ქვიტკირის საცხოვრებელ სახლთა ნანგრევები, ხოლო მის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში იყო ციხე-კოშკი (ციტადელი) მაღალი და სქელი სწორკუთხა კედლით გარშემორტყმული, 100 ნაბიჯის განივკვეთისა[7]. ციხის შუაში ძველად იდგა ქართული ქრისტიანული ეკლესია; მის მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი, რომლის კედლები დღესაც დგანან და სწორკუთხედს ქმნიან. კარიბჭის თავზე, ჩრდილოეთის კედელში, თათრული წარწერაა ქვაში ამოკვეთილი.

---

[1] ალექსეი ანდრეისძე < პ ა ლ.

[2] აგვისტო. გ ი უ ლ.] 11 და 12 აგვისტოს, პ ა ლ.

[3] დღეს მე დავათვალიერე – სამხრეთ-დასავლეთისკენ < პ ა ლ.

[4] კედლებით გარშემოტყმული – ქუთაისი, გ ი უ ლ.] ქუთაისი მდებარეობს რიონის მარჯვენა ნაპირზე, მდინარისკენ დაშვებულ მაღლობის დაქანებულ კალთაზე, იმ მუხლთან, სადაც რიონს ერთვის მდინარე რუა, პ ა ლ.

[5] ქალაქი გარშემორტყმული იყო – ეხეთქება < პ ა ლ.

[6] თითოეული – კარი, გ ი უ ლ.] მას მდინარის მხარესაც აქვს კედელი, რომელიც 500 ნაბიჯის სიგრძის გვერდების მქონე კვადრატულ ადგილს მოიცავს, მაგრამ ახლა დანგრეულია. ამ კედელში იყო დიდი კარი და ბჭე, პ ა ლ.

[7] ამ კედლის – განივკვეთისა, გ ი უ ლ.] გარშემოვლებულ ადგილზე არის ქვი[ტკირი]ს სახლების ნანგრევები, და ერთ კუთხეში ციხე-კოშკი (ციტადელი), სწორკუთხა 100 ნაბიჯის სიგრძის განივკვეთით ძალიან სქელი კედლით, პ ა ლ.

Viereck bildet. Ueber der Thüre in der nordlichen Mauer ist eine tatarische Inschrift in Stein gehauen[1].

Innerhalb der Ringmauer der Stadt, über der westl. Mauer der Citadell[2] steht eine georgianischschristliche Kirche verwüstet, die an Größe der in Mzcheta gleicht, nehmlich 45 Schritte lang, wovon der Sacristey 15 gehören, die ein Amphitheater vorstellt[3] und 30 Schritt breit ist. Innerhalb der Hauptmauer ist sie 20 Schritte breit, aber in der Mitte derselben sind sie noch oval an 5 Schritt an jeder Seite gerückt[4], dadurch [die Kirche kreuzförmig Wird. In diesen Ausrückungen sind kleine Eingänge und an diese, noch 10 Schritte weiter, Vorhöfe gemauert, dergleichen sich auch vor dem westlichen Haupteingange befinden. Neben jeder langen Seitenmauer sind 5 Pfeiler, von 3 Faden im Umfange, die wohl das Gewölbe getragen haben. Von den Pfeilern steht noch der untere Teil, das Dach aber ist völlig eingefallen. Die 6 Faden hohen Mauern sind von Ziegeln und Flußsteinen aufgeführt und anssen und innen mit gehauenen grauen Sandsteinen bekleidet. Um die Hanptthüre sind einige Kreuze sauber in Stein gehauen, in der Kirche aber weder Bilder noch Inschriften.

In dieser Kirche liegen Stücke ron zwey Marmorsiiulen. Der Marmor ist im Bruch glimmerig, grün und weiß schattirt mit fanstgroßen schwarzen Nieren; eine nicht gemeine Mischung. Neben der Kirche steht ein kleiner Glokenthurm. Die Türken sollen, als sie die Stadt eroberten. diese Kirche zerstöhret haben. Als der Graf Totleben Kntais den 6ten August 1770 von Türken durch Sturm entriß, und sie dem Zaaren Solomon Wieder gab, ließ der Zaar alle Mauern, besonders die Festung völlig umwerfen. Die. Türken besaßen Kutais an 120 Jahre, wovon noch jezo alles Wüst ist. An der Nord- und auch Westseite der Mauer, siehet man Ueberbleibsel einer Vorstadt mit den Spuren zweyer Kirchen. Von der Hauptkirche siehet man die an 9 Werste entfernte Kirche des Klosters Gelati in O

Etwan 100 Schritte von der westlichen Mauer am Ufer, ist eine Badstube von etwan 20 Schritten im Durchmesser. Unter dieser ist eine Brücke über den Rion, 80 Schritte lang, 8 Schritte breit. An jedem Ufer sind zwey Gewölbe, die 25 Schritte in den Fluß reichem und durch eine. 30 Schritte lange hölzerne Brücke verbunden sind. Auch auf der Ebene ain linken Flußnfer ist eine Vorstadt gewesen, von der noch 6 kleine steinerne Kirchen, an der Südseite des Rions, der Festung Kutais gegenüber[5], stehen. Die erste östliche Kirche stehet dichte am Ufer des Rions, der Haupt-

---

[1] გიულდენშტედტს დედანში აქვს ეს თათრული წარწერა გადმოხატული.

[2] über der westl. Mauer der Citadelle < *P.*

[3] die ein Amphitheater vorstellt < *P.*

[4] Innerhalb der Hauptmauer – an jeder Seite gerückt, *G.*] An jeder Seite ist sie 5 Schritt oval ausgerückt, *P.*

[5] an der Südseite des Rions, der Festung Kutais gegenüber < *P.*

ქალაქის კედლის შიგნით, კოშკის დასავლეთის კედლის ზემოთ[1], დგას დანგრეული ქართული ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სიდიდით მცხეთის ეკლესიის ტოლია, სახელდობრ 45 ნაბიჯის სიგრძისა (საიდანაც 15 ნაბიჯი უჭირავს სამკვეთლო-სალაროს[2], რომელსაც ამფითეატრის სახე აქვს[3], და 30 ნაბიჯი სიგანისა. მთავარი კედლის შიგნით ის არის 20 ნაბიჯი სიგანისა, ხოლო შუაში ოვალურია და 5 ნაბიჯითაა შეწეული ყოველ მხარეს[4], ამით ეკლესიას ჯვარის ფორმა აქვს. ამ გამოწეულ ადგილებში არის პატარა შესასვლელები და ამათთან, კიდევ 10 ნაბიჯის მოშორებით კარაბჭეებია ამოყვანილი, რომელთა მსგავსიც დასავლეთის კარის წინაც არის. ყოველი გრძელი გვერდის კედელთან არის 5 სვეტი, 3 საჟენის წრეწირისა, რომლებსაც ალბათ თაღი ეჭირათ. სვეტებისაგან მხოლოდ ქვედა ნაწილებიღა დგას, სახურავი მთლიანად ჩამოქცეულია. 6 საჟენის სიმაღლის კედლები ნაშენია აგურით დარიყის ქვით, ხოლო გარედან და შიგნიდან მათ თლილი ქვის პერანგი აქვთ. მთავარი კარის გარშემო არის] რამდენიმე, ქვაში სუფთად ამოკვეთილი, ჯვარი; ეკლესიაში კი არც სურათებია და არც წარწერები.

ამ ეკლესიაში დევს ორი მარმარილოს სვეტის ნაშთი. მარმარილო გადატეხის ადგილას არის ბრჭყვიალა, მომწვანო და მოთეთრო ელფერით და მუშტისოდენა შავი ლაქებით; ეს არ არის ჩვეულებრივი ნარევი. ეკლესიის მახლობლად დგას პატარა სამრეკლო. თურქებმა, ჩანს, ეს ეკლესია დაანგრიეს, როცა ეს ქალაქი დაიპყრეს. როცა გრაფმა ტოტლებენმა 1770 წლის 6 აგვისტოს იერიშით გამოგლიჯა ქუთაისი თურქებს და სოლომონ მეფეს დაუბრუნა, მეფემ ყველა კედელი, განსაკუთრებით კი ციხე, მთლიანად დააქცევინა. თურქები ქუთაისში ისხდნენ 120 წელი, რის გამო ახლაც ყველაფერი დანგრეულია. კედლის ჩრდილო და აგრეთვე დასავლეთ მხარეზე ჩანს წინაქალაქის ნანგრევები ორი ეკლესიის ნაშთებით. მთავარი ეკლესიიდან 9 ვერსის მოშორებით აღმოსავლეთით ჩანს გელათის მონასტერი.

დასავლეთის კედლიდან 100 ნაბიჯის მოშორებით, ნაპირზე, არის 20 ნაბიჯის განივკვეთის აბანო. ამის ქვემოთ რიონზე არის 80 ნაბიჯი სიგრძისა და 8 ნაბიჯი სიგანის ხიდი. ორივე ნაპირზე არის 2 თაღი, რომლებიც მდინარეში აღწევენ 25 ნაბიჯამდე და შეერთებული არიან 30 ნაბიჯის სიგრძის ხის ხიდით. დაბლობში, მდინარის მარცხენა ნაპირზედაც ყოფილა წინაქალაქი, რომლის 6 პატარა ქვიტკირის ეკლესია დგას (რიონის სამხრეთ მხარეზე, ქუთაისის ციხის პირდაპირ[5]). პირველი, აღმოსავლეთის ეკლესია დგას ზედ რიონის ნაპირას, მთავარი ეკლესია კი ციხის პირდაპირ; ოთხი შემდგომი ეკლე-

---

[1] კოშკის დასავლეთის კედლის ზემოთ < პ ა ლ.

[2] აქ გიულდენშტედტი „სანურთხეველს“ უნდგ გულისხმობდეს.

[3] რომელსაც – აქვს < პ ა ლ.

[4] მთავარი კედლის შიგნით – მხარეს, გ ი უ ლ.) ყოველ მხარეს ის ოვალურადაა შეწეული 5 ნაბიჯზგ პ ა ლ.

[5] რიონის სამხრეთ – პირდაპირ < პ ა ლ.

kirche der Festung gegenüber; die vier folgenden stehen in ein[..?..] einige 100 Schritte unter sich und vom Ufer des Rions abstehend. Die 6te, die die letzte und westlichste ist, stehet wieder dichte am Ufer des Rions, am 400[1] Schritte unter der ersten, und ist mit einer an 300 Sehr. im Umfange haltenden Ringmauer an dein Ufer des Rions eingeschlossen. Innerhalb dieser Ringmauer stehen auch noch Z grosse steinerne Wohngebäude[2], von welchen das eine auf 3 in den Rion gebaneten Gewölben ruhet. Ueber dem Thor der Matter ist ein kleiner Glockeuthurm. Mitten auf dein einge schlossenen Platze steht ein Tisch von feinen, festen, weißen marinorartigen Kalkstein, 14 Fuß lang, 6 Fuß breit, 10 Zoll dick, am Rande mit einer georgianischen Aufschrift. Dieser Ort wird Okro Tschardaki[3] d. i. die goldene Gallerie, genennet und scheint mir das eigentliche Hoflager des Zaaren gewesen zu seyn. Zwischen diesen Kirchen stand das rußische Corps vorn Jun. 1770 bis April 1772, wovon die Erdwiille der Verschanzung noch da sind. Hier haben sich auch einige Armenianer, die einen kleinen Handel treiben, Hütten erbauet. In allen sind in und um Kutais an beiden Flußseiten nicht über 50 theils armenische. theils georgische Familien wohnhaft.

Den 12 Aug. 1772. Auch dieser Tag war bei Kutais vergangen, in dem unaufhörlich stark regnete[4].

Zwischen denZKalkfelsen bey Kutais sind kleine Granaten- und Feigenbäume häufig und jezo voller, fast reifen Früchte. Das Gebüsch am hohen Ufer bestand aus Quercus, Carpinus, Cratargns oxyacanthm Ligustrum ilex und auch aus dem kleinen Ruscus aculeatus, der mir bisher nicht im Kaukasus vorgekommen und hier häufig war. Hier ist auch ausser mehrgenannten Pflanzen auf den Stadtplätzen Solanum nigrum, Urtica dioica, Sida, Abntilon, Ballote nigra, Siegesbeckia orientalis. Mentha sylvestris, Oxalis corniculata, die mir hier zuerst vorkam, Cyperus fusous u. a. Hedera helix und Cucurbita lagenaria, beide bliihend, krochen an den alten Mauern häufig herum.

Man bauete hier wenig Baumwolle, die auch jetzt blühete.

Etwan 5 Werst unter Kutais steht am linken Ufer des Rion die kleine wüste Festung Kachenauri, die ein Siz eines Zarewitseh gewesen.

Den 13hen August. Während meines Aufenthaltes in Kutais regnete es heftig und der Rion schwoll an; heute war es trocken und der Fluß fiel auch 2 Fuß, daher ich glaubte-durch die. Gewässer bis Gelati durchkommen zu können. Wir verließen also Kutais und ritten in O. anderthalb Stunden auf dem Kalkgebürg, durch das Gebiet des Kloster[s] Zwanekwawila

---

[1] 400 პირობითია. პირველი ციფრი დედანში წაშლილია და არ იკითხება.

[2] Die erste ostliche Kirche – steinerne Wohngebäude, *G.*] Von diesen steht die westlichste nahe am Fluß, an den die an 300 Schritte lange Mauer schließt. Innerhalb dieser Mauer stehen noch 2 steinerne Wohngebäude, *P.*

[3] Tschardaki < *P.*

[4] Den 12 Aug. 1772. – stark regnete < *P.*

სია დგას (?) რამდენინე ასეულ ნაბიჯზე ერთმანეთის ქვემოთ და რიონის ნაპირიდან მოშორებით. მე-6, უკანასკნელი და ყველაზე დასავლეთით მდებარე, კვლავ ზედ რიონის პირას დგას, პირველისგან ოთხასი ნაბიჯით ქვემოთ, და გარშემორტყმულია 300 ნაბიჯის სიგრძის მრგვალი კედლით, რიონის ნაპირზე. ამ კედლის შიგნით დგას კიდევ ქვიტკირის 2 დიდი საცხოვრებელი შენობა[1], რომელთაგან ერთი დგას რიონში ამოყვანილ სამ თაღზე. გალავნის კარებზე არის პატარა სამრეკლო კოშკი. შემოღობილი მოედნის შუაში დგას ნატიფი, მაგარი, თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვის მაგიდა 14 ფუტი სიგრძისა, 6 ფუტი სიგანისა და 10 დუიმი სისქისა, კიდეზე ქართული წარწერით. ამ ადგილს ეძახიან ოქროს ჩარდახს[2], ე. ი. ოქროს გალერეას, და მგონია, რომ ის უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი (სადგომი). ამ ეკლესიებს შორის 1770 წლის ივნისიდან 1772 წლის აპრილამდე იდგა რუსული კორპუსი, რის გამოც ჯერ კიდევ ჩანს ჯარის მიერ გათხრილი სანგრები. აქ ააშენეს ქოხები სომხებმაც, რომლებიც მცირე ვაჭრობას ეწევიან. საერთოდ, ქუთაისს შიგნით და გარეთ, მდინარის ორივე ნაპირას, ცხოვრობს 50-მდე ნაწილობრივ სომხების, ნაწილობრივ ქართული, ოჯახი.

12 აგვისტო 1772 წლისა. ეს დღეც ქუთაისში გავატარეთ, რადგან მაგრად და გადაუღებლად წვიმდა[3].

ქუთაისთან, კირქვიან კლდეებს შორის, არის ბროწეულის და ლეღვის ბევრი პატარა ხეები, ახლა სავსე თითქმის მწიფე ნაყოფით. მაღლობ ნაპირზე ჯაგნარს შეადგენენ მუხა, რცხილა, ყამბრო, კვიდო, ბაძგი და აგრეთვე პატარა თაგვისარა, რომელიც აქამდე კავკასიაში არ შემხვედრია და აქ ბევრი იყო. გარდა იმ მცენარეებისა რომლებიც რამდენჯერმეა დასახელებული, ქალაქის მოედნებზე არის ძაღლყურძენა, ჭინჭარი, სიდა, შვია, ძაღლის პიტნა შავი, ბირკალუა, ტყის პიტნა, მჟაველა, რომელიც მე აქ პირველად შემხვდა, Cyperus fuscus და სხვ.; ჩვეულებრივი სურო და გოგრა lagenaria ორივე ყვაოდა, ძველ კედლებზე ბევრგან აცოცებული.

აქ აშენებენ ცოტა ბამბას, რომელიც აგრეთვე ახლა ჰყვაოდა.

ქუთაისს ქვემოთ დაახლოებით 5 ვერსზე, რიონის მარცხენა ნაპირზე, დგას პატარა დანგრეული ციხე კახნიაური, რომელიც იყო უფლისწულის საჯდომი.

13 აგვისტო. ქუთაისში ჩემი ყოფნისას ძალიან წვიმდა და რიონი ადიდდა; დღეს მშრალი დარი იყო და წყალმა 2 ფუტზე დაიწია. ამდენად მე ვფიქრობდი, რომ შევძლებდით წყლის ნაკადებზე გასვლას და გელათში გამგზავრებას. ამრიგად, ჩვენ დავტოვეთ ქუთაისი და გავემართეთ აღმოსავლეთისკენ; 1 ½ საათი მივდიოდით კირიან მთებში; მწვანეყვავილას მონასტრისა და სოფელ მოწამეთას მიდამოების გავლით [მივედით] წყალწითელას (ე. ი. წი-

---

[1] პირველი აღმოსავლეთის – შენობა, გ ი უ ლ.] ამათგან ყველაზე დასავლეთისა დგას მდინარის ახლოს, რომელსაც 300 ნაბიჯი სიგრძის კედელი აკრავს. ამ კედლის შიგნით დგას კიდევ ქვიტკირის 2 საცხოვრებელი სახლი, პ ა ლ.

[2] ჩარდახს < პ ა ლ.

[3] 12 აგვისტო – წვიმდა < პ ა ლ.

und des Dorfes hiozameta bis zum rechten Ufer (‚les Flusses Tschalzitela d. i. Rothwasser. Er entsteht aus Vereinigung der Tschala, den ich bey Antoria[1] hatte, und mehrerer Bäche und kömmt aus dem Kalkgebürge, worauf er in der Ebene in die rechte Seite des Kwirila fällt. Er fließt sanft, hat von Thon rothgetrübtes Wasser und war, wo wir 8 Werst unter seinem Anfange durchritten, 30 Schritte breit und 3 Fuß tief. Von seinem linken Ufer hatten wir 1/2 Stunde das Dorf Gelati und denn das Kloster Gelati.

Das Kloster steht auf der Kalkfelsenhöhe, die[2] daselbst stellenweise blos oder ohne Erddecke ist. Eine schlechte, 500 Schritte lange Ringmauer umgiebt drey Kreuzkirchen, einen Glockenthurm und drey Wohngebäude. Alle Mauern sind in- und auswendig mit gehauenem grauen Sandstein bekleidet. Die Hauptkirche ist 40 Schritte lang, vonwelchen die Sakristey 10 einnimmt, und 25 Sehritte breit. An der westlichen Hauptthiire und an den Thüren beyder Seiten sind große Vorhöfe. Die zweite Kirche ist halb so groß und die dritte nur eine Kapelle. Der Hauptkirche nordlich sind Mönchszellen und an der Westseite ist eine lange Gallerie, vermuthlich zum Speisen der Mönche. Die Kuppeln sollen ehedem mit Kupfer bedeckt gewesen seyn, jezo thaten es Bretter. Die innern Wände waren mit vielen Heiligen und georgischen Inschriften bemahlt. Ausserdem hangen auch in der Hauptkirche 8 Bilder. Das erste derselben stellt den Zaar David, Erbauer dieses und mehrerer Klöster vor. ln der georgianischen Chronik ist er der 56ste Zaar und scheint im eilften Jahrhundert regiert zu haben. Nebst diesem David hängt Abehasutis Katolicos Evdemon, d. i. Abchasischer Patriarch Evdemon. Neben diesem hängt Mepe oder Zaar Bagrad, neben ihm Helena seine Gemahlin, hierauf Mepe Georgi, denn Bagrad, ein Jüngling und Sohn der neben ihm hangenden Zaarin Rusudan, die eine Tochter der Zaarin Tamar gewesen. An einem Pfeiler ist auch das Bildniß eines Patriarchen mit der Inschrift: Gmerto tschaiskale didisa Sagdarisa. Genatisa MetrOpoliti, dals(?) Abchasetisa, da Kartwelisa didisa Bitschwintisa Katolikosi, Sakaria Kwariaui, d. i. Zacharias, Metropolit der (dieser) großen Kirche in Genati und Patriarch zur großen Bitschwinta (Kloster in Abchaseti) in Abchaseti und Kartweli (oder ganz Georgien). Dieses kann zu Erläuterungen der Geschichte dienen. In einer Nebenkapelle steht ein aus Kalkstein gehauener zur V erreichung des Abendmahls bestimmter Tisch, mit der Inschrift, daß Mepe Bagrad (Zaar Pancratius) diesen Kommuniontisch georg. Trapezi geschenkt habe. Dieses soll der letzte Zaar über das ganze oder ungetheilte. Georgien gewesen Seyn. In allen diesvn Kirchen wird noch Gottesdienst gehalten.

Dieses Kloster ist der Siz des Patriarchen von Imeretien. Der jezige heißt Joseph und ist der leibliche Bruder des Zaaren Solomon, auch bey ihm in S-chartali. Hier soll die Zaarin Tainar und verschiedene Zaaren begraben hegen.

---

[1] Antoria, *G.*] Antona, *P.* [2] die corr.) der *P.*

თელი წყალი) მარჯვენა ნაპირამდე. წყალწითელა წარმოიქმნება ჭალისა (რომელიც მე ანტორიასთან შემხვდა) და სხვა მდინარეების შეერთებით. ის გამოდის კირიანი მთებიდან, სადაც დაბლობზე ერთვის ყვირილას მარჯვენა მხრიდან. ის მოედინება მდორედ, აქვს თიხისგან წითლად შეღებილი წყალი და იქ, სადაც ჩვენ გავედით, 8 ვერსზე სათავის ქვემოთ, ის არის 30 ნაბიჯის სიგანის და 3 ფუტი სიღრმის. მისი მარცხენა ნაპირიდან ½ საათში ვიყავით სოფელ გელათში და შემდეგ გელათის მონასტერში.

მონასტერი დგას კირიანი კლდეების მწვრვალზე, რომელიც ალაგ-ალაგ თითქმის ან სავსებით შიშველია (მიწის საფარის გარეშეა). 500 ნაბიჯი სიგრძის ცუდი, მრგვალი კედელი არტყია სამ ჯვარის საყდარს, სამრეკლოსა და სამ საცხოვრებელ შენობას. ყველა კედელი როგორც გარედან, ისე შიგნიდან, მოპირკეთებულია ნათალი რუხი ქვიშაქვით (რიყის ქვით). მთავარი ეკლესია არის სიგრძით 40 ნაბიჯი (რომელთაგან საკურთხეველს 10 უჭირავს) და სიგანით 25 ნაბიჯი. დასავლეთის მთავარ [კარებთან] და ორივე მხარის კარებთან არის დიდი ეკვდერები (Vorhöfe). მეორე ეკლესია სიდიდით არის პირველის ნახევარი და მესამე – მხოლოდ სამლოცველოა. მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით არის ბერების ოთახები, დასავლეთ მხარეზე კი – გრძელი გალერეა, უმთავრესად ბერების სატრაპეზო. გუმბათები ძველად უნდა ყოფილიყო სპილენძით დახურული, ახლა კი არის ყავარი. შიდა კედლები მოხატულია მრავალი წმინდანით და ზედ არის ქართული წარწერები. ამათ გარდა მთავარ ეკლესიაში არის 8 სურათი. პირველი მათგანი წარმოადგენს მეფე დავითს, ამის და სხვა ბევრი მონასტრის ამშენებელს. ქართულ ქრონიკაში ის არის 56-ე მეფე და უნდა ემეფა მე-11 საუკუნეში. ამ დავითის გვერდით ხატია აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი, ე. ი. აფხაზეთის პატრიარქი ევდემონი. ამის გვერდით არის მეფე ბაგრატი, მას მოსდევს მისი ცოლი ელენე, შემდეგ მეფე გიორგი, შემდეგ ბაგრატი, ყმაწვილი, ვაჟი მის გვერდით დახატულ დედოფალ რუსუდანისა, რომელიც იყო თამარ მეფის ქალიშვილი. ერთ სვეტზეც არის პატრიარქის სურათი წარწერით: ღმერთო შეიწყალე დიდისა საყდრისა გენათისა მეტროპოლიტი და აფხაზეთისა და ქართლისა დიდისა ბიჭვინთისა კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი, ე. ი. ზაქარია, მიტროპოლიტი გელათის ამ დიდი ეკლესიისა და პატრიარქი დიდი ბიჭვინთისა (მონასტერია აფხაზეთში), აფხაზეთისა და ქართლისა (ანუ მთელი საქართველოსი). ეს გამოდგება ისტორიის ასახსნელად. ეკვდერში (სამლოცველოში) დგას კირქვისაგან გამოთლილი ზიარების შესამზადებლად განკუთვნილი მაგიდა, წარწერით, რომ მეფე ბაგრატმა აჩუქა ეს ზიარების მაგიდა, ქართულად ტრაპეზი. ეს უნდა ყოფილიყო უკანასკნელი მეფე ერთიანი ან განუყოფელი საქართველოსი. ყველა ამ ეკლესიაში ახლაც წარმოებს ღვთისმსახურება.

ეს მონასტერი არის იმერეთის პატრიარქის საჯდომი. ახლანდელს ჰქვია იოსები და არის მეფე სოლომონის მკვიდრი ძმა, ისიც მასთან [იყო] სხარტალში. ამბობენ, რომ აქ არიან დასაფლავებული მეფე თამარი და სხვა მეფეები.

Dem Kloster Gelati nahe in SO. steht eine einzel[nle ,Kirche auf der größesten Kalkfelsenhöhe, die Sochasteri heißt, und auf einigen Karten steht. Bey derselben finden sieh nur an gewissen Festen Mönche. zur Verrichtung des Gottesdienstes ein.

Aus dem Kloster Gelati und Mzcheta nahm Zaar Wachtang die Nachrichten zur georgischen Kronik; jezo sind bey keinem dieser Klöster Archive.

Wir kehrten des Abends nach Kutais zurück.

Den 14ten August. Ich habe noch bei Kutais übernachtet, Seit vorgestern war das Wasscr des Rious nach dem Regen 5 Fuß gefallen[1]. Gegen Mittag verließen wir Kutais und ritten erst über die Brücke des Rion und denn auf der Höhe des Kalksteingebürges bey einer kleinen Kirche vorbei, die der Zaar, als er hier im vorigen Winter im Lager stand. etwan I Werst von der zerstörten Festung[2] liutaiserbauete. Nach einer starken[3] halben Stunde hatten wir einen aus N. Kommenden[4] Bach, von dem man nicht zu sagen Wüste, ob er zum Rion oder Ts-cheni ts-chali fließe[5], und noch anderthalb Stunde über die Felder von Chomuri bis zum Ursprunge des Baches S-chaltuba, der ans einer horizontalen Spalte des Kalkfelsens hervorbrieht und gleich 10 Schritte breit und 2 Fuß tief ist.

Etwan 1 Werst davon in W. sprudelt in einer Thougrnbe ron 4 Faden im Durchmesser ein laues Wasser mit BlaSen, Welches trübe und ohne Geschmack und Geruch ist, und also nicht zu den Heilwüssern gehört. Es läuft in den S-chaltuba. an welchen wir nach einer halben Stunde nach dem Dorfe S-chaltuba kamen. Daselhst wir Halte machten[6]. Der Weg bis hier gierig in WNW. auf der ebenen Kalksteinhöhe, die sieh hier in der Nähe südlich ganz endigt lind nordlieh zu den Alpen aufsteigt. Die. steile Lage macht die Gegend trocken, in der Quellen fast ganz mangeln, die iu Okriba so häufig sind[7], daher hier auch Pflanzen feuchten Bodens fehlen. Die Waldung hat hier Weis- und Rothbnehen, und nur selten Kastanien und Erlen.

Dieser niedere Theil des Nebengebiirges. welchen in O. der Rion und in W. der Fluß Ts-cheni Ts-chali einschließt, macht den Distrikt Salordkipaniso aus, weil dies das Erbteil der fürstl. Familie Lordkipanisi ist[8]. Tn diesem Distrikt hat auch der Zaar Solomon 2 Dörfer und die Festung Gwasohtibe

---

[1] lch habe noch bei Kutais – 5 Fuß gefallen < *P.*

[2] der zerstörten Festung < *P.*

[3] starken < *P.*

[4] aus N. Kommenden < *P.*

[5] von dem man nicht zu sagen – fließe < *P.*

[6] Daselbst wir Halte machten < *P.*

[7] in der Quellen fast ganz mangeln, die in Okriba so häufig sind < *P.*

[8] weil dies das Erbteil der fürstl. Familie Lordkipanisi ist < *P.* ეს წინადადება და ამის მომდევნო სოფლების ჩამოთვლა პალასს გადატანილი აქვს შემდეგ, , გვ. 405-ზე, სალორთ-ქიფანიძოს დახასიათებისას.

გელათის მონასტრის ახლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, კირიანი კლდის ყველაზე მაღალ მწვერვალზე, დგას განმარტოებული ეკლესია, რომელსაც ჰქვია სოხასტერი და რომელიც ზოგ რუკაზეა აღნიშნული. ბერები აქ მხოლოდ გარკვეულ დღესასწაულებზე მოდიან ღვთისმსახურების ჩასატარებლად.

გელათის და მცხეთის მონასტრებიდან აიღო ვახტანგ მეფემ ცნობები ქართული ქრონიკისთვის[1]; ამჟამად არც ერთ ამ მონასტერთან აღარ არის არქივები.

საღამოთი დავბრუნდით ქუთაისში.

14 აგვისტო. მე კვლავ ქუთაისში გავათიე ღამე. გუშინწინდელს მერე, წვიმის შემდეგ რიონის წყალი 5 ფუტით დაეცა[2]. ნაშუადღევს დავტოვეთ ქუთაისი და გავედით ჯერ რიონის ხიდზე და შემდეგ [გავუარეთ] კირქვიან მთის წვერზე მდგომ პატარა ეკლესიას, რომელიც ააშენა მეფემ, როცა ის შარშან ზამთარში აქ ბანაკად იდგა, ქუთაისის დანგრეული ციხიდან[3] დაახლოებით 1 ვერსზე. კარგი 1/2 საათის შემდეგ გადავიარეთ ჩრდილოეთიდან მომავალი[4] მდინარე, რომლის შესახებაც ვერაფერი მითხრეს, ჩადიოდა ის რიონში, თუ ცხენისწყალში[5]; კიდევ 1 1/2 საათში ხომურის ველებზე ვიარეთ მდ. წყალტუბოს სათავემდე, რომელიც გამოდის კირქვიანი კლდის ჰორიზონტალური ნაპრალიდან და არის 10 ნაბიჯი სიგანისა და 2 ფუტი სიღრმისა.

იქიდან დაახლოებით 1 ვერსზე დასავლეთით 4 საჟენის განივკვეთის თიხიან ორმოში ამოდის თბილი, ბუშტებიანი წყალი, რომელიც მღვრიე, უსუნო და უგემო არის და ამდენად არ ეკუთვნის სამკურნალო წყლებს. ის ჩაედინება წყალტუბოში, რომლის გასწვრივაც ჩვენ ვიარეთ და 1/2 საათში სოფელ წყალტუბოში მივედით. იქ შევისვენეთ[6]. გზა იქამდე მიდიოდა დასავლეთით – ჩრდილო-დასავლეთით კირქვიან მოვაკებულ მაღლობზე, რომელიც იქ ახლოს სამხრეთით მთლიანად თავდება და ჩრდილოეთით აღიმართება ალპებისკენ. ციცაბო მდებარეობის გამო ეს მიდამო მშრალია, აქ წყაროები თითქმის არ არის, რაც ოკრიბაში ასე ხშირია[7], ამიტომ აქ ნესტიანი მიწის მცენარეებიც არ არის. აქაური ტყე შეიცავს თეთრ და წითელ წიფელს, იშვიათად წაბლსა და მურყანს.

გვერდითი ქედის ეს დაბლობი ადგილი, რომელიც აღმოსავლეთიდან რიონით და დასავლეთიდან ცხენისწყლითაა შემოსაზღვრული, შეადგენს [იმ] მხარეს, [რომელსაც ჰქვია] სალორთქიფანიძო, რადგან ეს არის თავად ლორთქიფანიძეთა გვარის სამკვიდრო[8]. ამ მხარეში სოლომონ მეფესაც აქვს 2 სოფელი და ციხე გვიშტიბი[9] მდ. ცხენისწყლის აღმოსავლეთ მხარეზე; ეს არის მეფის კუთვნილ სოფელთაგან უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთით [მდებარე].

---

[1] „ქართლის ცხოვრებისთვის“, გ. გ.

[2] მე კვლავ – დაეცა < პ ა ლ.

[3] დანგრეული ციხე < პ ა ლ.

[4] ჩრდილოეთიდან მომავალი < პ ა ლ.

[5] ჩადიოდა ის – ცხენისწყალში < პ ა ლ.

[6] იქ შევისვენეთ < პ ა ლ.

[7] აქ წყაროები – ასე ხშირია < პ ა ლ.

[8] რადგან ეს არის – სამკვიდრო < პ ა ლ.

[9] გვიშტიბი – ვახუშტის აქვს გ ო ს ტ ი ბ ე-დ.

an der Ostseite des Flußes Ts-cheni Ts-chali, welches der äusserste Ort des Zaaren in NW. ist, dahin ich gegangen sevn würde, wenn mich nicht der üble, bis 18 Werst lange, felsige Weg abgeschreckt hätte.

Der 15te August. Ich hatte bei S-chaltuba übernachtet. Hierselbst hat im vorigen Winter das Lazarett des russischen Corps gestanden. Der Horizont war heute bei Sonnenaufgange sehr heiter; eine seltene Erscheinung in hiesigen Gegenden, die ich mir'zu Nutze machte[1].

Man hat von dieser Höhe eine freie Aussicht in die vom Fuße des Gebürges bis zum Vorgebürge sich ausdehnende Ebene, in der der Rion und Ts-cheui Ts-chali in W. und der Kwirila in O. fließen. Die ganze Ebene ist mit dikem Walde bedeckt.

Von S-chaltuba in SSW. ist dies jugum so hoch, daß es noch jezt mit Schnee bedeckt ist. Am nordl Fusse dieses Schneegebürges sind die Imeretenische Festung Satschino und westlicher Sapaitschawa gelegen. Am westlichen Fusse zum Schwarzen Meer hier ist die Provinz Guria; am südl. Fusse soll die Festung Achalziche gelegen sevn; in der Linie von S-chaltuba und Satsehino in SSW und eben daselbst fließt der Kur oder Mtkwari, der hier teils durch verschiedene von der Südseite dieses iugi promontorialis caucasici australis, teils durch andere von der Nordseite des nordl. iugi promontorialis araratici kommende Esche, sich oberhalb achalziche in ein Strom ansammlet, an dessen Nordseite am Fuß des Gebürges Achalziche gelegen. Von Achalziche fließt der Kur noch an 30 Werste nach O. längst dem südl. Fusse des iugi, nimmt einen aus S. an dem araratischen Vorgebürge kommenden Fluß auf, wendet sich hierauf nach N0. und setzt in dieser Direktion durch das iugum promontoriale caucasic., bis in die Gegend von Suram[2]. Von S-chaltuba ist Choni und Poti in WSW. Die Kluft des Bagdad in SSO.

Von S-chaltuba ritten Wir auf dem äussersten Fuße des Gebürges eine Stunde in W., im Gebiete des Dorfes Guschtibi. Von hier sahe man an der rechten Seite des Flusses Ts-cheni Ts-chali die Mingrelische Hauptfestung und Episkopalkirche Martwili am Fuße des gegen diesen Fluß sich senkenden Gebürgs, in etwan 3 Werst Entfernung, in WNW., aber noch auf dem Gebürge die mingrelische Festung Gordi. Dieser gegenüber steht am linken Flußufer, die uns nicht sichtliche, zum Distrikt Salordkipaniso gehörige Festung Gwaschtibi. Ein hohes, steiles Kalksteinufer verbarg sie.

Das Gebürge senkt sich in N. steil und macht ein 6 Werste breites. Thal in welchem die Gebürgbäehe Guba und Kucha laufen. Ich kam in dieses Thal und auf westlicher Richtung nach 1 Stunde an den Bach Guba, der hier an 20 Schritte breit war[3], der über Thon und kleine gerundete

---

[1] Ich hatte bei S-chaltuba übernachtet. – zu Nutze machte, *G.*] War ein heiteren Tag, den ich mir auf der Höhe von S-chaltuba, wo wir die Nachtzubrachten, zu Nutze machte, *P.*

[2] Von S-chaltuba in SSW ist – in die Gegend von Suram < *P.*

[3] der hier an 20 Schritte breit war < *P.*

მე იქ უნდა წავსულიყავი, რომ არ შემშინებოდა 18 ვერსის სიგრძის კლდიანი გზისა.

15 აგვისტო. ღამე გავათიე წყალტუბოში. გასულ ზამთარში იქ იყო რუსული კორპუსის ლაზარეთი. დღეს, მზის ამოსვლისას, ჰორიზონტი მოწმენდილი იყო; ასეთი [ამინდი] იშვიათი მოვლენაა აქაურ მხარეში, და მე ეს [სასარგებლოდ] გამოვიყენე[1].

ამ მწვერვალიდან ნათლად ჩანს დაბლობი, რომელიც გადაჭიმულია ქედის ძირიდან მთისწინეთამდე და რომელზეც დასავლეთით მიედინებიან რიონი და ცხენისწყალი, აღმოსავლეთით კი – ყვირილა. მთელი დაბლობი ხშირი ტყითაა დაფარული.

წყალტუბოდან სამხრეთით – სამხრეთ-დასავლეთით ეს ქედი ისე მაღალია, რომ ის ახლაც თოვლითაა დაფარული. ამ თოვლიანი მთის ჩრდილოეთ ძირას არის იმერული ციხე საჩინო და დასავლეთით კი საპაიჭაო. დასავლეთის ძირას, შავი ზღვისკენ არის პროვინცია გურია; სამხრეთ ძირას უნდა მდებარეობდეს ახალციხე; წყალტუბოსა და საჩინოს ხაზზე სამხრეთ – სამხრეთ-დასავლეთით, და სწორედ იქვე, მიედინება კურ-ი ანუ მტკვარი, რომელიც იქ, ახალციხის ზემოთ, ერთ ნაკადად აერთებს სხვადასხვა ნაწილობრივ ამ ქედის სამხრეთ მხრიდან, ნაწილობრივ კი სხვა, არარატის მთიანეთის ჩრდილოეთ მხარიდან მომდინარე მდინარეებს და რომლის ჩრდილოეთ მხარეზე, მთის ძირას, მდებარეობს ახალციხე. ახალციხიდან მტკვარი კიდევ 30 ვერსზე მიედინება აღმოსავლეთით, ქედის სამხრეთი ძირის გაყოლებით, იერთებს სამხრეთიდან არარატის მთიანეთიდან მომავალ მდინარეს, იქიდან უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით და განაგრძობს დინებას ამ მიმართულებით, კავკასიის მთიანეთის გავლით, სურამის მიდამოებისკენ[2]. წყალტუბოდან ხონი და ფოთი არის დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთით. ბაღდადის ხეობა არის სამხრეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთით.

წყალტუბოდან 1 საათი მივდიოდით დასავლეთით, მთის განაპირა ძირზე, სოფ. გვიშტიბის მიწებზე აქედან, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეზე, ჩანს სამეგრელოს მთავარი ციხე და საეპისკოპოსო ეკლესია მარტვილი [რომელიც მდებარეობს] ამ მდინარისკენ დაქანებულ მთის ძირას; დაახლ. 3 ვერსის მოშორებით, დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთით, მაგრამ კვლავ მთაზე, არის მეგრული ციხე გორდი. ამის პირდაპირ, მდინარის მარცხენა ნაპირზე, დგას სალორთქიფანიძოს კუთვნილი ციხე გვიშტიბი, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავდით; მაღალი, ციცაბო კირქვიანი ნაპირი ფარავს მას.

ჩრდილოეთისაკენ მთა ციცაბოდ ეშვება და ქმნის 6 ვერსი სიგანის დაბლობს, რომელზეც მიედინებიან მთის მდინარეები გუბა[3] და კუხა. მე მივედი ამ დაბლობზე და დასავლეთის მიმართულებით 1 საათში ვიყავი მდ. გუბაზე, რომელიც აქ 20 ნაბიჯი სიგანის იყო[4], მიედინება თიხაზე და წვრილ რიყის ქვაზე; ამ დაბლობზე დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთით 1 საათში შეგვხვდა

---

[1] ღამე გავათიე – გამოვიყენე გ ი უ ლ.] იყო მოწმენდილი დღე, რითაც მე წყალტუბოს მაღლობზე, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ, ვისარგებლე, პ ა ლ.

[2] წყალტუბოდან სამხრეთით – სურამის მიდამოებისკენ < პ ა ლ.

[3] გუბის წყალი, გ. გ.

[4] რომელიც აქ 20 ნაბიჯი სიგანის იყო < პ ა ლ.

Kalksteine'fließt, und wo wir in dieser Ebene in WSW. nach 1 Stunde den Bach Kucha, der in den Guba fallt, welches auch der gestern durchrittene S-chaltuba thut; der Guba aber fallt in den Rion. Vom Kucha hatten wir noch in WSW. nach einer halben Stunde, das Dorf Choni, wo wir die Nacht blieben.

Den löten August. Choni ist ein großes Dorf mit etwan 200 Familien, die wider die hiesige Gewohnheit in Kreisen und Gassen, aber doch auch weitläuftig wohnen, weil jede Familie ihre Gärten und Pflanzungen bey der Wohnung hat. Der Weingarten meines Wirthes war 400 Schritte lang und 300 Schritte breit.

[4] Okroskedi, *G.*] Okiskedi, *P.*

[5] der Familie des Eristaws, wo auch, გიულდენშტედტს აქ არ უწერია..

[6] oder Madschicheli, nicht Machikeli, პალასის ჩამატებაა.

[7] Adfgara, *G.*] Adscharn, *P.*

[8] Noch gehören – Distrikte, *P.*] An dem Flusse Tscharuk, oder Tschorochi und an den zu demselben gehцrigen Вдchen liegen noch folgenden 13 georgische Oerter, die die Türken zu Provinzialstadte gemacht und zum Gouvernement von Achalziche (gerechnet). nemlich: Adğara (аджара nicht Aichara), *G.*

[9] Madschicheli, nicht Machikeli < *P.*

[10] Batum < *P.*

[11] Narman < *P.*

[12] nicht Artwing < *P.*

[13] Altunkala < *P.*

[14] Schuwascheti (nicht Chavacheti) < P.

[15] Petekrek, *G.*] Peterk, *P.*

ციხე 16. ოზურგეთი I7. შამოქმედი, შამოქმედელი ეპისკოპოსის საჯდომი[1] და მონასტერი, 18. ასკანა, ციხე 19. ბახვი.

მდ. სუფსის აყოლებით არის: ვანისქედი[2] 20. ოქროსქედი, ერისთავისა 21. ბასილეთი 22. აკეთი, ციხე 23. გუბაზაური[3] 24. ერკეთი, ერისთავის ოჯახისა, სადაც[4] მონასტერიც [არის]. 25. ბერშოული[5] და 26. სურები.

მთელს გურიაში ითვლება 5000 ოჯახი, რომლებიც ემორჩილებიან გურიელს და თავადებს.

გურიის მხარეები, რომლებიც ახლა თურქეთის ხელშია, შემდეგია:

კ ა ხ ა ბ ე რ ი ს მხარე (ანუ მ ა ჭ ა ხ ე ლ ი, არა მახიკელი[6]), მდებარეობს მდ. კინტრიშსა და ჭოროხს შორის, შავ ზღვაზე. მას ეკუთვნის ციხე ციხისძირი, მდ. კინტრიშის შესართავზე და ბათუმი ჭოროხის შესართავზე.

მხარე ა ჭ ა რ ა (და არა აიხარა), კავკასიის სამხრეთი მთისწინეთის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე, კახაბერსა და ჯავახეთს შორის, კახაბერზე მიმდინარე მდინარეების სათავეებთან.

მხარე ნ ა რ ი მ ა ნ ი, მდებარეობს არარატის მთისწინეთის ჩრდილოეთ ძირას, მდ. ჭოროხის სათავესთან. ამ მხარეს ეკუთვნის ართვინი.

მხარე ჯ ა ვ ა ხ ე თ ი, მდებარეობს სამხრეთ კავკასიის მთისწინეთის სამხრეთ ძირას, მდ. მტკვრის სათავესთან. მას ეკუთვნის ახალციხე, აწყვერი და ახალქალაქი.

ამ მხარეებს (ერთს თუ მეორეს) ეკუთვნის შემდეგი სოფლები[7]: ლივანა, სატლერი[8], მაჭახელი, არა მახიკელი[9], ბათუმი[10], კისტკინი[11], ოლთი, ნარიმანი[12], ართვინი, არა არტვინგი[13], ალთუნყალა[14], შავშეთი (არა ხავახეთი)[15], პენეკი[16] და პეტეკრეკი.

---

[1] შემოქმედელი ეპისკოპოსის საჯდომი < პ ა ლ.

[2] ვანისქედი < პ ა ლ.

[3] გუბაზოული.

[4] ერისთავის ოჯახისა, სადაც < გ ი უ ლ.

[5] ბერეჟოული.

[6] ანუ მაჭახელი, არა მახიკელი] ჩამატებულია პალასის მიერ.

[7] ამ მხარეებს – შემდეგი სოფლები: პ ა ლ.] მდინარე ჭოროხსა და მის შენაკადებზე აგრეთვე მდებარეობს შემდეგი 13 ქართული სოფელი, რომლებიც თურქებმა აქციეს პროვინციის ქალაქებად და ეკუთვნიან ახალციხის გუბერნიას, სახელდობრ: აჭარა (არა აიხარა), გ ი უ ლ.

[8] სატლერი, „უნაგირა“ (?).

[9] მაჭახელი, არა მახიკელი < პ ა ლ.

[10] ბათუმი < პ ა ლ.

[11] კისკინი, კისკიმი.

[12] ნარიმანი < პ ა ლ.

[13] არა არტვინგი < პ ა ლ.

[14] ალთუნყალა < პ ა ლ.

[15] შავშეთი (არა ხავახეთი) < პ ა ლ.

[16] პენიაკი, ფანაკი, ანუ ბანა (იხ. ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III 560.

Alle vier Distrikte sind von Georgianer bewohnt, die zwar noch ihre Sprache reden, aber wegen der tьrkischen Herrschaft von der christlichen Religion abtrьnnig und Muhamedaner geworden sind.

An dem Distrikt Kachaberi gränzt weiter in S. der Distrikt L a s i (nach) nicht Lazi, welches Lazica Bayeri zu sein scheint. Er soll sich von der Mündung des Tscharuk bis in die Gegend von Trapezunt erstrekkt; die Einwohner sollen Tatare sein[1].

———————

[1] An den Distrikt Kachaberi – sollen Tataren sein < *P.*

ოთხივე მხარე დასახლებულია ქართველებით, რომლებიც თუმცა ლაპა-პარაკობენ თავის ენაზე, მაგრამ თურქთა ბატონობის გამო უღალატეს ქრის-ტიანულ სარწმუნოებას და გამაჰმადიანდნენ.

კახაბერის მხარეს სამხრეთით ესაზღვრება მხარე ლ ა ს ი[1] (ласи), არა ლაზი, რომელიც ბაიერის ლაზიკა უნდა იყოს. ის გადაჭიმული უნდა იყოს ჭოროხის შესართავიდან ტრაპიზონამდე; მოსახლეობას თათრები უნდა შეად-გენდნენ[2].

———————

[1] ლაზეთი.

[2] კახაბერის მხარეს – თათრები უნდა შეადგენდნენ < პ ა ლ.

8. Etwas von Mingrelien.

Die georgische Provinz Mingrelia und die Distrikte 0dischi und Letschkum machen den vierten Staat Georgiens ans und haben unter dem Titul eines Dadians einen eigenen, unabhängigen Beherrscher. Der jezige Dadian Kadzia, ein griechisch-geergischer Christ, aus der Familie Tschikwani, nicht von der zaarischen Familie, erklärte sich zwar bey Erscheinung der rußischen Truppen im Jahr 1770 u. f. so wie die beyden georgischen Zaaren für Rußland, ward aber einige Mahl über geheimen Unterhandlungen mit den Tärken ertappt. mit welchen er, ob er gleich ehemahls ein Lehnsträger oder Vasall des imeretinischen Zaares war, mehr als mit den georgischen Zaaren zuhielt. Dieses war sehen die Denkungsart seiner Vorfahren. Kurz, er ist nicht gut rußiseh gesinnet und lebt mit dem imeretischen Zaar Salomon in bitterer Feindschaft, auch sind seine Länder der Räubereyen und Einfällen seiner Nachbaren nicht weniger als die Länder der beiden Zaaren ausgesezt. Drey Umstände, von welchen mich jeder für sich diese gleich merkwärdige und unbekannte Gegenden zu bereisen abhalten konnte. so sehr ich es immer wünschte. Ohne den besendern Schuz und Konvoyen des Landesherrn war hieran nicht zu denken. Ich reiste indessen an der Gränze dieser Länder mit lmeretien; und theils auf dieser Reise und auch bey andern Gelegenheiten, vorzüglich auf dem Markte in Chani[1], den auch Mingreler besuchen, sammlete ich von dein Staate Dadians Nachrichten, von welchen ich hier das mir wahr geschienene und erheblichste mittheilen will. Von dem Dadian Kadzia selbst habe ich noch anzuführen, daß seine Gemahlin aus der imeretisch-fürstlichen Familie des Radisch Eristaw und seine Schwester die Gemahlin des imeretischen Zaaren Salomons ist.

Der Dadian steht mit seinen Fürsten und dem Lande völligr in dem Verhätltniße beyder georgischen Zaaren. Diese Länder sind eben so von Georgianern, Armenianeru, Tatarn und Juden bewohnt. Eben so unterthan, eben so willkürlichen Steuern und Gesezen unterworfen, eben solche Gewerbe und schläfriger Betrieb derselben und auch so allgemeine Armuth.

Der Dadian münzt nicht; in seinen Ländern kursiren, völlig wie in Imereti, türkische und dieselben Münzen.

Die herrschende Religion ist die georgisch-griechische. Mingrelia,

---

[1] ეს არის Uhoni.

8. მოკლედ სამეგრელოს შესახებ

ქართული პროვინცია სამეგრელო და მხარეები ოდიში და ლეჩხუმი ჰქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს და ჰყავთ თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველი, რომელიც ატარებს დადიანის ტიტულს. ახლანდელი დადიანი კაცია, მართლმადიდებელი ქრისტიანი, არის ჩიქოვანთა გვარიდან და არა სამეფო გვარიდან; მართალია, რუსთა რაზმების გამოჩენისას 1770 წ. მან ისევე, როგორც ორივე ქართველმა მეფემ, რუსეთის მომხრედ გამოაცხადა თავი, მაგრამ რამდენჯერმე შემჩნეულ იქნა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქებთან, რომლებთანაც ის, თუმცა ოდესღაც იმერეთის მეფის ვასალად და ყმად ითვლებოდა, უფრო ახლო ურთიერთობაში იყო, ვიდრე ქართველ მეფეებთან. ასე იქცეოდნენ მისი წინაპრებიც. მოკლედ რომ ვთქვათ, ის არ არის კეთილად განწყობილი რუსეთისადმი და იმერეთის მეფე სოლომონთან სასტიკი მტრობა აქვს; ამასთან, მისი მიწები უფრო უკეთ არ არის უზრუნველყოფილი მეზობელთა ძარცვისა და თავდასხმებისაგან, ვიდრე ორივე ქართველი მეფის ქვეყნები. ეს იყო სამი გარემოება რომელთა გამო მე იძულებული ვხდებოდი თავი შემეკავებინა ამ ღირსშესანიშნავი და უცნობი მხარეების მოვლისაგან, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ დიდი სურვილი მქონდა. ქვეყნის ბატონის განსაკუთრებული დაცვის და ამალის გარეშე აქ [მოგზაურობაზე] ფიქრიც ზედმეტი იყო. მე მაინც ვიმოგზაურე ამ ქვეყნის საზღვრებზე იმერეთთან; ნაწილობრივ ამ მოგზაურობისას, აგრეთვე სხვა დროსაც, უმთავრესად კი ხონის ბაზრობაზე, რომელსაც მეგრელებიც ესწრებიან, დადიანის ქვეყნის შესახებ შევკრიბე ცნობები, რომელთაგან მე აქ მოვიყვან, ჩემის აზრით, ყველაზე სინამდვილესთან ახლოს მყოფს და მნიშვნელოვანს. კაცია დადიანზე მე კიდევ გავიგე, რომ მისი ცოლი არის იმერელი თავადის ოჯახიდან, რაჭის ერისთავთაგან, ხოლო მისი და არის იმერეთის მეფის სოლომონის ცოლი.

დადიანი, მისი თავადები და მთელი მხარე მჭიდრო ურთიერთობაში არიან საქართველოს ორივე მეფესთან. ეს მხარეებიც ისევეა დასახლებული ქართველებით, სომხებით, თათრებით და ებრაელებით. აქაც ისეთივე მორჩილებაა, ისეთივე თვითნებური გადასახადები და კანონები, ისეთივე შინამრეწველობა და მათი მოდუნებული წარმოება, ისეთივე საყოველთაო სიღარიბე, [როგორც სხვა ქართულ მხარეებში].

დადიანი ფულს არ ჭრის; მის ქვეყანაში მთლად ისევე, როგორც იმერეთში, მიმოქცევაშია თურქული და სხვა ისეთივე მონეტები.

გაბატონებული სარწმუნოება არის ქართულ-ბერძნული (მართლმადი-

Letsehkum und 0dischi haben jeder einen Bischof (Episkoposi), deren Eparchie diese Provinzen und Distrikte sind. Sie standen unter dem Katholicos oder Patriarchen Imeretiens, vor ein paar Jahren aber hat der Dadian, wegen der Feindschaft gegen den Zaar Salomon, seine Bischцfe von dieser Abhängigkeit befreiet und sich in dem Besarion[1] aus der fiirstl. Familie des Radschis Eristaw, selbst einen Patriarchen bestellt. Der Gottesdienst wird in georgianiseher Sprache gehalten.

Eine zur Vergleichung gemachte mingrelische Wörtersammlung zeigte mir, daß diese Sprache eine grobe Mundart der georgisch gürgestanschen mit vielen fremden Wörtern vermischt ist. Sie verhält sieh zu ostlichen georgischen ohngefähr wie das holländische zum teutschen.

In Odischi Spricht man mingrelisch. in Letsehkum eine vom imeretischen und mingrelischen gemischte Mundart.

Mingrelia erstre[c]kt sieh am südlichen Fuß der kaukasischen Alpen, über die Ebene zwischen diesem und dem Vorgebürge. ln S. begräinzt es der Rion mit Guria, in O. der Fluß Ts'cheni-ts'chali mit[2] lmereti, in SO. wird es durch das Kalksteingebürge von dem mingrelischen Distrikt Letschkum geschieden und in NW. liegt ihm der mingrelisehe Distrikt 0dischi, (der sich längst dem schwarzen Meere an dem westl. Fusse des Gebürges bis zum Enguri erstre[c]kt, durch den es von Abohaseti geschieden)[3]. gegen Swaneti.

Durch die mingrelischen Ebenen fließen:

1. der Ts'cheni Ts'chali.

2. der Nogela, der nordich, und der Ziwi, der N-Westlich oder WN-Westlieh aus den Alpen kцmt, beyde vereinigen sich und fallen so in den Rion.

Durch 0dischi fließen aus Osten aus dem Gebürge vom Rion an:

3. der Abascha, der nur klein ist, 4. der Tscheuri, sehr groß[4] (5. der Techen. ein großer Fluß)[5] 6. der Otsehchomuri[6] 7. Chobi-ts-chali 8. Tschani Ts'chali und 9. der große Enguri. Sie fallen in dieser Folge von S. in N. ins schwarze Meer. Nordlicher folgen die Abchasalilchen Flüße.

---

[1] Besarion, *P.*] Besarion seinen Mutter-Bruder, *G.*

[2] mit Guria – mit, *G.*] gegen, *P.*

[3] der sich längst – geschieden < *P.* ამას დედანში მოსდევს ცნობა აფხაზეთის შესახებ: „das weiter nach N. W. zur Mündung des Kabeti an der das Kloster Bitschwinta gelegen. An Abchaseti weiter in N. W. gränzen die Distrikte Dschiketi und Alaleti; in O. den Kabeti aufwärts Soneti oder Swaneti. Die Einwohner von Abchaseti werden in der georgianischen Sprache Abchasi in Plural Abchasebi genant. Von Dschiketi heißen Dschikl. von Alaleti – Alali; dieses scheint mit Alania, dieses mit Zichia Bayerinus t?) zu sein".

[4] sehr groß < *P.*

[5] 5. der Techen, ein großer Fiuß < *G.*

[6] Otschchomuri, *G.*] Otschmoniuri, *P.*

დებლური – გ. გ.). სამეგრელოს, ლეჩხუმსა და ოდიშს თითოეულს ჰყავს ეპისკოპოსი, რომელთა ეპარქიას შეადგენენ ეს პროვინციები და მხარეები. ისინი ემორჩილებოდნენ იმერეთის კათალიკოსს ანუ პატრიარქს, რამდენიმე წლის წინათ კი დადიანმა, სოლომონ მეფესთან მტრობის გამო, განათავისუფლა თავისი ეპისკოპოსები ამ დამოკიდებულებისაგან და პატრიარქად დასვა ბესარიონი[1] – რაჭის ერისთავთა თავადური გვარიდან. ღვთისმსახურება წარმოებს ქართულ ენაზე.

შედარების მიზნით [ჩემ მიერ] შედგენილმა მეგრული სიტყვების „კონამ“ მიჩვენა, რომ ეს ენა არის უხეში კილო ქართულ-გურჯისტანულისა, რომელშიც შერეულია ბევრი უცხო სიტყვა. ის დაახლოებით ისეთსავე მიმართებაშია აღმოსავლურ ქართულთან, როგორც ჰოლანდიური გერმანელთან.

ოდიშში ლაპარაკობენ მეგრულად, ლეჩხუმში კი – იმერულ-მეგრულ შერეულ დიალექტზე.

სამეგრელო მდებარეობს კავკასიის ალპების სამხრეთ ძირას, დაბლობზე ამ მთებსა და მთისწინეთს შორის. სამხრეთით მას რიონი გამოჰყოფს გურიისგან, აღმოსავლეთით ცხენისწყალი[2] – იმერეთისგან, სამხრეთ-აღმოსავლეთით კირქვიანი მთები ჰყოფენ მას მეგრული მხარისაგან – ლეჩხუმისაგან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს მეგრული მხარე ოდიში (რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის აფხაზეთისგან არის გამოყოფილი)[3], სვანეთის პირდაპირ.

სამეგრელოს ველებზე მიედინებიან:

1. ცხენისწყალი.

2. ნოღელა ჩრდილოეთით, ხოლო ცივი ჩრდილო-დასავლეთით ან დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთით მოედინებიან ალპებიდან, ორივენი ერთდებიან და ასე ერთვიან რიონს.

ოდიშზე მიედინებიან – აღმოსავლეთიდან, მთიდან მომავალი [მდინარეები], რიონიდან დაწყებული;

3. აბაშა, რომელიც პატარაა 4. ჩეური, ძალიან დიდი (5. ტეხენ[4], დიდი მდინარე)[5] 6. ოჩხომური 7. ხობისწყალი 8. ჭანისწყალი და 9. დიდი მდინარე ენგური. ისინი ამ მიმდევრობით უერთდებიან სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ შავ ზღვას. ჩრდილოეთით მოდიან აფხაზეთის მდინარეები.

---

[1] ბესარიონი პ ა ლ.] ბესარიონი. თავისი დედის ძმა, გ ი უ ლ.

[2] გურიისგან აღმოსავლეთით ცხენისწყალი < პ ა ლ.

[3] რომელიც – არის გამოყოფილი] <პ ა ლ. ამას დედანში მოსდევს შემდეგი განმარტება: შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით მდ. კაბეთის შესართავისკენ, რომელზეც მონასტერი ბიჭვინთა მდებარეობს. აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებიან ჯიქეთი და ალალეთი; აღმოსავლეთით, კახეთის ზემოთ, სონეთი ანუ სვანეთი. აფხაზეთის მოსახლეობას ქართულად ჰქვია აფხაზი, მრავლობითში – აფხაზები. ჯიქეთისას – ჯიქი, ალალეთისას – ალალი; ერთი უნდა იყოს ბაიერის ალანია, მეორე კი ციხია (ჯიქია).

[4] ეს ორივე სახელი „ჩეური“ და „ტეხენ“ უნდა იყოს „ტეხური“.

[5] ძალიან დიდი (5. ტეხენ, დიდი მდინარე) < პ ა ლ.

Von fürstlichen Familien Mingreliens und der beyden ьbrigen dadianischen Distrikte sind inir nur folgende genannt wordenl:

1. Tschikwani, ans weh,her der Dadian ist.
2. Tschitsehna
3. Pagawa
4. Cheidse[2]
5. Nikase
6. Gribuase[3] und[4]
7. Apakise.

Die Mingrelier nennen Mingrelia selbst Kadzariai: Kazaro aber heißt in mingrelischer Sprache ein Bok.

In armseeligen Wohnungen, in der ganzen Lebensart und auch an der Kleidung unterscheiden sieh die Mingrelier von den lmeretiern nicht merklich.

Mingrelien hat zwey Distrikte: 1. Wabaseha und 2. Bansa, nicht Banka.

Meine Gewährsmдnner wusten die Ortschaften eines jeden nicht genau, zu einein oder andern gehцrig aber konnten sie nur folgende nennen:

1. Gordi, eine. kleine Festung am Ts'eheni Ts'chali.

2. Martwili. nicht Martwirja, ein Kloster und Siz des Episkoposi Tschkoindeli[5].

3. Sudguna[6], ein Dorf init einer großen Kirche, eben dieses Bischofs[7], 4. Chunzi[8], eine kleine Festung 5. Inschguri[9] 6. Barda 7. Skurdi 8. Tamakoni, Festung 9. Surhsche 10. Nagwaso 11. Satsehkoindelo[10], ein großer Fleken mit 500[11] Familien, nahe über dein Einfall des Rion ins Meer. 12. Targaimuli 13. Sapakidso 14. Teklati 15. Tschaladidi 16. Seni 17. Kwalo1i 18. Tschatschga 19. Kursn 20. Tawia 21. Knrseini 22. Dgale 23. Dğuari 24. Noga 25. Tschalengicha 26. Obudği[12] 27. Kwili 28. lsmuleti 29. Schechti 30. Sapatei 31. Apsili 32. Cherdili 33. Kokuli und vermuthlieh mehrere, ihnen nicht beygefallene.

Man rechnet in Mingrelien mit Odisehi zusammen 10 000 Familien.

---

[1] Von fьrstlichen – worden, *P*] fürstl. Familien rechnet man in diese[m] Distrikte, neml Mingrelia, Odischi und Letschkumi folgende: *G.* ამის შემდეგ მოსდევს ჩამოთვლა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ჩიქოვანი არის მე-7 ნომრად და აქვეა დადიანზე ყველაფერი ის, რაც პალასთან ზემოთ იყო მოცემული.

[2] Cheidse, *G.*] Cherdse, *P.*

[3] Gibuase, *G.*] Gibnose, *P.*

[4] und < *G.*

[5] Tschkoindeli, *G.*] Tschkoirideli. *P.*

[6] Sudguna, *G.*] Sugura, *P.*

[7] eben dieses Bischofs < *P.*

[8] Chunzi, *G.*] Gunzi, *P.*

[9] lnschguri, *G.*] Inschuri, *P.*

[10] Satschkoindelo. *G.*] Satskoindelo, *P.*

[11] 500, *G.*] 1500, *P.*

[12] Obudği *G.*] Obudchi *P.*

სამეგრელოს და დადიანის კუთვნილი ორივე მხარის თავადური გვარები-დან მე დამისახელეს შემდეგი[1]:

1. ჩიქოვანი, რომლიდანაც დადიანი არის.

2. ჩიჩუა 3. ფაღავა

4. ხეიძე 5. მიქაძე

6. დგებუაძე 7. აფაქიძე

მეგრელები სამეგრელოს ეძახიან ქ ა ც ა რ ი ა ს; ქაცარო მეგრულად ნიშ-ნავს „თხას“.

ღარიბული სახლებით, ცხოვრების საერთო პირობებით და აგრეთვე ჩაცმულობით მეგრელები დიდად არ განსხვავდებიან იმერლებისაგან.

სამეგრელოს აქვს ორი მხარე: 1. (ვ)აბაშა და 2. ბანძა (არა ბანკა).

ჩემმა ცნობების მომწოდებლებმა ამ მხარეთა სოფლები ზუსტად არ იცოდნენ, ხოლო საერთოდ შეძლეს შემდეგი ადგილების დასახელება, რომ-ლებიც ეკუთვნიან ერთს ან მეორე [მხარეს]:

1. გორდი, პატარა ციხე ცხენისწყალზე.

2. მარტვილი, არა მარტვირია, მონასტერი და ჭყონდიდელი ეპისკოპო-სის ადგილსამყოფელი.

3. სუჯუნა, სოფელი დიდი ეკლესიით, აგრეთვე ეპისკოპოსის[2] [კუთვნი-ლი] 4. ხუნწი, პატარა ციხე, 5. ინშგური[3] 6. ბარდა[4] 7. სკურდი 8. თამაკონი, ციხე 9. სუხჩე 10. ნაგვაზაო 11. საჭყოინდელო, დიდი სოფელი 500[5] ოჯა-ხით; იმის ახლოს რიონი ერთვის ზღვას. 12. თარგამეული 13. სააფაქიძო 14. თეკლათი 15. ჭალადიდი 16. ზენი 17. ქვალონი 18. ჩაჩგა 19. კურზუ 20. თავია[6] 21. კურსეინი[7] 22. ჯგალი 23. ჯვარი 24. ნოღა 25. ჭალენჯიხა 26. ობუჯი 27. კვილი[8] 28. ისმულეთი[9] 29. შეხტი[10] 30. საპატეი[11] 31. აფსილი 32. სერდილი 33. კოკული და ალბათ გაცილებით მეტი [იყო სოფლები], რაც მათ არ შეხვედრიათ.

სამეგრელოში ოდიშთან ერთად ითვლება 10.000 ოჯახი.

---

[1] სამეგრელოსა და – გვარები, პ ა ლ.] ამ მხარეებში, სახელდობრ, ოდიშსა და ლეჩხუმში შემდეგ თავადურ გვარებს ასახელებენ: გ ი უ ლ.

[2] აგრეთვე ვპისკოპოსის > პ ა ლ.

[3] ინჩხური.

[4] ბალდა.

[5] 500, გ ი უ ლ დ.] 1500, პ ა ლ.

[6] თაია (?).

[7] ჯვარზენი (?).

[8] ჭველე (?).

[9] ისულეთი, ისულა.

[10] შხეფი.

[11] სეფიეთი (?)

Der Distrikt 0dischi

Er liegt Mingrelien nordlich und westlich und reicht an das schwarze Meer. In N. gränzt ihn Abchaseti. Dessen in dasselbe fallende Flüsse sind schon genannt.

Mit Miugrelien hat er iu dem Dadian einen gemeinschaftlichen Herrn, und als ein Theil Georgiens eben solche Einwohner, Religion, Sprache, Verfassung, solch Land und solche Gewerbe, als Mingrelia.

Man hat mir folgende zu Odischi gehörige Oerter genannt:
1. Senaki und 2. Chobi, nicht Kchopa; beide des Patriarcheu, lezteres mit einer großen Kirche. 3. Chorga, nicht Korga 4. Cheta, ein groß Dorf 5. Tschakwiti, eine Festung 6. Subdidi nicht Zugdydi 7. Tschaisi, Siz des Episkoposi Tschaiseli, 8. Nakalakewiд eine alte berьhmte, jezt wüste Stadt, 9. Kuchi, nicht Buki am linken Ufer des Enguri, war eine Festung in türkischen Händen und steht jezt verlaßen".

Der Distrikt L e t s c h k u m, hat von jeher zur Provinz lineret,i gehört, ist aber seit lange davon gerißen, unter den Beherrscher Mingreliens gerathen und auch bey Wiederherstellung des jezigen (1772) regierenden Zaars Salomon, besonders durch die rußischen Waffen, nicht wieder gewonnen, sondern bey Mingreli, also unter dem Dadian geblieben, daher ich diesen Distr. auch hier anführe.

Er liegt dein Distrikt Okriba westl. und nordl. und Wird von demselben in NW. durch das Flüßcheu Lechadari, das aus dein sьdl. Nebenges bürge kömt und mit WS-Westlichen Lauf ьber Kutais in die linke de Rion fällt, geschieden.

Zu diesem Distrikt oder Provinz des Dadians Miugreliens gehören die Festung Tgnorisa am Leschadari und die Dörfer Wonscheseeisi und höher Tschaschleti, wo eine berьhmte Kirche ist, Tschortisa, Satschcheauri und Gnorisa, beide Festungen nahe beyeinander, Derschi und Worchi.

---

[1] Nakalakewi, *G.*] Nalakchewi. *P.*

[2] აქ გიულდენშტედტს მოყვანილი აქვს ცნობები აფხაზეთ-სვანეთის შესახებ: Von Abchaseti sind die 4 merkwürdigsten Oerterz Anaklea eine Festung an der Mündung der Enguri, der Gränzort zwischen Odischi; 2) Anakopia die Hauptstadt am Meer in der Mitte des Landes; 3) Mogwi nicht Mokwi ein zwischen diesen beiden am Gebürge gelegenes berьhmtes Kloster; 4) Bitschwinta, nicht Bysziunta, das Hauptkloster und der ehemalige Siz des Patriarchen von Abchaseti und ganz Georgien (ein... aus den bei Genati gefundenen Inschriften (?) erhellet); dieser Ort ist an der Südseite der Mündung des Flusses Kabeti, nicht Kapeti gelegen und ist der Grдnzort zwischen Dschiketi

An den Ursprungen eben dieses Flussesin den hohe[n] Alpen sollen die Soni óder Swani wohnen und man neunte nur als Hauptörter des Distrikts Swaneti die Festungen Lentechi, Tscheluli, Kalatschi und Laschcheti und Etseri nicht Ezer. Zu Abchaseti, Swaneti, Dschiketi und Alaleti sollen Sprachen geredet werden, die unter sich und von den benachbarten verschieden sind. Ich habe bisher noch nicht Gewisses erfahren können. Die Einwohner von Abchaseti und Swaneti waren griechische Christen, den georgianischen Zaaren untertan; nur in Abchaseti behaupten der tьrkiscle Sultan, in Swaneti der mingrelische Dadian einige Herrschaft.

მხარე ოდიში

ის მდებარეობს სამეგრელოს ჩრდილოეთით და დასავლეთით და აღწევს შავ ზღვას. ჩრდილოეთით მას აფხაზეთი ესაზღვრება. მისი მდინარეები უკვე დასახელებულია.

მას სამეგრელოსთან ერთად განაგებს ერთი მმართველი, დადიანი და, როგორც საქართველოს ერთ ნაწილთაგანს, ჰყავს იგივე მოსახლეობა, აქვს იგივე სარწმუნოება, ენა, კანონები, ისეთივე მიწა და წარმოება, როგორც სამეგრელოს.

მე დამისახელეს ოდიშის შემდეგი სოფლები:

1. სენაკი და 2. ხობი, არა კხოფა; ორივე პატრიარქისაა, უკანასკნელში დიდი ეკლესიაა. 3. ხორგა, არა კორგა 4. ხეთა, დიდი სოფელი 5. ჭაქვინჯი, ციხე 6. ზუბდიდი, არა ცუგდიდი[1] 7. ჩაისი[2], ჩაისელი ეპისკოპოსის საჯდომი 8. ნაქალაქევი, ძველად განთქმული, ახლა გაუდაბურებული ქალაქი; 9. რუხი, არა ბუკი, ციხე ენგურის მარცხენა ნაპირზე, იყო თურქთა ხელში, ახლა მიტოვებულია[3].

მ ხ ა რ ე ლ ე ჩ ხ უ მ ი იმთავითვე ეკუთვნოდა იმერეთს, მაგრამ დიდი-ხანია მას მოსწყვიტეს და სამეგრელოს მმართველთა ხელში ჩავარდა. მიუხედავად [იმერეთის] ახლანდელი (1772) მმართველის, სოლომონ მეფის ძალაუფლების აღდგენისა, განსაკუთრებით რუსული იარაღის დახმარებით, ის ვერ იქნა უკან დაბრუნებული, დარჩა სამეგრელოს, ე. ი. დადიანის ხელში. ამიტომ ამ მხარეზედაც ახლა ვიტყვი.

ის მდებარეობს ოკრიბის დასავლეთით და ჩრდილოეთით და გამოყოფილია მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდ. ლეხადარით, რომელიც სამხრეთი მთის შტოდან გამოდის და დასავლეთ-სამხრეთ-დასავლეთის დინებით ქუთაისს ზემოთ მარცხნიდან ერთვის რიონს.

სამეგრელოს დადიანის ამ მხარეს ანდა პროვინციას ეკუთვნიან ციხე დღნორისა ლეხადარზე და სოფლები ვონშესეეისი[4] და უფრო ზევით ჭაშლეთი, სადაც არის ცნობილი ეკლესია; ჩორთისა, საჩხეაური[5] და დღნორისა, ორივე ციხე ერთმანეთის ახლოსაა, დერჩი და ვორხი[6].

---

[1] ზუგდიდი. [2] ცაიში.

[3] აქ გიულდენშტედტს მოყვანილი აქვს ცნობები აფხაზეთ-სვანეთის შესახებ.

აფხაზეთში არის 4 მნიშვნელოვანი ადგილი: 1) ანაკლია, ციხე ენგურის შესართავთან, სასაზღვრო ადგილი ოდიშთან; 2) ანაკოფია, დედაქალაქი [მდებაოეობს] ზღვაზე, ქვეყნის შუაში; 3) მოგვი, არა მოქვი, წინა ორს შორის მთაზე მდებარე განთქმული მონასტერი; 4) ბიჭვინთა, არა ბისციუნთა, მთავარი მონასტერი და სრულიად საქართველოს და აფხაზეთის პატრიარქის ადრინდელი საჯდომი, (გელათში ნაპოვნი წარწერების მიხედვით); ეს პუნქტი მდებარეობს მდ. კაბეთის, არა კაპეტის შესართავის სამხრეთ მხარეზე და არის სასაზღვრო ადგილი ჯიქეთთან. ამ მდინარის სათავეებში მაღლა ალპებში უნდა ცხოვრობდნენ სონები ანუ სვანები, მე დამისახელეს სვანეთის მთავარი სოფლები, ციხეები ლენტეხი, ჩოლური, კალაში და ლაშხეთი და ეცერი, არა ეცერ. აფხაზეთში, სვანეთში ჯიქეთსა და ალანეთში უნდა ლაპარაკობდნენ ენებზე, რომლებიც ერთმანეთისგან და მეზობლების ენებისგან განსხვავებული არიან. აქამდე მე ჯერ არ შემიტყვია ნამდვილი ცნობები. აფხაზეთის და სვანეთის მოსახლეობა იყვნენ ბერძენი ქრისტიანები, ქართველი მეფის ქვეშევრდომები; მხოლოდ აფხაზეთში დამკვიდრდნენ თურქი სულთანები, სვანეთში კი სამეგრელოს დადიანს აქვს ერთგვარი ძალაუფლება.

[4] ონჭეიში. [5] საჩხეური. [6] ორხვი.

Diese Dörfer gehören eigentlich zu dem imeretischen Distrikt Okriba, der Dadian hatte sich aber derselben jetzo beineistert.

Eben so liegen diesen gegenüber am rechten Ufer des Rion die Dörfer Twischi, Choromischi, Mekwena und Wani, die auch zur Okriba gerechnet werden müßen, jetzo 1772 aber dein Dadian gehören.

Von diesen Distrikt habe ich bisher folgendes in Erfahrung gebracht.

Er liegt zwischen dein Schiefer- und Kalkgebürge (jug. austr. alpinum Schistosum und subalpin. calcareum), theils an dein Theil des Rions, den die Flüsse Aski und Ladsohanuri einschließen, theils an dein Flusse Ts'chenni Ts'chali.

Man sagte mir, daß er aus folgenden Oertern bestehe:

1. Tschkwischi, nicht Ezkysi, die georgische Festung gegen Radscha an der Westseite des Aski nicht weit von seiner Mьndung: 2. Dschoschga 3. Genduschi 4. Tabori 5. Tschkala[1] 6. Surinuschi 7. Lebetschina 8. Sairme 9. Lelesch 10. Gaguletschi 11. Leschkaschi[2], eine Festung ain Ladschanuri; 12. Ladschana 13. 0rbeli, eine Festung 14. Zilamieri 15. Laskana 16. Dechwiri, Festung und berühmte Kirche, 17. Spatagori 18. Usachelo 19. Lazoria 20. Atschara 21. Alpana 22. Laches 23. Nakuralesohi, daselbst eine große Kirche[3], 24. Hwirischi 25. Utzcheri 26. Nasperi 27. Kenaschi 28. Agwi 29. Machaschi[4] 30. Sauurtschi 31. Tschuteli 32. Muri, eine Festung. Alle diese sind zwischen dein Aski, Ladschanuri und Ts'cheni Ts'chali und noch an der Westseite des leztern, 33. Subi, eine Festung 34. Mokreschi 35: Ladschabida 36. Opitara 37. Zageri, eine Hauptkirche und Siz des Zagereli[5] Episkoposi; 38. Kweso, eine Festung 39. Sogischi. Festung 40. Saragula 41. Luchwano 42. Zipertschi.

Sprache, Religion und Bauart in Letschkum, Wie. in Radscha.

Man rechnet in dieser Provinz oder Distrikt 4000 Familien.

Die Bauart in Mingrelia, Odischi und Abehaseti, soll mit der in Imereti übereinkommen; nur soll alles noch wüster und mit noch dikkerem Walde besezt sein[6].

---

[1] Tschkala, *G.*] Tschaia, *P.*

[2] Leschkaschi, *G.*] Leschkam *P.*

[3] daselbst eine große Kirche < *P.*

[4] Machaschi, *G.*] Magaschi, *P.*

[5] Zagereli, *G.*] Zageret, *P.*

[6] Die Bauart – besezt sein < *P.*

ეს სოფლები, არსებითად, ეკუთვნიან იმერულ მხარეს ოკრიბას, მაგრამ ახლა დადიანმა ისინი დაისაკუთრა.

მათ პირდაპირ, რიონის მარჯვენა ნაპირზე, არის სოფლები – ტვიში, ქორომიში[1], მექვენა და ვანი, რომლებიც აგრეთვე ოკრიბას უნდა ეკუთვნოდნენ, მაგრამ ახლა (1772) დადიანის ხელშია.

ამ მხარის შესახებ დღემდე შემდეგი გავიგე:

ის მდებარეობს ფიქალიან და კირქვიან მთებს შორის, ნაწილობრივ რიონის იმ მიდამოებზე, რომელსაც მდ. ასკი და ლაჯანური შემოფარგლავენ, ნაწილობრივ – მდინარე ცხენისწყალზე.

მე დამისახელეს ამ მხარის შემდეგი სოფლები:

1. ჭყვიში[2], არა ეცკისი, ქართული ციხე რაჭისკენ, ასკის დასავლეთ მხარეზე, მისი შესართავის ახლოს; 2. ჯოშგა[3] 4. გენდუში 4. თაბორი 5. ჩკალა[4] 6. სურმუში 7. ლაბეჭინა 8. საირმე 9. ლელეში[5] 10. გაგულეჩი 11. ლეშკაში, ციხე ლაჯანურზე 12. ლაჯანა 13. ორბელი, ციხე, 14. წილამიერი 15. ლასხანა 16. დეხვირი, ციხე და განთქმული ეკლესია 17. სპათაგორი 18. უსახელო 19. ლაცორია 20. აჭარა 21. ალპანა 22. ლახეფა 23. ნაკურალეში, იქვე დიდი ეკლესია[6] 24. ღვირიში 25. უცხერი 26. ნასპერი 27. კვნაში 28. აღვი 29. მახაში 30. სანორჩი 31. ჩუტელი[7] 32. მური, ციხე. ყველა ესენი არიან ასკსა, ლაჯანურსა და ცხენისწყალს შორის და ამ უკანასკნელის დასავლეთ მხარეზე. 33 ზუბი, ციხე. 34. მოკრეში 35. ლაჩეპიდა 36. ოპიტარა 37. ცაგერი, მთავარი ეკლესია და ცაგერელი ეპისკოპოსის საჯდომი; 38. კვესო[8], ციხე, 39. ზოგიში, ციხე. 40. ზარაგულა 41. ლუხვანო 42 წიფერჩი.

ენა, სარწმუნოება და სახლები ლეჩხუმში ისეთივეა, როგორც რაჭაში.

ამ პროვინციაში ანუ მხარეში ითვლება 4000 ოჯახი.

მშენებლობა სამეგრელოში, ოდიშსა და აფხაზეთში უნდა იყოს იმერეთის მსგავსი; მხოლოდ [ქვეყანა] აქ უფრო გაუდაბურებული და უფრო ხშირი ტყით უნდა იყოს დაფარული[9].

---

[1] ქორენიში.

[2] ვახუშტი: მჭვისი.

[3] ჟოშხა.

[4] პჭყალა.

[5] ლაილაში.

[6] იქვე დიდი ეკლესიპა < პ ა ლ.

[7] ჩხუტელი.

[8] გვესო.

[9] მშენებლობა – დაფარული < პ ა ლ.

Die Georgische Provinz Swaneti

Swaneti oder Soni ist eine georgische Provinz, die sich in der Folge abgerißen und selbst frey und unabhängig gemacht hat.

Sie ist jezo größestentheils ganz frey und ohne Oberhaupt, nur maßt sich der Dadian Mingreliens einige Herrschaft über die dem Distrikt Letschkum nächsten Oerter an.

Der Zaar Salomon erhielt, durch einige Suanen, Erze daher, von welchen ich einiges zur Verbesserung meiner vorigen Nachrichten vernahm.

Der Fluß Ts'chenni Ts'chali entspringt in Swaneti und heißt daselhst Laschechet. An seinen Ursprьnge sind Bley- und Kupferanbrüche.

Swaneti liegt Mingreli in O., vorzüglich im hohen Sohiefergebürge.

Swani im plur. Swaneti oder Sony oder Soneti, nennen die Georgianer ein Volk, welches sich selbst Schnau nennt.

Diese kleine Provinz wird nach der gewöhnlichen georgianischen Eudigung Swaneti genennet.

Sie wohnen an den südlichen kaukasischen Alpen oben an der Ursprung des Flusses Ts'cheni-ts'chali, den sie Laschchur nennen, und am Engur und nach[1] einiger t?) Vorgehen am Kabeti.

Am Laschchur[2] liegen die Dцrfer Laschchet, Tscholuri, Kalaschi und Jentcha oder georg. Jentechi[3].

Am Enguri liegen Usehkuri, Kaja, Adisch, Migal, Ipar, Bogresch, Zirmi, Jeli, Milavh, Mestia[4], Lengar, Lateli, Betsohi, Dol, Jebut, Tzchumar, Jezer und Lachmura.

Ein hohes, konisches Schneegebürge Pasa genannt, soll sie von den Basianen trennen. An dessen Ostseite soll der Rion, an der S. Seite des Ts'cheni-Ts'chali und an der Westseite der Enguri entspringen und dieses ist vermuthlich der Elbrus oder Schachgor, der großen Kabarda.

Man kann die Swanen, die ohne Zweifel Gerhers Sonti sind, nicht über 5000 Familien stark rechnen.

Von ihrer Sprache habe ich nur eine geringe mit den übrigen kalt kasischen Sprachen korrespondirende Wörtersamlung gemacht und gefunden, daß sie von alten stark abgeht, doch sieht man offenbahr, daß die georgianische ihre Mutter ist.

---

[1] Alpen oben an – nach, *G.*] Alpen oben am Laschchur und am Engur, auch am Ts'cheni Tschali des Rion und nach, *P.* [2] Laschchur, *G.*] Laschgur, *P.*

[3] liegen die Dörfer – Jentechi, *P.*] man nenete nur als Hauptörter des Distrikts Swaneti die Festtungen Lentechi, Tscholuli, Kalatschi und Laschcheti und Etseri nicht Ezer. *G.* [4] Mestia. < *P.*

ქართული პროვინცია სვანეთი

სვანეთი ანუ სონი არის ქართული პროვინცია, რომელიც შემდგომში ჩამოშორდა [სამეფოს] და თვითონ გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ახლა ის უმთავრესად სრულიად თავისუფალია და არ ჰყავს სხვა მმართველი; მხოლოდ სამეგრელოს დადიანი ცდილობს ლეჩხუმის ახლოს მდებარე [ადგილებზე] გაავრცელოს თავისი ბატონობა.

სოლომონ მეფემ ზოგიერთი სვანის მეშვეობით მიიღო მადნები, რამაც შესაძლებლობა მომცა ჩემი ძველი ცნობები შემესწორებინა.

მდ. ცხენისწყალი სათავეს იღებს სვანეთში და ჰქვია იქ ლაშეხეთი. მის სათავესთან არის ტყვიისა და სპილენძის საბადოები.

სვანეთი მდებარეობს სამეგრელოს აღმოსავლეთით, უმთავრესად მაღალ ფიქალიან მთებში.

სვანი, მრავლობითში სვანეთი ანდა – სონი, ან სონეთი, ასე უწოდებენ ქართველები ხალხს, რომელიც თავის თავს „შნაუ“*-ს ეძახის.

ეს პატარა პროვინცია, ჩვეულებრივი ქართული დაბოლოებით, იწოდება სვანეთად.

სვანები ცხოვრობენ კავკასიის ალპების სამხრეთ კალთებზე, მდ. ცხენისწყლის (ამას ლაშხურს უძახიან) სათავის ზემოთ, ენგურზე და[1] ზოგი ცნობების მიხედვით კაბეთზე.

ლაშხურზე მდებარეობენ სოფლები ლაშხეთი, ჩოლური, კალაში და იენტბა ანუ ქართულად იენტეხი[2].

ენგურზე მდებარეობენ უშკური[3], კაია,[4] ადიში, მიჯალი,[5] იფარი, ბოგრეში, წვირმი, იელი, მილახი[6], მესტია[7], ლენჯარი[8], ლანტელი, ბეჩო, დოლი, იებუტი, ცხუმარი, ეცერი და ლახმურა[9].

კონუსისებრი თოვლიანი მთა ფასა უნდა ჰყოფდეს მას ბასიანიიდან. მის (ფასის მთის – გ. გ.) აღმოსავლეთ მხარეში იღებს სათავეს რიონი, ხოლო სამხრეთ მხარეში – ცხენისწყალი და დასავლეთ მხარეში – ენგური. ეს ალბათ არის იალბუზი ანუ შახგორი – დიდი ყაბარდოსი.

სვანები, რომლებიც, ეჭვს გარეშე, არიან გერბერის სონტი, უნდა იყვნენ არა უმეტეს 5000 ოჯახისა.

მათი ენიდან მე მხოლოდ სიტყვების უმნიშვნელო რაოდენობა შევკრიბე, ისიც სხვა კავკასური ენების შესატყვისი სიტყვები, და ვნახე, რომ ძველისაგან ძლიერ განსხვავდება; მაინც ნათლად ჩანს რომ ქართული არის [მისი] დედა-ფუძე.

---

[1] მდ. ცხენისწყლის – ენგურზე და, გ ი უ ლ.] ზემოთ ლაშხურზე და ენგურზე, აგრეთვე რიონის შენაკად ცხენისწყალზე და, პ ა ლ. [2] ლაშხურზე – იენტეხი, პ ა ლ.] სვანეთის მთავარ ადგილებად დაასახელეს ციხეები ლენტეხი, ხილული, კალაჩი, ლაშხეთი და ეწერი, არა ეცერ, გ ი უ ლ. [3] უჟგული. [4] კალა. [5] მუჟალი [6] მულახი. [7] მესტია < პ ა ლ. [8] ლენჟერი.
[9] ლახამულა.

* შდრ. მჳშუჳნ (ასე ქვია სვანურად „სვანს“).

Sie gehörten ehemahls unmittelbar zu Georgien und waren griechische Christen. Noch jezo sind ьberall gute steinerne Kirchen, und die am Ts'cheni Ts'chali wohnen, sind es noch und erhalten Priester vom Bischof zu Letschkum oder vom Episkoposi Zagerelil. Diese hдlt sich auch der Dadian noch unterthiinig.

Die am Enguri haben ihre Freyheit behauptet und die christliche Religion verlohren, aber auch keine andere bekommen.

Ihre Kleidung ist. völlig der imeretinischen gleich, nehmlich kleine Mützen, lange Haare, geschornen Bart mit einem Stutzbart, kurze, nicht bis an die Knie. reichende Röke, mit einigen auf den Hüften zusammengezognen Falten, mit Вдndern uin die Waden gewunden, breiten Bauchgürtel u. s. w.

Grobe Tuchröke verfertigen sie häufig und bringen sie nach Imereti. (Von Laschchet bis Sardmeli ist eine kleine Tagereise, welchen Weg aus Swaneti nach Radscha diese Leute gemacht hatten[2]).

Sie haben Bley- und Kupfererze und wissen beide zu schmelzen, auch können sie Schiespulver machen. Eisen aber wissen sie nicht zu schmelzen.

Ihr Salz erhalten sie durch die Basianen; es ist also rußisches.

Sie haben ihre eigene Fьrsten, die sie beherrschen.

*

So sicher wir in Stepan-Ziminda waren, so beschwerlich wurde una der Aufenthalt eines Monats theils durch die hohen Preise der imtliwendigen Lebensmittel, die fiir mein ganzes Kommando Zulagen aus der Expeditionskaße unvermeidlich machte, theils durch den Mangel warmer Stuben und Ställe in einer so hochgelegenen Gegend. daß der Barometer am Fuß der Alpen oder in der Terekfläche gewöhnlich auf 22 Zoll 9 Lin. Pariser Maas stand. Ueber das alles litte ich durch ein Catarhalfieber nicht wenig.

Endlich erhielten wir die frohe Nachricht, daß, obgleich die Kommendanten keine Konvoy gehen kцnnen, doch der Hrn. General-Major von Medem, der sich von Anfange in Unterstiizung und Beschirinung der mir anvertraueten Expedition so rühmlich thätig bewiesen, den Hrn. Major von Krüdner mit 600 Mann leichter Truppen und 2 Kanonen zu meinem Ent saz ausriikken lassen. Das Detaschement lagerte Sich bey dein oßetischen Dorfe Tschim au der Nordseite der Alpen am Terek und nur 200 Mann gingen über das Gebilrge nach Stepan-Ziminda.

Den 2-ten November verlies ich unter dieser Bedekung meinen beschwerlichen Aufenthalt. Die Oßeten, die nur mit mir zu fechten Muth zu haben schienen, staubten, auf die Nachricht von Ankunft der Truppen, schleunig auseinander und liessen uns die Brücke.

---

[1] oder vom Episkoposi Zagereli < *P.*

[2] ეს პალასს ზემოთ აქვს მოცემული, მოგზაურობის აღწერისას. აკლია მხოლოდ welchen Weg – gemacht hatten, *G.*

სვანები ძველად უშუალოდ საქართველოს ეკუთვნოდნენ და იყვნენ ბერძენი ქრისტიანები. ამჟამადაც ყველგან არის ქვიტკირის კარგი ეკლესიები და ისინი, ვინც ცხენისწყალზე ცხოვრობენ, ახლაც [ქრისტიანები] არიან და ჰყავთ მღვდლები ლეჩხუმის ეპისკოპოსის ანდა ცაგერელი ეპისკოპოსისაგან[1]. ესენი ახლაც დადიანს ჰყავს მორჩილებაში.

ენგურზე მცხოვრებნი თავისუფლები არიან და ქრისტიანული სარწმუნოება დაჰკარგეს, თუმცა არავითარი სხვა არ მიუღიათ.

მათი ჩაცმა მთლად ისეთივეა, როგორც იმერლებისა, სახელდობრ, მათ აქვთ პატარა ქუდები, გრძელი თმები, მოპარსული წვერი, მხოლოდ ნიკაპზე იტოვებენ წვერს; აცვიათ თეძოებთან ნაოჭებიანი, მოკლე ჩოხები, რომლებიც მუხლებამდეც კი არ აღწევს, წვივებზე შემოხვეული აქვთ სახვევი, [წელზე არტყიათ] ბრტყელი ქამარი და ა. შ.

ისინი ხშირად ამზადებენ ტლანქი მაუდის ჩოხებს და მიაქვთ იმერეთში (ლაშხეთიდან სარდმელამდე არის ერთ დღეზე ნაკლები სავალი გზა, რომელიც ამ ხალხმა გაიყვანა სვანეთიდან რაჭისაკენ[2]).

მათ (სვანებს – გ. გ.) აქვთ ტყვიის და სპილენძის საბადოები და იციან ორივეს დნობა, აგრეთვე შეუძლიათ თოფის წამლის დამზადება. მაგრამ არ იციან რკინის დნობა.

მარილი შემოაქვთ ბასიანიდან; ეს არის, რა თქმა უნდა, რუსული.

მათ ჰყავთ თავისი საკუთარი თავადები, რომლებიც მათზე ბატონობენ.

*

რამდენადაც[3] უშიშრად ვგრძნობდით თავს სტეფანწმინდაში, იმდენად გაგვიჭირდა ერთი თვე ყოფნა ასე მაღალ ადგილას, სადაც ბარომეტრი ალპების ძირას, ანდა თერგის დაბლობზე, ჩვეულებრივ უჩვენებს 22 დუიმს და 9 ხაზს პარიზული ერთეულით; გაგვიჭირდა ნაწილობრივ სურსათ-სანოვაგის სიძვირის გამო, რაც მთელი ჩემი [რაზმისთვის] ექსპედიციის სალაროდან აუცილებელს ხდიდა დამატებითი თანხის გაღებას. გაგვიჭირდა ნაწილობრივ თბილი ოთახებისა და საჯინიბოების ნაკლებობის გამო. ყოველივე ამის გარდა, არა ნაკლებ გაგვაწვალა კატარალურმა ციებამ.

ბოლოს, მივიღეთ სასიხარულო ცნობა, რომ, თუმცა კომენდანტებს არ შეეძლოთ დამცველი რაზმის მოცემა, მაგრამ ბატონმა გენერალ-მაიორმა მედემმა, რომელიც თავიდანვე დიდ დახმარებას უწევდა ჩემდამი მონდობილ ექსპედიციას, ჩემს გამოსაყვანად გამოგზავნა ბატონი მაიორი კრიუდნერი 600 მსუბუქად შეიარაღებული კაცით და 2 ზარბაზნით. რაზმი დაბანაკდა ოსურ სოფელ ჭიმთან, თერგზე, ალპების ჩრდილო მხარეზე, და მხოლოდ 200 კაცი გადმოვიდა ქედზე და წამოვიდა სტეფანწმინდისაკენ.

2 ნოემბერს ამ მცველი რაზმის თანხლებით დავტოვე ჩემი შემაწუხებელი ბანაკი. ოსები, რომლებსაც მხოლოდ ჩემთან ჰქონდათ დიდი გული, მაშინვე სასწრაფოდ გაიფანტნენ, როცა გაიგეს რაზმების მოსვლის შესახებ, და გაგვითავისუფლეს ხიდები.

---

[1] ანდა ცაგერელი ეპისკოპოსისაგან < პ ა ლ.

[2] რომელიც ამ – რაჭისკენ < პ ა ლ.

[3] ეს არის გაგრძელება დღიურისა. იხ. ზემოთ გვ 181.

Nach 1/4 Stunden hatten wir die erste Brühe über dem Terek und denn das Dorf Zdo; daruach 1 Stunde weiter das Dorf Zachdou uud etwan 1 W. weiter die zweite Brьke, und wieder nach 2 W. bey Dariella die 3-te Brüke.

Den 3-ten November. Von Dariella hatten wir nach 1/4 Stunde die 4 te und wieder nach 3/4 Stunde die. 5-te Briike. Nach 1 1/2 Stunden hatten wir den Bach Zalton, nach 3/4 Stunde Laars und nach 1 Stunde Tschim.

Den 4-ten November. Von Tschim bis Tomir Sultan iu 2 Stunden, von wo wir bis zum Lager nur 3/4 Stunde hatten.

Da der Hr. Major von Krüdner, währeml daß ein Detaschement mich abholte, von den Oßeten Geißeln, stat der in Kislar gestorbenen genommen hatte, sczten wir noch heute den Rükmarsch bis zum Dorfe Saur fort, welches wir nach 1 1/2 Stunden erreichten.

Den 5-ten November folgten wir dem Terek 4 Stunden hinab, danu kamen wir nach 1 Stunde an den Kunbelur, dem wir am rechten Ufer 1/2 Stunde. hinab folgten. Daselbst stand eine Sдule von Sandstein 2 Faden hoch, 2 FuЯ breit und 1 Spanne dik.

Den 6-ten November. Von hier bis zum Vorgebürge erforderte 3 1/4 Stunden; zwischen den kalen Hügeln zogen wir 1/2 Stunde, auf seiner waldigen Höhe 1 1/2 Stunden, und kamen denn nach 1/4 Stunde nach Kurgokina.

Den 7-ten November. Von hier erreichten wir das 2-te Vorgebürge in 1 1/2 Stunden; es zu paßiren erforderte auch 1 1/2 Stunden und auf dessen Senkung gegen den Terek 2 1/4 Stunden. Am Terek hatten wir etwas Waldung, und erreichten in 1/4 Stunde Gottlob wohlbehalten Mosdok.

Hier machte ich den 8-ten November einen Ruhetag.

Den 9-ten November aber trat ich die Reise nach Kislar an der Linie auf dem linken Terek-Ufer an. Ich kam ьber Gustere bis Galngo in 5 Stunden. Hier waren 30 Familien donischer Kosaken angesezt.

Den 10-ten November, kam ich durch Ishora bis Naur in 5 3/4 Stunden.

Den 11-ten November. Nach Kasi-perewos und Tscherwlenow.

Den 12-ten November, machte ich daselbst einen Ruhetag.

Den 14-ten November, erreichte ich Nowogladka.

Den 15-ten November. Sarafanikowa, eine Seidenanstalt des Armeniers Hastatow, wo ich mich aufhielt und erst den 18 Nov. nach Kislar gieng.

Mein Gemüth, welches sich die vorzüglichsten großen Gefahren, nun in den hohen rußischen Grenzen, zurück rief und meinen Zwek, die Kentniß der Natur und die Völker dieser der Welt sehr wenig bekannten Gegenden, zur Ehre des Schцpfers. zum Ruhm der Monarchin, zum Vortheil der Akademie und zum Wachsthum der Wissenschaften einigermaßen erfüllt glaubte, war mit nnbesehreiblichen Empfindungen des Dankes gegen die über mich waltende Vorsehung erfüllt.

¼ საათში გავიარეთ თერგის პირველი ხიდი და შემდეგ სოფელი წდო; აქედან 1 საათში მივედით სოფელ ცახდონში და დაახლოებით 1 ვერსის მოშორებით გავიარეთ მეორე ხიდი, ხოლო კვლავ 2 ვერსზე, დარიალთან – მესამე ხიდი.

3 ნოემბერი. დარიალიდან ¼ საათში გავედით მე-4 და კვლავ ¾ საათში მე-5 ხიდზე. 1 ½ საათში ვიყავით მდ. ცალტონზე, ¼ საათში გავიარეთ ლარსი და კიდევ 1 საათში – ჭიმი.

4 ნოემბერი. ქიმიდან თემირ-სულთანამდე მოვუნდით 2 საათს, აქედან კი ბანაკამდე მხოლოდ ¼ საათი დაგვჭირდა.

სანამ რაზმი ჩვენ დაგვეწეოდა, ბატონმა (მაიორმა) კრიუდნერმა ოსებს მძევლები ჩამოართვა ყიზლარში გარდაცვლილთა ნაცვლად და ჩვენც იმ დღესვე განვაგრძეთ გზა სოფელ საურამდე, სადაც 1 ½ საათში მივედით.

5 ნოემბერს 4 საათი მივყვებოდით თერგს ქვევით, შემდეგ 1 საათში მივედით მდ. კუნბელურზე, რომლის მარჯვენა ნაპირსაც დავყევით ½ საათის განმავლობაში. იქ იდგა 2 საჟენი სიმაღლის, 2 ფუტი სიგანისა და 1 მტკაველი სისქის ქვიშაქვის ბოძი.

6 ნოემბერი. აქედან მთისწინეთამდე მოვუნდით 3 ¼ საათს; ტიტველ ბორცვებს შორის მივდიოდით ½ საათი, მის ტყიან მწვერვალებზე 1 ½ საათი და ¼ საათში კი მივედით კურგონიკაში.

7 ნოემბერი. აქედან 1 ½ საათში მივაღწიეთ მეორე მთისწინეთს; მის გადასვლას მოვანდომეთ 1 ½ საათი და თერგისკენ დაშვებას 2 ¼ საათი. თერგზე იყო პატარა ჭალა; ¼ საათში, ღვთის წყალობით, უვნებლად მივაღწიეთ მოზდოკს.

აქ 8 ნოემბერს შესვენება მოვაწყვე.

9 ნოემბერს კი გავეშურე ყიზლარისაკენ თერგის მარცხენა ნაპირის გაყოლებით. 5 საათში, გუსტერეს გავლით, მივედი გალუგოში. აქ ესახლა დონის კაზაკების 30 ოჯახი.

10 ნოემბერს იჟორას გავლით 5 ¾ საათში მივედი ნაურამდე.

11 ნოემბერი. [გავიარეთ] კასი პერევოზი და ჩერვლენოვი.

12 ნოემბერს იქ მოვაწყე შესვენება.

14 ნოემბერს მივედი ნოვოგლადკაში.

15 ნოემბერს – სარაფანიკოვაში (აქ არის სომეხი ჰასტატოვის აბრეშუმის საწარმო), სადაც მე შევისვენე და მხოლოდ 18 ნოემბერს წავედი ყიზლარისკენ.

დიდი რუსეთის საზღვრებს რომ მივაღწიე და რომ ვიგონებდი ყველა იმ დიდ საფრთხეს [რომლებიც გამოვიარე], და რადგან ვფიქრობდი, რომ, გამჩენის წყალობით, ჩემი მიზანი – ამ ნაკლებად ცნობილი მხარეების ბუნებისა და ხალხების შესწავლისა – ერთგვარად მიღწეული იყო დედოფლის დიდებისათვის, აკადემიის სასარგებლოდ და მეცნიერებათა წარმატებისათვის – ჩემი გული აივსო მადლობის უსაზღვრო გრძნობით განგებისადმი.

———————

საკუთარ სახელთა საძიებელი

1. გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

აბასთუმანი, ქალაქი სამცხეში 219.
1. **აბაშა** მდინარე სამეგრელოში 321.
2. **აბაშა**, სამეგრელოს მხარე 323.
აბისი, სოფ. და ციხე (შიდა ქართლში) 7, 177, 279.
აბუთკარი, სოფ. შიდა ქართლში 275.
აგარა, სოფ. რაჭაში 131, 293.
ადიში, სოფ. სვანეთში 329.
ავალიშვილები, სოფ. იმერეთში 301.
ავენისი, სოფ. საერისთაოში 273.
ავღანნი, 197.
ავჭალა: ზემო ა„ ქვემო ა, 61.
ავჭალისხევი, მდინარე 61.
ათნოხი, სოფ. გუდამაყარში 269.
აიდარბეგი, სოფ. ტაშირში 245.
აირუმლო, თურქული მხარე 243, 245, 247.
აკბალალი, აკბაჰალი, სოფ. 83, 247.
აკეთი, სოფ. გურიაში 315.
აკურა, სოფ. კახეთში 41, 261.
ალავერდი, ციხე და მონასტერი კახეთში 35, 37, 41, 261; ალავერდელი ეპისკოპოსი 207.
ალაზანი, მდ. 25, 29, 35, 39, 41, 45, 47, 221, 223, 249, 255, 257, 259, 261, 263.
ალალეთი, მხარე 321; ალალები, 321.
ალამბარი, სოფ. გურიაში 313.
ალანია, ალანეთი 321, 325.
ალანძია (ალანძა), სოფ. ჯავახეთში 217.
ალბანია 183.
ალგეთი, მდ. 67, 69, 83, 239, 245, 247.
ალევი, სოფ. შიდა ქართლში 95, 275.
ალექსაანდრაჩი? (Alexandratsch), ქალ. იმერეთში 309.
ალვანი, სოფ. კახეთში 261; 47 (ძველად მეფის რეზიდენცია); ალვანის ერთობაწმინდა 49.
ალთუნყალა (ოქროსციხე, სამცხეთში) 315.
ალისმერეთი, სოფ. იმერეთში 165.
ალისუბანი, სოფ. არგვეთში 303.
ალიხოტი (? აჩხოტი), სოფ. 179.
ალპანა, სოფ. ლეჩხუმში 327.
ალპები (კავკასიის ალპები, არარატის ალპები) 29, 69, 105, 147, 159, 161, 167, 171, 179, 183, 185, 287, 299, 321, 325, 329, 331.
ალჩაჩუ? (Altschatdchu), სოფ. ყაზახში 241.
ალჯუა, სოფ. ჯავახეთში 217.
ამაღლება, სოფ. იმერეთში 161, 305.
ამაშუკეთი, სოფ. იმერეთში 303.
ამბროლაური 115, 127, 293.
ამირნი, სოფ. შიდა ქართლში 269.
ანაგა, სოფ. ქიზიყში 27, 29, 257, 261.
ანაგისკარი, ანაგისხევი, ხეობა კახეთში 27.
ანაკარი? (Anakari) სოფ. შიდა ქართლში 279.
ანაკოფია 171, 325.
ანაკლია, ციხე სამეგრელოში 325.
ანანური 5, 7, 43, 47, 49, 51; ა. ქალაქია 271; ა-ის ეკლესია 270.
ანგუში ანუ ინგუში 181.
ანტორია, სოფ. ოკრიბაში 135, 145, 297.
ანწუხი, ლეკების მხარე 31, 249.
აპუნი? (Apuni), ციხე საერისთაოში 273.
არაგვი, მდინარე 5, 49, 53, 59, 93, 179, 187, 189, 221, 223, 239, 267, 269, 271, 273; არაგვის ერისთავი 225, 227, 231, 270, 271; არაგვის მოურავი 45, 281.
არაგვის კარი (დარიალი) 189.
არავლე, არაპლი (Arawle, Araply), სოფ. ბორჩალოში (არაფლო) 243.
არანისი, სოფ. და ციხე საერისთაოში 79, 273.
არაფლო, იხ. არავლე.
არარატი 71, 75, 79, 149, 183, 187, 215, 217, 221, 223, 239, 241, 245, 247, 309, 315: არარატის ალპები 69.
არასა, არაზი (არაქსი) 69.

---

[1] საძიებელი შედგენილია მხოლოდ ტექსტის და მისი შენიშვნების მიხედვით. საძიებლის შედგენისას გამოვტოვეთ საკუთარი სახელები, რომლებიც მოტანილია „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 187 – 195); ასევე თუშური სახელები (კაცთა და ქალთა – იხ. ჩვ. გამოცემის გვ. გვ. 263 – 265) და საქართველოში გავრცელებულ ფულებზე ამოკვეთილ წარწერებში მოხსენებული სახელები (იხ. ტექსტი, გვ. გვ. 235, 283, 285, 287).

არაქსი 39, 69, 221, 247.
არაშენდა, ციხე (შიდა ქართლში) 279.
არახვეთი, სოფ. შიდა ქართლში 269.
არბო, სოფ. შიდა ქართლში 277.
არბოშიკი, სოფ. ქიზიყში 25, 257, 261.
1. არგვეთი, იმერეთის მხარე 291, 303.
2. არგვეთი, სოფ. იმერეთში 170, 301.
არგვისი, სოფ. შიდა ქართლში 99, 277.
არდაჰანი, ქალაქი ჯავახეთში 217.
არდისი, ოსური სოფელი 97.
არედონი (არდონი), თერგის შენაკადი 223.
არეზი (არაქსი) 247.
არზრუმი, ერზერუმი 247, 251.
ართანა, ციხე და სოფელი კახეთში (Artana; გ. ბოჭორიძე[1]; ართანა) 33, 261.
ართვანა (?), სოფ. რაჭაში 123, 291.
ართვინი (ნარიმანის მხარეში) 315.
არკალა, მდინარე 49.
არკანი (? არღუნი, Arganani), სოფ. შიდა ქართლში 268, 271.
არკვისი, იხ. არგვისი 277.
არმაზი (მეფეთა რეზიდენცია) 191.
არმენიელები 185, 187, 211.
არტანი (ართანა), სოფ. კახეთში 261.
არტვანა (?) სოფ. რაჭაში 123, 291.
არტოზანი (Artosani), ციხე დ) სოფ. კახეთში (ბოჭორიძე, № 44) 37, 43, 261.
1. არღუნი, მდინარე 263.
2. არღუნი, სოფ. შიდა ქართლში 49, 268, 271, 213.
არშიბი (?), სოფ. რაჭაში 291.
არცევი, სოფ. შიდა ქართლში 277.
არხალი, სოფ. შიდა ქართლში 273.
ასანური, სოფ. ქიზიყში 25, 259, 264.
ასატური, ოსური სოფელი 97.
ასკანა სოფ. გურიაში 315.
ასკი, მდინარე რაჭაში (ასკის წყალი) 127, 137, 289, 327.
ასპინძა, ქალაქი სამცხეში 219.
ასტრახანი 15, 185, 199.
ასურეთი, სოფ.საბარათიანოში 67, 239.
ატენი, სოფ. შიდა ქართლში 99.
1. აფსილი, (ბაიერით ოდიში) 171.
2. აფსილი, სოფ. სამეგრელოში 323.
აფსავი (Abgawi). სოფ. შიდა ქართლში 273.
აფხაზები 193, 321.
აფხაზეთი 145, 171, 173., 183, 193, 320, 321, 324, 325, 327.
აქსაი, მდინარე 263.
აქსიბარა, სოფ. ყაზახში 241.
აღაიანი, სოფ. შიდა ქართლში 53 – 55.
აღვი, სოფ. ლეჩხუმში 327.
აღსტაფა (ახსტაფა), მდინარე 71, 223, 241.
აღტაში, სოფ. ტაშირში 245.
აღჯაყალა, ციხე ბორჩალოში 243.
აშეკაში (?), სოფ. იმერეთში 309.
აში (აჭე?). სოფ. შიდა ქართლში 273.
